

საქართველო მეცნიერებათა აკადემიის  
პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი  
ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი

თინა ჩხეიძე

სოფლის მეურნეობის ეკონომიკა  
(ეკოლოგიის ზაფუძვლებით)

" მეცნიერება "   
თბილისი  
2000

ნაშრომი "სოფლის მეურნეობის ეკონომიკა ეკოლოგიის საფუძვლებით"- განკუთვნილია ეკონომიკისა და საბუნებისმეტყველო პროფილის დარგთა სტუდენტებისათვის, როგორც დამხმარე სახელმძღვანელო, რომელშიც გაშუქებულია საბაზრო ეკონომიკის ურთიერთობათა პირობებში სოფლის მეურნეობის ეკონომიკის მრავალფეროვანი ასპექტები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება ეკოლოგიის ფაქტორებს.

ნაშრომი გარკვეულ დახმარებას გაუწევს ყველას, ვინც დაინტერესებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკის თანამედროვე პირობების პრობლემატიკით.

რედაქტორი: სოფლის მეურნეობის ეკონომიკის მეცნიერებათა  
კანდიდატი, დოც. კ. ციმიინტი

რეცენზენტები: სოფლის მეურნეობის ეკონომიკურ  
მეცნიერებათა კანდიდატები:  
დოც. თ. ქავთარაძე  
დოც. ლ. დათუნაშვილი

№  $\frac{0606000000}{M 607 (06)}$  2000

ISBN 99 928-51-83xX

© "მეცნიერება"  
© თ. ჩხეიძე



საქართველოს აკადემიის  
ეროვნული ბიბლიოთეკა

## წინასიტყვაობა

წინამდებარე ნაშრომი "სოფლის მეურნეობის ეკონომიკა ეკოლოგიის საფუძვლებით"- შედგენილია სასწავლო პროგრამის მიხედვით, როგორც დამხმარე სახელმძღვანელო ეკონომიკის და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტებისათვის.

მასალის შეგროვება და სახელმძღვანელოს სტრუქტურის ჩამოყალიბება ხდებოდა აგროეკონომიკის მომავალ სპეციალისტთა წინაშე მდგარი ამოცანების შესაბამისად. მიზნად გეგმონდა დასახეული დარგის სტუდენტობა უზრუნველგვეყო თანამედროვე სასწავლო ინფორმაციით, რომელშიც გაშუქებული იქნებოდა, როგორც საბაზრო ეკონომიკის საფუძველზე სოფლად წარმოქმნილი პირობები, ისე აგრობიზნესის კავშირი "სასურსათო უსაფრთხოებისა" და სხვა ცხოვრებისეული ეკონომიკური მნიშვნელობის პრობლემებთან. ეს ყოველივე სტუდენტახალგაზრდობას მისცემს მტკიცე ცოდნას თანამედროვე სოფლის მეურნეობის პროდუქტწარმოებაზე და იმ საკანონმდებლო აქტებზე, რომლებიც არეგულირებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის პრაქტიკულ საკითხებს.

ცნობილია, რომ სოფლის მეურნეობას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია აგროსამრეწველო კომპლექსში. პერსპექტიული გეგმების საფუძველზე სოფლის მეურნეობამ უმოკლეს დროში უნდა შესძლოს უზრუნველყოს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა საკვები პროდუქტებით, ხოლო მრეწველობა ნედლეულით.

სოფლის მეურნეობის პროდუქტწარმოებელი საწარმოები, ხელმძღვანელობენ რა საბაზრო ეკონომიკის პრინციპებით, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მოგებას და ხშირად მიმართავენ არატრადიციული ტექნოლოგიების (ბიოსტიმულატორები, ქიმიკატები და სხვ.) გამოყენებას, რითაც უგულვებელყოფენ სასურსათო პროდუქციის ეკოლოგიურ უსაფრთხოებას. ამას ისიც ემატება, რომ ზოგიერთი აგრობიზნესმენის მიერ იმპორტირებული სურსათი ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიშ დაავადებათა წყაროს წარმოადგენს და გა-

მოდის, რომ როგორც ამბობენ, ფულით ვყიდულობთ აკად-  
მყოფობას. სამწუხაროა ისიც, რომ ყველა ზემოაღნიშნულ  
მწარმოებელთა მაკონტროლებელი ორგანოები რამდენადმე  
ზერელე დამოკიდებულებას იჩენს ხსენებული დანაშაულებ-  
რივი მოქმედების აღსაკვეთად.

მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონე საშუალე-  
ბას იძლევა სხვადასხვა ორგანიზმის გენების გადაწერვის  
გზით შეიქმნას მცენარეთა ახალი უხემოსავლიანი და ბუნე-  
ბის არახელსაყრელი კლიმატური პირობების კარგად ამტანი  
ჯიშები, რომლებიც მდგრადობას იჩენენ სხვადასხვა დაავა-  
დებათა წინააღმდეგ. ასეთ გენეტიკურ ოპერაციებს წარმატე-  
ბით იყენებენ მემცენარეობაში, ხორბლის, სიმინდის, ბრინ-  
ჯის, კარტოფილის და სხვა კულტურათა ახალი ჯიშების მი-  
საღებად. ამ გზით გამოყვანილი მცენარეები საკმაოდ  
მაღალმოსავლიანია ტრადიციულ კულტურებთან შედარებით,  
მიუხედავად იმისა, რომ მათ თესლს სტერილურობის გამო  
გამრავლების უნარი არ გააჩნიათ.

ბოლო წლებში მეცნიერულად დამტკიცდა, რომ გენური  
ინჟინერიით მიღებულ სახეცველილ პროდუქციას (ე.წ. "ფრან-  
კენშტაინის სურსათს") სავალალო შედეგები მოაქვს. დადგე-  
ნილია ისიც, რომ ჰორმონებით ნაკეები პირუტყვისა და ფრი-  
ნველის ხორცი, აგრეთვე მათი ხორცპროდუქტები ადამიანის  
ჯანმრთელობისათვის საშიშია და მკაცრად იკრძალება მათი  
გამოყენება.

როგორც აღვნიშნეთ ხშირად მოსაველის გაზრდის მიზნით  
უგულეებელყოფენ ტრადიციულ აგროტექნოლოგიებს და სა-  
სოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლების წინააღმდეგ  
ბრძოლის ბიოლოგიური მეთოდების მაგივრად, დაუშვებელი  
დოზით იყენებენ პესტიციდებს, ამასთან ერთად ნიადაგის  
ნაყოფიერების გაზრდის მიზნით მიმართავენ მინერალური სა-  
სუქების ჭარბად გამოყენების პრაქტიკას, მაშინ როცა ბუ-  
ნებრივი ორგანული სასუქი ნაკელი, საქართველოს მთელ  
რიგ რაიონებში (მაგ. თიანეთში) გამოუყენებელი, ზვინებად  
დგას. სამწუხაროდ, მინერალური სასუქების ზემოაღნიშნული  
არანორმირებული გამოყენება არა მარტო ზრდის პროდუქ-  
ციის თვითღირებულებას, არამედ აბინძურებს ნიადაგს მძიმე

მეტალებით და აქვეითებს მოსაყვლის ხარისხს. გამოუყენებლად დატოვებული ნაკელი კი ატუტყვიანებს გარემოს. ეს მაშინ, როცა ნაკელის გამოყენება მოხსნიდა ყველა ზემოთ ჩამოთვლილ საზიანო პრობლემას და ამავე დროს მივიღებდით ეკოლოგიურად სუფთა საკვებ პროდუქციას. განსაკუთრებით სამწუხარო ისაა, რომ ასეთ საზიანო ქმედებას არა მხოლოდ რეგიონალური ეკოსისტემის დაბინძურებისათვის აქვს მნიშვნელობა, არამედ მას გლობალური ხასიათი ეძლევა და ვრცელდება მთელს ბიოცენოზზე, რომ აღარაფერი ვთქვათ ადამიანის ჯანმრთელობის უსაფრთხოებაზე.

ცილა-ვიტამინიზებული კონცენტრატების ტოქსიკურობა და მავნეობა მეცნიერულად დამტკიცებულია (ამ მიზეზით ყოფილი საბჭოთა კავშირის ზოგი ქალაქი უბაეშეებოდ იქცა). მოწინავე ქვეყნებში ხსენებული ცილების გამოყენება აკრძალულია. ხოლო განვითარებად ქვეყნებში სამომხმარებლო ბაზარი სუსტად არის დაცული მსგავსი საფრთხისაგან. ჩვენ ქვეყანაში არსებული დროებითი სიდუხჭირის გამო მოსახლეობა იძულებულია შეიძინოს იაფი იმპორტირებული პროდუქტები, რაც, ცხადია, უნდა აღიკვეთოს.

ზემოთ ჩამოთვლილ მიზეზთა გამო სახელმძღვანელოში გაშუქებული სოფლის მეურნეობის ეკონომიკური მასალის სწავლება ორგანულად უკავშირდება ეკოლოგიური პრობლემების ცოდნას, რასაც დღეისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს "უსაფრთხო სურსათის" საწარმოებლად და მიღებული პროდუქციის თვითღირებულებისა და რენტაბელობის დასადგენად.

ავტორი მადლობის გრძნობით მიიღებს ნაშრომის შესახებ ყველა საქმიან შენიშვნას და გაითვალისწინებს მათ დამხმარე სახელმძღვანელოს ტექსტის შემდგომი დახვეწა-გაუმჯობესებისათვის.

თინა ჩხეიძე,  
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი.

## თავი პირველი სოფლის მეურნეობის ეკონომიკა და ეკოლოგია

### 1.1. სოფლის მეურნეობის ეკონომიკა ეკოლოგიის საფუძვლებით. საგანი, ამოცანები, მეთოდი.

სოფლის მეურნეობის ეკონომიკა არის ეკონომიკური მეცნიერების დარგი და შედის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ჯგუფში. ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავს ნებისმიერი საზოგადოებრივი მეცნიერების საგანსა და ამოცანებს, წარმოადგენს ქვეყანაში მოქმედი იდეოლოგია და ამ ქვეყნის მიერ გატარებული საშინაო და საგარეო პოლიტიკის შედეგი. საქართველო დღეისათვის იმყოფება გარდამავალ პერიოდში, რომლის ხანგრძლივობის წინასწარ განსაზღვრა საკმაოდ რთული საქმეა. ეს პერიოდი ხასიათდება საკუთრების მრავალი ფორმის არსებობით, რითაც არის განპირობებული საერთოდ სახალხო მეურნეობაში და კერძოდ, სოფლის მეურნეობაში გეგმური და საბაზრო ეკონომიკის ელემენტების ერთდროული არსებობა.

ზოგადად, სოფლის მეურნეობის ეკონომიკის საგანი (ეკოლოგიით) შეისწავლის საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობებს ეკოსისტემასთან კავშირში. მათი ურთიერთმოქმედების და ურთიერთგანპირობებულობის გაველენას სოფლის მეურნეობის ყველა დარგის რენტაბელობისა და ეფექტურობის ამაღლებაზე.

სოფლის მეურნეობის ეკონომიკის საგანს, გეგმური ეკონომიკის დროს, წარმოადგენს სოფლის მეურნეობაში წარმოების, კვლავწარმოების და დაგროვების თავისებურებების

შესწავლა. საბაზრო ეკონომიკის პირობებში კი წარმოადგენს სხვადასხვა სახის საკუთრების საფუძველზე შექმნილ სასოფლო-სამეურნეო საწარმოების შესწავლას, მის ორგანიზაციას და დაგეგმვას, რათა დამყარებულ იქნეს ყველაზე უფრო ოპტიმალური დამოკიდებულება სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის.

სოფლის მეურნეობის ეკონომიკის ძირითადი ამოცანებია:

- ძირითადი ეკონომიკური მეთოდების შესწავლა;

იმ ღონისძიებათა ეფექტიანობის შეფასების მეთოდების შესწავლა, რომელიც მიმართულია სოფლის მეურნეობის წარმოების ტექნოლოგიისა და ორგანიზაციის რაციონალიზაციისაკენ;

- ეკონომიკური ინფორმაციის აუცილებელი ფორმირება, სისტემატიზაცია და მომზადება მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად;

- რესურსების გამოყენების ოპტიმიზაცია;

- სოფლის მეურნეობაში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვა;

სოფლის მეურნეობაში ეკოლოგიური ფაქტორების გათვალისწინება;

- სოფლის მეურნეობის პროდუქციის ეკოლოგიური უსაფრთხოება;

სოფლის მეურნეობის პროდუქციის ეკოლოგიური ბაზრის ფუნქციონირება.

ამოცანებს გეგმიური ეკონომიკის პირობებში წარმოადგენდა:

წარმოების დაგეგმვის ძირითადი მეთოდების შესწავლა;

თვითღირებულებისა და ფასის ფორმირების პრინციპების შესწავლა;

ძირითადი ფონდებისა და ნორმირებული საბრუნავი საშუალებების გამოყენების ოპტიმიზაცია;

- მომარაგებისა და გასაღების ყველაზე უფრო ეფექტური სისტემის განსაზღვრა;

- გამოყენებელი შიდა რეზერვების გამოვლენა;

სოციალური სფეროს განვითარების მოცულობის გაზრდის აუცილებლობის დასაბუთება.

ამოცანები საბაზრო ეკონომიკის პირობებში შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ:

- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე მოთხოვნისა და მიწოდების შესწავლა;

- საბაზრო ფასის ფორმირების პრინციპების შესწავლა;  
საბაზრო მარკეტინგისა და მენეჯმენტის პრინციპების შესწავლა;

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გრძელვადიანი და მოკლევადიანი მოთხოვნისა და მიწოდების ტენდენციების შესწავლა.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ეკოლოგიური უსაფრთხოება.

სოფლის მეურნეობის ეკონომიკის მეცნიერების კვლევა კვლავ დიალექტიკური მეთოდით ხორციელდება. ამ მეთოდის გამოყენება გულისხმობს, რომ ყველა მოვლენა, როგორც ბუნებრივი, ისე საზოგადოებრივი, განიხილება როგორც ყოველმხრივი და წინააღმდეგობრივი განვითარების პროცესი. ეს მეთოდი არ ეწინააღმდეგება არც გეგმიური და არც საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საბაზრო ეკონომიკა შემთხვევითობის მოვლენებს უფრო ფართოდ განიხილავს, ხოლო შეფასების ალბათობა ორგანიზაციის ფინანსურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე წარმოადგენს რისკის თეორიის საფუძველს.

საერთო ძირითადი მეთოდის გარდა ნებისმიერი მეცნიერების შესწავლისას გამოიყენება სპეციალური მეთოდებიც. სოფლის მეურნეობის ეკონომიკის შესწავლისას გამოიყენება:

- ეკონომიკურ-მათემატიკური;
- ეკონომიკურ-სტატისტიკური;
- ანალიზურ-სინთეზური;
- ექსპერიმენტალური;
- აბსტრაქტულ-ლოგიკური და სხვა მეთოდები.



## 1.2. სოფლის მეურნეობა, როგორც სახალხო მეურნეობის დარგი

სოფლის მეურნეობის, როგორც სახალხო მეურნეობის დარგის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ის იძლევა ადამიანის არსებობისათვის საჭირო მაღალი კვებითი ღირებულების პროდუქტებს და ნედლეულს მრეწველობის მთელი რიგი დარგებისათვის. მრეწველობისაგან განსხვავებით, სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის დამახასიათებელია მრავალდარგიანობა და ამასთან დაკავშირებით წარმოებული პროდუქციის სახეობრივი სიმრავლე და სპეციფიკური თავისებურებანი, ანგარიშგასაწვეია ისიც, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოებას საკმაოდ რთულ პირობებში უხდება მუშაობა, რაც აფერხებს ქვეყნის ზოგიერთი დარგის სამრეწველო საფუძველზე გადაყვანის დიდმნიშვნელოვან სახელმწიფო საქმეს.

*სოფლის მეურნეობის ძირითადი ამოცანები.* რას წარმოადგენს სოფლის მეურნეობა? სოფლის მეურნეობის მიერ წარმოებული პროდუქცია პირველ რიგში არის ადამიანის საკვები, რომელიც შეიცავს იმ ენერგიას, რასაც ჩვენ ვხარჯავთ მთელი ჩვენი არსებობის პერიოდში. ესაა ფარული პოტენციური ენერგია, რომელიც საფუძვლად უდევს ადამიანის სიცოცხლეს. გარდა ამისა, სოფლის მეურნეობა კაცობრიობას უზრუნველყოფს მთელი რიგი ისეთი პროდუქციით, რაც ამცირებს სასიცოცხლო ენერგიის უსარგებლო ან არამწარმოებლურ ხარჯვას. ეს პროდუქციაა მასალა ტანსაცმლისათვის, ფეხსაცმლისათვის, მშენებლობისა და ენერგეტიკისათვის. ამ შემთხვევაში ფარული პოტენციური ენერგიის მიღება შეიძლება სხვა სახის ენერგიისაგან. ამიტომ სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მიზანია მზის სხივური ენერგიის (კინეტიკური ენერგიის) გარდაქმნა ფარულ პოტენციურ ენერგიად ანუ ადამიანის საკვებად (აგრობიოკენოზად).

სოფლის მეურნეობაში ზემოაღნიშნული მიზნის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ ცოცხალი ორგანიზმების მეშვეობით. ამიტომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველს მწვანე მცენარეები (ბიოკენოზი) წარმოადგენს. მწვანე

მცენარე ცხოველმყოფელობისათვის საჭირო ენერგიას სწორედ მზის სხივური სითბოს სახით ღებულობს. წყალი, სინათლე და სითბო ის ძირითადი პირობებია, რომელიც აუცილებელია მცენარის სიცოცხლისათვის (სინათლე ძირითადი მასალაა, რომლისგანაც მზადდება პროდუქტი, მზის სითბო კი ის ძალაა, რომელსაც მოქმედებაში მოჰყავს მწვანე მანქანა-მცენარე).

მზის სხივური ენერგიის (კინეტიკური ენერგია) გარდაქმნა პოტენციურ (ფარულ) ენერგიად ხდება (მცენარეების) ბიოცენოზის მეშვეობით და ვლდებულობთ მის განიკთებულ ფორმას. ენერგიის ეს განიკთებული ფორმა - ორგანული ნივთიერებაა.

ბიოცენოზის სასიცოცხლო პირობები: იმისათვის, რომ მცენარემ (მანქანამ) იმუშაოს და წარმოქმნას ორგანული ნივთიერება, საჭიროა აბიოტური ფაქტორები:

კლიმატური ფაქტორები (ჰაერი, სინათლე, სითბო, წყალი);

ელაფური ფაქტორები (ნიადაგი, მინერალური მარილები);

- ოროგრაფია (რელიეფი).

სითბო და სინათლე კოსმოსიდან მოედინება და ჩვენ მათი რაოდენობრივი რეგულირების არაერთარი საშუალება არა გვაქვს, ამიტომ, იძულებული ვართ შევეგუოთ ამ მდგომარეობას და ისინი ისე გამოვიყენოთ.

მცენარის სასიცოცხლო პირობების მეორე ჯგუფი - წყალი და საკვები ნიადაგური წარმოშობის ფაქტორებია, რომლებიც მცენარეში შედის ნიადაგში განფენილი ფესვების მეშვეობით. ამრიგად, თუ სინათლე და სითბო კოსმოსიდან უშუალოდ მოქმედებს მცენარეზე, საკვები და წყალი მცენარეში აღწევს "შუამავლის", ნიადაგის მეშვეობით. სწორედ ნიადაგშია მცენარის ფესუთა სისტემა და წყალი, მასში გახსნილი მინერალური ნივთიერებებით.

ამრიგად, სასოფლო-სამეურნეო დარგების ძირითადი ამოცანაა მცენარისათვის წყლისა და საკვების მიწოდების რეგულირება. ეს არის სოფლის მეურნეობის ძირითადი საწარმოო ხასიათის ამოცანა, რომლის მიზანია მიიღოს რაც შეიძლება მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია.

*სასოფლო - სამეურნეო წარმოების თავისებურებანი.*  
სახალხო მეურნეობის ყველა დარგი ერთმანეთისაგან განსხვავდება თავისი სპეციფიურობით, წარმოების საშუალებებითა და წარმოებული პროდუქციით. როგორია სოფლის მეურნეობის, როგორც სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგის თავისებურებანი?

1. სასოფლო-სამეურნეო წარმოება სოციალურად არაერთგვაროვანია. აქ გვხვდება სახალხო მეურნეობის, როგორც სახელმწიფო, ისე კოლექტიური და კოოპერატიული ფორმები. *ბოლო დროს ფეხი მოიკიდა და ფართოდ ვითარდება კერძო საკუთრებაც.* წარმოების ფორმათა მრავალფეროვნება იწვევს მრავალგვარ წარმოებით ურთიერთობათა წამოყვანილობას, რაც რიგ სიძნელეებს ქმნის მათ მართვაში ეკონომიკური კანონების გამოყენებისათვის.

2. სახალხო მეურნეობის სხვა დარგებისაგან სოფლის მეურნეობა თავისი წარმოების საშუალებით განსხვავდება კერძოდ, ისეთი სპეციფიკური საშუალებით, როგორიცაა – მიწა. სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროცესში მიწა ადამიანის მოქმედების ძირითადი ობიექტია.

3. სოფლის მეურნეობა განსხვავდება სახალხო მეურნეობის სხვა დარგებისაგან იმით, რომ ის წარმოების საგნად იყენებს ეკოლოგიურ ფაქტორებს, ცოცხალ ორგანიზმებს – მცენარეებსა და ცხოველებს, ამიტომ მის განვითარებაზე გაუღენას ახდენს, როგორც ეკონომიკური, ისე ბიოლოგიური კანონები.

4. წარმოების მნიშვნელოვანი საშუალებები მანქანა-იარაღები, მოწყობილობები, ელექტროენერგია, საწვავი, სამშენებლო მასალა და სხვა სოფლის მეურნეობას მიეწოდება მრეწველობის მიერ. საერთოდ კი, სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა დამოკიდებულია მრეწველობაზე, ტრანსპორტზე, მშენებლობაზე და სხვ.

5. სასოფლო-სამეურნეო საწარმოები განფენილია სივრცეში და მოქმედებაშია დიდ ფართობზე. ფაბრიკა-ქარხნებში ნედლეული და მასალა (შრომის საგანი) ჩვეულებრივ გადაადგილდება, ხოლო შრომის საშუალებები (მანქანები, ძრავები), რომლებსაც ისინი მოძრაობაში მოჰყავთ დამაგრებულ-

ლია ერთ ადგილზე. მიწათმოქმედებაში კი პირიქით ხდება, მანქანები და ძრავები უნდა გადაადგილდნენ, ხოლო შრომის საგანი (მცენარეები) დამაგრებულია ერთ ადგილზე. ამიტომ სასოფლო-სამეურნეო მანქანები მოძრავია და ენერგორესურსები ძირითადად მანქანა-იარაღების მინდორში გადაადგილებას ხმარდება.

6. ფაბრიკა-ქარხნებში მანქანები და მომსახურე პერსონალი მუშაობს განსაზღვრულ, შედარებით მუდმივ გარემო პირობებში, რომელსაც ადამიანი ქმნის მიზნობრივად. ნედლეული, მასალა და ნახევარფაბრიკატები წინასწარ ცნობილია, უმეტეს შემთხვევაში, მუდმივი ფიზიკურ-ქიმიური თვისებებით, ხარისხით, ფორმით. სოფლის მეურნეობაში მუშაობის პირობები გარემო და ნედლეული მასალის თვისებები (შრომის საგანი) არ არის მუდმივი, რაც მეტწილად დამოკიდებულია ეკოლოგიურ ფაქტორებზე, შრომის საგნის (მცენარეები და ცხოველები) არასტანდარტულობა იწვევს მთელ რიგ სიძნელეებს სასოფლო-სამეურნეო მანქანების კონსტრუირებასა და სისტემის ფორმირებაში.

7. სოფლის მეურნეობის განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ იქ მზა პროდუქციის ნაწილი (20 %-ზე მეტი). შედის წარმოების შემდეგ ციკლში, როგორც უკვე წარმოების საშუალება (თესლი, საკვები, ცხოველთა ნამატი) ამ და სხვა მიზეზების გამო წარმოიქმნება თავისებურება ძირითად და განსაკუთრებით საბრუნავ საშუალებათა ფორმირებაში.

8. მრეწველობისაგან განსხვავებით სოფლის მეურნეობაში წარმოების პერიოდი არ ემთხვევა სამუშაო პერიოდს, რაც წარმოების სეზონურობის შედეგია. ამიტომ, დარგებისა და კულტურების რაციონალური შეთანაწყობა სამუშაო ძალისა და წარმოების საშუალებების სრულად გამოყენების მნიშვნელოვანი ფაქტორია.

9. სოფლის მეურნეობაში მცენარეებისა და ცხოველების მოვლა-პატრონობა და მათგან უხვი პროდუქციის მიღება შესაძლებელია ამ ორგანიზმების მიმართ ინდივიდუალური საწარმოო შრომითი ჩვევების გამომუშავების შემთხვევაში. აღსანიშნავია ისიც, რომ იქ შრომის ორგანიზაცია და მუშაკის

სპეციალიზაცია საგრძნობლად განსხვავდება მრეწველობაში დასაქმებული პირისაგან.

### 1.3. სოფლის მეურნეობის როგორც ეკონომიკის დარგის თავისებურებანი

სოფლის მეურნეობა, როგორც ეკონომიკის დარგი, ექვემდებარება ეკონომიკურ კანონებს, რომელიც ახასიათებს ნებისმიერ ეკონომიკურ სისტემას და საწარმოო ძალთა განვითარებისა და საწარმოო ურთიერთობათა ნებისმიერ ტიპს.

ამასთან, სოფლის მეურნეობაში ეკონომიკური და სამეურნეო მოღვაწეობების განხორციელებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს თავისებურებანი, რომელიც განპირობებულია წარმოების ტექნოლოგიით, შრომით, საწარმოო და მიწის რესურსების განლაგებით. ეს თავისებურებები თვალსაჩინო გახდება, თუ სოფლის მეურნეობაში მათ გამოვლენას მაკროეკონომიკური თვალთახედვით გადაეხედეთ.

*კვლავწარმოება* - სამუშაო ძალის, წარმოების საშუალებებისა და ბუნებრივი რესურსების მექანიზმი გაახლება. ამასთან ერთად, ადამიანთა შორის ადგილი აქვს საწარმოო ურთიერთობებს. გამომდინარე წარმოების სოციალურ-ეკონომიკური ფორმიდან.

აქ მოყვანილი განსახედურება დამახასიათებელია ნებისმიერი წარმოების, დარგისა და სასოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციისათვის. სოფლის მეურნეობაში კვლავწარმოების განხორციელების თავისებურებანი იმითაა განპირობებული, რომ სხვა დარგებთან შედარებით, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს წარმოების ბუნებრივ-ბიოლოგიურ სისტემას (მიწას, ცხოველებს, მცენარეულობას). მაშასადამე, ამ სფეროში სასოგადოებრივ საწარმოო ურთიერთობისათვის მნიშვნელოვანია ტექნიკის, ბიოლოგიის, ეკონომიკის და ეკოლოგიის ერთიანობა.

განასხვავებენ ორი სახის კვლავწარმოებას - მარტივსა და გაფართოებულს.

*მარტივი კვლავწარმოება:* წარმოებული პროდუქციის რაოდენობა და ხარისხი ყოველ მომდევნო ციკლში უცვლელია. ეს, თავის მხრივ, განაპირობებს წარმოების ფაქტორთა უცვლელობას. ითვლება, რომ მიღებული მთელი ზედმეტი პროდუქტი (თუკი ასეთი არის) მოიხმარება მწარმოებლის საჭიროებისათვის. მარტივ კვლავწარმოებას სოფლის მეურნეობაში მხოლოდ თეორიული ხასიათი აქვს. სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება დაკავშირებულია ნიადაგის ნაყოფიერებაზე და კლიმატურ პირობებზე. ამის გამო ზუსტი თანხვედრა წარმოების შედეგსა და ციკლის (სეზონის) დამთავრებას შორის შეუძლებელია. შეცდომაა, როდესაც მარტივ კვლავწარმოებად მიიჩნევენ მთელი ზედმეტი პროდუქტის მოხმარებას მწარმოებლის პირადი საჭიროებისათვის. აგროეკონომიკაში მიღებული ნამეტი პროდუქცია უმეტესად დამოკიდებულია არა თვით წარმოების ეფექტიანობაზე, არამედ მთელ რიგ გარე ფაქტორებზეც.

მიუხედავად ამისა, სოფლის მეურნეობაში მარტივ კვლავწარმოებად პირობითად შეიძლება ჩაითვალოს წარმოება, რომელსაც ახორციელებს გლეხური (ფერმერული) მეურნეობა (ზოგჯერ ხმარობენ ტერმინს "წერილსასაქონლო" მეურნეობა), როგორც წესი, რესურსები, რომელშიც შეიძლება გლეხურმა მეურნეობამ მუდმივი კაპიტალი დააბანდოს (მიწა, ძირითადი საშუალებანი) არსებითად შეზღუდულია, ხოლო გაფართოებულია კვლავწარმოების განხორციელება ერთი ოჯახის შემადგენლობით - შეუძლებელი. გარდა ამისა, გლეხური მეურნეობის ფინანსური შესაძლებლობა არ იძლევა მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადების საშუალებას, რომლებსაც შეეძლებათ სოფლის მეურნეობაში გაფართოებული კვლავწარმოების ხელმძღვანელობა.

*გაფართოებული კვლავწარმოების* დროს ნაწარმოები პროდუქციის რაოდენობა და წარმოების ფაქტორები ყოველი ციკლის შემდეგ იზრდება (მატულობს). გაფართოებული კვლავწარმოების უზრუნველყოფის ერთ-ერთი წყარო არის ზედმეტი პროდუქტი, რომლის ნაწილი ხმარდება შრომის საგნებისა და საშუალებების რაოდენობრივ და ხარისხობრივ გაუმჯობესებას.

განასხვავებენ გაფართოებულ კვლავწარმოების განხორციელების ორ მეთოდს - ექსტენსიურს და ინტენსიურს.

*ექსტენსიური მეთოდი* დაკავშირებულია შრომის ხაშკვალებათა რაოდენობრივ გაუმჯობესებასთან სოფლის მეურნეობაში ეს ვლინდება სათესი ფართობების გაფართოებაში, ცხოველთა სულადობის გაზრდაში; გადამამუშავებულ მრეწველობაში ხაწარმოო სიმძლავრეების გადიდებაში, რეალიზაციაში სავაჭრო ფართობის გაფართოებაში, ან სხვა მომხმარებლების მათთან სამეურნეო კავშირების ორგანიზაციის გაზრდაში.

სოფლის მეურნეობაში ექსტენტიური მეთოდის გამოყენების ყველაზე ნათელი მაგალითია საბჭოთა კავშირში, 50-იან წლებში, ყამირი მიწების ათვისება. ახლად ათვისებული მიწების შედარებით დაბალი მოსავლიანობის პირობებში სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ნამეტი იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ იმ დროისათვის არსებითად გადაწყდა არსებული სასურსათო პრობლემები. მეცხოველეობაში ასეთ მაგალითად შეიძლება გამოდგეს 1945-46 წწ. რქოსანი პირუტყვის სულადობის მკვეთრი ზრდა რეპარტიაციის ხარჯზე გერმანიიდან გადმოიყვანილი პირუტყვით.

დღეისათვის, განსაკუთრებით მემცენარეობაში, ექსტენსიური მეთოდის განსახორციელებლად თავისუფალი სავარგულები ძლიერ შეზღუდულია. მიუხედავად ამისა, აგრარულ სექტორში ასეთი რეზერვების გამონახვა შეიძლება იმ მიწების სახით, რომლებიც აუთვისებელია არასწორი აგრარული რეფორმისა და მიწის პრივატიზაციაში დაშვებული შეცდომების გამო, ანდა არადანიშნულებისამებრ გამოყენებით.

*ინტენსიური მეთოდისათვის* დამახასიათებელია ხაწარმოო პროცესის ხარისხობრივი მასვენებლების გაზრდა, რაც განაპირობებს საბოლოო პროდუქციის ხარისხობრივ და რაოდენობრივ ამაღლებას. პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაც გაფართოებულ კვლავწარმოებად ითვლება, რადგან თანაბარი მოცულობის დროს ხარისხიანი პროდუქციის დირებულება უფრო მაღალია. ამ მეთოდის რეალიზაციაში ფართოდ არის გამოყენებული შრომის მწარმოებლურობის ამაღლება. სოფლის მეურნეობაში შრომის მწარმოებლურობის ამაღლება

დამოკიდებულია არა მარტო ობიექტურ, არამედ სუბიექტურ ფაქტორებზეც. ამიტომ, დანახარჯები მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე, მექანიზაციაზე ან კომპლექსურ მექანიზაციაზე შეიძლება ნიველირებულ იქნეს კლიმატური პირობებით მემცენარეობაში ან ეპიდემიით მეცხოველეობაში.

ინტენსიური მეთოდის მეორე მიმართულება, რომელიც გამოიყენება, სოფლის მეურნეობის გაფართოებულ კვლავწარმოებაში, არის მოსავლიანობის გადიდება (მემცენარეობაში) და პირუტყვის პროდუქტიულობის ამაღლება (მეცხოველეობაში). ეს მიმართულება დღეისათვის ნაკლებად განსახორციელებელია, რადგან მოსავლიანობის გადიდება დამოკიდებულია მინერალური და ორგანული სასუქების წარმოებაზე, რომლის წარმოება მკვეთრად არის შემცირებული, ხოლო პირუტყვის პროდუქტიულობის ზრდა დამოკიდებულია საკვების ყუათიანობაზე. ინტენსიფიკაციად შეიძლება ჩაითვალოს ელიტური სათესლე მასალის (მემცენარეობაში) და სანაშენე ცხოველების გამოყენება (მეცხოველეობაში). ეს ღონისძიებები კი მოითხოვს ფუნდამენტური კვლევების ჩატარებას, რაც სერიოზულ საბიუჯეტო დაფინანსებას მოითხოვს და ცალკეული მეურნეობის ან რაიონული ძალებით შეუძლებელია.

კვლავწარმოება სოფლის მეურნეობაში ექვემდებარება საერთო ეკონომიკურ კანონს, მაგრამ ამავე დროს ახასიათებს რიგი თავისებურებანი, რაც წარმოების სპეციფიკით არის განპირობებული.

*პირველი* და ძირითადი თავისებურება, რაც მულაენდება მაკროდონზე - არის დიფერენციული რენტის არსებობა.

*რენტა* - (გერ. Rente, ფრანგ. rente) შემოსავლის სახეობა, რასაც რეგულარულად იღებენ კაპიტალიდან, მიწიდან, ქონებიდან, რომელიც არ არის დაკავშირებული სამეწარმეო საქმიანობასთან. მიწათმფლობელები იღებენ მიწის რენტას, აბსოლუტური რენტის, დიფერენციული რენტისა და მონოპოლიური რენტის ფორმით. ცნობილია დიფერენციული რენტის ორი სახე - დიფერენციული რენტა I და რენტა II.

*დიფერენციული რენტა* - ჭარბი (დამატებითი) მოგებაა, მიღებული მაშინ, როდესაც წარმოების ინდივიდუალური ფა-



სი საზოგადოებრივზე დაბალია და ფორმირდება საშუალო საზოგადოებრივი წარმოების პირობების საფუძველზე.

ანსხვავებენ დიფერენციალური რენტის ორ სახეს.

*დიფერენციული რენტა I* - დამატებითი მოგება, რომელიც წარმოიქმნება მიწის ნაკვეთის დიფერენციაციის შედეგად ნაკოფიერებისა ან ადგილმდებარეობის უკეთესი ან უარესი ნაკვეთის მიხედვით (მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ზუგდიდისა და შირაქის ველის ნიადაგები). ეს არის ნიადაგის ადგილმდებარეობა + ადამიანის შრომა. მიღებულია, რომ დიფერენციული რენტა I ახასიათებს მხოლოდ სოფლის მეურნეობას მაშინ, როდესაც შეიძლება მრეწველობიდანაც მოვიყვანოთ მაგალითი: ნედლეულის გადამამუშავებელი ქარხნები, რომლებიც ახლოს არიან საბადოსთან, სარგებლობენ ასევე მოგების დანამატით მათი ადგილმდებარეობის გამო.

*დიფერენციული რენტა II* - დამატებითი მოგება, წარმოქმნილი ახალი კაპიტალდაბანდების ხარჯზე. რენტის ეს სახეობა დამახასიათებელია სახალხო მეურნეობის ნებისმიერი საწარმოსათვის. ეს წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც დაბანდებული კაპიტალის რენტაბელობა აღებულები დარგის ან რეგიონის მოგების ნორმაზე მაღალია.

სოფლის მეურნეობაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს *აბსოლუტურ და მონოპოლიურ* რენტას ეს არის დამატებითი მოგება, რომელიც წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც სასოფლო-სამეურნეო წარმოება განსაკუთრებულ კლიმატურ პირობებში იმყოფება, მაგალითად, მეციტრუსეობა და მენაიეობა სუბტროპიკულ რაიონებში ან მევენახეობა კახეთში. შინაარსის მიხედვით მონოპოლიური რენტა არის დიფერენცია რენტა I-ის სახესხეობა. განსხვავება იმაშია, რომ წარმოების პროდუქციაზე ფასის ზედა ზღვარი, რომელიც ფუნქციონირებს განსაკუთრებულ პირობებში, ისაზღვრება მომხმარებელთა მოთხოვნის დონით და პოტენციურ მიედველთა შესაძლებლობით - კონკურენციის მექანიზმი აქ არ მოქმედებს.

სასოფლო-სამეურნეო კვლავწარმოების *მეორე თავისებურება* არის მისი წარმოების პროცესის სეზონური ხასიათი

(განსაკუთრებით მემკვინარეობაში). რამდენადაც საწარმოს ტექნოლოგიურ პროცესს და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციას რამდენიმე თვე სჭირდება, საბრუნავი საშუალებების ნორმატიული უზრუნველყოფა საკუთარი წყაროებით არა თუ შეუძლებელი, არამედ ეკონომიკურადაც გაუმართლებელია. ზედმეტი საბრუნავი საშუალებები, მიღებული სეზონათშორის პერიოდში, კლავს კაპიტალს და ქმნის დროებით თავისუფალი საშუალებების არამიზნობრივი ან არაეფექტური გამოყენების შესაძლებლობას. შესაბამისად მკვეთრად იზრდება საბანკო კრედიტების როლი, ვინაიდან, ამ ბოლო წლებში საბანკო პროცენტის განაკვეთის სიდიდე კრედიტებზე პრაქტიკულად გამორიცხავს ასე თუ ისე ხანგრძლივი პერიოდით მისი გამოყენების შესაძლებლობას, ამიტომ, იზრდება სახელმწიფოს როლი სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის საბანკო განაკვეთების დირექტიულ რეგულირებაში.

მეორე მხრივ სახელმწიფოს, რომელმაც იკისრა საბრუნავი კაპიტალის ფინანსური პრობლემების რეგულირება, უფლება აქვს იმედი იქონიოს ფასების რეგულირებაზეც და სასაქონლო-ფულადი ნაკადების განაწილების უფლებაზეც.

რაც შეეხება *სამუშაო ძალის* კელაეწარმოებას ამ შემთხვევაში, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სეზონური ხასიათი, როგორც მინიმუმი, ორ თავისებურებას განაპირობებს.

*ჯერ ერთი* - მთელი სამრეწველო ციკლის განმავლობაში მუშაკის გამომუშავებული ხელფასი არ შეესაბამება დახარჯული შრომის რაოდენობასა და ხარისხს, რადგანაც ციკლის დამთავრებამდე წარმოების პროცესის შუალედებში გადახდილი ხელფასი ავანსის ხასიათისაა. ამ მოვლენის ნეგატიური არსი იმაში მდგომარეობს, რომ მუშაკი, რომელიც ეერ იღებს თავისი შრომის რეალურ ანაზღაურებას, კარგავს სამუშაოს ხარისხობრივი და რაოდენობრივი მხარის გაზრდის სტიმულს.

*მეორე* განსაკუთრებული სიმწვავეით დგება ორ სეზონს შორის დასაქმებულობის საკითხი. რევოლუციამდე საქართველოს პრაქტიკაში ცნობილი იყო ხელოსნების, ხუროებისა და დურგლების დროებით სამუშაოზე - ძირითადად სამრეწველო

ობიექტებზე დასაქმება, რუსეთის პირობებში კი ხე-ტყის დამზადებაზე მუშაობა. ახლა, როცა ქვეყანაში მასობრივი უმუშევრობის საშიშროებაა, ეს საშუალება გამორიცხებულია. ამიტომ, პრობლემის გადასაჭრელად საჭიროა ახალი გზების გამონახვა. ერთ-ერთი გზა ამ პრობლემის გადაჭრისა არის აგროსამრეწველო კომპლექსები, რომლებიც გააერთიანებენ მემცენარეებს, მესაქონლეებს და გადაამამუშავებელ მრეწველებს. ეს გზა ახალი არ არის, მაგრამ დღეისათვის მეტად დროული და პერსპექტიულია. ამასთან პასუხობს აგრარული რეფორმის პრიორიტეტულ მიმართულებებს. აქ ყურადღება უნდა მიექცეს კადრების გადამზადებას, რადგან მთელი რიგი ტექნოლოგიური პროცესი კვალიფიციურ კადრებს მოითხოვს. განსაკუთრებით ეს ეხება მექანიზაციასა და კომპლექსურ ავტომატიზაციას.

სამუშაო ძალის კვლავწარმოების კიდევ ერთი თავისებურებაა სოციალ-საყოფაცხოვრებო სფეროს სათანადო დონეზე შენარჩუნება. საიდუმლო არ არის, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების პირობები არსებითად განსხვავდება სამრეწველო წარმოებისა და ქალაქად ცხოვრების პირობებისაგან. ეს ყველაფერი განაპირობებს სოფლის მეურნეობის დამატებითი სტიმულირების საჭიროებას და სოციალურ სფეროზე ფინანსურ დაბანდებათა გაზრდას.

გარკვეული თავისებურებები ქონების შეფასების დარგში ახასიათებს სოფლის მეურნეობის საბუღალტრო აღრიცხვასაც, რისი შედეგიც არის ის, რომ ნაწილი პროდუქტისა არ გადაჰყავთ ფულად გამოხატულებაში, აღრიცხულია ნატურალური სახით (კერძოდ, სათესლე მასალა) და მიუხედავად ამისა, საგადასახადო საბუღალტრო აღრიცხვის ან რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღების დროს აუკვილებელია ასეთი მარაგის ფულადი შეფასება.

ახლა აღარ შეიძლება სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და მისი ეკონომიკის ეკოლოგიისაგან მოწყვეტით (იზოლირებულად) განხილვა, რადგან სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითადი საშუალებები და წარმოების საგნები ეკოსისტემის შემადგენელი ნაწილებია (ბუნებრივი რესურსები ნიადაგი, წყალი, ჰაერი და ა.შ.), რამდენადაც ბუნებრივი რესურსების

გამოყენების ეკონომიკა სოფლის მეურნეობის ეკონომიკასთან 'უშუალო ურთიერთკავშირშია.

ამრიგად, სოფლის მეურნეობის წარმოების ეკონომიკა, მთელი რიგი თავისებურებებით, არსებითად განსხვავდება მრეწველობის დარგისაგან. ეს განსხვავება აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს აგრარული სექტორის აღწარმოების პროცესში და კაპიტალის გამოყენების ფორმებისა და მიმართულებების შერჩევის დროს. აღნიშნული თავისებურებები ეერ ამოწურავს იმ განსხვავებულობას, რომლებიც ახასიათებს სასოფლო-სამეურნეო წარმოებას და გამოარჩევს მას მრეწველობისა და ვაჭრობის დარგებისაგან.

#### 14. აგროეკოლოგიის ეკონომიკის ცნება, მიზანი, ამოცანები

ისტორიულად ცნობილია, რომ ადამიანის მოთხოვნილება საკვებ პროდუქტებზე თანდათანობით მზარდი და მრავალმხრივი ხდება. მას ვეღარ აკმაყოფილებს ბუნებრივი ეკოსისტემის პროდუქტიულობა (ბუნებრივი ფაქტორების ლიმიტირებულობის გამო). ასეთმა ვითარებამ კაცობრიობა მიიყვანა ხელოვნური ბიოცენოზების და აგროცენოზების წარმოქმნამდე (მარცვლოვანი კულტურები, ბოსტნეული, ბად-ვენახები და ა.შ.). აგრობიოცენოზი ადამიანის მიერ ხელოვნურად შექმნილი და რეგულარული ხელისშეწყობით მართვადი ეკოსისტემაა. აგროეკოსისტემების პროდუქტიულობა უზრუნველყოფილია ინტენსიური ტექნოლოგიებით, მაღალმოსავლიანი მცენარეული ჯიშებით, სასუქების გამოყენებით, მედიორაციითა და სხვა. ამ გზით ადამიანმა შეძლო ლიმიტირებული ფაქტორებიდან თავის დაღწევა. კაცობრიობა დღესაც ჩეხავს და წეავს ტყეებს, ბუდდოზერებით ანადგურებს ეკოსისტემას, რათა, რაც შეიძლება, მეტად დაიკავოს მისი ადგილი. ამასთან, რაც მთავარია, არ ითვალისწინებს, რომ ნებისმიერი ბიოტური და აბიოტური ფაქტორის შეცვლა იწვევს ჯატვურ რეაქციას ადამიანსა და ამ ფაქტორთა შორის.

ორგანული სამეაროს ისტორიული განვითარების პროცესში ეკოსისტემები სწრაფად იზრდება, ხოლო ლიმიტირებულ ფაქტორთა სისტემა უცვლელი რჩება, აქედან გამომდინარე, ირდევია მათ შორის ბუნებრივი ბალანსი (წყალდიდობები, მეწყერები და სხვ.).

ტექნიკის მეშვეობით ადამიანმა შესძლო სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია. ამავე ტექნიკით ექსპლუატაცია გაუწია ბუნებრივ რესურსებს და მიიყვანა ის თითქმის სრულ გამოფიტვამდე. მეცნიერული გამოკვლევებით დადგენილია, რომ ეროზიის შედეგად სასოფლო-სამეურნეო სავარგულები ყოველწლიურად ნოყიერი ნიადაგის ფენის 1,5 მილიონ ტონას კარგავს. მსოფლიოში ეროზირებული ფართობების ყოველწლიური ნამატი 0,4-1,5 მილიონ ჰექტარს შეადგენს. ბოლო ათწლეულში მსოფლიოს მიწის ფონდიდან სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს გამოეთიშა დამუშავებული ფართობების 23%. ეროზია განსაკუთრებით საშიშია მთიანი რეგიონებისათვის, კერძოდ, ჩეჩნი ქვეყნისათვის. ეროზიის გამო გააიშველებული მთის ქანები ადვილად წარმოქმნიან სელურ ნაკადებს, ნიაღერებს, მეწყერულ მოვლენებს. ყოველივე ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ტყის ჭრა და საქონლის უხისტემოდ ძოვებაა.

არსებული ინფორმაციის მიხედვით, ეროზიას განიცდის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 33%. ყოველწლიურად აღმოსავლეთ საქართველოში ერთ ჰექტარ სავარგულიდან ირეცხება 100-300 ტონა ნიადაგი, დასავლეთ საქართველოში 150-200 ტონა, რის გამო დაბალინტენსიურ სავარგულებად იქცა 25 ათასი ჰექტარი, 200 ათასი კი მთლიანად გამოვიდა მწყობრიდან. ენერგოკრიზისისა და უკონტროლობის გამო განეხილმა ტყეებმა უფრო მეტად გააძლიერეს ქარისმიერი ეროზია. ნიადაგები დაბინძურებულია მძიმე ტოქსიკური ლითონებით.

როგორც ცნობილია, ნიადაგი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითადი საშუალებაა. სწორედ ნიადაგის ნაყოფიერებაზეა დამოკიდებული მისი მწარმოებლურობა. ეს კი ნიადაგის განსაკუთრებული თვისებაა და ის ამით განსხვავდება წარმოების სხვა საშუალებებისაგან. მაგრამ ნიადაგს აქვს

ისეთი თვისებაც, რაც მას განასხვავებს გარემოს სხვა სისტემებისაგან (წყლისაგან, ჰაერისაგან). განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ის შედარებით უძრავია. ანტროპოგენური დატვირთვის შედეგად დაბინძურება მასში დიდხანს გრძელდება. ნიადაგში მოხვედრილი დამაბინძურებელი ელემენტები განიცდის მიგრაციას და ადვილად გადადის მცენარეში, შემდეგ კი - ადამიანის ორგანიზმში.

სვენი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და გენოფონდის შენარჩუნების ძირითადი ფაქტორი საკვები პროდუქტების და სასურსათო ნედლეულის ეკოლოგიური სისუფთავეა. ადამიანის ორგანიზმში დამაბინძურებელი ელემენტების 70%-ზე მეტი საკვებიდან ხვდება. მოსავლიანობის გაზრდის მიზნით, ნიადაგში ჭარბი რაოდენობით სასუქების შეტანა საკმაოდ უარყოფით შედეგებს იწვევს. ნიადაგი ბინძურდება მძიმე მეტალებით, ნიტრატებით, შხამ-ქიმიკატებით და ა.შ. ამასთანავე უარესდება პროდუქციის ხარისხიც, რაც აზიანებს ადამიანის ჯანმრთელობას.

განსაკუთრებით მაღალია ტოქსიკური ელემენტების შემცველობა სააეტომობილო გზების გასწვრივ 10 კილომეტრის ფარგლებში, დაბალი ხარისხის საწვავის გამოყენების გამო.

1994 წლის 12 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი "ნიადაგის დაცვის შესახებ". ამ კანონის მიზანია: უზრუნველყოს ნიადაგის საფარის მთლიანობა, მწარმოებლურობის ზრდა და შენარჩუნება, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებით ისეთი მცირემიწიანი ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა.

დროთა განმავლობაში ბუნებრივი გარემო განიცდის ეკონომიზაციას, ხოლო ეკონომიკა კი თავის მხრივ - ეკოლოგიზაციას (ეკონომიკისა და ეკოლოგიის ინტეგრირების მიჯნაზე წარმოიშვა სწორედ მეცნიერება - ეკონოლოგია, რომელსაც გააჩნია თავისი კვლევის საგანი, მეთოდი, კატეგორიები და პრინციპები. ამ ორი დარგის გაერთიანება იძლევა "ბუნებათსარგებლობის ეკონომიკის" შესწავლის საშუალებას).

ბუნებათსარგებლობის ეკონომიკის ამოცანაა გადაწყვიტოს:

სახალხო მეურნეობისადმი ბუნებათსარგებლობის არა-  
რაციონალური შედეგებით მიყენებული ეკონომიკური ზარა-  
ლისა და მისი შედეგების ლიკვიდაციისათვის აუცილებელი  
დანახარჯების განსახდერა.

- ბუნებათდაცვით ღონისძიებათა შედეგების შეფასება და  
ყველაზე ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა ბუნებათდაცვითი  
მოქმედების და ბუნებრივი რესურსების გამოყენებისას.

- გარემო ბუნების დაცვის სტიმულირებისათვის ბუნებათ-  
დაცვითი მოღვაწეობის ეფექტიური ეკონომიკური მეთოდების  
დამუშავება.

არ უნდა დაგვაიწიყდეს, რომ ცივილიზაციის განვითარება  
გარდაუკვლად დაკავშირებულია გარემო ბუნებაზე ზემოქმედე-  
ბასთან.

ტერმინებს ეკოლოგიასა და ეკონომიკას აქვთ ერთი და  
იგივე ფუძე "იოკოს", რაც ეტიმოლოგიური თვალსაზრისით  
ბერძნული წარმოშობისაა და ნიშნავს სახლს, საცხოვრე-  
ბელს. თუ ეკოლოგები სწავლობენ ეკოსისტემის საარსებო  
კანონებს, გარემოსთან მათ დამოკიდებულებას, ურთიერთმო-  
ქმედებას ან კავშირებს, სამაგიეროდ ეკონომისტები სწავლო-  
ბენ მათ საბინადრო პირობებს, საქმიანობას, ბუნების გამო-  
ყენების კანონზომიერებებს და ა.შ.

განსხვავება ეკოლოგებისა და ეკონომისტების მსოფმხე-  
დველობას შორის ელინდება პროდუქციის თვითღირებულე-  
ბის შეფასებაში.

ეკონომისტების თვალთახედვით თვითღირებულება ეს  
არის ხარჯები ან ფულადი დანახარჯები გაწეული ამა თუ  
იმ პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაზე. აქ შედის:  
ხარჯები მშენებლობასა და საწარმოო შენობების ექსპლუა-  
ტაციაზე, ნედლეულზე, საწარმოო საშუალებებსა და საწვავ-  
ზე, მუშის ხელფასი, პროდუქციის რეალიზაციაზე დანახარ-  
ჯები და ა.შ.

საწარმოს შემოსავალი ეს არის ფული, რომელიც დარ-  
ჩება, თუ გაყიდული პროდუქციის ფასს გამოვაკლებთ თვით-  
ღირებულებას. იმ შემთხვევაში, თუ მიღებულია სუფთა შემო-  
სავალი, წარმოება ითვლება რენტაბელურად (შემოსავლია-  
ნად), თუ არ არის, მაშინ წარმოება წამგებიანია და განწირუ-

ღია გასაკოტრებლად. ეკოლოგები ცოტა სხვაგვარად უდგებიან ამ საკითხს, ე.ი. წარმოების რენტაბელობას. პროდუქტის თვითღირებულებაში შედის გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ხარჯებისა, ასევე ზარალიც, რომელიც წარმოიშობა პროდუქტის წარმოებისას გარემოსთან დაკავშირებით.

ბუნებრივი ლანდშაფტის შეცვლის გამო, ადამიანისადმი მიყენებული ზიანი არის ესთეტიკური ზარალი, თუ საწარმო მდინარეში ღერის წარმოების ნარჩენს, რომლებიც თევზებს წამლავს, ეს საწარმო არღვევს მთლიანობაში ეკოსისტემის მდგრადობას, ეს ზარალიც ასევე საჭიროა შეფასდეს პროდუქციის თვითღირებულების ფულად ერთეულში. პაყრის დაბინძურების გამო ზიანდება ნიადაგი, მცენარეულობა ავადდება და იღუპება ადამიანი. ესეც ზარალია და ესეც უნდა დაფიქსირდეს პროდუქციის თვითღირებულებაში.

1992 წელს რიო-დე-ჟანეიროში ჩატარდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონფერენცია გარემოს განვითარების შესახებ, სადაც მონაწილეობა მიიღო 179 სახელმწიფომ (აქ უმთავრესად ესწრებოდნენ მთავრობის მეთაურები და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები). კონფერენციამ უჩვენა, რომ არ შეიძლება გარემო განიხილებოდეს სოციალურ ეკონომიკური განვითარებისაგან იზოლირებულად, ცალ-ცალკე; რომ ადამიანებს აქეთ უფლება იცხოვრონ ჯანმრთელი სიცოცხლით ბუნებასთან პარმონიულობაში. დღევანდელი განვითარება არ უნდა გამომდინარეობდეს გარემოს ზიანის ხარჯზე. კონფერენციამ მიიღო მთელი რიგი გადაწყვეტილებები გარემოს დაცვის შესახებ.

*აგროეკოლოგია ანუ სასოფლო-სამეურნეო ეკოლოგია*

ეს არის ეკოლოგიის განყოფილება, რომელიც სწავლობს გარემოს ფაქტორების ზეგავლენას კულტურულ მცენარეებზე. აგრეთვე ორგანიზმთა თანასაზოგადოების სტრუქტურაზე და დინამიკაზე, რომლებიც დასახლებულია სასოფლო-სამეურნეო მიწებზე, აგრობიოცენოზის ზეგავლენას კულტივირებულ მცენარეთა ცხოველმყოფელობაზე. აგროეკოლოგიის საფუძვლები დაამუშავდა ჩვენი საუკუნის 50-60 წლებში აცვისა და ტიშლერის მიერ.



აგრობიოცენოზი (აგროეკოსისტემა) ეს არის ხელოვნურად შექმნილი და რეგულარულად ადამიანის მიერ ხელშეწყობილი კულტურული მინდერების ეკოსისტემა. როგორც ბუნებრივი ეკოსისტემა, აგრობიოცენოზი წარმოადგენს ბიოსფეროს ელემენტების ერთეულს (მინდერები, ხელოვნური საძოვრები, ბოსტნები, ბაღები, ვენახი, სათიბები, ტყის ნარგაობა, ბაღ-პარკები). აგრობიოცენოზის საფუძველს წარმოადგენს ხელოვნური ფიტოცენოზი სასოფლო-სამეურნეო კულტურები. ჩვეულებრივ აგრობიოცენოზი შეესებულება ცხოველთა თანაარსებობით (მწერები, ჩიტები, ძუძუმწოვრები და ა.შ.). აგროეკოსისტემის პროდექტიულობა უზრუნველყოფილია ინტენსიური ტექნოლოგიით, მაღალმოსავლიანი მცენარეების შერჩევით, სასუქების შეტანით, მეღვინეობით (მორწყვით, დაშრობით) და ა.შ.

აგროსისტემა ავტოტროფია მისი ძირითადი ენერჯის წყარო მზეა. დამატებითი ენერჯია, რომელსაც ადამიანი იყენებს მიწის დამუშავებისას (ტრაქტორის გამოყენება, სასუქის, პესტიციდების შეტანა და ა.შ.) არ აღემატება მზის ენერჯის 1 %-ს, რასაც ითვისებს აგროეკოსისტემა.

აგროეკოსისტემის პროდექტებია ისეთი კულტურული მცენარეები, როგორიც არის სათიბ-საძოვრები, ტყე, ბაღი და ა.შ.

აგრობიოცენოზსა (ხელოვნური ეკოსისტემა) და ბიოგეოცენოზს (ბუნებრივი ეკოსისტემა) შორის არსებითი განსხვავებაა.

*საკვები ელემენტების ბალანსი:* 1) ბიოგეოცენოზში მცენარის მიერ შეთვისებული ელემენტები საბოლოოდ უბრუნდება ნიადაგს. 2) აგრობიოცენოზში შემავალი უმეტესი ნაწილი ელემენტებისა არის ადამიანის საკვებში, რომელსაც ის იღებს მოსავლიდან (ხორბალი, კარტოფილი და ა.შ.); რომ აღადგინოს დანაკარგი, აუცილებელია გამედიმებით შეტანილი იქნეს ნიადაგში სასუქი.

- *ენერჯიის გამოყენება:* 1) ბიოგეოცენოზისათვის ენერჯიის ერთადერთი წყარო არის მზე. 2) აგრობიოცენოზის მზის ენერჯიის გარდა ადამიანისაგან იღებს დამატებით ენერჯიას, მაგ. მინერალური და ორგანული სასუქის შეტანით,

ან ნიადაგის დაშრობის ან მორწყვაზე დახარჯული ენერჯის სახით.

*შერჩევითობის ფორმის მიმართულება:* 1) ბიოგეოცენოზში მოქმედებს ერთადერთი შერჩევა, რათა შეიქმნას ურთიერთშეგუებული კონკურენტუნარიანი სახეობები, რომლებიც გაუძლებენ გარემო ფაქტორების უარყოფით ზეგავლენას. 2) აგრობიოცენოზში წამყვანია ხელოვნური შერჩევა, რომელსაც ადამიანი წარმართავს მაქსიმალური პროდუქტიულობის მიღების მიზნით.

*სისტემის მდგრადობა:* 1) ბიოგეოცენოზი ბუნებრივ მდგომარეობაში საკმარისად მდგრადია, ზღვარს გადაცილებულ ანტროპოგენურ დატვირთვას შეუძლია ბიოგეოცენოზის ეკოლოგიური წონასწორობიდან გამოყვანა. 2) აგრობიოცენოზი ხასიათდება ნაკლები მდგრადობით, მისი შენარჩუნება და გაფურჩქვნა მთლიანად დამოკიდებულია ადამიანის მოქმედებაზე. თუ ეს საკმარისობა შეწყდება, ხელოვნური მცენარეული თანასაზოგადოება იცვლება ბუნებრივი მცენარეულობით. მაგ. მიგდებული სახნავი (მოედება ხოლმე ბუჩქნარი და ბალახეული). ტყის პირობებში ჯერ მოედება ბუჩქნარი, რომელიც თანდათან გადაიზრდება ნამდვილ ტყედ.

უკანასკნელ წლებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ბუნებრივი გარემოს დაცვას გატუჭყიანებისაგან. მრეწველობისა და ტრანსპორტის ზრდამ უამრავი მაკენე ნაერთის დაგროვება გამოიწვია ბიოსფეროში ჰაერში, წყალსა და ნიადაგში. ნიადაგის გატუჭყიანებამ ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს ადამიანის ჯანმრთელობისათვის. ამიტომ მისი დაცვა და გატუჭყიანების თავიდან აცილება ნიშნავს სიცოცხლის შენარჩუნებას დედამიწაზე.

ნიადაგის გატუჭყიანების შედეგად საზოგადოება იღებს დიდ ზარალს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი ზუსტი აღრიცხვა და სამეურნეო ანგარიშიანობის სისტემაში გამოიყენება დღეისათვის პრაქტიკაში არ გეხედება, მაშინ, როდესაც სამეურნეო ანგარიშიანობის სისტემაში ზარალის აღმნიშვნელის გათვალისწინება აუცილებელია გარემო ბუნების ეფექტური დაცვისათვის.

ნიადაგდაცვით ღონისძიებებსა და საშუალებებს განეკუთვნება ნიადაგის *პასპორტიზაცია* შესაბამისი პერიოდულობის დაცვით და ნიადაგის ნაყოფიერების გასაუმჯობესებლად, უსაფრთხო ტექნოლოგიების შემუშავება დანერგვა, ნიადაგის გამოფიტვის მიზნების, აგრეთვე მისი სამელიორაციო, მიკრობიოლოგიური, აგროქიმიური და გეობოტანიკური კვლევა, *ბონიტირება* და *კადასტრის* პერიოდულად შედგენა, ეროზიისაგან ნიადაგის დაცვის ორგანიზაციულ-სამეურნეო, აგროტექნიკური, სატყეო-სამელიორაციო, პიდროტექნიკური, ნიადაგდამცავი ღონისძიებების კომპლექსური შერჩევა. დამლაშების, დაჭაობების, ნიადაგის გამჟავების თავიდან აცილების მიზნით აგროტექნიკური ღონისძიებების სწორი შერჩევა. ნიადაგის რესურსების დაცვას ისეთი სტიქიური მოვლენებისაგან, როგორცაა: წყალდიდობა, ღვარცოფი, ზეავი, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლა სახელმწიფოს პროგრამის ფარგლებში ტარდება; სათიბ-საძოვრების ნიადაგის დაცვის, მათი მწარმოებლურობის გაუმჯობესებების და ეკოსისტემის კულტურულ-ტექნიკური ღონისძიებების განხორციელება. *რეკულტივაცია* იმ ნიადაგებისა, რომლებიც დაზიანდნენ წიაღისეულის ღია კარიერული წესით მოპოვების შედეგად. ნიადაგურ კლიმატური პირობების შესაბამისად აგრობიოცენოზების განლაგების სწორი სტრუქტურა. ნიადაგის დამუშავების აგროტექნოლოგიებისა და ეკოლოგიურად სრულყოფილი სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების, რწყვის, ნიადაგის მელიორაციის ეფექტიანი მეთოდებისა და წესების გამოყენება, ნიადაგში მასაზრდოვებული ელემენტებისა და პუმუსის ბალანსის რეგულირებისათვის თესლბრუნვის დანერგვა, ორგანული და მინერალური სასუქების გამოყენება:

მიწის კანონმდებლობა აწესებს საეკოლოგიურ ღონისძიებებს ნიადაგის ეროზიის წინააღმდეგ. ღონისძიებათა კომპლექსი მოიცავს, როგორც ორგანიზაციულ-სამეურნეო, ისე აგროტექნიკურ, სატყეო-სამელიორაციო და პიდროტექნიკურ ღონისძიებებს, სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების გასაზრდელად. კანონმდებლობა ითვალისწინებს მიწათმფლობელთა მოვალეობას სამელიორაციო მიწების ექსპლუა-

ტაციის ხაზით, კერძოდ, აუცილებელია სისტემატური ზედამხედველობა ასეთი მიწების მდგომარეობაზე. რათა არ იქნეს ისინი დატბორილი, ან ზედმეტად დამლაშებული და ეროზირებული. მკაცრად უნდა იქნეს დაცული ამ მიწებში სასუქის შეტანის ნორმირება, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მონაცვლეობა, მიწის მიზნობრივი გამოყენება.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებას დიდ ზიანს აყენებს სარეველა მცენარეები, ამიტომ მიწის დაცვის ერთ-ერთ სავალდებულო მოთხოვნად მიჩნეულია სარეველებთან ბრძოლა მინდვრებში, ველებსა და საძოვრებზე.

უკანასკნელ პერიოდში, განსაკუთრებით შეიმჩნევა ჩვენი მიწების დანაგვიანება რადიონუკლიდებით, ტოქსიკური ნივთიერებებით და წარმოების სხვა ნარჩენებით. ამის ძირითადი მიზეზი მეზობელი სახელმწიფოს გაუმართავე სამეურნეო საქმიანობაა. განსაკუთრებით რუსეთის ფედერაციაში ატომური ელექტროსადგურებისა და ტოქსიკურ ნივთიერებათა საცავების ტექნიკური გაუმართაობა, რაც ატმოსფერული ნალექებისა და ჩამდინარე წყლების მეშვეობით აჭუჭყიანებს ჩვენი ქვეყნის ნიადაგს. ასეთი მდგომარეობის სალიკვიდაციოდ საჭიროა შესაბამისი როგორც ტექნიკური, ისე პოლიტიკური ღონისძიებების გატარება, რამდენიმე წლის წინათ საქართველოში ამ მხრივ საშიშროებას ქმნიდა ჭიათურის მანგანუმის საწარმოსა და ზესტაფონის ლითოფონის საწარმოთა საქმიანობა.

*აგროეკოლოგიის ფუნქცია სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში.* სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროცესში აგროეკოლოგიის ფუნქცია შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ:

- სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევების საფუძველზე სოფლის მეურნეობის ყველა დარგში მაღალმეცნიერულ დონეზე ნებისმიერი აგრო-ზოოტექნიკური ღონისძიებების ჩატარება და როგორც ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის, ასევე მეცხოველეობის მაღალხარისხოვანი პროდუქტების მიღება;

სოფლის მეურნეობაში ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევის მიზეზების გამოვლენა;

აგრობიოცენოზზე ადამიანთა შრომითი საქმიანობის ზეგავლენის ხარისხის დადგენა;

- აგრობიოცენოზზე ეკოლოგიური დატვირთვის შენელება;

- ეკოლოგიურად სუფთა, საკვები პროდუქტების და სასურსათო ნედლეულის წარმოება;

- სოფლის მეურნეობის წარმოების რეალური რენტაბელობის გამოვლენა, ეკოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით.

## 1.5. სახალხო მეურნეობის კომპლექსში სოფლის მეურნეობის წარმოების მნიშვნელობა

ქვეყნის სახალხო მეურნეობის კომპლექსი წარმოადგენს მთლიან ღია სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას, რომელიც შედგება ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებული ორგანიზაცია-დაწესებულებების წარმომქმნელი ელემენტებისაგან, რომელთაგან ყოველი მათგანის ურთიერთგანმაპირობებელი ფუნქციონირება უზრუნველყოფს როგორც დანარჩენი ელემენტების განვითარებას, ასევე სისტემისა მთლიანად. ასეთი სისტემის გახსნილობა, უპირველეს ყოვლისა, იმით ვლინდება, რომ მის ფუნქციონირებაზე არსებით გავლენას ახდენს არა მხოლოდ მისი შინაგანი (მიკრო), არამედ გარეგანი (მაკრო) გარემო. მაგრამ ეკონომიკური განვითარების ყოველ ეტაპზე გარემოს გავლენის ძალა და ხარისხი შეიძლება განსხვავებული იყოს. ამიტომ, მთლიანად სახალხო მეურნეობის კომპლექსის ფუნქციონირება, უწინარეს ყოვლისა, იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად გამართულია მისი თვითრეგულირებადი მექანიზმები და მათი მართვის წესი.

ყოველივე აღნიშნული ასევე ეხება ყოველ დარგს, ქვედარგს, სამეურნეო სუბიექტს, რომლებიც შედიან სახალხო მეურნეობის კომპლექსში და აქვთ თავისი კავშირი, ურთიერთკავშირი, ურთიერთდამოკიდებულება და ა.შ. რაც თავისთავად მრავალგზის ზრდის მის განვითარებაზე შინაგანი და

გარეგანი გარემოს ზეგავლენას, აძლიერებს გაურკვეველობას და კიდევ უფრო მეტად ართულებს მის მართვას.

საბაზრო ეკონომიკის დამახასიათებელი ნიშანდობლივი მხარე მდგომარეობს იმაში, რომ გარეგანი გარემოს გავლენის ხარისხი თავისი ზემოქმედებით აღემატება შინაგანი გარემოს გავლენას, ვინაიდან მასზე უფრო მეტად განუსაზღვრელია, განსაკუთრებით საქართველოს თანამედროვე პირობებში.

მსოფლიოს საერთო სამეურნეო კავშირების სისტემაში ოდესღაც დახშული ეკონომიკის ჩართვა, მათი გაფართოება და გაღრმავება, გარემოს ფაქტორთა მნიშვნელობა და გავლენა აუცილებლად გაიზრდება და მაშასადამე, კიდევ უფრო მოიმატებს გაურკვეველობა და სხვადასხვა რისკი.

ასეთ პირობებში სახალხო მეურნეობის კომპლექსის ყველა ელემენტის ნორმალური ფუნქციონირებისა და ურთიერთმოქმედების უზრუნველყოფა მოითხოვს მისი მთლიანობის დაცვასა და თვისობრივად სრულიად ახლებურ მიდგომას წარმოება-დაწესებულებების სტრუქტურული ელემენტების ადგილის და როლის განსაზღვრაში.

სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ყველა ელემენტის ობიექტური ურთიერთკავშირისა და ურთიერთდამოკიდებულების იგნორირებამ და შეუფასებლობამ შეიძლება მიგვიყვანოს მისი განვითარების ბალანსირების აღწარმოების ციკლის დარღვევამდე, დეფორმაციულ და სტრუქტურულ ძვრებამდე. ყოველი სტრუქტურის წარმომქმნელი ელემენტის ადგილი სახალხო-სამეურნეო კომპლექსში განისაზღვრება მისი ფუნქციონალური დატვირთვით, რომელსაც თითოეული მათგანი ატარებს საზოგადოებრივი აღწარმოებისა და საზოგადოებრივი პრობის დანაწილებაში.

ჩვენ შევისწავლით საქართველოს სახალხო მეურნეობის ეკონომიკის ერთ-ერთი შემადგენელი კონკრეტული დარგის სოფლის მეურნეობის ეკონომიკას, ანუ საქართველოს აგრარულ ეკონომიკას, ეკოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით.

საქართველო ტრადიციულად აგრარულ ქვეყნად ითვლება. სხვადასხვა შეფასების მიხედვით, მისი მოსახლეობის

80% სოფლის მეურნეობაში იყო დაკავებული. დღეისათვის სოფლად დასაქმებულია რაოდენობა მთლიანი შრომისუნარიანი მოსახლეობის 15%-მდე დაეცა. აქ დიდი როლი ორმა ფაქტორმა შეასრულა: ჯერ ერთი, 30-იან წლებში, ქვეყნის პოლიტიკად ინდუსტრიალიზაციის გამოცხადებამ გამოიწვია შრომისუნარიანი მოსახლეობის სოფლიდან ქალაქში სამუშაოს საძებრად გადინება და მეორე, სოფლად სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე გაიზარდა შრომის მწარმოებლურობა.

სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, ვიწრო გაგებით, ეს არის კვების პროდუქტებისა და მრეწველობის ზოგიერთი დარგისთვის ნედლეულის წარმოება, ამ გაგებით, სოფლის მეურნეობრივ წარმოებაში განხორციელებული ტექნოლოგიური პროცესი შემოიფარგლება მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებითა და რეალიზაციით. ფართო გაგებით, ეს არის აგროსამრეწველო კომპლექსი (ასკ), რომელიც წარმოადგენს სახალხო მეურნეობის ისეთი დარგების ერთობლიობას, რომლებიც აწარმოებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, ახდენენ მის შენახვას, გადამუშავებას და მომხმარებელამდე მიტანას.

ასკ-ი მოიცავს ძირითადად ოთხ სფეროს:

I მრეწველობის დარგები, რომლებიც სოფლის მეურნეობას აწვდიან წარმოების საშუალებებს და უზრუნველყოფენ მას სამრეწველო-ტექნიკური მომსახურებით;

II საკუთრივ სოფლის მეურნეობა; სატყეო და თევზის მეურნეობა;

III დარგი, რომელიც უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მომხმარებელამდე მიტანას (დამზადება, გადამუშავება, შენახვა, ტრანსპორტირება, რეალიზაცია);

IV - სამრეწველო და სოციალური ინფრასტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს პირობებს პროდუქციის წარმოებისა და საერთოდ, ადამიანების არსებობისათვის ესაა საგზაო-სატრანსპორტო მეურნეობა, კაქშირგაბმულობა, მატერი-ალურ-ტექნიკური მომსახურება, შენახვის სისტემა, სასაწყობო და სატარო მეურნეობა, არამატერიალური წარმოების დარგები და ა.შ.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მეოთხე სფეროს შემადგენლობაში შედის ელემენტები, რომლებიც არ ეკუთვნიან სამრეწველო სფეროს, მაგრამ ეკონომიკური თვალსაზრისით, ზოგადად - სოციალური სტრუქტურა ისეთსავე აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენს, როგორც მრეწველობა, რადგანც ის განაპირობებს და უზრუნველყოფს სამუშაო ძალის კვლავწარმოებას.

ამრიგად, ვიხილავთ რა, სოფლის მეურნეობას სხვა მომიჯნავე დარგებთან კომპლექსში, არ შეიძლება არ შევამჩნიოთ, რომ გარდა იმ სტატისტიკური დაინტერესებისა, რომელსაც სახელმწიფო იწინს აგრარული სექტორის ნორმალური ფუნქციონირებისადმი, განსაზღვრულია სოფლის მეურნეობის განვითარების საბაზრო მიზანდასახულებაც, რამდენადაც ყოველი სამუშაო ადგილი სოფლის მეურნეობაში, განაპირობებს რამდენიმე სამუშაო ადგილს მომიჯნავე დარგებში. ნებისმიერი სტრუქტურული ძვრები აუცილებლად იწვევს შესაბამის ცვლილებებს მთელ რიგ დარგებში, დაწყებული მანქანათმშენებლობიდან, დამთავრებული საბაზრო ვაჭრობამდე.

საქართველოში ეკონომიკური რეფორმის შედეგად ჩამოყალიბდა მრავალდარგიანი ეკონომიკა, რის საფუძველზეც განხორციელდა მიწათსარგებლობის გარდაქმნა. სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი წარმოების მეტ ნაწილში დამკვიდრდა ახალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები. კერძო საკუთრებაში არსებულ საწარმოებზე მოდის შექმნილი პროდუქციის 80,9%-ზე მეტი. პრაქტიკულად ფუნქციონირებს 700 ათასზე მეტი ოჯახური (გლეხური) მეურნეობა.

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივი სტრუქტურის ანალიზი გვიჩვენებს, რომ 1990 წელს სოფლის მეურნეობის ხვედრით წილად მთლიან შიდა პროდუქტში მოდიოდა 29,8%. ამ მაჩვენებელმა 1991წ. 26,5% შეადგინა; 1992 წ. - 54,5%; 1993 წ. - 68,2%; 1994 წ. - 64,4%; 1995 წ. - 63,7%.

ამუამად, საქართველოს სოფლის მეურნეობის ძირითადი მწარმოებლები ოჯახური (გლეხური) მეურნეობებია. სწორედ მათ მიერ წარმოებულმა პროდუქციამ 1997 წელს 80,9% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ამ მაჩვენებელმა მემკვიდრე-



ობაში შეადგინა 82,9%; ხოლო მეცხოველეობის პროდუქციაში 77,8%. გლეხური მეურნეობის წილად მოდის მარცვლეულის წარმოების 89%; მსხესუმზირის 90%; კარტოფილის 96%; ბოსტნეულის 87%; ხილის 99%; ყურძნის 97%; ციტრუსების 96%.

სოფლის მეურნეობაში ასევე ფუნქციონირებს 110-დე სახაზინო საწარმო და 1700-დე სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მქონე საწარმო.

გაიზარდა პირადი დამხმარე მეურნეობის როლი. მნიშვნელოვნად გაფართოვდა სოფლის მეურნეობის საქონელმწარმოებლების უფლებამოსილება. ყოველი სახის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოს დამოუკიდებლად შეუძლია განსახდუროს საკუთარი ორგანიზაციული სტრუქტურა, წარმოების მოცულობა და მისი მიმართულება, განკარგოს მიღებული პროდუქცია.

ამავე დროს, მრეწველობის დაქვეითებასთან ერთად, კრიზისული მდგომარეობა კიდევ უფრო გაღრმავდა აგრარულ სექტორში. 1995 წელს მოლიანი პროდუქციის მოცულობა 1986-90 წწ. შედარებით 45%-ით შემცირდა, საკვები და გადამამუშავებელი წარმოებისა 60%-ით. ამასთან ერთად, ეცემა კომპლექსში შემავალი დარგების პოტენციალი, უარესდება მიწის მწარმოებლურობა, ქველდება ტექნიკა და მოწყობილობები, ადგილი აქვს ეკალიფიციური კადრების გაღივებას, არ ხდება მიწათმოქმედების სისტემის წესებისა და ტექნოლოგიური პროპორციების დაცვა. ორგანული და მინერალური სასუქების წარმოების მკვეთრად შემცირებამ განაპირობა საკვები ელემენტების დეფიციტი. ეს კი იწვევს ნიადაგის გამოფიტვისა და საეარგულების პროდუქტიულობის დაქვეითებას.

პუმუსის უდაფიციტო ბალანსის შესაქმნელად ყოველწლიურად საჭიროა ნიადაგში 1 მილიარდი ტონა ორგანული სასუქის შეტანა. სინამდვილეში შეგვაქვს 150-170 მილიონი ტონა. მინერალური სასუქი 165 მილიონი ტონის ნაცვლად 15 მილიონი ტონა. შეწერებულა სამუშაოები დაშრობის, მორწყვის, სამედიორაციო სისტემების რეკონსტრუქციის, ნიადაგის გაკირიანებისა და გათაბაშირების, მაკნებლებისა და დაავადებებისაგან მკენარეთა დაცვის და სხვ. მიმართულე-

ბით. ბოლო 5 წლის განმავლობაში ყველა კატეგორიის მეურნეობაში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა 354,2 ათასი სულით დაეცა, ღორისა 513,3 ათასი სულით, ცხვრისა და თხის 824,5 ათასი სულით.

მეცხოველეობის პროდუქციამ წერილსასაქონლო პირად დაძმმარე მეურნეობისაკენ გადაინაცვლა. ამავე პერიოდში იქ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა გაიზარდა 16%-ით, ღორისა კი 9%-ით, თუმცა მათი წარმოება ჩამორჩენილი ტექნოლოგიითა და ხელის შრომით ხდება.

ტრაქტორებისა და სხვა მანქანა-დანადგარების რაოდენობა 5 წელიწადში 1,3-ჯერ შემცირდა, მეურნეობის ძირითადი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით უზრუნველყოფა 40-70%-ით მოქველების გამო. გაიზარდა მანქანების ექსპლუატაციის დრო. სოფლის საქონელმწარმოებლებში გადახდისუნარიანობის დაცემამ განაპირობა სასოფლო-სამეურნეო და სატრაქტორო მანქანათმშენებლობის, მინერალური სასუქების, ქარხნისა და სხვა საწარმოთა დეპრესია. კრიზისულ მდგომარეობას სოფლის მეურნეობაში აქვს ობიექტური საფუძველიც, ესაა სეზონურობა, რომელიც ყოველთვის დამოკიდებულია დამამზადებლების, მომსახურე, სავაჭრო საწარმოებისა და ორგანიზაციების, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მომწოდებლების მონოპოლიურ მოქმედებაზე და სხვ.

სოფლის მეურნეობა მნიშვნელოვან დანაკარგს განიცდის სამრეწველო და სასოფლო პროდუქციის ფასთა დისპარიტეტის გამო, რაც გამოწვეულია გადაუხდელობით, არასრული და არადროული საბიუჯეტო დაფინანსებით. სოფლის მეურნეობის საქონელმწარმოებლების დაბალი შემოსავალი არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ფართოდ გაიშალოს წარმოება, განახლდეს მატერიალური ბაზა და სოციალური ინფრასტრუქტურა, დროულად იქნეს გასტუმრებული მომმარაგებლები, მენარდეები, ბანკის სესხი და მუშაკების შრომის ანაზღაურება. ძალიან ბევრმა მეურნეობამ დაკარგა საკუთარი საბრუნავი საშუალებები. გაიზარდა საკრედიტო ვალეები.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრარულ სექტორში დაუმთავრებელ ინსტიტუციონალურ და მიწათსარგებლობის გარდაქმნებს. ახალი სამეურნეო სტრუქტურების დამაარსებლები

ვერ გახდნენ რეალური მესაკუთრეები, მათი შრომის მოტივაცია ჯერ კიდევ ძალიან სუსტია.

აგროსამრეწველო კომპლექსის კეების, გადამამუშავებელი და მომსახურე დაწესებულებების პრივატიზებამ გააძლიერა მათი მონოპოლიზმი სოფლის მეურნეობის საწარმოებზე. წარმოების დაცემამ და მრავალი სახის არაკონკურენტუნარიანმა სამამულო სასურსათო საქონელმა განაპირობა საზღვარგარეთის ქვეყნებიდან საკვები პროდუქტების ექსპანსია და გაართულა სამამულო საქონლის გასაღების პრობლემა.

აგრარული სექტორის ეკონომიკაში მიღებული შემოსავლების ნაწილი გადანაწილებულია და რეალიზდება სხვა დარგებში. აგროსამრეწველო წარმოების ფუნქციონირების სპეციფიკის გამო, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, იგი საჭიროებს სახელმწიფო მხარდაჭერას.

ამრიგად, დაფიქსირდა სამამულო სოფლის მეურნეობის სავალალო მდგომარეობა, გამომქადაგნდა ნეგატიური ტენდენციები, რომელთა გაღრმავება მნიშვნელოვნად შეცვლის აგრარული ეკონომიკის როლს და ადგილს სახალხო მეურნეობის კომპლექსში.

ყოველივე ამის მიზეზია ინსტიტუციური გარდაქმნების დაბალი ტემპები. სოფლის საქონელმწარმოებლების სუსტი მოტივაცია და სამართლებრივი ბაზის დაუმუშავებლობა.

## თავი მეორე საბაზრო აგროეკონომიკის თავისებურებანი სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში

### 2.1 ბაზრის ცნება, როლი და სტრუქტურა

კლასიკური განმარტების თანახმად, ბაზარი არის ეკონომიკურ ურთიერთობათა ერთობლიობა, რომელიც წარმოიქმნება საქონლის გაცვლისა და რეალიზაციის, სამუშაოსა და მომსახურების გაცვლის მიზნით, რათა ერთმანეთს შეახვედროს მყიდველი და გამყიდველი. ბაზარი შეიძლება არსებობდეს, როგორც საბაზრო (კაპიტალისტური) ეკონომიკის, ასევე გეგმური (სოციალისტური) ეკონომიკის პირობებში. განსხვავება იმაშია, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში გაცვლა უპირატესად ხდება უშუალოდ მწარმოებელსა და მყიდველს შორის, ხოლო გეგმური ეკონომიკის პირობებში ამ პროცესის შუა რგოლს სახელმწიფო წარმოადგენს.

განვითარებული ქვეყნების სოფლის მეურნეობის დარგებში, სახელმწიფოს მონაწილეობა საკმაოდ მაღალ დონეზეა, მრეწველობისა და ვაჭრობის დარგებისაგან განსხვავებით. მიუხედავად ამისა, საბაზრო ეკონომიკის პირობებში გაცვლის პროცესების მონაწილეთა ეკონომიკური თავისუფლება ფართოა - მწარმოებელი თვითონ ირჩევს გამოსაშვები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შემადგენლობასა და სტრუქტურას, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მომწოდებ-

ლებს და ნაწილობრივ, სარეალიზაციო ფასს, ხოლო მიყიდველი თვითონ ირჩევს მომწოდებელს.

ბაზარი ფუნქციონირებს ერთიანი ეკონომიკური კანონების საფუძველზე, რომელთა შორის ძირითადია:

*ღირებულების კანონი* - რომლის შესაბამისად პროდუქცია რეალიზდება მის შექმნაზე გაწეული საზოგადოებრივად აუცილებელი დანახარჯების გათვალისწინებით, მაგრამ იმ ფასით, რომლითაც მიყიდველი შესაბამისი მოთხოვნების დაკმაყოფილებას აფასებს. სხვა სიტყვებით, ფასი საქონლის ღირებულებას ემთხვევა მოთხოვნისა და მიწოდების წონასწორობის დროს.

*რესურსების ეკონომიკის კანონი* - გულისხმობს პროდუქციის ხარისხის განუწყვეტელ გაუმჯობესებას ეროდროულად დანახარჯების შემცირებასთან ერთად. ამ კანონის დარღვევა შეუძლებელს ხდის ღირებულების კანონის სრულყოფილად ამოქმედებას.

*წონასწორობის კანონი* რომლის შესაბამისად, სხვა თანაბარი პირობების შემთხვევაში, გასაყიდად წარმოდგენილი საქონლისა და მომსახურების მოცულობა წონასწორდება პოტენციური მიყიდველის მსყიდველობითუნარიანობით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ბაზარი განაპირობებს წარმოების ისეთ მოცულობას, როცა დროის ნებისმიერ მომენტში მიყიდველის მოთხოვნილება შესაძლებელია დაკმაყოფილდეს მთლიანად, თანაც მიყიდველისათვის მისაღებ ფასებში.

ბაზრის წარმოქმნისა და არსებობის ძირითად პირობას წარმოადგენს *კონკურენცია, საკუთრების უფლება* და *ეკონომიკური თავისუფლება*.

*კონკურენცია* ისეთი პირობების არსებობას ითვალისწინებს, როდესაც მოქმედებს ღირებულების კანონი ე.ი. მიყიდველს უნდა პქონდეს მისთვის საჭირო საქონლის არჩევის უფლება სამომხმარებლო ფასებში და არა გამყიდველის მიერ დაწესებულ ფასებში. მეორე მხრივ, კონკურენცია განაპირობებს რესურსების ეკონომიკის კანონის მოქმედებას - ე.ი. მწარმოებელს, რომელიც შესძლებს უფრო ეკონომიურად (ეფექტურად) აწარმოოს პროდუქცია, რომლის ხარისხი არ

იქნება ბაზრის მონაწილეთა პროდუქციაზე უფრო დაბალი, ექნება უფრო მომგებიანი პირობები, რათა შემდგომში გააფართოვოს წარმოება და დაიპყროს ბაზარი.

*საკუთრების უფლება* ბაზრის არსებობის აშკარა წინაპირობაა. გეგმური ეკონომიკა არ გამორიცხავს საკუთრების უფლებას, მაგრამ არსებითად ზღუდავს მას. ამ უფლების ძირითადი ფორმებია: *სახელმწიფო, კოლექტიური* და *პირადი* საკუთრება. პრინციპულად ამ კლასიფიკაციაში თავსდება საკუთრების პრაქტიკულად ყველა ფორმა, რომელიც დამახასიათებელია საბაზრო ეკონომიკისათვის (გამონაკლისს წარმოადგენს *კერძო*, რომელიც პირადისაგან იმით განსხვავდება, რომ ეს უკანასკნელი მოგებას სისტემატურად არ იძლევა).

*მიწის საკუთრების ფორმები*: რამდენადაც საქართველო საბაზრო ეკონომიკაზე გადადის, რომელიც ძირითადად კერძო საკუთრებას ემყარება, განვიხილოთ საკუთრების ფორმები სოფლის მეურნეობაში (კერძოდ, მიწის-როგორც სოფლის მეურნეობის ძირითადი საწარმოო საშუალების საკუთრების ფორმები).

საკუთრება, როგორც ნებელობითი ურთიერთობა, მყარდება ადამიანებს შორის რაიმე საგნის, რაიმე ობიექტის ფლობის, გამოყენებისა და განკარგვის საფუძველზე.

კატეგორიები *ფლობა, გამოყენება* და *განკარგვა* საკუთრების ფაქტობრივ ურთიერთობებს გამოხატავს, რომელიც გვიჩვენებს, თუ ვის ეკუთვნის ესა თუ ის საგანი (ჩვენს შემთხვევაში, მიწა), ვინ ფლობს, ვინ იყენებს და ვინ განკარგავს მას.

1. *ფლობა* ახასიათებს ურთიერთობას, როდესაც საკუთრების მოცემული ობიექტი ფაქტიურად იმყოფება კონკრეტული სუბიექტის ხელში, გამოიყენება მის მიერ, უფლება აქვს მიითვისოს წარმოებული პროდუქტის ნაწილი, მისი ღირებულება. მაგ., ქარხნების, ფაბრიკების, ან მეურნეობების კოლექტივი ითვლება მთელი საწარმოს მფლობელად და არა მესაკუთრედ.

2. გამოყენება ნიშნავს საკუთრების სუბიექტებს შორის ურთიერთობას. საკუთრების ობიექტის საწარმოო გამოყენების ან პირადი მიზნით მოხმარებისათვის. განმასხვავებელი ნიშანი მდგომარეობს იმაში, რომ საკუთრების რეალიზაციის პროცესში აქტიური როლი უშუალო მწარმოებელს, მუშას განეკუთვნება.

3. ფლობა, ისე, როგორც გამოყენება, სრულად ვერ უზრუნველყოფს საკუთრებითი ურთიერთობების რეალიზაციას. სრული რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ კუთვნილებაში (განკარგვაში) მყოფი ობიექტის მოხმარების, გაყიდვის, გაჩუქების, მოსაპოვის და ა.შ. თვალსაზრისით (უნდა აღინიშნოს ის, რომ მიწის მესაკუთრეს მიწათმფლობელს უწოდებენ, მაგრამ აქ ფლობა სხვა აზრით გამოიყენება).

როდესაც საკუთრების ეს ფაქტობრივი ურთიერთობები ფლობა, გამოყენება და განკარგვა სამართლებრივი, იურიდიული ნორმების სახით ჩამოყალიბდება, მაშინ ისინი სამართლებრივი, იურიდიული სახის მატარებლები ხდებიან.

ფლობა ყოველგვარი წარმოების წინამძღვარია, იმ თვალსაზრისით, რომ წარმოების საშუალებების ფლობის გარეშე არც ერთ სუბიექტს არ შეუძლია წარმოების პროცესის განხორციელება. თუ ადამიანს არ ექნება წარმოების საშუალებები, ის ვერაფერს ვერ აწარმოებს, ასევე თუ გლეხს არ ექნება მიწა, ვერაფერს ვერ მოიყვანს, აქედან წარმოსდგება შეხედვლება, რომ თითქოს წარმოების პირობა და მისი საფუძვლები არის საკუთრება და არა პირიქით.

ამრიგად, საკუთრების ეკონომიკურ შინაარსს წარმოებით ურთიერთობათა სისტემა შეადგენს, ხოლო ცალკე აღებული საკუთრება წარმოების საშუალებებზე, სამუშაო ძალაზე, ასევე მოხმარების საგნებზე, მიწაზე თუ ბუნებრივ რესურსებზე, სამართლებრივ - იურიდიული ურთიერთობაა.

საკუთრების მრავალფეროვან ფორმებზე გადასვლა ნიშნავს, ერთი მხრივ, საკუთრების მრავალფეროვანი სამართლებრივი ნორმების ჩამოყალიბებას, რომლებიც საკუთრების იურიდიულ ურთიერთობებს ასახავენ. ხოლო, მეორე მხრივ, წარმოებით, ეკონომიკურ ურთიერთობათა მრავალფეროვანი სისტემის ჩამოყალიბებას, მეურნეობრიობის მრავალგვარი

ფორმების, ტიპების ფორმირებას, ე.ი. ფაქტობრივად იგულისხმება, რომ ისინი ერთმანეთზე თანამოქმედებენ, ერთმანეთს განჭოლავენ.

საკუთრების ესა თუ ის იურიდიული ფორმა, თავის ეკონომიკურ რეალიზაციას წარმოებით ურთიერთობებში პოულობს, რის გამოც ეკონომიკაზე აქტიურ ზემოქმედებას ახდენს.

სამართლებრივი ნორმებით გამოხატული საკუთრების იურიდიულ ურთიერთობას შეუძლია დაამუხრუჭოს ან დააჩქაროს ეკონომიკური პროგრესი.

გეგმური ეკონომიკის დროს სახელმწიფო ზღუდავს საწარმოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების რაოდენობას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, შეიძლება დავასკვნათ, რომ საკუთრების უფლება წარმოადგენს აუცილებელ, მაგრამ არასაკმარის პირობას ბაზრის არსებობისათვის.

*ეკონომიკური თავისუფლება* გულისხმობს სუბიექტების შესაძლებლობას წარმოების პროცესში დამოუკიდებლად აირჩიოს, რომელი პროდუქტი, რა რაოდენობით აწარმოოს გაცვალოს, რა ფასად შეიძინოს. ე.ი. გარკვეული სასტარტო კაპიტალის დროს, რომლის ავანსირებაც შეიძლება წარმოებაში, მესაკუთრეს უფლება აქვს აირჩიოს არა მარტო ამ კაპიტალის გამოყენების სქემა, არამედ მისი გამოყენების სფეროც (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, საბანკო სფერო და ა.შ.).

ამას გარდა, ბაზრის არსებობა გულისხმობს სახელმწიფო ორგანოების განსაზღვრულ მონაწილეობასაც, რაც ელინდება საბაზრო ურთიერთობების საკანონმდებლო და ნორმატიული სისტემების დადგენით და ცალკეული სახის პროდუქციის (დემინგური ღონისძიებები და ბაზრის შედარებით უფრო სარისკო სექტორების სახელმწიფო მხარდაჭერა) წარმოების საბიუჯეტო რეგულირებით. მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთმოქმედებისას ბაზრის ფუნქციონირება შეიძლება წარმოვიდგინოთ მარტივი სქემით. მაგალითად, რომელიმე საქონლის უკმარისობა იწვევს მისი ფასის აწევას. ამ დროს დარგში ავანსირებული კაპიტალის რენტაბელობა იზრდება. მას შემდეგ, რაც პროდუქციის წარმოების ამ დარგში წა-



რმოიშობა ახალი საწარმოები (ან გაფართოვდება არსებულნი), ბაზარზე გაიზრდება ამ საქონლის მიწოდება, რაც გაათანაბრებს მასზე მოთხოვნას. ასეთ დროს, საქონლის რეალიზაცია მოხდება ყველაზე უფრო სამართლიან ფასებში და ეს ყველაზე მეტად სასურველია ბაზრისათვის (ანუ მთლიანად სახალხო მეურნეობისათვის). წარმოების მოცულობის შემდგომი ზრდის დროს, ამ საქონელზე მოთხოვნა თანდათან იკლებს მიწოდებასთან შედარებით. მასზე ფასი ეცემა და მოხდება ამ სექტორიდან კაპიტალის გადინება.

წმინდა მარეგულირებელი ფუნქციის პარალელურად ბაზარი ასრულებს მთელ რიგ სხვა ფუნქციებსაც, რაც სტიმულს აძლევს მთლიანად სახალხო მეურნეობის ეფექტიან განვითარებას და კერძოდ, სოფლის მეურნეობას.

საბაზრო აგროეკონომიკის სპეციფიკა სოფლად ვლინდება ფერმერული (გლეხური, ოჯახური) მეურნეობების ჩამოყალიბებით.

თანამედროვე ფერმერული მეურნეობა სოფლის მეურნეობის საფუძველი და აგრობიზნესის ძირითადი რგოლია. ხშირად გლეხურ და ფერმერულ მეურნეობას აიგივებენ. საჭირო კია მათი ერთმანეთისაგან განსხვავება. გლეხური მეურნეობა დამახასიათებელია ფეოდალიზმისათვის, ხოლო ფერმერული (საბაზრო ეკონომიკისათვის) კაპიტალიზმისათვის. გლეხური მეურნეობისათვის დამახასიათებელი ნატურალური მეურნეობა ჰყიდის მხოლოდ იმ პროდუქციას, რაც მორჩება საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შემდეგ. რაც შეეხება ფერმერს, იგი საქონელმწარმოებელია, აწარმოებს ბაზრისათვის, მისი ძირითადი მიზანია მოგება. აქვე უნდა განვასხვაოთ საოჯახო ფერმები, ფერმერული მეურნეობისაგან. საოჯახო ფერმაში ძირითადად ოჯახის წევრები მუშაობენ, შეიძლება ჰყავდეთ ერთი ან ორი დაქირავებული მუშა. საოჯახო ფერმები დამახასიათებელი იყო აშშ-ის სოფლის მეურნეობისათვის, საოჯახო ფერმები შეიძლება იყოს ფერმერული მეურნეობის საწყისი ფორმა, იგი ნაწილობრივ ემსგავსება ჩვენს გლეხურ მეურნეობას.

ძირითადი პირობა თანამედროვე ტიპის ფერმერული მეურნეობის ჩამოყალიბებისათვის, რომელმაც უნდა შეცვალოს

ტრადიციული გლეხური მეურნეობა-არის მიწაზე კერძო საკუთრება.

პოსტკომუნისტურ ქვეყნებში წანამძღვრების მომზადება ფერმერული მეურნეობების განვითარებისათვის ახლა იწყება. ამ ქვეყნებში, როგორც ცნობილია, მიწა ნაციონალიზებული იყო, იგი ეკუთვნოდა სახელმწიფოს და ლაპარაკიც არ იყო კერძო საკუთრებაზე, ფერმერული მეურნეობების აღორძინებასა და განვითარებაზე. დღეს პირობები შეიცვალა, ყველა ამ ქვეყანაში ჩატარდა და ახლაც ტარდება აგრარული რეფორმები. იქმნება ინდივიდუალური გლეხური მეურნეობები, ზოგან ფერმერული მეურნეობებიც. ამ მეურნეობების შექმნის საფუძველი არის მიწაზე კერძო საკუთრება, თავისუფალი საბაზრო ურთიერთობები, რაც ფერმერული მეურნეობის განვითარების აუცილებელი პირობაა. თუმცა უნდა ითქვას იმაზეც, რომ ეს პროცესი დღეისათვის გარკვეული სირთულეებით მიმდინარეობს მთელი რიგი ობიექტური მიზეზების გამო.

## 2.2 ბაზრის ფუნქცია სასოფლო – სამეურნეო წარმოებაში

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ბაზრის ფუნქციებია:

1. *მყიდველების სათანადო ხარისხისა და რაოდენობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით უზრუნველყოფა*, რაც საჭიროა მათი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. თანამედროვე პირობებში, იმასთან დაკავშირებით, რომ აგრარულ სექტორში ეკონომიკური ურთიერთობის რეგულირების სფეროში შესუსტებულია სახელმწიფოს ჩარევა, როცა სამამულო მეწარმეებს არ შეუძლიათ იმ პროდუქციის მთლიანად რეალიზაცია, რომლის გამოშვების შესაძლებლობაც მათ აქვთ საწარმოო და შრომითი რესურსებით. სათანადოდ უზრუნველყოფის პირობებში. სახელმწიფო ანტიდემპინგური პოლიტიკის შესუსტების პირობებში, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ბაზრის საკმაოდ დიდი სეგმენტი დაკავებულია

დაბალი ხარისხისა და დაბალი ფასების მქონე იმპორტული წარმოების საქონლით.

2. *სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასების სტაბილიზაცია.* მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ნორმალური ფუნქციონირების პირობებში (პირველ რიგში ენერგორესურსებითა და ტრანსპორტით) ბაზრის ეს ფუნქცია განაპირობებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე შედარებით სამართლიანი ფასის ფორმირებას, რამაც უნდა უზრუნველყოს პროდუქციის რენტაბელობა და გადახდისუნარიანი მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

3. *სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ზრდის უზრუნველყოფა.* ამ ფუნქციის მოქმედების კერძო შემთხვევებია: წარმოების დანახარჯების დაწვევა (შემცირება), პროდუქციის ხარისხის ამაღლება, სოფლის მეურნეობის მეწარმეთა მიერ მოგების მიღება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების წარმოებაში დანერგვა და სხვა.

4. *სამეურნეობათშორისო კავშირების განვითარება და სრულყოფა.* ამ ფუნქციის მოქმედებაც სოფლის მეურნეობის წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისაკენ არის მიმართული. მისი გამოყოფა ცალკე ფუნქციად იმით არის განპირობებული, რომ მისი მოქმედება არ შემოიფარგლება ერთი საწარმოს ფარგლებით ან საწარმოთა ჯგუფით, ის მოიცავს მთელ აგროსამრეწველო კომპლექსს (სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება, გადამუშავება და რეალიზაცია) და სახალხო მეურნეობის ზოგიერთ სხვა დარგს (სასუკეება, მანქანათმშენებლობა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა და სხვა).

5. *სოფლის სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების უზრუნველყოფა და სოციალური პრობლემების გადაწყვეტა.* ეს ფუნქცია ასევე ხორციელდება წარმოების ეფექტიანობის უზრუნველყოფის ფუნქციისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მომგებიანობის უზრუნველყოფის ქვეფუნქციათა მეშვეობით. მეორე მხრივ, სოციალური პრობლემების გადაჭრა არის კვლავწარმოების პროცესის ერთი მხარე ანუ "სამეშაო ძალის", როგორც საქონლის კვლავწარმოება.

## 2.3 სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ბაზარი

ყველა სახის ბაზარი, რომელიც ფუნქციონირებს სოფლის მეურნეობაში, შეიძლება 4 ჯგუფად დაეყოთ, ეს არის:

1. სასოფლო-სამეურნეო ბაზარი (საკუთრივ სოფლის მეურნეობის პროდუქციის);

2. მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ბაზარი (სოფლის მეურნეობისათვის);

3. მომსახურების სფეროს ბაზარი;

4. ვაჭრობის სფეროს ბაზარი (მარკეტინგული მომსახურება).

მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ბაზარი უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო წარმოებას აუცილებელი ტექნიკით და მატერიალურ-საწარმოო რესურსებით სასოფლო-სამეურნეო წარმოების უზრუნველყოფას. ასეთ ბაზარში ძირითადად 4 სეგმენტი გამოიყოფა:

- სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და მექანიზმების;

მატერიალურ-საწარმოო რესურსების (საწვავი, სამრეწველო ნედლეული და მასალები);

- მინერალური სასუქების;

- მეცხოველეობის საკვები პროდუქტების.

როგორც ვხედავთ, ბაზრის პირველი სამი სეგმენტის პროდუქცია დამზადებულია სასოფლო-სამეურნეო დარგის გარეთ, ხოლო მეოთხე სეგმენტის პროდუქციას აწარმოებენ თვით დარგის შიგნით. მყიდველის როლში გამოდის მეცხოველეობა, ხოლო გამყიდველისა მემცენარეობა. ხოლო მსხვილ კომპლექსურ სასოფლო-სამეურნეო საწარმოში ან სპეციალიზებულ კომბინატებში, ეს ბაზარი შეიძლება სულაც არ იყოს.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოები უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მომსახურებით, რომელიც აუცილებელია საწარმოო პროცესის ნორმალური ფუნქციონირებისათვის. ამას უზრუნველყოფს მომსახურების სფეროს ბაზარი, სადაც შეიძლება გამოიყოს მომსახურების ისეთი სახეები, როგორიცაა:

საინფორმაციო (კავშირგაბმეულობის მომსახურების ჩათვლით);

კონსალტინგი;

სამეცნიერო-კვლევითი (ელიტური მეთესლეობა და სხვ.);

ტექნიკური (იმ შემთხვევაში, როდესაც სასოფლო-სამეურნეო საწარმო იყენებს სპეციალიზებული საწარმოების ტექნიკურ სიმძლავრეებს);

ვეტერინარული;

- მელიორაციული;

საძიებო და მიწათმომწყოები მომსახურება და სხვა.

ვაჭრობის სფეროს ბაზრის საჭიროება მაშინ ჩნდება, როდესაც სასოფლო-სამეურნეო წარმოება თვითონ არ ახდენს თავისი პროდუქციის რეალიზაციას და მიმართავს ისეთ სპეციალურ სავაჭრო ორგანიზაციებს, როგორიცაა:

სადიდგრო და სადისტრიბუტორო მომსახურების ორგანიზაცია;

საბითუმო და საცალო ვაჭრობის მომსახურების საწარმო;

საზოგადოებრივი მომსახურების საწარმო;

- გადამამუშავებელი მომსახურების საწარმო.

რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო ბაზარს, იქ თვით სასოფლო-სამეურნეო საწარმო ახდენს დამოუკიდებლად თავისი პროდუქციის რეალიზაციას. ხშირად საჭირო ხდება უარის თქმა ვაჭრობის სფეროს ბაზარზე. რაც იმ მიზეზით არის გამოწვეული, რომ სასოფლო-სამეურნეო საწარმოს სურვილი აქვს თავიდან აიცილოს პირდაპირი ან არაპირდაპირი დანაკარგები, დაკავშირებული, როგორც ამ სფეროს მომსახურებასთან, ისე სარეალიზაციო ფასთან. სასოფლო-სამეურნეო ბაზარი თავის მხრივ შეიძლება დაიყოს ოთხ ძირითად ბაზრად, კერძოდ, ეს არის:

მემცენარეობის პროდუქციის ბაზარი;

მცხოველეობის პროდუქციის ბაზარი;

პროდუქციის გადამამუშავებელი ბაზარი.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოთხოვნილებებთან დაკავშირებით, აგრარული სექტორი იძულებულია მონაწილე-

ობა მიიღოს ზემოწამოთვლილ ბაზრებში. ეს მონაწილეობა კი მოითხოვს დამატებით ორგანიზაციულ გარდაქმნებს და მატერიალურ დანახარჯებს.

## 2.4 საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის გზები

სოფლის მეურნეობის გადასვლა საბაზრო ურთიერთობებზე განაპირობა სამმა ძირითადმა ფაქტორმა, კერძოდ:

- *სახალხო მეურნეობის სხვა დარგების გადასვლამ საბაზრო ურთიერთობებზე.* ასეთ პირობებში დაირღვა წინანდელი სამეურნეობათაშორისო კავშირები, ხოლო ახლის შექმნას საფუძვლად დაედო სასაქონლო-ფულადი ურთიერთობები.

*სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის სისტემის არაეფექტურობამ,* რაც განპირობებული იყო სასოფლო-სამეურნეო წარმოების მეტისმეტი რეგლამენტაციით სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მოცულობისა და სტრუქტურის შერჩევაში, ეკონომიკური თავისუფლების შეზღუდვით.

*სახელმწიფოს მხრივ სოფლის მეურნეობის მხარდასაჭერად სახსრების (საბიუჯეტო) უქონლობამ,* რასაც უნდა უზრუნველყო პროდუქციის იმ ფასებად შექმნა, რომელიც გეგმურ რენტაბელობაზე მეტი იქნებოდა.

ნებისმიერ გადასვლას მეურნეობრიობის ახალ ფორმებზე თან სდევს დიდი ორგანიზაციული გარდაქმნები. დასაშვებია არსებობდეს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ორი მიმართულება (როგორც ყოველგვარი საწარმოო ეკონომიკური სისტემის), ევოლუციური და რევოლუციური.

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა ყველაზე თეალსაჩინო გახდა მას შემდეგ, როცა შესამჩნევად გამოიკვეთა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების საორგანიზაციო-სამართლებრივი ფორმების მრავალფეროვნება. ტრადიციულად, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციული ფორმები იყო: კოოპერატიული და სახელმწიფო მეურნეობები. ზოგიერთ ქვე-

ყანაში მას ემატებოდა ფერმერული მეურნეობა (კოოპერატივის ანალოგი) იმ განსხვავებით, რომ მონაწილეთა რაოდენობა ერთი ოჯახით შემოიფარგლებოდა. წარმოებული პროდუქციის განსახლვრული ოდენობა ხმარდებოდა პირად და მხმარე მეურნეობას.

გლეხური მეურნეობების ორგანიზაციული ფორმების ანალიზის დროს ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ შრომის საშუალებებისა და შრომის საგნების განსახოგადოება, აგრეთვე სახელმწიფოს მონაწილეობა აგროეკონომიკური პროცესების რეგულირებაში გარკვეულ კავშირშია ქვეყნის ბუნებრივ - კლიმატურ და ნიადაგობრივ პირობებთან. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს ნიადაგის ტიპს, რომელზეც დამოკიდებულია სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობა (მწირი ნიადაგური პირობების დროს იზრდება საწარმოო დანახარჯები მისი ნაყოფიერების გაუმჯობესებაზე).

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამდე წარმოების ოპტიმალურ ფორმად მისწეული იყო საკოლმეურნეო ორგანიზაცია, რომელიც არსებობდა სახელმწიფო მეურნეობის (საბჭოთა მეურნეობის) პარალელურად. იმ დროს სახელმწიფო პოლიტიკა მიმართული იყო იქითკენ, რომ აგრარული სექტორი რაც შეიძლება მეტად ყოფილიყო გასახელმწიფოებრივებული. საბჭოთა მეურნეობის მუშაკთა გარანტირებულმა ხელფასმა, მიუხედავად სოფლის მეურნეობის სესონურობისა და მეურნეობის წარმოების შედეგისა, არ გაამართლა. ამის მიზეზი იყო გლეხის გაუცხოება მისი შრომის შედეგისადმი და სახელმწიფოს არათანმიმდევრული დამოკიდებულება აგრარული სექტორის რეგულირებისადმი.

1992 წლიდან მოხდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების რეორგანიზაცია, ჩატარდა მიწის პრივატიზება. მოქალაქეებს, რომლებსაც აქონდათ მიწის ნაკვეთები პირადი დამხმარე მეურნეობისა და მეზღვებისათვის, უსასყიდლოდ გადაეცათ საკუთრებაში.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბაზაზე ჩამოყალიბდა კოლექტიური, კოოპერატიული, სააქციო საზოგადოებები და სხვა სახის კერძო საქონელმწარმოებელთა საწარმოები. ბევრმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნე-

ობამ, მიწისა და ქონების საკუთრებაში მიღების მიუხედავად, შეინარჩუნა ძველი სტატუსი.

აგრარული რეფორმის ამ პერიოდს ახასიათებს რთული სოციალურ - ეკონომიკური სიტუაცია, რაც განპირობებულია საწარმოო-სამეურნეო კავშირების არამდგრადობით, სახელმწიფო კონტროლის მოშლით ფასებსა და შრომის ანაზღაურებაზე, საკრედიტო რესურსების გაძვირებით, ინფლაციით, ბიუჯეტის დეფიციტით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მომხმარებელთა მსყიდველობითი შესაძლებლობის დაქვეითებით, მსოფლიო ბაზარზე აგროსამრეწველო კომპლექსის პროდუქციის არაკონკურენტუნარიანობით და სხვ.

ყოველივე ამან გამოიწვია ნედლეულისა და სურსათის წარმოების დაცემა, მარცვლეული და სხვ. კულტურების ნათესი ფართობების შემცირება, რის შედეგადაც სახალხო მეურნეობის კომპლექსში გაიზარდა არაექვივალენტური გაცვლა, გაუარესდა საქონელმწარმოებელთა ფინანსური მდგომარეობა სოფლის მეურნეობაში და კვების მრეწველობაში, შემცირდა მათი გადახდისუნარიანობა და გაიზარდა საბანკო კრედიტების დავალიანებები და სხვა ნეგატიური მოვლენები.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადახდისუნარიანობის დაქვეითებამ გამოიწვია რესურსმწარმოებელი დარგების კრიზისი, როგორცაა: სოფლის მეურნეობის მანქანათმშენებლობა, მინერალური სასუქების წარმოება და სხვ. სასოფლო-სამეურნეო მანქანების ასაკობრივი სტრუქტურა ძლიერ გაუარესდა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჯერ კიდევ 1994 წელს მათი 10% 10 წელზე მეტი ასაკის, 30% 5-10 წლამდე და მხოლოდ 10% იყო 5 წელზე ნაკლები ასაკის. მანამდე საქართველოს სოფლის მეურნეობა იღებდა 3000 სხვადასხვა მარკის ტრაქტორს, 32 000 სატვირთო მანქანას, 10 000 ცალ სხვადასხვა მანქანასა და დამხმარე აღჭურვილობას. ცენტრალიზებული წესით გამოეყოფოდა საწვავი და 250 ათასი ტონა ბენზინი, 1994 წელს აღირიცხა საჭირო საწვავის გამოყოფის მხოლოდ 19%, ბენზინის - 5% და ა.შ. ასევე შემცირდა მიწის ნაყოფიერებაც და მინერალური და ორგანული სასუქების ნიადაგში შეტანა. მკვეთრად დაქვეითდა ნიადაგის



რეკულტივაცია, ისევე, როგორც დაშრობითი, მორწყვითი, სამელიორაციო სამუშაოები და სხვ.

მხოლოდ საბაზრო ურთიერთობების მეორე ეტაპიდან (1996 წ.) სოფლის მეურნეობაში დაიწყო სტაბილიზაციის პროცესი. გაძლიერდა სოფლის საქონელმწარმოებელთა სახელმწიფო მხარდაჭერა, რაც ენერგომატარებლებზე ფასების დარეგულირებაში, დაბალპროცენტიანი კრედიტების აღების შესაძლებლობისა და სხვა მთელ რიგ საგადასახადო შეღავათებში გამოიხატება.

## თაეი მესამე სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციული ფორმები

### 3.1 მეწარმული საქმიანობა აგრობიზნესში

გეგმური (მბრძანებლური) ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდი ხასიათდება წარმოების ყველა სფეროს დაქვეითებით, ეკონომიკის სხვადასხვა სფეროების სხვა პრიორიტეტებზე ორიენტაციით და ახალი სამართლებრივი ბაზის განვითარებით, რაც უზრუნველყოფს მეურნეობრივი საქმიანობის ორგანიზაციას ახალ პირობებში.

გამოქვეყნდა მთელი რიგი საკანონმდებლო აქტები, რომლებიც არეგულირებენ გლეხური (ფერმერული) მეურნეობის, სამრეწველო კოოპერატივების, პირადი დამხმარე მეურნეობების, სააქციო და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების საქმიანობას.

არსებული კანონმდებლობის მიხედვით:

- *მეწარმეობა წარმოადგენს დამოუკიდებელ, მეწარმის საკუთარი რისკით განხორციელებულ საქმიანობას.*

სამეწარმეო საქმიანობა სოფლის მეურნეობაში შეიძლება დაეახასიათოთ 4 ძირითადი ნიშნით:

1. *მეწარმის დამოუკიდებლობა.* ეს ნიშნაყს, რომ საწარმოს შექმნის, მიმდინარე საქმიანობის განხორციელებისა და საწარმოს ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ხდება უშუალოდ მეწარმის მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით რაიმე ახალი სახის წარმოების ორგა-

ნიზაციის, ახალი იდეის დამუშავების, ახალი პროდუქციის წარმოების ან ახალი სახის მომსახურების გზით მოგების მიღებისათვის, მაგრამ წარმატების გარანტიის გარეშე. მეწარმე თვითონ ირჩევს იმ ორგანიზაციის სამართლებრივ ფორმას (კერძო, კოლექტიური, ამხანაგობა და ა.შ.), რომლითაც აპირებს დასახეული მიზნის განხორციელებას. მეწარმე თავის საქმიანობაში თავისუფალია.

2. *საქმიანობის განხორციელება საკუთარი რისკით.* ეს ნიშნავს, რომ ქონების დაკარგვა ან ზარალი, რომელიც შეიძლება სამეწარმეო საქმიანობას მოჰყვეს და ასევე, პასუხისმგებლობა საწარმოს კაპიტალზე, მოლიანად მას ეკისრება. გაკოტრების შემთხვევაში იგი პასუხს აგებს არა მარტო საწარმოს ქონებით, არამედ პირადი ქონებითაც.

*აგრობიზნესის განსაკუთრებულობა.* მეწარმულ საქმიანობას სოფლის მეურნეობაში ახასიათებს განსაკუთრებულობა, რაც საერთო წესიდან შეიძლება გამონაკლისად ჩაითვალოს. სოფლის მეურნეობაში რისკი უფრო ნაკლებად არის დამოკიდებული სუბიექტურ ფაქტორზე (გადაწყვეტილებებში შეცდომის დაშვება და ა.შ.) და ამდენად, ის უფრო ობიექტური ხასიათისაა (ბუნებრიუ-კლიმატური პირობები, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის პროდუქციაზე ფასების დისპარიტეტი, სახელმწიფოს მხრიდან სამამულო ნაწარმის სუსტი მხარდაჭერა). რაც აუცილებელს ხდის სახელმწიფოს მონაწილეობის გააქტიურებას. თითქმის ყველგან სოფლის მეურნეობაში, რისკის ნაწილს სახელმწიფო თავის თავზე იღებს.

3. *მიზანი - მოგების მიღება.* მოგების მიღება არის მეწარმული საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი. ის ამხანაგობა ან ორგანიზაცია მეწარმულად არ ჩაითვლება, რომლის მოქმედების მიზანი არ არის სისტემატურად მოგების მიღება.

4. *რეგისტრაციის აუცილებლობა.* პიროვნებამ, რომელსაც სურს სამეწარმეო საქმიანობის დაწყება, ეს უნდა გააფორმოს ოფიციალურად, რეგისტრაციის სახით. გეგმური ეკონომიკის დროს ასეთი საქმიანობა სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება და ამიტომ მისი რეგისტრაცია არ

ხდებოდა. ახლა საწარმოს რეგისტრაცია აუცილებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი საწარმო უკანონოდ წაითვლება. საწარმოს უნდა აქონდეს ლიცენზია, გაცემული სპეციალური ორგანოების მიერ. რეგისტრაციის დაგვიანებისათვის მეწარმე ისჯება.

სოფლის მეურნეობაში საწარმოო საქმიანობა შესაძლებელია მხოლოდ აგროსამრეწველო კომპლექსის სტრუქტურის გათვალისწინების პირობებში. აგროსამრეწველო კომპლექსი არის სახალხო მეურნეობის იმ დარგების ერთობლიობა, რომლებიც დაკავშირებულია სოფლის მეურნეობის განვითარებასთან, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მომსახურებასა და სოფლის მეურნეობის საქონელმწარმოებლების პროდუქციის საბოლოო მომხმარებელამდე მიტანასთან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აგროსამრეწველო კომპლექსში (ასე) საკუთრივ სოფლის მეურნეობის დარგების (მემკვინარეობა, მეცხოველეობა) გარდა შედიან დარგები, რომლებიც უზრუნველყოფენ აგროსამრეწველო პროცესის ნორმალურ ფუნქციონირებას ძირითადი საშუალებებით, მატერიალურ-ტექნიკური სათადარიგო ნაწილებით, ენერგორესურსებით, აგრეთვე დარგები, რომლებიც განაპირობებენ აგრობიზნესის საფინანსო და საინფორმაციო უზრუნველყოფას. გარდა ამისა, უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ დარგებსაც, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ტრანსპორტირებას და რეალიზაციას უმსახურებიათ. შეიძლება კიდევ დასახელდეს ორგანიზაციები, რომლებიც სოფლის მეურნეობას კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფენ.

### 3.2 მეწარმეობის ძირითადი ტიპები

სუბიექტის მიკუთვნება ამა თუ იმ ტიპის მეწარმეობის ბიზნესისადმი დამოკიდებულია შრომისა და კაპიტალის განსაზოგადლებაზე.

დღეისათვის სოფლის მეურნეობაში ცნობილია მეწარმეობის ოთხი ძირითადი ტიპი, რომელთა შორის:

*პირველია - ერთპიროვნული საწარმო.* მეწარმეობის ეს ტიპი შრომისა და კაპიტალის მინიმალური, ან შეიძლება ითქვას, ნულოვანი განსახოგადოებით ხასიათდება. ამ შემთხვევაში იგულისხმება მცირესასაქონლო მეურნეობა ან ისეთი ორგანიზაცია, რომელშიც გაერთიანებულია მეწარმეთა მინიმალური რაოდენობა (კერძო მეწარმეთა იურიდიული პირის გარეშე) და ფერმერული მეურნეობა. სოფლად ეს ფორმა ყველაზე მეტად არის გაერცვლებული.

*მეორე ტიპს* მსოფლიო კლასიფიკაციის მიხედვით, ეწოდება *ამხანაგობა ან პარტნიორული ორგანიზაცია*. ამ ფორმას შეესატყვისება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომლისთვისაც დამახასიათებელია მწარმოებლის ქონებისა და ამ ქონების ფარგლებში პასუხისმგებლობის ნაწილობრივი განსახოგადოება. ზოგიერთ ქვეყანაში წევრების რაოდენობაც განსაზღვრულია. მაგალითად, რუსეთში. კანონის მიხედვით, დასაშვებია საზოგადოებაში 50 კაცამდე გაერთიანება. მაგრამ ამ შემთხვევაში, წევრების რაოდენობის გარდა, ყურადღება ექცევა კოლექტივის მონაწილეობას საწარმოს მართვაში და კონკრეტული სამუშაოს შესრულებაში, რაც აადვილებს დებულებით გათვალისწინებული მიზნის მიღწევას.

დღეისათვის მეორე ტიპის მეწარმეობა ყველაზე პერსპექტიულ ფორმად არის აღიარებული, ანუ მეწარმეობის ისეთი ტიპი, სადაც განსახოგადოებულია შრომა და კაპიტალი შედარებით მცირერიცხოვან მესაკუთრეთა შორის.

*მესამე - სააქციო საზოგადოება ანუ კორპორაცია.*

ეს ტიპი მთლად ახალი არ არის. ის არსებობდა XIX-XX ს.ს. საზღვარგარეთის ქვეყნებსა და რუსეთში, ოცინა წლებში, ნების დროს. ახალი მასში არის ის, რომ მისი გამოყენება სცადეს სოფლის მეურნეობაში.

სააქციო საზოგადოება ანუ კორპორაცია ამხანაგობისაგან განსხვავდება კაპიტალის გაერთიანების ხასიათით და საწარმოო და მმართველობით საქმიანობაში კორპორაციის წევრების მონაწილეობით. საწესდებო კაპიტალი ფორმირდება წევრების შენატანებისაგან, რომელიც წარმოადგენს საზოგადოების მიერ დაწესებული აქციების ღირებულებას. ეს თანხა

ერთიანდება და შემდეგ, მიუხედავად იმისა, თუ ფონდი რა ფორმით იქნა შექმნილი, ნაწილდება აქციების მიხედვით (ეს იქნება მოგება თუ პასუხისმგებლობა). არ არის სავალდებულო აქციონერების წარმოების პროცესში მონაწილეობა. უფრო მეტიც, იგი შეიძლება სულაც არ იყოს კოლექტივის წევრი და ცხოვრობდეს სულ სხვა რეგიონში. ეს ფორმა მეწარმისათვის სავსებით მისაღები არ არის, რადგან აქციონერის არ მონაწილეობა შრომის პროცესში, ამცირებს მომუშავე მწარმოებლების სტიმულს და მოქმედებს მიღებული პროდუქციის ხარისხზეც. გარდა ამისა, მოქმედებს მართვაში მიღებულ გადაწყვეტილებებზეც.

დაშლილი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბაზაზე სასაქონლო საზოგადოებების შექმნას დღეისათვის იმ შემთხვევაში ექნება აზრი, თუ შესაძლებელი გახდება კაპიტალის მოზიდვა აღნიშნული აქციების მეშვეობით. მაგრამ აქციონერების დაინტერესება მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ ისინი დარწმუნებული იქნებიან დივიდენდების მიღებაში, რაც მათ უნდა მიიღონ დაბანდებული კაპიტალის მეშვეობით. სოფლის მეურნეობაში ასეთი გარანტიები კი შეუძლებელია მთელი რიგი ობიექტური პირობების გამო (გვალეები, სეტყვა, წვიმები და ა.შ.). ამიტომ, აქციონერების დაინტერესების ერთადერთი გზა არის პრივილეგირებული აქციების გამოშვება, რაც ითვალისწინებს წინასწარ განსაზღვრულ დივიდენდს ნებისმიერი მოსავლიანობის დროს, რომელიც უფრო მეტი უნდა იყოს, ვიდრე მრეწველობის ნებისმიერ დარგში. მაგრამ, თანამედროვე პირობებში, სოფლის მეურნეობაში ამის უზრუნველყოფა შეუძლებელია.

*მეოთხე კი სახელმწიფო ანუ მუნიციპალური საწარმოა.* ასეთ ტიპს ზოგჯერ განეკუთვნება კორპორაცია. ეს იმ შემთხვევაში ხდება, როცა კორპორაციის აქციების პაკეტის საკონტროლო წილი (51 %) ეკუთვნის სახელმწიფოს. ჩვენს პირობებში მთავარი ის კი არაა, მონაწილეობს თუ არა სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტი საწესდებო კაპიტალში, არამედ ის, თუ ქონება, რომლის მეშვეობითაც წარმოება ყალიბდება, საკეთრების რომელ ფორმას მიეკუთვნება, სახელმწიფოს თუ კერძოს.

სახელმწიფო ანუ მუნიციპალური საწარმო ხასიათდება ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციით. ერთი მხრივ, როდესაც წარმოების საშუალებები (მაგ. მიწა) სახელმწიფოს საკუთრებაა, თითქოს შესაძლებელი ხდება მისი უფრო ეფექტიანი გამოყენება. რამდენადაც სახელმწიფო ეხმარება წარმოებას მართვის ფუნქციების განხორციელებაში, ცენტრალიზებულ მომარაგებასა და გასაღების პრობლემის გადაწყვეტაში. რამდენადაც საწარმო მხოლოდ სახელმწიფოს ეკუთვნის, მისთვის უზრუნველყოფილია ფინანსური პრიორიტეტი და ტექნიკური მხარდაჭერა. ცხადია საწარმო პირველ რიგში იღებს იმ პრივილეგიებს, რისი მიღებაც კი შეიძლება. მაგალითად, პირველად იქ ინერგება სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევები, იგზავნება სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობები, ელიტური სათესლე მასალა და სხვ.

მეორე მხრივ, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მიკროკონტურიანობა ხელს უშლის ერთიანი რეკომენდაციებისა და ღონისძიებების შემუშავებას, ამას გარდა იქ მომუშავეთა გარანტირებული ხელფასი სტიმულს უკარგავს მათ, იზრუნონ მწარმოებლურობის ამაღლებაზე, რადგან საბოლოო ფინანსური შედეგი მათ არ ეხებათ. მიუხედავად იმისა, რომ უპირატესობა ამ ფორმის საწარმოს თითქოს უფრო მეტი აქვს, სინამდვილეში სოფლის მეურნეობაში სახელმწიფო საწარმო, მრეწველობასთან შედარებით ნაკლებად ეფექტურია.

როგორც შესაბამისი მაჩვენებლების ანალიზმა გვიჩვენა, სოფლის მეურნეობაში მეწარმეობის ფორმებიდან ყველაზე მეტად პერსპექტიული აღმოჩნდა ამხანაგობა (შეხედული პასუხისმგებლობის საზოგადოება), რაც ნიშნავს შრომისა და კაპიტალის განსაზოგადოებას ამხანაგობაში მონაწილეთა განსაზღვრულ რაოდენობაზე, მათი აუცილებელი მონაწილეობით წარმოების პროცესში და ნაწარმის რეალიზაციაში.

### 3.3 სოფლის მეწარმეობის ორგანიზაციულ – სამართლებრივი ფორმები

გეგმური ეკონომიკის პირობებში ძირითადად არსებობდა საკუთრების ორი ფორმა სახელმწიფო და კოოპერატიულ-საკოლმეურნეო. მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებიც იყო სახელმწიფო ან კოლექტიური. მაშინდელი შეხედულების თანახმად, ითვლებოდა, რომ მრეწველობაში უფრო ეფექტურია სახელმწიფო მმართველობის ფორმა, ხოლო კოლექტიური ფორმა უმჯობესია სოფლის მეურნეობაში, ვაჭრობაში, მომსახურების სფეროში. ცნობილია საწარმოს უამრავი კონკრეტული ფორმა. სამეურნეო ანგარიშზე მყოფი უბნებიდან დაწყებული, სხვადასხვა პროფილის კომბინატებით დამთავრებული, და არტელებიდან დაწყებული – კოლმეურნეობებით დამთავრებული. მრავალგვარი ფორმების არსებობა გამოწვეული იყო დარგობრივი სპეციფიკით ან ცალკეული პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიის თავისებურებით. ერთ საწარმოში, ან მსხვილ საწარმოო გაერთიანებაში შეიძლება შექმნილიყო ცალკეული წარმოებები, განპირობებული წარმოების კონცენტრაციით ან სპეციალიზაციით.

საბაზრო ეკონომიკის პირობებშიც არის შესაძლებელი არსებობდეს საკუთრების ორი ფორმა სახელმწიფო და კერძო. მათ შორის განსხვავების საფუძველია კაპიტალის განაწილება საკუთრების მონაწილეთა შორის და პასუხისმგებლობის დონე.

მას შემდეგ, რაც საქართველოში გამოვიდა კანონი მეწარმეობის შესახებ, გაჩნდა შესაძლებლობა ნებისმიერი ფორმის მეწარმეობის არჩევისა.

“მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონით საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებია:

1. ინდივიდუალური საწარმო, სოლიდალური პასუხისმგებლობის საზოგადოება;
2. კომანდიტური საზოგადოება;
3. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;
4. სააქციო საზოგადოება ან კოოპერატივი.



უმთავრესად არსებობს კომერციული და არაკომერციული ორგანიზაციები.

*კომერციულ ორგანიზაციებს მიეკუთვნება:*

შერეული (კომანდიტური) სამეურნეო ამხანაგობა;

სრული ამხანაგობა;

შეზღუდული პასუხისმგებლობის (ამხანაგობა) საზოგადოება;

- დამატებითი პასუხისმგებლობის საზოგადოება;

სააქციო საზოგადოება;

წარმოებრივი კოოპერატივი;

სახელმწიფო და მუნიციპალური ერთიანი უნიტალური საწარმო;

ერთიანი უნიტალური საწარმო, დაფუძნებული სამეურნეო საწყისებზე;

ერთიანი უნიტალური საწარმო, დაფუძნებული ოპერატიული მართვის საფუძველზე (სახაზინო საწარმო).

*არაკომერციულ ორგანიზაციას მიეკუთვნება:*

- მომხმარებელთა კოოპერატივი;

- საზოგადოებრივი ორგანიზაციები და გაერთიანებები;

- რელიგიური ორგანიზაციები;

სხვადასხვა ფონდები;

- დაწესებულებები;

- ასოციაციები;

- კაეშირები.

ორგანიზაციებისა და წარმოებების სხვა სახელწოდებები გამოხატავენ მათ ეკონომიკურ მდგომარეობას ან ორგანიზაციული სტრუქტურების ჩამოყალიბების თავისებურებასა და შემოსავლის განაწილების წესს, ამასთან, არ წარმოადგენენ დამოუკიდებელ ერთეულებს. ასეთ ფორმებს მიეკუთვნება ქალიშვილი ('შვილეული') და დამოკიდებელი საზოგადოებები, მარტივი ამხანაგობები (ერთობლივად მოქმედნი) და ა.შ.

ამას გარდა, სოფლის მეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია დიდი რაოდენობით იწარმოება პირად დამხმარე მეურნეობებში, რომლებიც ასევე უნდა ჩავთვალოთ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმად ორგანიზაციისა, რომელიც აწარმოებს განსაკუთრებული სახის პროდუქციას. თუმცა მე-

წარმოულ საქმიანობასთან პირად დამხმარე მეურნეობას არავითარი საერთო არა აქვს, რადგან აქ არ ხორციელდება ძირითადი 4 მოთხოვნიდან 2, რაც აუცილებელია ასეთი საქმიანობისათვის ეს წარმოება მიზნად არ ისახავს სისტემატიური მოგების მიღებას (მიუხედავად იმისა, რომ იქ ზედმეტი პროდუქციის (ნამეტის) რეალიზაცია ხდება. პირადი დამხმარე მეურნეობის მიზანია ამ მეურნეობის მონაწილეთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება). გარდა ამისა, ასეთი მეურნეობები არ ექვემდებარებიან აუცილებელ რეგისტრაციას, როგორც მეწარმეები. ამიტომ სოფლის მეურნეობაში, მეწარმეობის დროს, პირადი დამხმარე მეურნეობა მხედველობაში არ მიიღება.

*მიწის იჯარა და მისი ფორმები.* არენდა და იჯარა სოფლის მეურნეობაში წარმოადგენს ყველაზე მეტად გავრცელებულ ორგანიზაციულ ფორმებს.

პრაქტიკაში ხშირად არენდასა და იჯარას სინონიმებად იყენებენ, მაშინ, როდესაც ეს ტერმინები სხვადასხვა დატვირთვის მატარებელია. ეკონომიკურ ლიტერატურაში ამ საკითხთან დაკავშირებით დისკუსია მიმდინარეობს. პროფ. გ. პაპავას განმარტებით:

იჯარა (подряд)-ეს არის მესაკუთრესა და ფუნქციონერს შორის გარიგება, როცა მესაკუთრე უფასო სარგებლობაში დროებით გადასცემს წარმოების საშუალებებს (შენობა-ნაგებობებს, მიწას და ა.შ.) ფუნქციონერს, იმიტომ, რომ იგი (მოიჯარე) შეასრულებს იჯარის გამცემის შეკვეთას. შედეგები იჯარის გამცემის საკუთრებაში გადადის, ხოლო ამ სამუშაოს შესრულებისათვის იჯარის გამცემი მოიჯარეს უხდის გასამრჯელოს (საფასურს). ხელშეკრულება, რომელიც ამგვარ საფუძველზე აფიქსირებს გარიგებას არის იჯარა.

არენდა (аренда) ეს არის მესაკუთრესა და ფუნქციონერს შორის სხვა ხასიათის (იჯარისაგან განსხვავებული) გარიგება. ამ შემთხვევაში მესაკუთრე ქონებრივი ქირით დროებით სარგებლობაში გადასცემს წარმოების საშუალებებს (შენობა-ნაგებობებს, მიწას და ა.შ.) ფუნქციონერს იმიტომ, რომ მან (მოარენდემ, არენდატორმა) ქირა გადაუხადოს

არენდის გამცემს, შედეგები აქ უკვე მოარენდეს საკუთრებაა და მისგან შემოსავალიც მას ეკუთვნის.

*საარენდო იჯარა* ხელშეკრულებით ითვალისწინებს არენდის გამო ქონებრივ ქირას, იჯარის გამო არენდის გამცემის შეკვეთის შესრულებას, რისთვისაც მოარენდე იღებს გასამრჯელოს. ამ დროს შესაძლოა შეკვეთის ზევით წარმოებული პროდუქცია ეკუთვნოდეს არა არენდის გამცემს, არამედ მოარენდეს (არენდატორს) და შემოსავალიც მას რჩებოდეს.

ისტორიული განვითარების პროცესში მიწის იჯარის ფორმებმა გარკვეული რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებები განიცადა. იჯარის ფეოდალური ფორმები თანდათანობით შეცვალა იჯარის თანამედროვე განვითარებულმა ფორმებმა.

ფეოდალიზმის დროს ფართოდ იყო გავრცელებული მიწის იჯარის მარტივი ფორმები, იჯარით აღებული მიწისათვის გლეხი საიჯარო ქირას მოსავლის ნაწილით იხდიდა.

საქართველოში XVIII ს. გავრცელებული იყო იჯარის დაბალგანვითარებული ფორმა მიწის ღალაზე გაცემა მოსავლის გარკვეული წილის გადახდით.

მოგვიანებით უკვე XIX ს. საქართველოში შემოდის ფულადი ურთიერთობები. ამ დროს ფულადი საიჯარო ქირის ოდენობა ერთ დესეტინაზე 0,5 - 15 მანეთის ფარგლებში იყო.

საქართველოს სოფლებში XIX ს. 40-იან წლებიდან გავრცელდა იჯარის ისეთი ფორმები, რომელიც ფულად რენტასთან ერთად შეიცავდა კაპიტალიზმისთვის დამახასიათებელ ნიშნებს. კერძოდ, მიწათმფლობელი მოწყდა თავის მიწას, მოიჯარე აღარ იყო უშუალოდ მწარმოებელი და მიწას ამუშავებდა დაქირავებული მუშახელის გამოყენებით ან აქირავებდა ეგრეთწოდებული "მეორადი იჯარის" სახით. ამ შემთხვევაში მოიჯარისათვის სოფლის მეურნეობა გამოდიოდა, როგორც კაპიტალის დაბანდებისა და მოგების მიღების სფერო.

სოციალისტურ ქვეყნებში მიწის იჯარით გაცემა აიკრძალა. მიწის იჯარა დაშეგებულ იქნა მხოლოდ 1985 წლიდან,

ისიც მხოლოდ თავისებური ფორმით ე. წ. *შიგასამეურნეო იჯარა*. როცა იჯარა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამეურნეობათაშორისო საწარმოების შიგნით არსებობდა საიჯარო ქვედანაყოფების საიჯარო ბრიგადების, ფერმების, რგოლების სახით. დაშვებულ იქნა აგრეთვე *საოჯახო იჯარაც*, მაგრამ იჯარის ამ ფორმებმა, განსაკუთრებით შიგასამეურნეო იჯარამ, სათანადო ეფექტი ვერ გამოიღო, რადგანაც ზღუდავდა მწარმოებლის ინიციატივას და ვერ უქმნიდა მას სათანადო დაინტერესებას. იგი არც იყო იჯარა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ვინაიდან მას აკლდა იჯარისათვის დამახასიათებელი ისეთი მთავარი ატრიბუტი, როგორიცაა: *საიჯარო ქირის არსებობა*, მიღებული პროდუქციის თავისუფალი *განკარგვის უფლება*, *თავისუფალი ფასები* და სხვ.

რამდენადაც დღეს ჩვენ არც მიწის ბაზარი და შესაბამისად არც მიწის საბაზრო ფასები არ გაგეაჩნია, ძალიან პრობლემატური ხდება საიჯარო ქირის სიდიდის (ისევე, როგორც მიწაზე გადასახადის) განსაზღვრის საკითხი.

საიჯარო ქირის სიდიდის ამოსავალი საფუძველი უნდა იყოს რენტა, რამდენადაც რენტა მიწაზე საკუთრების რეალიზაციის ეკონომიკური ფორმაა, ხოლო მიწაზე გადასახადი და საიჯარო ქირა რენტის კონკრეტული ფორმებია.

ხშირად მიწაზე გადასახადისა და საიჯარო ქირის განსაზღვრისას ამოლიან მიღებული მოგებიდან, რაც არასწორია. მოგება უფრო ფართე ცნებაა. იგი შეიცავს რენტას, ამასთან მოგება მრავალ სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორზე დამოკიდებული, რენტა მარტო ობიექტური ფაქტორის - მიწის ნაყოფიერების შედეგია. ამიტომ მიწაზე გადასახადის თუ საიჯარო ქირის მოგებით განსაზღვრული სიდიდე უფრო მაღალი იქნება, ვიდრე რენტა.

რადგანაც ჩვენში ჯერ-ჯერობით არ არსებობს მიწის ბაზარი, ამიტომ საიჯარო ქირის სიდიდის განსაზღვრისათვის სხვა გზები უნდა ვეძებოთ. ბუნებრივი იქნება ამ შემთხვევაში დავეყრდნეთ მიწის *საკადასტრო, ეკონომიკური შეფასების* მონაცემებს.

სოფლის მეურნეობაში მიწის ნაყოფიერებით და უკეთესი მდებარეობით მიღებულ ეფექტს რენტა გამოხატავს, რაც ასახავს კპოვებს დამატებით მიღებულ წმინდა შემოსავალში და დამატებით მიღებულ მოგებაში. ამიტომ მხოლოდ ის შეიძლება გახდეს როგორც მიწის ეკონომიკური შეფასების, ისე საიჯარო ქირისა და მიწაზე გადასახადის სიდიდის განსაზღვრის რეალური საფუძველი.

ძირითადი სიძნელე დღეისათვის, სხვადასხვა ფორმის ორგანიზაციის დროს, მდგომარეობს საკანონმდებლო ბაზის რეგულირების არასაკმარისობაში. მეტ-ნაკლებად დამუშავებულია და ფუნქციონირებს სააქციო საზოგადოება, შესწავლული პასუხისმგებლობის საზოგადოება და საწარმოო კოოპერატივები.

სხვადასხვა ფორმის საწარმოების კაპიტალის დახასიათებისათვის, მათი რეგისტრაციის დროს მიღებულია შემდეგი ტერმინები:

- სააქციო საზოგადოებისა და შესწავლული პასუხისმგებლობის ორგანიზაციისათვის - საწესდებო კაპიტალი;
- ამხანაგობისათვის - საწყისი კაპიტალი;
- სამრეწველო კოოპერატივებისათვის - საპაიო ფონდი;
- უნიტარული წარმოებისათვის - საწესდებო ფონდი.

საერთოდ კი, ყოველი მათგანი არის საწესდებო კაპიტალი, რომელიც სხვადასხვა ასპექტით სხვადასხვაგვარად განიმარტება, მაგ:

საბუღალტრო აღრიცხვის მიხედვით, საწესდებო კაპიტალი არის (სააქციო საზოგადოების შემთხვევაში) აქციათა ღირებულება ან სხვადასხვა ფორმის შენატანები დამაარსებელი ორგანიზაციის მიერ;

სამართლებრივი ხაზით საწესდებო კაპიტალი არის საწარმოს ქონების ღირებულების შეფასება, რომლის ფარგლებშიც საზოგადოება პასუხისმგებელია კრედიტორების წინაშე;

არსებობს კიდევ ეკონომიკური ხასიათის განმარტება, რომლის მიხედვით საწესდებო კაპიტალი არის მატერიალური და ფულადი მინიმალური რესურსი, რომელიც აუცილებელია

პირველი საწარმოო ციკლის ფინანსური და მატერიალური უზრუნველყოფისათვის, ე.ი. საწესდებო კაპიტალის თანხა არ უნდა იყოს ძირითადი და საბრუნავე საშუალებების ღირებულებაზე ნაკლები.

ამრიგად, საწარმოს შექმნამდე, თუ კარგად გავიაზრებთ პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკურ მონაცემებს საწესდებო ფონდის განსაზღვრა ძალიან ადვილი გახდება. სწორედ ასეთი განსაზღვრა უნდა დაედოს საფუძვლად ბიზნეს-გეგმის შედგენას და ეს უნდა იქნეს ამოსავალი წერტილი წარმოების შესაქმნელად, ე.ი. საჭიროა განისაზღვროს ძირითად საშუალებათა ის მინიმუმი, რომელიც აუცილებელია საწარმოო პროცესის ყველა სტადიის ნორმალური ფუნქციონირებისათვის. ასევე მატერიალურ-საწარმოო მარაგების მინიმალური რაოდენობა, რომლებიც დაჭირდება წარმოებას.

ამისათვის არსებობს სხვადასხვა ალტერნატივა, მაგალითად, თუ გეჭირდება ძირითადი საშუალებები, შეიძლება მათი ყიდვა ან არენდით შექმნა. თუ გვინდა არენდით შევიძინოთ ძირითადი საშუალებები, და არ ვიცით საარენდო ფასი, ეს შეიძლება შემოვლითი გზით, მიახლოებით გამოვიანგარიშოთ (მაგალითად, თუ გეჭირდება ტრაქტორი, არის სპეციალური ცნობარები მათი ამორტიზაციის შესახებ). რა ხნითაც გეჭირდება ტრაქტორი, მიახლოებით გამოვიანგარიშებთ მისი დაჭირავების ფასს. ამის შემდეგ საჭიროა განისაზღვროს ნორმირებული საბრუნავე საშუალებების მოცულობა (ზოგჯერ ამ ტერმინს არ ხმარობენ, თვლიან, რომ ეს ტერმინი გეგმური ეკონომიკის კუთვნილებაა, მაგრამ ამის გამოთვლა და დადგენა ყოველთვის საჭიროა). საწესდებო კაპიტალის დადგენისათვის ამ მონაცემების გამოანგარიშება აუცილებელია.

იმის გამო, რომ სოფლის მეურნეობაში საწარმოო ციკლი ხანგრძლივი პერიოდით განისაზღვრება (ერთ ციკლს რამდენიმე თვე სჭირდება), რაც მოითხოვს არა მარტო საბრუნავე საშუალებების დიდ მოცულობას, არამედ დაბალ დანახარჯებს, რაც საშუალებას გვაძლევს ერთი მხრივ, უფრო ეფექტურად და მრავალკარიანტულად დაეგვიმოს ფინანსური

ნაკადი და მეორე მხრივ - ფართოდ გამოვიყენოთ ეს სახსრები.

### 3.4 სამეურნეო კავშირები აგრობიზნესში

სასოფლო-სამეურნეო საწარმოს, მიუხედავად ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა, არ შეუძლია მეწარმული საქმიანობის განხორციელება დამოუკიდებლად ანუ კონტაქტებისა და კავშირების გარეშე. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს წერილი სასაქონლო წარმოება, რომლის მიზანს არ წარმოადგენს წარმოების გაფართოება და მოგების მიღება, თუმცა ასეთი საწარმო არც ითვლება საწარმოდ.

რაც შეეხება იმ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, რომლებიც აწარმოებენ სასაქონლო პროდუქციას, მათ სჭირდებათ სხვადასხვა სახის ეკონომიკური და სამეურნეო კავშირები. ყველა სახის კავშირები შეიძლება ორ ჯგუფად დავეყოთ:

სამეურნეობათშორისო კავშირი ეს კავშირი ყალიბდება აგროსამრეწველო კომპლექსის ფარგლებში, რომელიც განპირობებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ორგანიზაციით და რეალიზაციით.

შიგადარგობრივი კავშირი - ეს კავშირი სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვადასხვა სუბიექტებს შორის ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას.

აქ ჩვენ შევეხებით აგრობიზნესის შიგადარგობრივ, ეკონომიკურ და სამეურნეო კავშირებს.

წარმოების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით საჭიროა ხარჯების შემცირება სოფლის მეურნეობაში (და არა მარტო იქ). ძირითადი დანახარჯები მოდის საწარმოს მართვის ორგანიზაციაზე, მაშასადამე, ორგანიზაციის მართვის სრულყოფით არსებითად შეიძლება დანახარჯების შემცირება, რაც დადებითად იმოქმედებს პროდუქციის თვითღირებულებაზე.

ახლო წარსულში, დარგის ფარგლებში ყველაზე უფრო ეფექტურად ითვლებოდა წარმოების ორგანიზაციის შემდეგი ფორმები:

**კონცენტრაცია** წარმოების თავმოყრა უფრო მსხვილ საწარმოებში. კონცენტრაცია გულისხმობს ისეთი წარმოებების თავმოყრას, რომლებიც აწარმოებენ ანალოგიური კონსტრუქციულ-ტექნოლოგიური ნიშნის ნაწარმს, ან ნახევარფაბრიკატებს, ან ერთი სახის ნედლეულიდან რამდენიმე სახის ნაწარმს. კონცენტრაცია საშუალებას იძლევა მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევები, ანუ გამოყენებული იქნეს მაღალეფექტური მოწყობილობები და ტექნოლოგია. სოფლის მეურნეობაში წარმოებების კონცენტრაციის საშუალება მეტად შეზღუდულია ობიექტური მიზეზების გამო. მემცენარეობაში კონცენტრაცია შეუძლებელია, რადგან შეუძლებელია წარმოების ძირითადი საშუალებების ტერიტორიული კონცენტრაცია - ე.ი. მიწის კონცენტრაცია.

რაც შეეხება გადამამუშავებელი წარმოებების კონცენტრაციას, ამან კი შეიძლება გაამართლოს, მაგრამ იქ მნიშვნელოვანია ტრანსპორტის საკითხი. ამასთან, მხედველობაშია მისაღები ის, რომ წარმოების მოცულობის გადიდებასთან ერთად გაიზრდება დანახარჯები საწარმომდე ნედლეულის მისაზიდად და მზა პროდუქციის მომხმარებლამდე მიტანაზე. სამაგიეროდ შემცირდება დანახარჯები თვითღირებულებაზე.

წარმოების **სპეციალიზაციის** ძირითადი ფორმებია: **საგნობრივი** და **დეტალური სპეციალიზაცია**.

**საგნობრივი სპეციალიზაცია** - ნიშნავს, რომ საწარმოში მზადდება მხოლოდ ერთნაირი დანიშნულებისა და კონსტრუქციული თვისებების პროდუქცია. ყველაზე მეტად ეს გავრცელებულია მანქანათმშენებლობაში, მაგალითად, ასკ-ის ფარგლებში ქუთაისის (სასოფლო-სამეურნეო მცირე გაბარიტიანი) ტრაქტორების მანქანათმშენებლობა. სოფლის მეურნეობაშიც არის დიდი რეზერვები საგნობრივი სპეციალიზაციის განსახორციელებლად. "კონცენტრაციისაგან" განსხვავებით



საგნობრივი სპეციალიზაციისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო სავარგულის ტერიტორიალურ ფაქტორს, როდესაც სავარგულები ერთნაირ ბუნებრივ-კლიმატურ და ნიადაგობრივ პირობებშია განლაგებული. ცხადია, იქ ერთი და იგივე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი იწარმოება (მაგალითად, მევენახეობის, მეჩაიეობის რაიონები), ეს საშუალებას აძლევს მეწარმეს ორიენტაცია აიღოს ერთ სასოფლო-სამეურნეო კულტურაზე (მაგ. მარტინ ბაუერის ჩაის გაერთიანება). ამ ასპექტის დადებითი მხარე ის არის, რომ იქმნება საწარმოს მატერიალურ-ტექნიკური სათადარიგო ნაწილებით და სხვა საჭირო საშუალებებით მომარაგებისა და მიღებული მზა პროდუქციის ეფექტურად რეალიზაციის შესაძლებლობა (აქ საგულისხმოა მომიჯნავე რგოლის, ვაჭრობის და გასაღების სპეციალიზაცია). მეწარმე დაინტერესებულია იმით, რომ ერთ გეოგრაფიულ ადგილზე ორიენტაცია ერთი სახის პროდუქციის წარმოებაზე გაამახვილოს, რაც მისთვის მომგებიანი იქნება. გასაგებია, რომ წარმოების ასეთი სპეციალიზაციის პირობებში საჭირო გახდება სოფლის საქონელმწარმოებლების ახალი ფორმის გაერთიანებების შექმნა, რომელთაგან, მოცემულ შემთხვევაში, ყველაზე ნიშანდობლივია - სინდიკატი.

*დეტალური სპეციალიზაცია* გულისხმობს, რომ საწარმო უშვებს ერთგვაროვან დეტალებსა და კვანძებს. დეტალობრივი სპეციალიზაციის განვითარების პირობებში საწარმოში მცირდება სხვადასხვა სახის ოპერაციები, რაც შესაძლებელს ხდის მაღალმწარმოებლური ტექნიკის გამოყენებას ((აქედან გაიაფება) და წარმოების მართვის გამარტივებას. სოფლის მეურნეობაში დეტალობრივი სპეციალიზაციის გამოყენება, მისი სპეციფიკური ტექნოლოგიის გამო, გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. დეტალობრივი სპეციალიზაციის ერთ-ერთი სახე, რომელიც შესაძლოა პერსპექტიული აღმოჩნდეს, არის მისი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკითა და ასევე საწვავ-საცხები საშუალებებით მომარაგების ცალკე ჯამოყოფა, როგორც იყო მსს-ები. შესაძლებელია კიდევ სპეციალიზებული საწარმოს შექმნა მეთესლეობაში. ასევე შეიძლება ცალკე საინფორმაციო სამსახურის ჩამოყალიბება.

სპეციალიზაციის განვითარება (ეს იქნება საგნობრივი თუ დეტალობრივი). გულისხმობს სხვადასხვა ტექნოლოგიური პროცესების უნიფიკაციასა და სტანდარტიზაციის განვითარებას.

*კოოპერირება* ითვალისწინებს რეგულარულ სამეურნეო და საწარმოო კავშირებს სპეციალიზირებულ საწარმოებს შორის. აგროსამრეწველო კომპლექსი სწორედ გამიზნულია სახელმწიფო მასშტაბით კოოპერირებისაკენ. ამ დროს კოოპერირების პროცესში ჩართული არიან არა მარტო საწარმოები, არამედ მთელი დარგები, მათი სამეცნიერო პოტენციალით, ახალი დანადგარების დანერგვით, საწარმოო ბაზის და მრავალი სხვა წარმოების განვითარებით. ეს კი საჭიროებს სხვადასხვა სამინისტროებისა და უწყებების მოქმედების კოორდინაციის აუცილებლობას, რაც თავის მხრივ ამცირებს ცალკეული საწარმოების სამეურნეო დამოკიდებულებას. ე.ი. საბაზრო ეკონომიკის დროს ქვეყნის მასშტაბით კოოპერირება დაკავშირებულია სამართლებრივი და ეკონომიკური ხასიათის პრობლემებთან. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი მასშტაბით კოოპერირების პოზიტიურ მხარეს ახლავს დანახარჯებიც, როგორც არის, მაგალითად: მმართველი აპარატის საშტატო ერთეულების გაზრდა, რამაც შეიძლება ზოგჯერ გადაფაროს კოოპერირებით მიღებული ეფექტი, ანდა ზოგჯერ არასწორმა ეკონომიკურმა გადაწყვეტილებებმა შეიძლება მთელი რიგი საწარმოები დაახარალოს.

რაც შეეხება კოოპერირებას უფრო დაბალ დონეზე, როგორც არის შიგადარგობრივი ან შიგასამეურნეო, თვითონ კოოპერირების ცნება და მისი ეფექტური ორგანიზაცია წარმოადგენს სპეციალიზაციის პირდაპირ შედეგს.

წარმოების ორგანიზაციის შემდეგი ფორმა რომელსაც შეიძლება ტრადიციული ვუწოდოთ, რამდენადაც წარმატებით ხორციელდებოდა მთელი 70 წლის მანძილზე - არის *კომბინირებული ფორმა*. ეს ფორმა გულისხმობს ერთ რომელიმე სამეურნეო ერთეულში რამდენიმე სახის ტექნოლოგიური პროცესის გაერთიანებას, რომელსაც ერთმანეთთან აკავშირებს ან ერთი სახის ნედლეულის დამუშავება ან მსგავსი

სასოფლო-სამეურნეო მზა პროდუქცია. აქ შეიძლება დაეახასიათოთ რამდენიმე მიმართულება:

- *ნედლეულის დამუშავება მზა პროდუქციამდე* - ეს მიმართულება უფრო დინამიურია და წარმატებით ხორციელდება მეცხოველეობაში. მაგალითად, პირუტყვის მოშენება ხდება საკეები პროდუქტების საწარმოებლად (ეს იქნება სახორცე თუ სარძევე პირუტყვი), პროდუქტების დაფასობით და მომხმარებელამდე მიტანით. ზოგიერთ მეურნეობაში კომბინირების საქმეში კიდევ უფრო შორს მიდიან, რთავენ რა საწარმოო პროცესში მზა პროდუქციის წარმოების ყველა ეტაპს - მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო კულტურის (მარცვლეულის) მოყვანა, ცხოველების გამოკვება, მიღებული ხორცის ან რძის პროდუქტების გადამუშავება და ბოლოს რეალიზაცია საკუთარი სავაჭრო წერტების მეშვეობით. საბაზრო ეკონომიკის პირობებში *კომბინირების* ასეთი ფორმა წარმოდგენილია *კონცერნების* სახით.

- *ნედლეულის კომპლექსური გადამუშავება* ეს არის კომბინირების მეორე ფორმა, ერთი სახის ნედლეულიდან რამდენიმე პროდუქტის ან ნახევარფაბრიკატის დამზადება. ამ განმარტებიდან ჩანს, რომ კომბინირების ეს ფორმა შეიძლება შემოიფარგლოს ერთი გადამამუშავებელი კომბინატით. აქ კომბინატის მცნებაში იგულისხმება, რომ ერთ რომელიმე წარმოებაში მოქმედებს განსხვავებული ტექნოლოგიური ხაზები, რომელიც ერთი და იმავე ნედლეულის დამუშავების სხვადასხვა პროცესს უზრუნველყოფს. ეს ფორმაც მეტად აქტიურად ვითარდება, მაგრამ ამას აქვს უფრო რაოდენობრივი, ვიდრე ხარისხობრივი მიმართულება. მართალია, ბოლო პერიოდში მზა პროდუქციის დასახელება (ასორტიმენტი) გაიზარდა (ხორცის ან რძის ნაწარმის), მაგრამ კომბინირების ტექნოლოგიური სქემა დარჩა ძველი, რომელიც ფუნქციონირებდა საბაზრო ეკონომიკამდე. უშუალოდ სოფლის მეურნეობაში (მემცენარეობაში ან მეცხოველეობაში) კომბინირებული ფორმა ვერ ხორციელდება.

- *წარმოების ნარჩენების გადამუშავებით სხვა სახის პროდუქციის მიღება* სოფლის მეურნეობაში ეს ფორმა

მრეწველობისაგან განსხვავებულია. საქმე ის არის, რომ სოფლის მეურნეობაში ნარჩენები თითქმის არ არის. ყველაზე მარტივი მაგალითია: ბზა, როგორც ცნობილია, მემცენარეობის ნარჩენია, მაგრამ ის არ ფუჭდება და გამოიყენება მეცხოველეობაში. მაგალითად, ჩაის ბუჩქის ანასხლავი მასალა რჩება რიგთშორისებში და გამოიყენება როგორც მულჩი. ასე, რომ კომბინირების ეს მიმართულება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნაწილია და არ სჭირდება შემდგომი განვითარება.

კოოპერირება, რომელიც აგროსამრეწველო კომპლექსში სამთავრობო დონეზე ხორციელდება, მიუღებელია აგრარული სექტორისათვის. დანარჩენი ფორმები შეიძლება უფრო წარმატებით განვითარდეს. ყველაზე სწრაფი ეფექტი ერთი ორგანიზაციის ფარგლებში შეიძლება მოგვეცეს კომბინირებულმა ფორმამ. ამ დროს გადამუშავებას ექვემდებარება ერთი სახის საქონელი და მიიღება რამდენიმე სახის მზა პროდუქცია. ასეთი სახის მიმართულებისათვის საჭირო იქნება საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლა ან რაიმე კავშირის, ასოციაციის ან მსგავსი გაერთიანების შექმნა, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით. ბოლო დროს, თითქმის ყველა სფეროში შეინიშნება დასავლეთისათვის მიბაძვის ტენდენცია, რასაც ვერც აგრარული სექტორი ასცდა. საჭირო კი იყო მიგვექცია ყურადღება ტრადიციული, ჩვენს ქვეყანაში აპრობირებული სამეურნეო ფორმებისათვის.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში საწარმოო ძალების ცალკეული ერთეულების გაერთიანება ორი ძირითადი მიმართულებით ხორციელდება, ესაა: *კორპორაციული და ვერტიკალური ინტეგრაცია*. ამათგან პირველი ითვლება შედარებით პრიმიტიულ ფორმად, რომელიც დამახასიათებელია ბაზრის ფორმირების ადრეული სტადიისათვის. მიუხედავად ამისა, მრეწველობის ყველა დარგში ორივე ფორმა წარმატებით გამოიყენება, ასევე სოფლის მეურნეობაშიც.

გაერთიანების პირველი და ყველაზე მარტივი ფორმა — *კარტელია*, რომელიც იქმნება ერთი დარგის რამდენიმე საწარმოს გაერთიანებით. იღება ხელშეკრულება ფასების,

გასაღების ბაზრების, ქვოტის (ყოველი მონაწილის წილი წარმოების საერთო მოცულობაში) შესახებ და ა.შ. საქართველოს კანონმდებლობით ამ ფორმას შეესაბამება ასოციაცია ან კავშირი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არც კავშირი და არც ასოციაცია არ წარმოადგენს მეწარმეობის სუბიექტს. ეს იმას ნიშნავს, რომ თვით გაერთიანებას არ შეუძლია მიზნად დაისახოს სისტემატიური მოგების მიღება, რაც მეწარმეობის ერთ-ერთი ნიშანია. ბოლო დროს, მას შემდეგ, რაც ჩვენში საბაზრო ეკონომიკა იკიდებს ფეხს, გაჩნდა გლეხური (ფერმერული) მეურნეობები და კიდევ უფრო ფართოდ გაერცვლდა მსხვილი სამეურნეო ერთეულები სასოფლო-სამეურნეო ასოციაციები, რომლებსაც დასავლური კარტელისაგან განსხვავებით უფრო დიდი მიზნები აქვთ, რითაც ისინი უახლოვდებიან კაპიტალისა და შრომის ისეთი ფორმის გაერთიანებულ სახესხეობას, როგორცაა - სინდიკატები და ტრესტები.

**სინდიკატი** - მეურნეობის ეს ფორმა კარტელსა და ტრესტს შორის მდებარეობს. სინდიკატში გაერთიანებული საწარმოები ინარჩუნებენ თავიანთ იურიდიულ და ეკონომიკურ საფუძველს (ქონებას), იქ შემავალი სუბიექტები თავიანთ კომერციულ საქმიანობას აერთიანებენ პროდუქციის გასაღების მიზნით, გაერთიანებული კანტორების დაარსებით.

ეს ფორმა ახალი არ არის, საბჭოთა კავშირში 20-იან წლებში ამ ფორმას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ქვეყნის ეკონომიკაში, მაშინ, როდესაც გერმანიაში კარტელი, ხოლო აშშ-ში ტრესტები უფრო პოპულარული იყო. ასევე სინდიკატები აღმოცენდნენ ნეპის პერიოდში. სინდიკატების მიზანია საქონელმწარმოებლისაგან პროდუქციის შესყიდვა და შემდეგ მისი რეალიზაცია, რასაც სადღეისოდ განვითარების დიდი შანსი და პერსპექტივა აქვს.

თანამედროვე პირობებში ფართო გაერცვლება კოოპერატორება **კონტრაქტაციამ** - ხელშეკრულებამ, რომლის თანახმადაც სოფლის საქონელმწარმოებელი ვალდებულია პროდუქცია მიჰყიდოს კონკრეტულ დამამზადებელ ორგანიზაციას მყარ ფასებად (ამ საქმის უარყოფით მხარეს წარმოადგენს ის, რომ ხელშეკრულება შეუძლებელს ხდის სხვა მწარმოებლის ინტე-

რესის გათვალისწინებას და საშუალებას აძლევს დამამზადებელ ორგანიზაციას (ან ფიზიკურ პირს) მნიშვნელოვნად დასწიოს ფასი; ამას გარდა არ იძლევა ეფექტური დაგეგმვის საშუალებას, დამამზადებელი პროდუქციის სტრუქტურისა და მოცულობის ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი პერსპექტივისათვის. მაგრამ მაინც, თანამედროვე მეურნეობათშორისი კავშირების განვითარებისათვის საქონელმწარმოებლის გაერთიანება სინდიკატის პრინციპზე უფრო მეტად არის შესაძლებელი).

დასავლეთში არსებულ სინდიკატურ ფორმას ჩვენში განვითარებული "ამხანაგობა" უფრო მიესადაგება, რომლის თანახმადაც ამხანაგობის ერთ-ერთ წევრს შეიძლება ევალებოდეს პროდუქციის რეალიზაცია, სხვებს კი პროდუქცია სარეალიზაციოდ გადაეცეს გაყიდვის შემდეგ ფასის გადახდით.

**ტრესტი** - მრეწველობის მონოპოლიის უმაღლესი ფორმაა, რომელიც აერთიანებს წარმოებას, გასაღებასა და ფინანსებს. ამის გამო ზოგიერთი სამეურნეო სუბიექტი ფაქტიურად კარგავს ეკონომიკურ და იურიდიულ დამოუკიდებლობას. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მსხვილი კომპანიების მიერ წერილი საქონელმწარმოებლის შთანთქმასთან. ტრესტის შექმნის მიზანია რომელიმე სახის პროდუქციის წარმოების მონოპოლიზაცია იმ მიზნით, რომ დააწესოს მაღალი ფასი და შეამციროს დანახარჯები მართვას, რეალიზაციაზე, რეკლამაზე და ა.შ. გასული საუკუნის დასაწყისში მეურნეობრიობის ასეთი ფორმა ფართოდ იყო გავრცელებული აშშ-ში. ამ ფორმას განვითარების პერსპექტივა არა აქვს ანტიმონოპოლიური კანონის გამო.

ბოლო დროს ფართო განვითარება ჰპოვა *ვერტიკალურმა ინტეგრაციამ* (ანუ კომბინირებულობა). ამ ფორმის მნიშვნელობაზე ზევით უკვე ითქვა, აქ ჩვენ დავასახელებთ მხოლოდ ორი სახის ვერტიკალური ფორმის ინტეგრაციას, რომელიც მოქმედებს საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ეს არის *კონცერნი* და *კონგლომერატი*. მაგრამ სანამ განვიხილავდეთ კონცერნს და კონგლომერატს, გავეცნოთ კიდევ ერთ ტერმინს - *კაპიტალის დივერსიფიკაციას* - ეს არის შემთხვევა,

როდესაც კორპორაციის კაპიტალი შეადწევს ისეთ დარგში, რომელიც მისი საქმიანობის ძირითად სფეროსთან არ არის დაკავშირებული. პირველ ყოვლისა, ჯერ დაიპყრობს მომზად ნაწარმს ან მის ტექნოლოგიასთან ახლო მდგომ დარგს და შემდეგ კი დივერსიფიკაციას გაავრცელებს უფრო შორს, სხვა დარგებში.

*კონცერნი* მსხვილი მრავალდარგოვანი კორპორაციაა, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა დარგის თანამიმდევრულ, ურთიერთდაკავშირებულ წარმოებებს. შეიძლება კონცერნის ცნება დაუპირისპიროთ კომბინატს, რომელიც ზევით დასახელებული სამი შემადგენლიდან მიმართულია ნედლეულის თანამიმდევრულ გადამამუშავებასა და მზა პროდუქციის მიღებისაკენ.

ვერტიკალური ინტეგრაციის მეორე ფორმა *კონგლომერატია* სხვადასხვა დარგის საწარმოების გაერთიანება, რომელთა შორის არ არსებობს არავითარი საწარმოო ან ფუნქციონალური კავშირი. ასეთი გაერთიანების მთავარი მიზანი არის დამატებითი მოგების მიღება გაერთიანებული საწარმოების აქციების თამაშის ხარჯზე ან ბაზარზე ფასების დროებითი მოთხოვნა-მიწოდების ბალანსის დარღვევის გამო. ამიტომ, კონგლომერატები დიდხანს ვერ არსებობენ და იშლებიან ან ტრანსფორმირდებიან სხვა ფორმებად.

კონგლომერატი ეკონომიკურად არა მდგრადია (რაც მისი დამაარსებლების პრობლემაა). კონგლომერატის ხელმძღვანელობა დაინტერესებულია იმ დარგის განვითარებით, რომელმაც პერსპექტივაში მაქსიმალური ეფექტი უნდა მისცეს, რისთვისაც რიგ დანარჩენ საწარმოებს საფრთხე ექმნებათ, თვით წარმოების შეწყვეტამდე. ამრიგად შესაძლებელია კაპიტალის გადაადინება უშუალოდ კონგლომერატის ფარგლებში, რის შედეგადაც ზოგიერთი ყოფილი დამოუკიდებელი საწარმო ან ილუპება, ან რეორგანიზაციას ექვემდებარება.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები სოფლის მეურნეობაში მრავალგვარია, მათგან ზოგიერთი პერსპექტიულია, ზოგიერთი კი არა. ამიტომ საჭიროა სასოფლო-სამეურნეო წარმოების უფრო ეფექტური ორგანიზაციული ფორმის შემდგომი ძიება.

## თავი მეოთხე წარმოების ფაქტორთა ბაზარი სოფლის მეურნეობაში

### 4.1 მიწის რესურსები და მათი ეფექტურად გამოყენება საბაზრო ეკონომიკის პირობებში

საბაზრო ეკონომიკის დროს საზოგადოებრივი წარმოების ძირითადი ფაქტორებია: შრომა (შრომითი რესურსები), მიწა (ბუნებრივი რესურსები), კაპიტალი, სამეწარმეო უნარი, სახელმწიფოს ეკონომიკური როლი. სამამულო ეკონომიკურ ლიტერატურაში "კაპიტალი" ასოცირდება ფულად საშუალებებთან, რომელიც არის ძირითადი წყარო მატერიალურ-ტექნიკური რესურსებისა და საბრუნავი საშუალებების შესაძენად. წარმოების მესამე ფაქტორად უმჯობესია გამოვიყენოთ ტერმინი "მატერიალურ-ტექნიკური რესურსები".

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითადი სპეციფიკური ფაქტორია მიწა. (ის შედის ბუნებრივ რესურსებში). საერთოდ მიწა, კაცობრიობის არსებობის ძირითადი ატრიბუტი, ხოლო სოფლის მეურნეობაში შრომის საგანია.

სოფლის მეურნეობაში მიწის ცნებაში იგულისხმება მისი ზედა ნაყოფიერი ფენა - *ნიადაგი*, რომელიც უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო კულტურების ზრდა-განვითარებას. ნიადაგის ხარისხს განსაზღვრავს ის მოსავალი, რომელსაც ის იძლევა და რაზედაც დამოკიდებულია დიფერენცული რენტა II, საბოლოოდ კი სასოფლო-სამეურნეო წარმოების რენტაბულობა.



*მიწის, როგორც შრომის საგნის* ძირითადი თავისებურება განსხვავდება სხვა სახის შრომის საგნისაგან.

მიწის მთავარი მახასიათებლებია:

მეუნაცველებლობა, განფენილობა, განსაზღვრულობა, მოუძველებლობა, გადაუტანლობა, გაუჭიმეადობა და სხვა. წარმოების ყველა სხვა საშუალება ადამიანის ადრინდელი შრომის შედეგია, მიწა კი, უპირველეს ყოვლისა, ბუნების წარმონაქმნია და არსებობს ობიექტურ რეალობაში ადამიანის ნების გარეშე.

საწარმოო ძალების განვითარების პროცესში წარმოების საშუალებები იზრდება ან მცირდება, უმჯობესდება ან ცუდება, საერთოდ სახეს იცვლის. მიწა კი, როგორც ბუნებრივ-ისტორიული ფიზიკური სხეული, არც იცვლება და არც შენაცვლებადია.

მიწას ჭიმეადობა არ ახასიათებს, ყოველ გეოგრაფიულ ადგილსამყოფელზე მიწის ფიზიკური რაოდენობა ფიქსირებულია "სამუდამოდ". სოფლის მეურნეობაში გამოყენებისას ის არც ფიზიკურად გარდაიქმნება, არც ისკობა და არც იღვევა. მისი მატერიალური მოხმარება არ ამცირებს ნიადაგის ნაყოფიერებას, პირიქით, რაციონალურად ორგანიზებული მეურნეობის პირობებში მისი ნაყოფიერება იზრდება კიდევ. ამიტომ, სოფლის მეურნეობის განვითარების გზა - ეს არის მიწის რაც შეიძლება უკეთ დამუშავება და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია.

მიწა, პრაქტიკული საწარმოო თვალსაზრისით, უძრავი და გადაუნახავია. მისი დამალვა, სადმე გადატანა არ შეიძლება, ის ყველასათვის დასანახავი და ხელშესახებია. ამით განსხვავდება ის სხვა ქონებისაგან წარმოების საშუალებები-საგან.

*მიწა, როგორც წარმოების საშუალება*, გამოიყენება არა მარტო სოფლის მეურნეობაში, არამედ მრეწველობის, ტრანსპორტის, კომუნალური მეურნეობის და საერთოდ, ადამიანის მატერიალური ცხოვრების ყველა სფეროს საჭიროებისათვის. მაგრამ მისი როლი სოფლის მეურნეობაში განსაკუთრებული და განსხვავებულია. მიწის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი თვისება ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის კონ-

(კონტრაციას და სპეკულიზაციას, სოფლის მეურნეობა საჭიროებს მეცნიერული მიწათმოქმედების სისტემას, როგორც საწარმოო საშუალების გაუმჯობესების ფორმას.

ამჟამად, ჩვენი პლანეტის ხმელეთის მხოლოდ 10%-ია გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის, ანუ 15 მილ.კვ.კმ. აქედან 10% გამოყენებულია სახნავედ, 17% საძოვრად და სათიბად, 23% ტყეებს უკავია, 8% დასახლებული პუნქტებია (ე.ი. ვერ გამოიყენება აგრარული მიზნებისათვის), 42% ისეთი მიწებია, რომლის ათვისება სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის არ ხერხდება სითბოსა ან ნალექების უკმარისობის გამო.

ამიტომ საჭიროა მიწების ზუსტი აღრიცხვა, რომ შესაძლებელი იყოს მისი ეფექტურად გამოყენება. საქართველოში ამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სამუშაოს შესრულება ეკისრება მიწის მართვის დეპარტამენტს, რომელსაც ეკავება ჩაატაროს მიწის კადასტრი, საქართველოს სახელმწიფო კადასტრის შესაბამისად.

საქართველო მთიანი ქვეყანაა (მთიან ადგილებად ითვლება ის ტერიტორია, რომელიც ზღვის დონიდან 1000 მ. ზევითაა).

ბარის ზონას, საქართველოს ტერიტორიის 46% უკავია, სადაც თავმოყრილია მთელი მოსახლეობის 85%-ზე მეტი. იქ არის განლაგებული მრეწველობა, ტრანსპორტი, და რაც მთავარია, სამიწათმოქმედო ფართობები. მისი მთლიანი ტერიტორია 69,4 ათასი კვ.კმ-ია, რაც შეიძლება 3 ნაწილად დაეყოთ, აქედან:

1. სამიწათმოქმედო ტერიტორია - 15,8%-ია;
2. ბუნებრივ-სამეურნეო ფართობები (ტყე, სათიბ-საძოვარი და ა.შ.)-70%;
3. სოფლის მეურნეობაში გამოუყენებელი ფართობები 13,6%.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო საეარგულები საკუთრების ფორმის მიხედვით ორ ჯგუფად იყოფა:

მიწები, რომლებიც იმყოფება კოლექტიურ-წილობრივ, კოოპერატიულ და კერძო საკუთრებაში, და

- მიწები, სახელმწიფო და მუნიციპალურ (სახაზინო) საკუთრებაში.

მიწებს განასხეავენ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მასშტაბების მიხედვითაც:

საერთო მიწის ფართობი ტერიტორია, რომელიც მიმაგრებულია სასოფლო-სამეურნეო საწარმოზე.

- სასოფლო-სამეურნეო სავარგული საერთო მიწის ფართობის ნაწილი, გამოყენებული უშუალოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საწარმოებლად.

სხვადასხვა სტრუქტურისა და მწარმოებლურობის მიწის ნაკვეთების ერთმანეთთან შესადარებლად იყენებენ "პირობითი ხნული" მეთოდს, რომელიც იანგარიშება სათიბ-საძოვარზე აღებული თივის ან მწვანე მასის მოსაელიანობის შეფარდებით ხნულზე მოსულ თივის ან მწვანე მასის მოსაყალთან.

მიწის ეკონომიკური ეფექტიანობის შესაფასებლად იყენებენ შემდეგ მონაცემებს:

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსაელიანობას;

- მთლიანი პროდუქციის ღირებულებას, რომელსაც ანგარიშობენ ფორმულით:

$$A = B + C$$

სადაც A - მთლიანი პროდუქციის ღირებულება;

B სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსაელიანობა;

C კადასტრული ფასი (განსაზღვრული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისათვის).

კადასტრულ ფასს ანგარიშობენ:

$$C = O \times D$$

სადაც - O - თვითღირებულებაა კონკრეტული პროდუქციის (ლარი/ცენტნერი);

D - ზედმეტი ღირებულება (ლარი/ცენტნერი).

მთლიან შემოსავალს, წმინდა შემოსავალს და მოგებას საზღვრავენ 1 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულის მიმართ.

მიწის რესურსებზე დანახარჯების ამოგებას საზღვრავენ ფორმულით:

$$A = B + C$$

- სადაც A - მიწის რესურსებზე დანახარჯების ამონაგებია;  
B - მატერიალური დანახარჯები 1 ჰექტარზე;  
C - მთლიანი პროდუქციის კადასტრული ფასი.

*მიწის რესურსები და ეკოლოგია.* მიწის რესურსების ეკოლოგიური პრობლემები, საქართველოში მიმდინარე კრიზისის პირობებში, განსაკუთრებით მწვავე ხასიათს ატარებს. ამასთან, მხედველობაშია მისაღები საქართველოს მცირემიწიანობა და ნიადაგის ნაყოფიერების კატასტროფული შემცირება ფინანსური კრიზისის ფონზე. სავარგულების დიდი ნაწილი განიცდის ნიადაგის ეროზიასა და დეფლაციას, სარწყავი მიწები სერიოზულ კომპლექსურ რეკონსტრუქციას მოითხოვს. ნიადაგის ზედა ფენა დეგუმინიფიკაციას განიცდის. მიწების გადანაწილებამ თესლბრუნვის დარღვევა გამოიწვია, არ ტარდება აგროტექნიკური ღონისძიებები. ორგანული და მინერალური სასუქები მინიმალურად და ვადების დარღვევით გამოიყენება.

არსებული ინფორმაციის მიხედვით, ეროზიას განიცდის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 33%. ყოველწლიურად აღმოსავლეთ საქართველოში სავარგულის ერთ ჰექტრიდან ირეცხება 100-300 ტ. ნიადაგი. დასავლეთ საქართველოში 150-200 ტ., რის გამოც დაბალინტენსიურ სავარგულებად იქცა 25 ათასი ჰა. 20 ათასი კი მთლიანად გამოვიდა მწყობრიდან. ენერგოკრიზისისა და უკონტროლობის გამო გაჩეხილმა ტყეებმა უფრო მეტად გააძლიერეს ქარისძერი ეროზია. ნიადაგები დაბინძურებულია მძიმე ტოქსიკური ლითონებით. განსაკუთრებით მაღალია ტოქსიკური ელემენტების შემცველობა სააგრომობილო გზების გასწვრივ 10-კილომეტრიან ზოლში, დაბალი ხარისხის საწვავის გამოყენების პირობებში.

დამლაშებული და ბიცობიანია 218 ათ. ჰა. მათ აღსადგენად კი არაერთი ღონისძიება არ ტარდება, რადგან არ არის სათანადო დაფინანსება. ბოლო 7 წლის მანძილზე ეროზიის შედეგად მარტო სახნავი ფართობი 11 ათასი ჰა. შემცირდა. მიწის რესურსების რაციონალური გამოყენებისა-

თვის კი არსებული 20-წლიანი პროგრამით, საჭიროა ყოველწლიურად 180-200 მლნ. ლარით დაფინანსება.

საქართველოსთვის, განსაკუთრებით კი მისი დასაყვლეთი რაიონებისათვის, სავალალო შედეგები მოიტანა ჩერნობილის კატასტროფამ. რადიოლოგიის ინსტიტუტის მონაცემებით მაღალი რადიოაქტიურობა აღინიშნება ჩაის პლანტაციებში.

მთლიანად შეწყვეტილია კულტურულ-ტექნიკური და პიდროტექნიკური მელიორაციები. ამავე დროს, არსებობს დამუშავებული ფართობების გაზრდის შესაძლებლობა ზოგიერთი სათიბის ნასვენ მიწების ხარჯზე, აგრეთვე ბუჩქნარის ამოძირკვის, ქვიშიანი ფართობების და ა.შ. ათვისების გზით. მიახლოებითი გაანგარიშებით, დახრილი ფერდობების საერთო ფართობი 1,5 მლნ.ჰა. უახლოვდება. ეს ფერდობები საუკეთესოა ვაზისა და ხეხილისათვის მისი დატერასების პირობებში.

ეკოლოგიური მომსახურების ბაზრის განვითარებამ უნდა უზრუნველყოს აგროლანდშაფტის მიზანდასახული გაუმჯობესება მისი ეკოლოგიური ღირებულების ამაღლების გზით. სოფლის მეურნეობისათვის ნაკლებად ეფექტიანი მიწის რესურსების გამოყენება მიზანშეწონილია მეურნეობის სხვა დარგების მიერ კულტურული, რეკრეაციული ან სხვა მიზნებისათვის.

მიწის ინტენსიური გამოყენების დროს აუცილებელია ვიფიქროთ არა მარტო იმაზე, თუ რა რაოდენობით გამოვიძალოთ მიწას, არამედ იმაზეც, თუ როგორ გავზარდოთ მისი ნაყოფიერება.

მიუხედავად ახალი მიწების ჩართვისა სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი თანდათან მცირდება, ძირითადი მიზეზი ფართობების შემცირებისა მდგომარეობს ნიადაგის ეროზიაში, სასოფლო-სამეურნეო ფართობების არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის გამოყენებაში, დაჭაობებაში, დამლაშებაში, ფართობების ბუჩქნარებით გადაფარვაში და ა.შ. ასევე ნიადაგის დაშლას ხელს უწყობს სამთამადნო სამუშაოები, ღია კარიერული წესით წიაღისეულის მოპოვება. ნაყოფიერი მიწების

ადგილს იკავებს უნაყოფო, მცენარეულ საფარს მოკლებული ე.წ. ინდუსტრიული უდაბნოები.

სამეცნიერო გამოკვლევის შედეგად დადგენილია, რომ მსოფლიო სასოფლო-სამეურნეო სავარგულები ყოველ წელიწადს 1,5 მილიარდ ტონა ნაყოფიერ ფენას კარგავს ეროზიის გამო. ეროზირებული ფართობების ყოველწლიური ნამატი შეადგენს 0,4-1,5 მლნჰა-ს. ხრამების 80-100 ათას ჰა, ერთი ათწლეულის განმავლობაში მსოფლიოს მიწის ფონდიდან გამოითიშა დამუშავებაში მყოფი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 23%.

**ეროზია** - (ლათ. erodere - გამოჭრა) - წარმოადგენს ნიადაგის ფენის გადარეცხვას, გამორეცხვას და გატანას წყლისა და ქარის მიერ. ნაყოფიერი 18 სმ ფენის ნიადაგის შესაქმნელად ბუნებას სჭირდება 1400-7000 წელიწადი, რადგანაც ნიადაგთწარმოქმნა მიმდინარეობს დაახლოებით 0,5-2,0 სმ 100 წელიწადში, ხოლო ამ ფენის დანგრევა ეროზიით შეიძლება 20-30 წუთში ან შეიძლება ერთი ძლიერი წვიმის შედეგადაც.

ეროზია განსაკუთრებით საშიშია. მთიან რეგიონებში, სადაც ქანების გაშიშვლების გამო წარმოიშობა სელური ნაკადები, ნიაღვრები. ამის მიზეზი ძირითადად არის ტყის უსისტემოდ ჭრა, მისი დაცურება, საქონლის უსისტემოდ ძოვება.

ყველაზე მარტივი და ეფექტური ღონისძიება ეროზიის საწინააღმდეგოდ არის ფერდობების ხვნა და თესვა ფერდობის გასწვრივ. თითოეული ხნული წარმოადგენს წყლის ნაკადის შემაფერხებელ ბარიერს. იგი ამცირებს ეროზიას და წყალს უნარჩუნებს ნიადაგს. ასევე ბელტის გადაუბრუნებლად ხვნა, ასევე ნაწვერალის ადგილზე დატოვება და ა.შ. შავი ანეულის შეცვლა მოთესილი ანეულის.

**რეკულტივაცია** არის ღია წესით დამუშავებული წიაღისეულის მოპოვების შედეგად მწყობრიდან გამოსული მიწების აღდგენა. ნაყოფიერი მიწების აღდგენაზე ჩნდება უნაყოფო, მცენარეებს მოკლებული სიერცკე, "ინდუსტრიული უდაბნო".

ყველა დარღვეული ფართობი შეიძლება ორ ჯგუფად გაეყოთ:

1. მიწა ნაყარი გრუნტით, სამრეწველო ნარჩენები, მიწისქვეშა მთის ჯიშების გროვები (ტერიკონები).

2. ტერიტორია გრუნტის ამოთხრის შედეგად გაუქმებული, ღია კარიერული სამუშაოების შედეგი.

მათი აღდგენა ხდება 4 მიმართულებით: სასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოსაყენებლად (მიწადმოქმედება, მებაღეობა), ტყის გასაშენებლად, წყალსატეეების, საცხოვრებელი და კაპიტალური მშენებლობისათვის.

*მიწის შეფასება.* მიწების ხარისხის აღრიცხვა და საერთოდ, შეფასება მისი რაციონალური და მაღალეფექტიანი გამოყენების ძირითადი და აუცილებელი პირობაა. ის, რომ საბჭოურ პერიოდში მიწა უფასო იყო, მეტად ნეგატიურად მოქმედებდა მიწისადმი დამოკიდებულებაზე, რამაც განაპირობა მისი უყაირათო გამოყენება და დაუფასებლობა. მიწის ფასის დადგენა ან მისი ღირებულების მეცნიერულად დასაბუთებული კომპენსაციები სასოფლო-სამეურნეო ფონდიდან მისი ამოღების დროს, მიწების ხარისხის შესახებ მონაცემების გარეშე, პრაქტიკულად შეუძლებელია. ამრიგად, მიწების გამოყენების კონტროლი შეუძლებელია მისი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინვენტარიზაციის გარეშე. ყოველი მიწათმფლობელი ეკონომიურად დაინტერესებული უნდა იყოს მიწის ყაირათიანი გამოყენებით. ამ მიზნების მისაღწევად აუცილებელია ქვეყნის მიწის კადასტრის შედგენა სათანადო მეთოდის საფუძველზე.

საქართველოს ტერიტორიაზე ბუნებრივი, ნიადაგური, ეკონომიური და სხვა პირობების დიდი მრავალფეროვნება მეტად ართულებს მიწის კადასტრის და შეფასების მეთოდის დამუშავებას. სერიოზული ეკონომიკური რეფორმის ჩატარება და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა პოსტსაბჭოურ სიერცეში შეუძლებელია მიწაზე კერძო საკუთრებისა და მიწის თავისუფალი ბაზრის არსებობის გარეშე. უმნიშვნელოვანესია მიწის საინფორმაციო სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს მიწის ყოველი ნაკვეთის ერთგვაროვან აღრიცხვას და შემდგომ დიფერენცირებულ შეფასებას. მიწის ნაკვეთის შეფასებისას უნდა აღრიცხოს და რაოდენობრივად დაფიქსირდეს ყველა ის ფაქტორი, რომელიც ამ ნაკვეთზე მოქმედებს. ყოველი ნიშან-თვისება, რომელიც მიწის ნაკვეთის ფუ-

ნქციონირებას ხელს უწყობს ან ხელს უშლის, უნდა განიხილებოდეს, როგორც გარკვეული ფაქტორი.

ძირითადი ფაქტორები, რომელიც შემუშავდა სააუდიტორო მიზნებისათვის, შეიძლება ასე დავახასიათოთ:

I ფაქტორი ნაკვეთის რესურსების თვისობრიობა; აქ იგულისხმება: ნაკვეთის ა) ფართობი; ბ) კონფიგურაცია; გ) მოცულობა; დ) რელიეფი; ე) ადგილობრივი ბუნებრივი პირობები ანუ მიკროგეოგრაფიული მონაცემები.

ფუნქციურ მონაცემებში შედის: ა) განაშენიანებული ან თავისუფალი ტერიტორია; ბ) სასოფლო-სამეურნეო, ტყის, სამონადირეო, საკურორტო და სხვა სავარგულები; გ) განსაზღვრული მიზნებისათვის გამოყენებული ან გამოყენებისათვის ნაგარაუდები გამოყენებელი და უვარგისი მიწები.

ეკოლოგიური მონაცემები: ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევის საფრთხის არსებობა, არ არსებობა ან მოსალოდნელობა.

ეკონომიკური მონაცემები: მიწის ნაკვეთის ნაყოფიერება, შესაბამისი კულტურების მოსაგელიანობა, სხვა შემოსავალი მისი სამეურნეო გამოყენების შემთხვევაში.

II ფაქტორი ადგილმდებარეობის პოტენციული, რომელიც შეიცავს ქვეფაქტორებს: ა) ობიექტის სიახლოვეს პროდუქციის წარმოებისა და მოხმარების რაიონებთან; ბ) დაშორებას ქალაქის ცენტრიდან, მაგისტრალური გზიდან, სატრანსპორტო კვანძიდან და ა.შ.

III ფაქტორი ნაკვეთის ურბანიზებულიობის ხარისხი (მუშახელითა და ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა).

IV ფაქტორი საბაზრო მოთხოვნა. ქვეფაქტორებით: ა) ინდივიდუალური და საბაზრო მოთხოვნის არსებობა; ბ) დეფიციტურობის ხარისხი; გ) ნაკვეთის ფაქტიური ვარგისიანობა.

V ფაქტორი - რისკი და გაურკვეველობა; ქვეფაქტორებით: ა) სამართლებრივი უზრუნველყოფა; ბ) ურთიერთობები, რომლებიც წარმოიქმნება სახელმწიფო, მუნიციპალურ და სხვა სუბიექტებთან გართულებების ნიადაგზე; გ) გაუთვალისწინებელი ხარჯები მიწის ნაკვეთის ათვისებისა და ექსპლოატა-



ციის პროცესში. დ) არაწინასწარმეტყველებადი ეკოლოგიური, სოციალური თუ სხვა უბედურებები.

თითოეული ფაქტორის შეფასების შემდეგ მიიღება კომპლექსური კოეფიციენტი, რომელიც დიდი დეტალიზაციით ასახავს ამა თუ იმ ნაკვეთის თვისებებს და ღირებულებას. წარმოდგენილი მეთოდიკა განსაკუთრებით მოხერხებულია საქალაქო ან ურბანიზებული ტერიტორიების შეფასებისათვის.

მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტმა დააწესა მიწის გადასახადი სასოფლო-სამეურნეო მიწებისათვის. ფასები დადგენილია ნაკვეთის ადგილმდებარეობისა და ხარისხის მიხედვით, თუმცა ცხადია, რომ საქართველოში, სადაც ბუნებრივი პირობები დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება, ასეთი განზოგადოებული ნაკვეთის რეალურ ღირებულებას ვერ ასახავს.

1995 წლის 1 იანვრიდან საქართველოში დაწესდა გადასახადი სასოფლო-სამეურნეო მიწით სარგებლობისათვის.

*მიწის ფასი.* მიწის ფასი არის კაპიტალიზირებული (განივთებული) მიწის რენტა. მიწა, როგორც ვიცით, ბუნებრივ-ისტორიული სხეულია და იგი ადამიანის შრომის შედეგი არ არის. ამიტომ მას არც ღირებულება გააჩნია. მაგრამ როცა მიწა კეძო საკუთრების ობიექტია და საქონელბრუნვაში შედის მას ყიდიან და ყიდულობენ, აქედან გამომდინარე, მიწას ფასი აქვს (უნდაა პქონდეს).

მიწის ფასი ფულადი კაპიტალის ის ნაწილია, რომელიც ბანკში შეტანის შემდეგ, მის მფლობელს ყოველწლიურად მისცემს პროცენტის სახით მიწის რენტის ტოლ შემოსავალს. მიწის ფასი გამოითვლება ფორმულით:

$$\text{მიწის ფასი} = \frac{\text{რენტა}}{\text{ბანკის\%}} \times 100$$

საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მიწის ფასის შესახებ. მიწის ფასი დიფერენცირებულია: ადგილმდებარეობის, ნაყოფიერების და ა.შ. მახევენებლების საფუძველზე (საქართველო ამ მხრივ დაყოფილია ზონებად).

რაც მეტია მოთხოვნილება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტზე, მით მეტია მიწის ფასი (შესაბამისად მცირდება საბანკო %-ი).

რადგან საბჭოთა კავშირში მიწა არ იყო კერძო საკუთრების ობიექტი და საერთო-სახალხო (სახელმწიფო) საკუთრებაში იმყოფებოდა, მისი ყიდვა-გაყიდვა არ შეიძლებოდა. ამიტომ მიწის ფასი არ არსებობდა.

მიწის სავარგულების ფასი რაოდენობრივად ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავდება, რაც პირველ რიგში, სხვადასხვა რეგიონის სხვადასხვა ბუნებრივ ეკონომიკური პირობებით აიხსნება. მიწის ფასზე ასევე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სასოფლო-სამეურნეო სავარგულის სტრუქტურა, სახნაის, სათიბის, საძოვრისა და სხვა დაკავებული ფართობების ურთიერთშეფარდება, რადგანაც თითოეული მათგანის პროდუქტიულობა განსხვავებულია.

იმ რაიონებშიც, სადაც სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა სტრუქტურაში მრავალწლიანი ნარგავები და სხვა ინტენსიური კულტურები მაღალი ხეკდრითი წონითაა წარმოდგენილი, ერთ პექტარზე მიღებული წმინდა შემოსავალი, როგორც წესი, მაღალია, მის შესაბამისად მაღალია ფართობის ერთეულის ფასიც.

*მიწის კადასტრი.* კადასტრი (ფრანგული - cadastre), არის ოფიციალური ორგანოს ან დაწესებულების მიერ შედგენილი სია, რაიმეს შესახებ არსებული მონაცემთა კრებული. მიწის კადასტრი გულისხმობს მიწის რაოდენობრივ, ხარისხობრივ აღრიცხვას და შესწავლას, მიწის ეკონომიკურ შეფასებას.

მიწის კადასტრი მოიცავს:

*მიწის რეგისტრაციას* - ე.ი. ქვეყნის მიწის ფონდით მოსარგებლეთა მიწის აღრიცხვა, საზღვრებისა და რაოდენობის დადგენა.

მიწის ხარისხობრივი დახასიათება (მიწის მწარმოებლურობის განმსაზღვრელი ყველა თვისება, როგორც გეობოტანიკური, ისე მელიორაციული და სხვა).

*ნიადაგის ბონიტირება* - ნიადაგის სასოფლო-სამეურნეო თვისებების გამოვლენა. მის საფუძველზე ადგენენ, ამა თუ იმ ნიადაგზე რომელი კულტურა უფრო ეფექტიანი იქნება (მისი ქიმიურ-ფიზიკური თვისებებისა და ადგილმდებარეობის მიხედვით).

რაც მთავარია, მიწის რეგისტრაციით ხდება მიწის ეკონომიკური შეფასება. მიწის ეკონომიკური შეფასება იძლევა – მიწის ფარდობითი შემოსავლიანობის დონის განსაზღვრის შესაძლებლობას.

მიწის რეგისტრაციის საფუძველზე ჩატარებული მიწის კადასტრის მონაცემების მიხედვით ადგენენ მიწის ვარგისიანობას მისი ბუნებრივ-კლიმატური და ნიადაგობრივი პირობების გათვალისწინებით. მიწის ეკონომიკური ღირსება მარტო ნიადაგის ნაყოფიერებაზე არ არის დამოკიდებული. ამიტომ კომპლექსულად სწავლობენ ნიადაგზე ზემოქმედების ყველა ფაქტორს და ადგენენ ესა თუ ის მიწა რამდენად მაღალი ღირსებისაა სხეასთან შედარებით.

მიწის ეკონომიკური შეფასება წარმოებს 100 ბალიანი სისტემით. რაც მეტი ბალი აქვს მიწის ნაკვეთს, ეკონომიკურად მით უფრო მაღალ ეფექტს იძლევა.

მიწის 100 ბალიანი სისტემის შეფასებისათვის იყენებენ ფორმულას:

$$B = \frac{D \times 100}{D_{100}}$$

სადაც B - არის მოცემული ნიადაგის 100 ბალიანი სისტემით შეფასება (პროდუქციის საერთო ან წმინდა შემოსავლის მიხედვით).

D საერთო პროდუქცია ან წმინდა შემოსავალი მიღებული მიწის ერთეულ ფართობზე (ღარებით).

$D_{100}$  საერთო პროდუქცია ან წმინდა შემოსავალი, მიღებული 100 ბალისათვის (ღარებით).

სასოფლო-სამეურნეო მიწის ღირებულებას აფასებენ - ძირითადი კულტურის საშუალო გასაყიდი ფასის გამოკლებით პროდუქციის ინდივიდუალური ფასიდან და გაყოფით ნორმალურ მოსავლიანობაზე.

$$Ж = \frac{(H - M)}{H}$$

Ж სასოფლო-სამეურნეო მიწის ღირებულება;

H - ძირითადი კულტურის საშუალო გასაყიდი ფასი;

M - კულტურის წარმოების ინდივიდუალური ფასი;

H - ნორმალური მოსაველიანობა.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის დამატებით ნიშნად შემდეგ მაჩვენებლებს იყენებენ:

სასოფლო-სამეურნეო საეარგულების ხეედრითი წილი მიწის საერთო ფართობში;

სახნავის ხეედრითი წილი სასოფლო-სამეურნეო საეარგულების სტრუქტურაში;

სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესის ხეედრითი წილი სახნავ ფართობში.

მიწების ეფექტიანობის ამადლეება შესაძლებელია მხოლოდ ინტენსიური გზით, რადგან ექსტენსიური გზა შეუძლებელია მიწის ნაკყეების რაოდენობრივი შეზღუდულობის გამო, ამიტომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სასოფლო-სამეურნეო სამეშაოების ტექნოლოგიის სრულყოფას, ძირითადი საწარმოო პროცესების ავტომატიზაციასა და კომპლექსურ მექანიზაციას, ქიმიზაციას, მეღიორაციას, ელიტურ მეთესლეობას და სხვ.

**ბონიტირება.** კადასტრის შემადგენელი ნაწილია ბონიტირება (ბონიტეტი - შეფასება, ლათ - bonitas - კეთილხარისხოვნება). არსებობს ტყის, სასოფლო-სამეურნეო, ცხოველეების, წყლის ბონიტეტები. ნიადაგის ბონიტირება იძლევა ფარდობით შეფასებას ბალებში, გამომდინარე ნიადაგის ნაყოფიერებიდან (რელიეფი, წყლის რეჟიმი და ა.შ.). ნიადაგის შეფასებისას მხედველობაში იღებენ აგრეთვე მის ადგილმდებარეობას (რელიეფს) და კონტურს. ეს იმით აიხსნება, რომ რთული რელიეფისა და მცირე კონტურის მქონე მეურნეობაში უფრო მეტი შრომა და საშუალებები იხარჯება.

ბონიტირება არის ნიადაგის, როგორც ბუნებრივი სხეულის შეფასება წარმოების ეკონომიკური პირობების გათვალისწინების გარეშე, რომლის კრიტერიუმად მისწეულია თვით ნიადაგის ნიშან-თვისებები, მასზე წარმოებული კულტურების მოსაველიანობასთან კავშირში.

ბონიტირების დროს ნიადაგების დაჯგუფება ხდება კლასებად მათი ფიზიკურ-ქიმიური, პიდროლოგიური და სხვა ბუნებრივი თვისებების მიხედვით. ბონიტირება საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ თაყისი თვისებებით ესა თუ ის ნი-

ადაგი რომელი კულტურისთვისაა ვარგისი და მისი ნაყოფიერების ასამაღლებლად რა ძირითადი აგროტექნიკურ-მელორაციული ღონისძიებების გატარებაა საჭირო.

ბონიტორების დროს ვერ ხერხდება ნიადაგებს შორის ხარისხობრივი განსხვავებების გამოვლენა, მისი რაოდენობრივ მახვენებლებში გამოსახვა და წარმოების პირობების გათვალისწინება, ყოველივე ეს შესაძლებელია ეკონომიკური შეფასების საფუძველზე.

სოფლის მეურნეობაში ერთი და იმავე კვალიფიკაციის, ერთნაირად აღჭურვილი თანაბარი შრომა ერთნაირ შედეგს არ იძლევა ნიადაგის ნაყოფიერებისა და მდებარეობის გამო.

*მიწის სამართლებრივი დაცვა.* ქართულ განმარტებით ლექსიკონში "მიწა" და "ნიადაგი" სინონიმებად არის მიჩნეული, ხოლო ნიადაგი განმარტებულია, როგორც დედამიწის ქერქის ზედა შრე, რომელშიც მცენარე ფესვს იდგამს. სოფლის მეურნეობაში მეტწილად იხმარება ტერმინი "ნიადაგი", ვინაიდან "მიწას" მრავალმხრივი გაგება აქვს (დედამიწის ქერქის ფხეიერი ფენა, დედამიწა, მიწა-წყალი, ხმელეთი და სხვ.). 1994 წ. საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი "ნიადაგის დაცვის შესახებ". ნიადაგი განმარტებულია, როგორც დედამიწის ფხეიერი ზედა ნაწილი, რომელიც შექმნილია: ქანების, კლიმატის, ბიოსფეროს, რელიეფის, ხნოვანებისა და ადამიანის სამეურნეო ურთიერთქმედებით. მიწა წარმოდგენილია მისი სარგებლიანობისა და ნაყოფიერების გარეშე. მიწის ნაყოფიერება (მწარმოებლურობა) ნიადაგის ცნებას ქმნის. ე.ი. ნიადაგი არის მიწის მწარმოებლური ზედაფენა, რომელზედაც ხარობს მცენარეები.

ნიადაგური რესურსები წარმოადგენს ადამიანის დედამიწაზე სიცოცხლის ყველაზე მეტად აუცილებელ წინაპირობას, თუმცა მისი როლი დღეისათვის სათანადოდ არ არის დაფასებული. ნიადაგი მოწოდებულია უზრუნველყოს ბიოქიმიური გარემო ადამიანისათვის, ცხოველებისა და მცენარეებისათვის.

დიდია ნიადაგის საფარის როლი, როგორც ბიოლოგიური მიკროსამყაროსი. იგი წარმოადგენს დაბინძურების უნივერსალურ ბიოლოგიურ ნეიტრალიზატორს. ნიადაგის საფარის და-

ზიანების და განადგურების შედეგად, რაც შეიძლება გამო-  
წვეული იყოს ბუნების ძალების მოქმედებით, მშენებლობის,  
განაშენიანების, გზების გაყვანის, ან არასწორი სამეურნეო  
საქმიანობის გამო, ადგილი აქვს ბუნებაში შეთანწყობილ  
ურთიერთობის რღვევას და ნიადაგის პროდუქტიულობის და-  
ქვეითებას. ამიტომ ნიადაგის დაცვის ღონისძიებები უშუალო-  
კავშირშია ნიადაგის მწარმოებლურობის და რენტაბელობის  
საკითხთან.

მიწის სამართლებრივი დაცვა გულისხმობს იმ სამართლე-  
ბრივი ნორმების ერთობლიობას, რომელიც მიზნად ისახავს  
მიწის შენარჩუნებას, აღდგენას და ნიადაგის მწარმოებლუ-  
რობის ზრდას. ეს იმას ნიშნავს, რომ სასოფლო-სამეურნეო  
საეარგულები სისტემატურად უნდა უმჯობესდებოდეს და არ  
უნდა მოხდეს მათი შემცირება. მიწების დაცვის სფეროში  
ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სასოფლო-სამეურნეო  
საეარგულების დაცვა და არადანიშნულებისამებრ გამოყენე-  
ბის აკრძალვა. სამრეწველო საწარმოს, საცხოვრებელი ობი-  
ექტების, რკინიგზების, მაგისტრალური მილსადენების და ა.შ.  
მშენებლობა უნდა წარმოებდეს არასასოფლო-სამეურნეო და-  
ნიშნულების მიწებზე, უკიდურეს შემთხვევაში, მიწათმოქმე-  
დებისათვის ყველაზე ცუდ მიწებზე.

## 4.2 მატერიალურ-ტექნიკური რესურსები და მათი გამოყენება საბაზრო ეკონომიკის პირობებში

საზოგადოდ, ეკონომიკაში რესურსებს უწოდებენ ყველა  
სახის სათადარიგო და რეალურ ნაკადებს, გამოყენებულს  
საზოგადოებრივი წარმოების ტექნოლოგიურ პროცესში. უფ-  
რო კონკრეტულად მატერიალურ-ტექნიკური რესურსი ეს  
არის მატერიალური ნაკადი, რომელიც წარმოების პროცესში  
გარდაქმნას ექვემდებარება.

ეკონომიკური ანალიზის დროს რესურსის ღირებულების  
სწორად შეფასებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს რე-

სურსების კლასიფიკაციას. დღეისათვის მიღებულია მატერიალურ-საწარმოო რესურსების კლასიფიკაცია, რასაც საფუძვლად უდევს რესურსის:

- წარმოშობა;  
წარმოებისადმი დამოკიდებულება;
- გამოყენების ხასიათი;  
კელაეწარმოების წესი.

1. *წარმოშობის მიხედვით* რესურსები იყოფა ბუნებრივ და ეკონომიკურ რესურსებად. ბუნებრივ რესურსებს წარმოადგენს ბუნებრივი წარმოშობის რესურსები და გარემო. ასეთ რესურსებს შრომის საგნის სახით იყენებენ მრეწველობის მომპოვებელ დარგებში და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში.

2. *ეკონომიკურ რესურსებს* წარმოადგენს საზოგადოებრივი წარმოების წინა სტადიაზე განიეთებული შრომის შედეგი. ეკონომიკურ რესურსებს, რომლებიც ეხება ძირითადად საშუალებებს, იყენებენ საზოგადოებრივი წარმოების ყველა დარგში. ეკონომიკური რესურსების გამოყენება, რომელიც ეხება საბრუნავ აქტივებს, დამახასიათებელია მრეწველობის გადაამუშავებელი დარგებისა და სოფლის მეურნეობისათვის.

ეკონომიკური რესურსები იყოფა: *მატერიალურ, შრომით და ფინანსურ რესურსებად.*

- *მატერიალური რესურსები* არის შრომის საგნისა და შრომის საშუალების ერთიანობა, რომელსაც იყენებენ კელაეწარმოების პროცესში. ის მოიცავს წარმოების ყველა ელემენტს, რომელსაც ნივთიერი ფორმა გააჩნია.

- *შრომით რესურსებს* მიეკუთვნება სასოფლო-სამეურნეო წარმოების მუშაკები და ისინი, ვინც შრომის ბაზარზე იმყოფებიან.

- *ფინანსური რესურსები* ის ფულადი სახსრებია, რომელიც იმყოფება სახელმწიფო თუ ყველა სხვა სახის საკუთრების ფორმის საწარმოების განკარგულებაში. ფინანსური რესურსები წარმოადგენს ყველაზე მობილურ რესურსებს,

რომლებითაც შესაძლებელია ყველა სხვა სახის რესურსების შექმნა.

რაც შეეხება *საწარმოო ხასიათის რესურსებს*, ის შეიძლება ორ ნაწილად დავეყოთ, ანუ: ფუნქციონალურ და პოტენციურ რესურსებად.

*ფუნქციონალურ* რესურსებს მიეკუთვნება ის რესურსები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ საწარმოო-სამეურნეო საქმიანობაში.

*პოტენციური* ის რესურსებია, რომლებსაც ფლობს წარმოება ან სახელმწიფო, მაგრამ მათი გამოყენება ამჯერად (აღებულ ციკლში) არ ხდება. სახელმწიფოს მხრივ ასეთი რესურსებია ქვეყნის სახელმწიფო მარაგი, ხოლო საწარმოებში-სტრატეგიული მარაგი, სადაზღვევო მარაგი და ის სიმძლავრეები, რომლებიც დროებით დაკონსერვებული არიან.

*გამოყენების მხრივ* რესურსები იყოფა საწარმოო და არასაწარმოო გამოყენების რესურსებად. როგორც სახელწოდებიდან ჩანს, საწარმოო რესურსები გამოიყენება წარმოების პროცესში, ხოლო არასაწარმოო სოციალურ სფეროში (განათლება, ჯანდაცვა და ა.შ.).

*კელაეწარმოების მიხედვით* რესურსები იყოფა კელაეწარმოებად და არაკელაეწარმოებად რესურსებად.

*კელაეწარმოებად* განეკუთვნება ის მატერიალური ფასეულობები, რომლებიც შექმნილია საზოგადოებრივი წარმოების წინა ეტაპზე ადამიანთა შრომის შედეგად და რომლის ხელახალი წარმოება შესაძლებელია.

*არაკელაეწარმოებად* განეკუთვნება რესურსების ისეთი სახეობები, რომლებიც კელაეწარმოებას არ ექვემდებარება (მაგალითად, სასარგებლო წიაღისეული), ანუ მათი მოხმარება ერთჯერად ხასიათს ატარებს.

*მატერიალურ-საწარმოო რესურსებს* სოფლის მეურნეობაში ახასიათებს მთელი რიგი შემდეგი თავისებურებები:

სოფლის მეურნეობაში ამ რესურსების გამოყენებას სესონური ხასიათი აქვს (განსაკუთრებით მემკვინარეობაში), რაც დაკავშირებულია მათი ეფექტური ექსპლუატაციის პრობლემებთან, განსაკუთრებით, სპეციფიკური ტექნიკის გამოყე-



ნების დროს, (მაგალითად, ჩაის საკრეფი მანქანა, თამბაქოს ფოთლების ასაკინძი მანქანა, სათესი მანქანა და ა.შ.).

ამ რესურსების მოცულობა და სტრუქტურა დიფერენცირებულია ქვეყნის რეგიონებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტრუქტურის მიხედვით (მაგალითად, კახეთში და ქართლში გამოიყენება კომბაინები, დასაეღეთ საქართველოში - ჩაის საკრეფი მანქანა).

ის რესურსები, რომლებსაც აქეთ მატერიალურ-ნიეთობრივი ფორმა, ბუნებრივი პირობების ზეგავლენას ექვემდებარებიან.

სოფლის მეურნეობის ცალკეულ დარგში გამოყენებული მატერიალური რესურსების ნაწილი შექმნილია სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვა დარგებში ან იმავე დარგის კომბინირებულ საწარმოებში.

ამასთან დაკავშირებით, სოფლის მეურნეობაში სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ფასეულობის ოპტიმიზაციის როლი. ბოლო პერიოდში ასეთ ოპტიმიზაციის ფორმად გვევლინება ლიზინგური ოპერაციები და მანქანა-ტექნოლოგიური სადგურების ტექნიკურ მომსახურეობაზე გადასვლა.

ასევე მნიშვნელოვანია მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შესაძენად სხვადასხვა წყაროების გამოყენება, ასეთ წყარობად საბაზრო ეკონომიკის პირობებში შეიძლება დავასახელოთ:

- პროდუქციის გასაღებიდან მიღებული ამონაგები, რომელიც გამოიყენება საბრუნავე საშუალებების შესაღებად და მუშახელის ხელფასების გასაცემად;

- მოგება, რომელიც მოიხმარება საწარმოს გასაფართოვებად და იმ რესურსების შესაძენად, რომელსაც იყენებენ არასაწარმოო სფეროში, დასაქმებული მუშაკების ხელფასებისათვის;

ადმინისტრაციული ანარიცხები, რომლებიც გამოიყენება იმ მატერიალური ქონების შესაძენად, რომელთა ღირებულებაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულებაში შედის;

საბიუჯეტო დაფინანსების საშუალებები, რომლებიც მიიღება დასაბრუნებელი ან დაუბრუნებელი (არ დასაბრუნებელ) ხელშეკრულების საფუძველზე. სახელმწიფო ბიუჯეტში (კალკე პუნქტად არის გამოყოფილი სოფლის მეურნეობისათვის დახმარების ხარჯები, სუბსიდიები და დოტაციები. მთავარია მათი მიზნობრივი გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება;

- საწარმოო პროცესში მონაწილე იურიდიულ და ფიზიკურ პირთა მიზნობრივი შენატანები. აქ პირველ რიგში იგულისხმება ის თანხები, რომლებიც შეტანილია მონაწილეების მიერ ორგანიზაციის საწესდებო კაპიტალის შესაქმნელად. საწესდებო კაპიტალმა უნდა უზრუნველყოს პირველი საწარმოო ციკლისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შექმნა. შენატანების დარჩენილი ნაწილი შეიძლება გამოყენებული იყოს სხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად, რომლებსაც საწარმოო ხასიათი არ აქვთ;

- ბანკის კრედიტები და სესხები სხვა მონაწილეებისაგან. სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციფიკის გამო, ამ სფეროს დაკრედიტება უფრო ხშირად და უფრო დიდი მასშტაბით ხდება, საზოგადოებრივი წარმოების სხვა სფეროებთან შედარებით. ეს გამოწვეულია სოფლის მეურნეობის წარმოების სეზონურობით - სეზონური დაფინანსების უმეტესი ნაწილი ხორციელდება საბანკო კრედიტების ხარჯზე.

### 4.3 შრომითი რესურსები და მისი გამოყენება საბაზრო ეკონომიკის პირობებში

ერთადერთი ფაქტორი, რომელიც უზრუნველყოფს დამატებითი პროდუქციის შექმნას და გაფართოებულ კელაეწარმოებას, არის ადამიანის შრომა, რომელიც თავის მხრივ, არის მიზანდასახული მოქმედება და მიმართულია ბუნებრივი პირობების შესაკვლელად და ადამიანის მოთხოვნილებებთან შესაბამისობაში მოყვანასთან, რაც თავის მხრივ დამატებით ფინანსურ ხარჯებთან არის დაკავშირებული და იმითაა გამოწვეული, რომ:

მემცენარეობის სპეციფიკური ტექნოლოგია ზღუდავს საწარმოო პროცესების ავტომატიზაციისა და კომპლექსური მექანიზაციის ფართოდ გამოყენებას. ამიტომ, შედარებით რეალურია შრომის ნაყოფიერების გაზრდა მისი მექანიზაციის საფუძველზე;

- საწარმოო პროცესის უმეტესი ნაწილი ბუნებრივ პირობებში მიმდინარეობს, რაც წარმოების პროცესში მუშაკთა სპეცტანსაცმლით უზრუნველყოფის ხარჯებთან არის დაკავშირებული. ამას გარდა, ამინდის ცვალებადობასთან დაკავშირებით, მუშახელის დაუცველობა, ავადმყოფობებისა და დროებითი შრომისუუნარობის გამო, იწვევს სამუშაო დროის შედარებით მეტ დანაკარგს. მეორე მხრივ, ეს გარემოება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს ნაკლებად მიმზიდველს ხდის, რაც თავის მხრივ, მოითხოვს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ მუშაკთა დამატებით სტიმულირებას;

- სასოფლო-სამეურნეო წარმოებების უმეტესი ნაწილის განლაგების პირობები ზღუდავს მუშახელის შერჩევის შესაძლებლობას ერთი დასახლებული პუნქტის ფარგლებში, შერჩევის შეზღუდულობა თავის მხრივ გარკვეულ გავლენას ახდენს მუშახელის მომზადებასა და შრომის ხარისხზე;

- წარმოების პროცესები, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში და პირად დამხმარე მეურნეობებში ხორციელდება, ტექნოლოგიების მხრივ ერთმანეთის მსგავსია და დროის ერთსა და იმავე პერიოდში ტარდება (ამიტომ გლეხს შესაძლებლობა არა აქვს ორივეგან ერთდროულად იმუშაოს).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, საჭირო ხდება შრომითი რესურსების უკეთ გამოყენების გზების შემდგომი ძიება.

ასეთი გზები შეიძლება იყოს:

სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტრუქტურის სრულყოფა და წარმოებათა სახეობების გაფართოება (კალკულ საწარმოებად (წარმოების სეზონური ხასიათის ნიველირების მიზნით);

მუშახელის ეკონომიკური დაინტერესების სრულყოფა არატრადიციული მეთოდებით (მაგალითად, დივიდენდების გადახდა აქციების მიხედვით სააქციო საზოგადოების მიერ);

საბაზრო ურთიერთობებისა და მეწარმეობის განვითარება სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ფარგლებში;

კადრების მომზადებისა და გადამზადების სისტემის განვითარება;

- სასოფლო-სამეურნეო საწარმოების შედარებით უფრო ოპტიმალური ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მოძებნა იმ მიზნით, რომ დავაინტერესოთ მუშაკი, რათა მან როგორც წილი, კოლექტიურ ქონებაში თავისი კუთვნილი მიწის ნაკვეთი ჩართოს;

მუშახელის შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესება. აქ შეიძლება მრავალი სასურველი ვარიანტი იყოს გზების მშენებლობის დაფინანსებიდან დაწყებული, საკუთარი სანატორიუმებისა და პროფილაქტორიუმების შექმნით დამთავრებული.

ყველაზე უფრო ეფექტური ღონისძიება, რომელიც შესაძლებელს გახდის შრომითი რესურსების მაქსიმალური ეფექტიანობით გამოყენებას, არის სასოფლო-სამეურნეო შრომის ინდუსტრიალიზაცია. მაგრამ ეს მოითხოვს ახალი (ან არსებულის გადრეკებას) კომბინირებული სახის მეურნეობათა-შორისო კავშირების განვითარებას და სხვა.

## თავი მეხუთე ზოგადეკონომიკური თეორიის საფუძვლები

### 5.1. კელაეწარმოების პროცესის ელემენტები

კელაეწარმოების პროცესი არის მატერიალური დოვლათის წარმოების აღდგენის უწყვეტი პროცესი. კელაეწარმოების პროცესში პირველ რიგში უნდა ანაზღაურდეს ცოცხალი და განიეთებული შრომის დანახარჯები. ცოცხალი შრომის დანახარჯების კელაეწარმოება ხდება სამუშაო ძალის შრომის ანაზღაურებით (მუშაკის შრომის ანაზღაურება წარმოების პროცესში და პროდუქციის რეალიზაციაში), ხოლო განიეთებული შრომის დანახარჯების აღდგენა შეიძლება პირობითად ორ ქვეპროცესად გაიყოს - ძირითადი საშუალებების ნაწილობრივ კელაეწარმოებად და საბრუნავი საშუალებების კელაეწარმოებად. ძირითადი საშუალებების აღდგენა (ანაზღაურება) ხდება საამორტიზაციო ანარიცხების დარიცხვით, რომელიც პროდუქციის თვითღირებულებაში შედის, ხოლო გამოყენებული საბრუნავი საშუალებები, როგორც წესი მთლიანად ანაზღაურდება.

კელაეწარმოების პროცესის ეკონომიკური დახასიათებისათვის მიზანშეწონილია განვიხილოთ მინიმუმ სამი შემადგენელი:

- ძირითადი საშუალებები;
- საბრუნავი საშუალებები;
- შრომის ნაყოფიერება (შრომის მწარმოებლურობა).

ძირითად საშუალებებთან ერთად თავიანთი ღირებულება მზა პროდუქციაზე ნაწილობრივ გადააქვს არამატერიალურ

აქტივებს და ზოგიერთ მცირეფასიან და მალცვეთად საგნებს. თვითღირებულების ფორმირებისა და მზა პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგების მიმართ სხვადასხვა მიდგომა არსებობს, რაც თავის მხრივ განსაზღვრავს დამოკიდებულებას წარმოების დაგეგმვისა და ეკონომიკური ეფექტიანობისადმი. გეგმური ეკონომიკის დროს, წარმოება ორიენტირებულია რაოდენობრივ მანქვენებლებზე. საბაზრო ეკონომიკის დროს კი წარმოების ორიენტაცია შეცვლილია. ახლა წარმოება ორიენტირებულია ბაზრის მოთხოვნებსა და კონკრეტულ მომხმარებლებზე, რამაც შეცვალა დამოკიდებულება კელაე წარმოების ზოგიერთი მანქვენებლების მიმართ, კერძოდ, მატერიალური რესურსების, შრომითი და ფინანსური რესურსების, გამოყენების ეფექტიანობის მიმართ. ყოველივე ამის შედეგად კელაე წარმოების პროცესში რეალიზაციის სფერო წარმოების პროცესის დონეზე დადგა (წინათ რეალიზაცია პრაქტიკულად დამხმარე პროცესად ითვლებოდა).

## 5.2 ძირითადი საშუალებები

წინათ საყოველთაოდ მიღებული იყო ტერმინი "ძირითადი ფონდები", რომელიც პრესაში დღესაც იხმარება. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, საბაზრო ეკონომიკის პირობებში უმჯობესია ვიხმაროთ "ძირითადი საშუალებები". თვით "ფონდის" ცნება ფართოდ გამოიყენება ფინანსების მეცნიერებაში და გულისხმობს ფულადი სახსრების აკუმულაციას მისი მიზნობრივი დანაწილებისათვის. გეგმური ეკონომიკის დროს ანალოგიური აზრით იხმარებოდა ტერმინი "ძირითადი ფონდები", შრომის საშუალებები, რომელიც წარმოების პროცესში. ერთ საწარმოო ციკლზე მეტჯერ გამოიყენებოდა. ამ საშუალებების შემდგომი განახლება ხდებოდა ცენტრალიზებული წესით. საწარმოს ფაქტიურად არ ჰქონდა ძირითადი საშუალებების დანიშნულებისამებრ გამოყენების უფლება, სახელმწიფოს ნებართვის გარეშე. ამას ადასტურებს შემდეგი მაგალითი: საბუღალტრო აღრიცხვის დროს ამორტიზაციის ანარიცხები ცალკე იყო გათვალისწინებული და გადაირიცხებოდა

დანიშნულების მიხედვით. დღეისათვის ამორტიზაციის ფონდი საწარმოში არ არსებობს, ხოლო პროდუქციის რეალიზაციის შემდეგ წარმოქმნილი ამორტიზაციის თანხა შეიძლება გამოყენებული იქნეს ნებისმიერი მიზნისათვის. აღსანიშნავია ისიც, რომ მისი ხარჯების აღრიცხვა არასისტემურად ხორციელდება.

ასე რომ, ტერმინოლოგიური გამოთქმის "ძირითადი ფონდების" ხმარება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმოო სახელმწიფო ან მუნიციპალურ საკუთრებაში იმყოფება, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც ძირითადი საშუალებების ობიექტების ან სხვა მანქანების სახელწოდება წარმოშობილია სიტყვა "ფონდიდან", რადგან ამ სახის მანქანებები მათი ეკონომიკური შინაარსით არის განსაზღვრული.

*ძირითადი საშუალებები* ქონების ის ნაწილია, რომელსაც იყენებენ შრომის საშუალებად პროდუქციის შექმნის, სამუშაოს შესრულების ან მომსახურებისათვის, ანდა ორგანიზაციის მართვისათვის პერიოდში, რომელიც 12 თვეს აღემატება.

ძირითად საშუალებებს არ მიეკუთვნება და საბრუნავ საშუალებად ჩაითვლება ისეთი საგნები, რომლებიც 12 თვეზე ნაკლებ დროში გამოიყენება, მიუხედავად მათი ღირებულებისა (ეს ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ერთი თვის მინიმალური ხელფასის 100 ჯერადს).

*ძირითადი საშუალებების კლასიფიკაცია.*

ძირითად საშუალებებს მიეკუთვნება:

- შენობები;
- ნაგებობები;
- მუშა და ძალოვანი მანქანები და მოწყობილობები;
- საზომი და მარეგულირებელი ხელსაწყოები და მოწყობილობები;
- გამოთვლითი ტექნიკა;
- სატრანსპორტო საშუალებები;
- ინსტრუმენტები;
- საწარმოო და სამეურნეო ინვენტარი და საგნები;
- მუშა, პროდუქტიული და სანაშენე პირუტყვი;

- მრავალწლიანი ნარგაობა;  
სხვა ძირითადი საშუალებები.

ძირითად საშუალებებს მიეკუთვნება აგრეთვე კაპიტალური დაბანდება, რომელიც გამოიყენება მიწების რადიკალურად გასაუმჯობესებლად (დაშრობა, მორწყვა და სხვა სამელორაციო სამუშაოები) და არენდით აღებული ძირითადი საშუალებების ობიექტები.

ძირითად საშუალებად ითვლება აგრეთვე ორგანიზაციის საკუთრებაში მყოფი მიწის ნაკვეთი, ბუნებათსარგებლობის ობიექტები (წყალი, წიაღისეული და სხვა ბუნებრივი რესურსები).

ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით, გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ძირითადი საშუალებების ობიექტების ექსპლუატაციის ვადის განსაზღვრას. ამის დადგენა საჭიროა ამორტიზაციის დანარიცხების რაოდენობის განსაზღვრისათვის, რადგანაც ის უშუალოდ მოქმედებს პროდუქციის თვითღირებულებასა და რენტაბელობაზე.

მოხმარების ვადა - არის პერიოდი, რომლის დროსაც ძირითადი საშუალებების ობიექტებმა ორგანიზაციას მოგება უნდა მოუტანოს, ან დაეხმაროს იმ მიზნის განხორციელებაში, რაც, საბუღალტრო აღრიცხვით, ძირითადი საშუალებებისათვის დადგენილი წესით არის განსაზღვრული. ზოგიერთი ძირითადი საშუალებებისათვის ექსპლუატაციის ვადა განისაზღვრება მიღებული პროდუქციის რაოდენობით.

ორგანიზაციის მიერ ძირითადი საშუალების მოხმარების ვადა განისაზღვრება ობიექტის საბუღალტრო აღრიცხვაზე აყვანის მომენტიდან, თუ ობიექტის მოხმარების ვადა რაიმე ტექნიკური მიზეზის გამო განსაზღვრული არ არის, ან არ არის დადგენილი ცენტრალიზებული წესით, მაშინ მას შემდეგნაირად განსაზღვრავენ:

ობიექტის მოსალოდნელი მოხმარების ვადა განისაზღვრება მწარმოებლურობისა და გამოყენების სიმძლავრის შესაბამისად;

ექსპლოატაციის რეჟიმზე დამოკიდებული მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთის, ბუნებრივი პირობებისა და გარემოს



აგრესიული ზეგავლენის, გეგმური გამაფრთხილებელი რემონტის ყველა სახის მიხედვით;

- ნორმატიულ-სამართლებრივი და ობიექტის გამოყენების სხვა შემზღუდავი აქტებითი (მაგ. არენდის ვადა).

ძირითადი საშუალებების ობიექტები დანიშნულების მიხედვით 3 ჯგუფად იყოფა:

*საწარმოო დანიშნულების ობიექტები* ობიექტები, რომლებიც ფუნქციონირებენ მატერიალური წარმოების სფეროში, კერძოდ, მრეწველობაში, სოფლის მეურნეობასა და დამზადებაში, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში, მშენებლობაში, სავაჭრო და საზოგადოებრივ კვებაში, მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებასა და გასაღებაში, საინფორმაციო-გამოთვლით მომსახურებაში და ა.შ. ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, ატს-ის შენობების, ფოსტა-ტელეგრაფის (როგორც დამოუკიდებლად არსებული, ისე განთავსებული საცხოვრებელ შენობებში). კაპიტალური დაბანდების ხარჯზე მშენებარე საბინაო მშენებლობები და სხვა, ასევე მიეკუთვნება სამეურნეო დანიშნულების ობიექტებს.

*არასაწარმოო დანიშნულების ობიექტები* - საბინაო-კომუნალური მეურნეობები, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებები, ფიზკულტურის, სოცუზრუნველყოფის, საფინანსო, განათლების, კულტურის, ხელოვნების, სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაცია დაწესებულებები დაკავშირებული მეცნიერების განვითარებასთან და არასაწარმოო სფეროს სხვა ორგანიზაციები. არასაწარმოო სფეროს მიეკუთვნება აგრეთვე არასაწარმოო დარგების ადმინისტრაციული და აღმასრულებლები ხელისუფლებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების შენობები, აგრეთვე ეკლესიები, სასამართლოები, არქივები და ა.შ. ასევე მმართველობის ორგანოების ადმინისტრაციული შენობები (სამინისტროები, დეპარტამენტები და ა.შ.).

*საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები* ორ ჯგუფად იყოფა - საწარმოო და არასაწარმოო სახის მომსახურების ობიექტები.

საწარმოო სახის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებს განეკუთვნება: გალანტერიის, ტყავის, ბეწვეულის ინდივიდუალური კერვის ორგანიზაციები. საყოფაცხოვრებო

მომსახურების სახლები, ინდივიდუალური სამკერვალო და ტრიკოტაჟის საქსოვი ორგანიზაციები და სამრეწველო ხასიათის სხვა საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები.

არასაწარმოო საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებს განეკუთვნება: სილამაზის სალონები, აბანოები, ფოტოგრაფია, კინოლაბორატორია, რომელიც მოსახლეობას ემსახურება, ბინაზე მომსახურე ორგანიზაციები, დამკრძალავი ბიუროები, ცნობათა ბიურო, ბინების გაცვლის ბიურო და ა.შ.

სოფლის მეურნეობაში ძირითადი საშუალებების ობიექტთა კლასიფიკაცია შეიძლება მათი დანიშნულების მიხედვითაც, კერძოდ:

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების;

- არასასოფლო-სამეურნეო (საერთო საწარმოო) დანიშნულების.

ყოველ ამ ჯგუფში ძირითადი საშუალებები იყოფა ზემოთ მოტანილი სტრუქტურის მიხედვით.

საწარმოო დანიშნულების ძირითადი საშუალებები (ეს იქნება სასოფლო-სამეურნეო, თუ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების) წარმოადგენენ ძირითადი საშუალებების საწარმოო ინფრასტრუქტურას, ხოლო არასაწარმოო დანიშნულებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, სოციალურ ინფრასტრუქტურას.

კვლავწარმოების პროცესის თვალსაზრისით, საწარმოო ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ძირითადი და საბრუნავი საშუალებების კვლავწარმოებას, ხოლო სოციალური ინფრასტრუქტურა სამუშაო ძალის კვლავწარმოებას. მარტივი კვლავწარმოების უზრუნველყოფის საფუძველია გაწეული დანახარჯების პროდუქციის თვითღირებულებაში ჩართვა, ხოლო გაფართოებული კვლავწარმოებისა - მოგება (რეალიზაციიდან ამონაგები, რომელიც თვითღირებულებას აღემატება). ამის გამოა, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზოგიერთი სახეობის წარმოება წამგებიანია. როგორც მარტივი, ისე გაფართოებული კვლავწარმოების უზრუნველყოფა წარმოებს სხვადასხვა წყაროებით დოტაციით, კომპენსაციით, ბიუჯეტიდან მიზნობრივი დაფინანსებით და სხვა.

ძირითადი საშუალებების კლასიფიკაცია ფინანსური თვალსაზრისით შეიძლება დაიყოს გამოყენების ხარისხისა და საკუთრების ფორმების მიხედვით.

გამოყენების ხარისხის მიხედვით:

ექსპლუატაციაში მყოფი ძირითადი საშუალებები;

სარეზერვო, სამარაგო ძირითადი საშუალებები;

მშენებარე, რეკონსტრუქციაში მყოფი და ნაწილობრივ ლიკვიდაციის პროცესში მყოფი საშუალებები;

- კონსერვაციაში მყოფი ძირითადი საშუალებები.

*საბუღალტრო აღრიცხვის თვალსაზრისით*, ასეთი კლასიფიკაცია საკმაოდ ეფექტურია. რაც შეეხება მის ეკონომიკურ მხარეს, მას გარკვეული პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს (განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ, რომ ძირითადი საშუალებების მშენებლობის ან რეკონსტრუქციის და ა.შ. საჭირო დრო შეიძლება ზუსტად განისაზღვროს და ამის მიხედვით დაიგეგმოს მათი შემდგომი ამუშავება და პროდუქციის გამოშვება). სხვაობა ძირითადი საშუალებების რეკონსტრუქციისა და კონსერვაციის მდგომარეობას შორის იმაში მდგომარეობს, რომ რეკონსტრუქციის შემდეგ რეკონსტრუირებული ობიექტის მწარმოებლურობა და პროდუქციის ხარისხი ბევრად უფრო მაღალი ხდება, ხოლო კონსერვაციის შემდეგ ამუშავებული ობიექტი იმავე დონეზე რჩება, როგორც ექსპლუატაციაში იყო. რაც შეეხება ძირითად საშუალებებს, რომლებიც სარეზერვოდ იყო განკუთვნილი, მათი დინამიკის ცვლილებით შესაძლებელია მათი ოპტიმალური დონის მიახლოებითი დადგენა.

*საკუთრების ფორმის მიხედვით* ძირითადი საშუალებები იყოფა:

ძირითადი საშუალებების ობიექტებად, რომლებიც ეკუთვნის ორგანიზაციებს საკუთრების უფლებით (მათ შორის საარენდით გადაცემული);

- ძირითადი საშუალებების ობიექტებად, რომლებიც არის ორგანიზაციის ოპერატიულ ან სამეურნეო მდგომარეობაში.

საკუთრებისა და არენდული ფორმის მიხედვით ძირითადი საშუალებების კლასიფიკაციას პირდაპირი კავშირი აქვს ორგანიზაციის ჩამოყალიბების დროს საწესდებო კაპიტალის მი-

ნიმალური ოდენობის დადგენასთან და ორგანიზაციის წმინდა აქტივებთან საწარმო-კომუნალური საქმიანობისათვის. ძირითად საშუალებათა იმ ობიექტების ცალკე ჯგუფებად გამოყოფა, რომლებიც არენდით არის აღებული, კეთდება იმ მიზნით, რომ შევაფასოთ ასეთი ქმედების მიზანშეწონილობა და შესაბამისად, დროებით თავისუფალი ქონების გამოყენების ეფექტურობა. ყველაზე მარტივი მეთოდი იმაში მდგომარეობს, რომ ერთმანეთს შევედაროთ არენდით აღებული ქონების რენტაბელობა და ძირითადი წარმოების პროდუქციის რენტაბელობა.

*ძირითადი საშუალებების სტრუქტურა.* სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკის ეფექტიანობისათვის მნიშვნელობა აქვს მისი ძირითადი საწარმოო საშუალებების სტრუქტურას. სოციალურ ინფრასტრუქტურას შედარებით მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს, რადგან ის ხელს უწყობს სამუშაო ძალის გაფართოებულ კვლავწარმოებას. სამუშაო ძალის გაფართოებულ კვლავწარმოებას შეიძლება მივაღწიოთ სოციალური სფეროს გარეშეც, უშუალოდ მატერიალური სტიმულებით (პრემიებით, სამუშაოს მაღალი მაჩვენებლებით, გარანტიებით, კომპენსაციებით და სხვ.).

ძირითად საშუალებებში გამოყოფენ მის აქტიურ ნაწილს - მანქანებს, მოწყობილობებს, სატრანსპორტო საშუალებებს. ეს ნაწილი ხასიათდება მაღალი მორალური და ფიზიკური ცვეთით, ამიტომ ამორტიზაციის დანარიცხებიც მეტი აქვთ სხვა ძირითად საშუალებებთან შედარებით, სწორედ ამიტომ ძირითადი საშუალებების აქტიური ნაწილი არსებითად მოქმედებს თვითღირებულებაზე და სასოფლო-სამეურნეო საწარმოს ფინანსურ შედეგებზე. მეორე მხრივ, აქტიური ნაწილის მორალური ცვეთა და ობიექტის მობილურობა განაპირობებს მისი უფრო მწარმოებლური და მაღალტექნოლოგიური ობიექტებით შეცვლის აუცილებლობას. რაც შეეხება ძირითადი საშუალებების დანარჩენ ნაწილს მას "პასიურ ნაწილს" არ უწოდებენ, რადგანაც ითვლება, რომ ყველა ძირითადი საწარმოო საშუალება მონაწილეობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შექმნაში, ე.ი. ყოველი მათგანი კვლავ წარმოების პროცესის აქტიური მონაწილეა.

ძირითადი საშუალებების მთლიან მოცულობაში სხვადასხვა ელემენტის ხვედრითი წილი წარმოების ტექნოლოგიური სტრუქტურის მაჩვენებელია. ცალკეული ტექნოლოგიური პროცესების სპეციფიკის გამო, ტექნოლოგიური სტრუქტურების უბრალო შედარება სრულ სურათს ვერ მოგვცემს. როგორც წესი, ასეთ დროს მიღებულია მონაცემების შედარება დინამიკაში - ზედიზედ რამდენიმე წლის მონაცემების მიხედვით.

ძირითადი საშუალებების აქტიური ნაწილის ხვედრითი წილის ზრდა ხელს უწყობს ძირითადი საშუალებების ეფექტურად გამოყენებას, მათი უკუგების ზრდას, შემცირება კი უარყოფითად მოქმედებს თვითღირებულებასა და მთლიანად მეურნეობის მწარმოებლურობის დონეზე.

*ძირითადი საშუალებების შეფასება.* ძირითადი საშუალებების ობიექტების შეფასებას არსებითი ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს. როდესაც ობიექტის შეძენის ან მოდების პირობები სხვადასხვაა, ხოლო ექსპლუატაციაში შეყვანის მომენტში მათი საწყისი ღირებულების შეფასებისადმი მიდგომა ერთსახა არ არის (ჯერჯერობით დაუმუშავებელია), ძნელდება მათი დაგეგმვა და მიღებული შედეგების შეფასება.

ამჟამად ძირითადი საშუალებების ობიექტების შეფასება ძირითადად შეძენის წყაროზეა დამოკიდებული. გაითვალისწინება ძირითადი საწყისი ფასი, თუ ის შეძენილია საფასურის გადახდით. იგულისხმება ორგანიზაციის მიერ ფაქტიურად დახარჯული თანხა მის შეძენაზე, მშენებლობაზე და დამზადებაზე. არ გაითვალისწინება დამატებული და სხვა გადასახადები.

ფაქტიური დანახარჯები ძირითადი საშუალებების შეძენაზე, მშენებლობაზე და დამზადებაზე შეიძლება იყოს:

თანხა, ხელშეკრულების თანახმად, გამყიდველისადმი გადახდილი;

- თანხა, გადახდილი ორგანიზაციის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამშენებლო და სანარდო სამუშაოების შესრულებაზე;

- თანხა, გადახდილი ორგანიზაციის მიერ საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურებისათვის, დაკავშირებული შეძენილ ძირითად საშუალებებთან;

სარეგისტრაციო მოსაკრებელი, სახელმწიფო ბაჟი და ანალოგიური გადასახადი, გაწეული ძირითადი საშუალებების ობიექტის შეძენის ნებართვასთან დაკავშირებით;

საბაჟო გადასახადი და სხვა გადასახადები;

აუნაზღაურებელი გადასახადი, გადასახადი ძირითადი საშუალებების შეძენასთან დაკავშირებით;

- გასამრჯელო, რომელიც გადაეცა შუამავალ ორგანიზაციას, რომლის მეშვეობითაც შეძენილ იქნა ძირითადი საშუალებების ობიექტები;

- სხვა ხარჯები, რომლებიც უშუალოდ იყო დაკავშირებული ძირითადი საშუალებების ობიექტების შეძენასთან, მშენებლობასთან ან დამზადებასთან.

ფაქტიურ ხარჯებს არ მიეკუთვნება საერთო სამეურნეო ხარჯები, თუ ისინი არ არიან დაკავშირებული უშუალოდ ძირითად საშუალებათა ობიექტებთან.

ამრიგად, ძირითადი საშუალებების ობიექტების შეფასებაში შედის მის შეძენაზე გაწეული ყოველგვარი დანახარჯი.

ანალოგიურად გამოითვლება ფაქტობრივი დანახარჯები მშენებლობაზე ან ძირითადი საშუალებების ობიექტების დამზადებაზე. იმ გადასახადის გარდა, როგორც არის დამატებული ღირებულება და სხვა ანაზღაურებადი გადასახადი.

ასე, რომ იმ ძირითადი საშუალებების ობიექტების შეფასების საკითხში, რომელიც შეძენილია ფულის გადახდით ან დამთავრებული კაპიტალური მშენებლობით, არსებითი ცვლილება არ მომხდარა. ობიექტის საინვენტარო ღირებულებაში შედის თითქმის ყველა დანახარჯი, რომელიც მის შეძენასთან ან მშენებლობასთან არის დაკავშირებული.

აღსანიშნავია, რომ უშუალოდ დაფინანსების წყაროდან ჩამოსაწერი ხარჯების ჩამონათვალი მოიცავს სულ რამდენიმე პუნქტს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ბანკის კრედიტის პროცენტი, გადახდილი ობიექტის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ. ამ ჩამონათვალს და თვით ამ ხარჯების ეკონომიკურ გაანგარიშებას იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც ისინი უკვე არასოდეს არ ანაზღაურდება ამორტიზაციის დარიცხვის საშუალებით და აქედან გამომდინარე, ანალოგიური ობიექტების ეფექტიანობის ერთმანეთთან შედა-

რების დროს ამის გაუთვალისწინებლობა დაამახინჯებს საერთო სურათს.

მნიშვნელოვნად შეიძლება ჩაითვალოს ის ცვლილება, რომელიც შეტანილია წინათ არსებულ შეფასების წესში, რაც ეხება ძირითადი საშუალებების ობიექტების, მისი, როგორც ანაბარის, შეტანის საწესდებო კაპიტალში და რომელიც აუნაზღაურებლად მიიღება.

ორგანიზაციის საწესდებო კაპიტალში შესული ძირითად საშუალებათა ღირებულება, როგორც წილი, შეფასდება ფულად ერთეულში ორგანიზაციის დამფუძნებელთა შეთანხმების საფუძველზე. უნდა აღინიშნოს, რომ ორგანიზაციის დამფუძნებლები არ არიან დაინტერესებულნი ძირითადი საშუალებების ობიექტების ღირებულების ხელოვნური გაზრდით. მაგრამ ჩვენს პრაქტიკაში ხშირად ხდება ძირითადი საშუალებების ობიექტების ღირებულების აწევა. ამიტომ აუცილებელია ამის გათვალისწინება ძირითადი საშუალებების ობიექტების გამოყენების ეფექტურობის ანალიზის დროს, თუმცა ჯერჯერობით, ამ ფაქტის კორექტირების მექანიზმი შემუშავებული არ არის.

იმ ძირითადი საშუალების საწყისი ღირებულება, რომელიც ორგანიზაციამ ნაჩუქრობის ან აუნაზღაურებელ (უკან დაუბრუნებელ) საფუძველზე მიიღო, ფასდება საბაზრო ფასებით იმ მომენტის შესაბამისად, როდესაც ობიექტი ორგანიზაციის შემოსავალში აღირიცხა.

საბაზრო ფასის დადგენისათვის შეიძლება გამოვიყენოთ:

ანალოგიური პროდუქციის ფასი, რომელსაც წერილობითი ფორმით გასცემს დამაზადებელი ორგანიზაცია;

სტატისტიკის სახელმწიფო ორგანოში არსებული ცნობა ფასის შესახებ;

- სავაჭრო ოპერაციებსა და ორგანიზაციებში არსებული ცნობები;

- მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ან სპეციალურ ლიტერატურაში გამოქვეყნებული ცნობები ფასის დონის შესახებ;

ექსპერტის დასკვნა ობიექტის ფასის შესახებ.

თუ ნაჩუქარი ობიექტია, ადგილზე გადატანას სატრანსპორტო ხარჯები დასჭირდება, ესეც დაემატება ობიექტის საწყის ღირებულებას.

უნდა აღინიშნოს, რომ აუნაზღაურებლად გადაცემულ ობიექტებს როგორც წესი, მიეკუთვნება მორალურად ძლიერ გაცვეთილი ობიექტები, რომლებიც ჩვეულებრივ მოხსნილი არიან წარმოებიდან დაბალი ეფექტიანობის გამო. უნდა ვაღიაროთ, რომ ასეთი სახის (ამ გზით მიღებული) ობიექტი არსებითად აუარესებს ძირითადი საშუალებების გამოყენების მაჩვენებლებს.

ისეთი ობიექტის *საწყის ფასად*, რომელიც მიღებულია სხვა სახის ქონებაზე გადაკველით, ჩაითვლება ის ფასი, რაც გადაკვეთილი საქონელი ღირს საბუღალტრო ბალანსის მიხედვით.

ამ შემთხვევაში არსებობს იმის საშიშროება, რომ საგრძნობლად დაიწიოს ძირითადი საშუალებების ფასმა. იმ შემთხვევაში, როდესაც გაცვლა ხდება საწყობში დიდი ხნის განმავლობაში დაწყობილ საქონელზე, რომლის გადაფასება არ მომხდარა ძირითადი საშუალების შესაბამისად, ბალანსიდან ჩამოიწერება ის თანხა, რომელიც შეესაბამება ამ მარაგის შექმნის მომენტში არსებულ ფასს და შემოსავალშიც ამ ფასად მოხდება ძირითადი საშუალებების ობიექტის აღრიცხვა. მაგალითად, თუ საქონელი 1992-93 წ.წ. იქნა შექმნილი, ხოლო მისი გაცვლა 1998 წელს მოხდა, შემდგომში წარმოებაში გამოყენებული ყველა სახის ძირითადი საშუალების ობიექტის გამოყენების ანალიზი უაზრობა იქნება, რადგან შესადარებელი მაჩვენებლების დადგენა შეუძლებელი გახდება.

ძირითადი საშუალებების შეფასებასთან ერთად უნდა განვიხილოთ მისი გადაფასების საკითხიც. ამის აუცილებლობა დაკავშირებულია ინფლაციურ პროცესებთან, რის გამოც აუცილებელი ხდება რეგულარულად ძირითადი საშუალებების ღირებულების დასუსტება, რათა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ღირებულება დანახარჯების ერთიან დონეს მიუახლოვოთ. ობიექტების გადაფასება წინათაც ხდებოდა, მაგრამ მისი პერიოდულობა გაცილებით დაშორიშორებული იყო.



მაგალითად, ძირითად საშუალებათა გადაფასება 1972 წელს ჩატარდა და 1992 წლამდე აღარ ჩატარებულა.

გადაფასების ჩატარების მეთოდოლოგიური საფუძვლები მთავრობის მიერ არის დაწესებული. მაგალითად, 1998 წელს რუსეთის ფედერაციის მიერ დადგინდა, რომ საწარმოებს უფლება აქვთ თვითონ მიიღონ გადაწყვეტილება გადაფასების ჩატარების შესახებ წელიწადში ერთხელ I იანვრის მდგომარეობით (უნდა აღინიშნოს, რომ გადასახადის ზომასა და მოგებაზე ეს გადაფასება ზეგაეულენას არ ახდენს, რადგანაც გათვალისწინებულია კორექტირება თვითღირებულებაში ამორტიზაციის თანხაზე, გადაფასებული ღირებულების წილზე, ეს არსებითია, რადგანაც გადაფასების ძირითადი მიზანი არის რეალური თვითღირებულებისა და აქედან გამომდინარე - მოგების განსაზღვრა).

არსებობს გადაფასების ორი ძირითადი მეთოდი:

- *ინდექსური*, რომლის მიხედვითაც ძირითადი საშუალებების ობიექტების საწყისი ფასი მრავლდება კოეფიციენტზე, რომელიც დადგენილია სახელმწიფო კომიტეტის მიერ, ხოლო წინათ დარიცხული ცვეთა კორექტირდება იმ ანგარიშით, რომ მისი მთლიანი ჯამი შეესაბამებოდეს ობიექტის ფაქტიურ ფიზიკურ ცვეთას. ამ მეთოდმა რუსეთში ვერ გაამართლა, რადგან ეს კოეფიციენტები ძირითადი საშუალების ობიექტების ღირებულებას იმაზე მეტად ზრდიდა, ვიდრე ეს არის იმ ანალოგიური ობიექტების საბაზრო ფასი, რომლებიც უფრო მაღალი მწარმოებლურობით გამოირჩევიან.

- *პირდაპირი გადაანგარიშება* - ამ დროს ექსპერტების მეშვეობით ხდება ობიექტის ახალი ფასის დადგენა, გადაფასების მომენტში ანალოგიური ობიექტების საბაზრო ფასებზე დაყრდნობით, რაც მნიშვნელოვანია ძირითადი საშუალებების გამოყენების ეფექტურობისა და საწარმოო პროცესების დაგეგმისათვის.

ტრადიციულად მიღებულია ძირითადი საშუალებების შეფასების 5 სახე:

*საწყისი* (თავდაპირველი) ღირებულება ან ძირითადი საშუალებების ღირებულება შექმნის მომენტში (აქ შედის

ფაქტიური დანახარჯები, დაკავშირებული შექენასთან, გადმოტანასთან, მონტაჟთან და ა.შ.).

*აღდგენითი* ღირებულება, ანუ ღირებულება ობიექტის გადაფასების მომენტში. საზოგადოდ, აღდგენითი ღირებულება ფაქტიურად შეესაბამება საბაზრო ღირებულებას, რომლითაც აფასებენ ნაშუქარ ქონებას (ე.ი. ქონებას, რომელიც აუნაზღაურებლად მიიღება).

*ნარჩენი* ღირებულება - ობიექტის საწყისი ან აღდგენითი ღირებულება, რომელსაც გამოკლებული აქვს (ცვეთის დანარიცხები. ის რაც საწყისი და აღდგენითი ღირებულების გამოსაანგარიშებლად გამოდგება, როგორც ბაზა, გამოდგება ცვეთის შეფასებისთვისაც. ნებისმიერი მეთოდით გამოანგარიშებული ღირებულება საშუალებას იძლევა ობიექტი შეეაფასოსოთ ნებისმიერ საანგარიშო წელს.

*საბალანსო* ღირებულება, რომლითაც ობიექტი აღირიცხება საბუღალტრო ბალანსში. ამ დროისათვის ეს არის ნარჩენი ღირებულება, რომელიც გაანგარიშებულია აღდგენითი გზით (ე.ი. გადაფასების მხედველობაში მიღებით).

*სალიკვიდაციო* ღირებულება, რომლის მიხედვითაც შეიძლება დაეადგინოთ მიღებული ზარალი ობიექტის ლიკვიდაციის გამო. ეს არის ობიექტის ღირებულება ამორტიზაციამდე, გაზრდილი იმ თანხით, რაც დაიხარჯება ამორტიზაციაზე (მუშის ხელფასი თავისი დანარიცხებით, მასალები, სატრანსპორტო ხარჯები და ა.შ.) და შექცირებული ლიკვიდაციის შედეგად მიღებული მასალის ღირებულებით.

რეალური სალიკვიდაციო ღირებულება შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ ფაქტიურად არსებული დანახარჯების საფუძველზე და შემოსაქალში აღებული ქონების ღირებულებით.

*ძირითადი საშუალებების ობიექტების გამოყენების მანქენებლები.* ძირითადი საშუალებების გამოყენების მანქენებლები შეიძლება პირობით ორ ჯგუფად დაკყოთ:

- ძირითადი საშუალებების უზრუნველყოფის მანქენებლები;

- ძირითადი საშუალებების გამოყენების ეფექტურობის მაჩვენებლები.

ძირითადი ფონდებით უზრუნველყოფის მაჩვენებლებს მიეკუთვნება - ფონდუზრუნველყოფა:

$$\Phi_{\text{უ}} = P \quad Y$$

$\Phi_{\text{უ}}$  - ფონდუზრუნველყოფა

P - ძირითად საშუალებათა ღირებულება

Y - სავარგულის ფართობი.

ფონდუზრუნველყოფის დინამიკის ანალიზისათვის უმჯობესია გაანგარიშებების ჩატარება ძირითადი საშუალებების ცალკეული ჯგუფებისათვის.

ეკონომიკის სტაბილური ფუნქციონირების პირობებში, ფონდუზრუნველყოფის მონაცემები სრულ ინფორმაციას იძლევა იმისათვის, რომ მივიღოთ გადაწყვეტილება ძირითად საშუალებათა ობიექტების რაოდენობის შეცვლის თაობაზე. როდესაც სასოფლო-სამეურნეო სავარგულის ფართობი, რაიმე მიზეზის გამო, იზრდება ან მცირდება, საჭირო ხდება ფონდუზრუნველყოფის მონაცემების კორექტირება (მაგალითად, მიწების პრივატიზაციის გამო მთელი რიგი სავარგული დაუმუშავებელი დარჩა, ე.ი. შემცირდა დამუშავებაში მყოფი ფართობის რაოდენობა). როცა სავარგულის ფართობი მცირდება, ხოლო ძირითადი საშუალებები იგივე რჩება, მაშინ ფონდუზრუნველყოფა იზრდება, თუმცა ხარისხი იგივე რჩება.

*ფონდალჭურვილობა.*

$$\Phi_{\text{ა}} = P \quad III$$

$\Phi_{\text{ა}}$  - ფონდალჭურვილობა

P - ძირითად საშუალებათა ღირებულება

III - წარმოებაში დასაქმებულ მუშათა რაოდენობა.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობის შემცირების შემთხვევაში ფონდალჭურვილობის მაჩვენებელი იზრდება, რაც მისი გამოყენების ეფექტურობის დაბალ დონეზე მიუთითებს.

ძირითადი ფონდების გამოყენების შეფასებისათვის მიზანშეწონილია ფონდუკუგების მაჩვენებლის გამოყენება, რამდე-

ნადაც ის სხეებზე უკეთ ახასიათებს ძირითადი ფონდების გამოყენების ეფექტიანობას.

*ფონდუკუგება* გამოიხატება ფორმულით:

$$\Phi_{\text{უ}} = P_1 \cdot P \text{ სადაც}$$

$\Phi_{\text{უ}}$  - ფონდუკუგება;

$P_1$  სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის მოცულობა წლის განმავლობაში.

$P$  ძირითადი საშუალებების საშუალო წლიური ღირებულება.

დასახული მიზნიდან გამომდინარე, ფონდუკუგების ფორმულის მრიცხველში შეიძლება ჩაესვათ წლის განმავლობაში რეალიზებული პროდუქციის ღირებულება, ან გადმოტვირთული პროდუქციის ღირებულება და ა.შ.

ფონდუკუგების მაჩვენებელი შედარებით ზუსტად გამოხატავს ძირითადი საშუალებების გამოყენების დონეს ყოველ კონკრეტულ საწარმოში. უფრო მეტიც, როდესაც სხვადასხვა პერიოდის ფონდუკუგების მაჩვენებლები ერთმანეთისაგან ძლიერ განსხვავდებიან, აუცილებელი ხდება ამ პერიოდების სხვა მონაცემების ანალიზიც, რათა დაეადგინოთ განსხვავების მიზეზები. მიზეზები კი შეიძლება იყოს:

*საწარმოო პროგრამის შემცირება* (სათესი ფართობის, საქონლის სულადობის შემცირება და ა.შ.);

- *მოწყობილობის მწარმოებლურობის შემცირება* ფიზიკური ან მორალური ცვეთის გამო;

*შრომის მწარმოებლურობის დაქვეითება* მუშახელის დაბალი კვალიფიკაციისა და შრომის მოტივაციის დონის დაქვეითების გამო (მაგ. მრავალი თვის განმავლობაში ხელფასების გაუკემლობა);

- *ძირითადი საშუალებების ობიექტების* არაეფექტურად გამოყენება ან საერთოდ გამოყენებლობა.

ფონდუკუგების შებრუნებული მაჩვენებელია *ფონდტევადობა*, რომელიც გამოითვლება ფორმულით:

$$\Phi_{\text{ტ}} = P \cdot P_1, \text{ სადაც}$$

$\Phi_{\text{ტ}}$  - ფონდტევადობა;

$P$  - ძირითადი საშუალებების ღირებულება;

$P_1$  - სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის მოცულობა.

ტრადიციულად, რენტაბელობა იანგარიშება მიღებული მოგების შეფარდებით (გაყოფით) ძირითად საწარმოო და ნორმირებული საბრუნავი საშუალებების ღირებულებასთან და გამოითვლება ფორმულით:

$$R = M (P + P_1), \text{ სადაც}$$

$R$  - რენტაბელობა;

$M$  სასოფლო-სამეურნეო საწარმოს მოგება;

$P$  - ძირითადი საშუალებების ღირებულება;

$P_1$  - საშუალო წლიური ნორმირებული საბრუნავი საშუალებების ღირებულება.

მეთოდური და სასწავლო ლიტერატურაში ამ მაჩვენებელს "მოგების ნორმასაც" უწოდებენ. ასეთი განმარტება ეკონომიკურად მთლად გამართლებული არ არის, რადგანაც დასავლეთის სტანდარტების მიხედვით "მოგების ნორმა" იანგარიშება მიღებული მოგების გაყოფით ავანსირებული კაპიტალის თანხაზე. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ავანსირებული კაპიტალი (საწესდებო კაპიტალი) საწარმოს ჩამოყალიბების მომენტში, მხოლოდ იდეალურ შემთხვევაში იქნება ძირითადი საშუალებებისა და ნორმირებული საბრუნავი საშუალებების ღირებულების ტოლი. მაგრამ დროთა განმავლობაში ეს ტოლობა დაირღვევა, რისი მიზეზებიც შეიძლება მრავალი რამ იყოს: გადაფასების ჩატარება, ამორტიზაციაზე დანარიცხები და ქონების ღირებულების გაზრდა და სხვა. ამას გარდა, სოფლის მეურნეობაში იმის გამო, რომ საწარმოო ციკლი ხანგრძლივობით გამოირჩევა, ავანსირებული კაპიტალი ვერ უზრუნველყოფს მოთხოვნებს საბრუნავ საშუალებებზე (ამიტომ იძულებული ხდებიან აიღონ სასხები).

დღეისთვის ფონდების ღირებულების როლს ქონების გადასახადი ასრულებს, რომელიც ასევე საბალანსო მოგების ხარჯზე მიიღება. თუმცა ამ გადასახადის ზომის კავშირი ძირითად და ნორმირებულ საბრუნავ საშუალებებთან მთლად აშკარა არ არის, რადგანაც გადასახადის გამოსაანგარიშე-

ბელი ბაზა სხვა სახის ქონებასაც მოიცავს (მაგალითად დაუქმთავერებელი მშენებლობის ღირებულებას).

ძირითადი საშუალებების გამოყენების ზემოთ ჩამოთვლილი მაჩვენებლების გარდა მეთოდოლოგიურ მითითებებში ძირითადი საშუალებების აღრიცხვისათვის რეკომენდირებულია გამოვიყენოთ მონაცემთა შემდეგი დაყოფა, კერძოდ:

საკუთარი ან არენდირებული ძირითადი საშუალებები;

- დადგენილი და დაუდგენელი ძირითადი საშუალებები;

- მოქმედი და გამოუყენებელი ძირითადი საშუალებები;

- მოწყობილობების, მანქანების და სატრანსპორტო საშუალებების სამუშაო დრო ან გაცდენა;

- მონაცემები პროდუქციის გამოშვების შესახებ;

მონაცემები ეკოლოგიური ღონისძიებების ჩასატარებლად.

ეს მონაცემები შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც ეკონომიკური ან ფინანსური ანალიზისათვის საჭირო დამატებითი მაჩვენებლები.

### 5.3 საბრუნავი საშუალებები

არსებობს საბრუნავი საშუალებების რამდენიმე განმარტება, მათ შორის:

*საბრუნავი საშუალება* ეს არის შრომის საშუალება, რომელიც გამოიყენება წარმოების პროცესში და თავისი ღირებულება გადააქვს მზა პროდუქციაზე ერთ ან რამდენიმე საწარმოო ციკლში, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლის განმავლობაში.

*საბრუნავი საშუალება* - ეს არის ავანსირებული ფულადი სახსრების ერთიანობა საბრუნავი საწარმოო და მიმოქცევის ფონდის შესაქმნელად, რომლის გამოყენებითაც უზრუნველყოფილ იქნება წარმოების უწყვეტობა და პროდუქციის რეალიზაცია.

პირველი განმარტება ეხება საბრუნავი საშუალებების ეკონომიკურ, ხოლო მეორე - ფინანსურ არსს.

ამრიგად, საბრუნავი საშუალებები არის ერთი მხრივ საწარმოოს აქტივი, რომელიც უზრუნველყოფს პირველ საწარმოო ციკლს, ხოლო მეორე მხრივ - ამ აქტივის ფულადი შეფასება, რომელიც განსაზღვრავს კაპიტალის იმ ნაწილს, რომლის ავანსირებაც წარმოებაში პირველად ხდება (მეორე ნაწილი უზრუნველყოფს ძირითად საშუალებებს).

საბრუნავი საშუალებები იყოფა ძირითად საბრუნავ ფონდებად (აქაც შეიძლება "ფონდი" შეეცვალოს საშუალებით, მაგრამ ეს გამოიწვევს სირთულეებს ტექსტში და ამიტომ ვტოვებთ "ფონდს") და მიმოქცევის ფონდებად.

*საბრუნავი საწარმოო ფონდები (საშუალებები)* - არის შრომის საგნები და შრომის იარაღები, რომლებიც ემსახურებიან წარმოების სფეროს და უზრუნველყოფენ მის უწყვეტობას.

*მიმოქცევის ფონდები (საშუალებები)* - არის პროდუქცია და ფულადი სახსრები, რომლებიც უზრუნველყოფენ რეალიზაციის პროცესის უწყვეტობას.

*საბრუნავი საწარმოო ფონდები* - თავის მხრივ კიდევ შეიძლება გაეყოს ორ ნაწილად *მარაგის სახის საშუალებებად* და საშუალებებად, რომლებიც *დაბანდებულია წარმოებაში*.

*მარაგის სახის საბრუნავ (საშუალებებში) ფონდებში* შედის: ნედლეული, სასუქები, მცენარეთა და ცხოველთა დაცვის საშუალებები, ნახევარფაბრიკატები, კონსტრუქციები და დეტალები, სათბობი, ტარა, საკეები, თესლი, სარგავი მასალა, მცირედირებულების და სწრაფცვეთადი საგნები და ა.შ.

*წარმოებაში დაბანდებულ საბრუნავ საშუალებებს* მიეკუთვნება: დაუმთავრებელი წარმოება (მემცენარეობა, მეცხოველეობა, სამრეწველო წარმოება, ტექნიკური მომსახურება. სამელიორაციო-სამეურნეო სამუშაოები და სხვ.), სასუქები, პირუტყვი, საკუთარი წარმოების ნახევარფაბრიკატები, მომავალი პერიოდის ხარჯები.

რაც შეეხება *მიმოქცევის ფონდებს (საშუალებებს)*, ესეც შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს, მზა პროდუქციად და ფულად ფონდებად. მზა პროდუქციაში შედის: მემცენარეო-

ბისა და მეცხოველეობის პროდუქცია. ფულად სახსრებში შედის: ფულადი სახსრები ბანკის ანგარიშზე, სალაროში, დებიტორული დავალიანება.

საბრუნავი საშუალებების ფორმირების წყაროს მიხედვით ის შეიძლება დავეყოთ *საკუთარ* და *ნასესხებ* (ფონდებად). საშუალებებად.

კომერციული ორგანიზაციები დაფუძნებისას თვითონ განსაზღვრავენ (საწესდებო კაპიტალის შესაძლებლობის მიხედვით) საბრუნავი საშუალებების მოცულობას, ხოლო ორგანიზაციებს, რომლებიც სახელმწიფო ან მუნიციპალურ დაქვემდებარებაში იმყოფებიან, ჩამოყალიბებისთანავე გამოყოფილი აქვთ საბრუნავი საშუალებების ნორმატივი საწესდებო ფონდში.

აგროსამრეწველო კომპლექსში საბრუნავი საშუალებების ფორმირებას მთელი რიგი თავისებურება ახასიათებს, რაც დაკავშირებულია საწარმოო ციკლის ხანგრძლივობასთან. მაგალითად, მემცენარეობაში, ამა თუ იმ კულტურის მოყვანისას არ შეიძლება მხოლოდ საეეგეტაციო პერიოდით შემოფარგვლა. მაგალითად, საგაზაფხულო კულტურები ითვლება ერთ საანგარიშო პერიოდში, ხოლო მოსავალი და მისი რეალიზაცია (ე.ი. შედეგის მიღება ხდება) არა უადრეს მეორე საანგარიშო წლის შუა პერიოდისა. მეცხოველეობაში საწარმოო ციკლი შეიძლება უფრო ხანგრძლივიც იყოს: მაგალითად, მეღორეობაში ეს პერიოდი მოიცავს 10-დან 14 თვემდე. ხოლო მთლიანი პირველი ციკლი მსხვილი რქოსანი პირუტყვის რძის მიღებამდე მოიცავს არა უმკირეს ორი წლისა. ეს თავისებურებები განაპირობებენ საბრუნავი საშუალებების სხვაგვარი განაწილების წესს (ვიდრე ეს არის მიღებული მრეწველობაში), ასევე მათი შექმნისა და განახლების წყაროებს. აქ იგულისხმება უფრო მეტი საბანკო კრედიტს და საბიუჯეტო სახსრების მოზიდვა. პრინციპში, როდესაც სასოფლო-სამეურნეო წარმოებას სტაბილური სახელმწიფო მხარდაჭერა აქვს და მისთვის გათვალისწინებულია საბიუჯეტო სახსრების მიცემა. ეს შეიძლება საკუთარ სახსრებად ჩაითვალოს და არ არის აუცილებელი საწესდებო კაპიტალით საბრუნავი საშუალებების უზრუნველყოფა. ამ პირობებში



იზრდება ნორმირებული საბრუნავე საშუალების სწორი და დროული გაანგარიშების მნიშვნელობა.

*მატერიალურ-საწარმოო მარაგების ნორმირება* - მატერიალურ-საწარმოო მარაგების ნორმის დადგენის საერთო პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ გაევიგოთ მარაგის დღიური ნორმა და მიღებული ციფრი გაავამრავლოთ მის ღირებულებათზე. მატერიალურ-საწარმოო მარაგის ნორმატივი შემდეგი ელემენტებისაგან შესდგება:

- *სატრანსპორტო მარაგი* - ეს ის ფულადი სახსრებია, რომელიც საწარმომ უნდა გაითვალისწინოს და გადადოს მატერიალურ-საწარმოო მარაგის შესაძენად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადებამდე. მაგრამ, თუ მატერიალურ-საწარმოო მარაგის შესაძენი თანხის გადახდა (ხელშეკრულებით) პროდუქციის დამზადების ან მისი რეალიზაციის შემდეგ არის გათვალისწინებული, მაშინ სატრანსპორტო მარაგი არ იგეგმება;

- *მოსამზადებელი მარაგი* - დაკავშირებულია ნედლეულის პირველად დამუშავებასთან, წარმოებაში მისი გაგზავნის წინ. სოფლის მეურნეობაში ეს დაკავშირებულია შექმნილი სათესლე მასალის დამუშავებასთან (მაგ. სტრატეფიკაცია, იაროეზაცია და ა.შ.) მაგრამ თანხის რაოდენობა მოსამზადებელი მარაგისათვის განისაზღვრება სავარაუდოდ, მოსამზადებელი სამუშაოსა და მარაგის რაოდენობის მიხედვით;

*სასაწყობო მარაგი* - დაკავშირებულია ნედლეულისა და მასალების მომარაგების ორ პერიოდს შორის საწყობში შენახვასთან. საბაზრო ეკონომიკის დროს სასაწყობო მარაგი შეიძლება მაქსიმალურად შევამციროთ, რადგან იგი ლიმიტირებული არ არის, თუმცა მასალისა და ნედლეულის ფასი ბაზარზე შეიძლება მერყეობდეს და ჩვენ გეინდოდეს მისი იაფად ყიდვა და შენახვა.

- *გარანტირებული (დაზღვეული) მარაგი* - დაკავშირებულია მასალის არარიტმული მიწოდების მიხეზით გამოწვეული მოსალოდნელი ნეგატიური შედეგების ლიკვიდაციასთან. გეგმური ეკონომიკის დროს თვლიდნენ, რომ გარანტირებული მარაგი საშუალოდ სასაწყობო მარაგის 50%-ს უნდა

უდრიდეს. მაგრამ თუ საკითხს რეალურად განვიხილავთ, ერთი და იმავე ფაქტორებმა შეიძლება ზემოქმედება მოახდინოს როგორც სასაწყობო, ისე გარანტირებულ მარაგზე, ამიტომ თუ სასაწყობო მარაგი შემცირდება, მის პროპორციულად უნდა შემცირდეს გარანტირებული მარაგიც, ამდენად, ნებისმიერ შემთხვევაში 50% ძალაში რჩება. თანამედროვე პირობებში, გარანტირებული მარაგის შექმნა რეალურად არ გვესახება, რადგან სახსრები, რომელსაც სასოფლო-სამეურნეო საწარმოები ფლობენ, ამის შესაძლებლობას არ იძლევა.

მატერიალურ-საწარმოო მარაგების შექმნა საწარმოსათვის აუცილებელია. ზოგჯერ საჭიროა ამ მარაგის შემცირება, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს სასაწყობო სათავსო ფართობის სამცირესთან. შეიძლება პირიქით, საჭირო გახდეს მარაგის მოცულობის გაზრდა. ამ შემთხვევაში საჭირო იქნება დამატებითი კაპიტალი, რათა გავაყაროთ შესანახი სათავსო.

*სათადარიგო ნაწილების ნორმატივი* ეს ნორმატივი გათვალისწინებულია იმ შემთხვევაში, როდესაც გეგმით გათვალისწინებულია სათადარიგო ნაწილების ფონდის შექმნა, მიმდინარე და კაპიტალური რემონტის და მომსახურების განხორციელებისათვის. ნორმატივის ზომა დამოკიდებულია შესასრულებელი სამუშაოს მოცულობაზე და შესრულების ვადაზე.

*საწვავი ნორმატივი* სოფლის მეურნეობის სამუშაოების საწვავით მომარაგება, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. რა თქმა უნდა, საკმაოდ დიდი რაოდენობის სახსრებია საჭირო სეზონური სამუშაოების (ხენა, თესვა, მოსავლის აღება, მეცხოველეობის ფერმების გათბობა, საკუთარი საქვებების არსებობის შემთხვევაში და სხვ.) საწვავ-საცხები მასალებით შეუფერხებელი მომარაგებისათვის. გარდა ამისა, საჭირო კაპიტალური დაბანდებები საწვავის შესანახი ავზების მშენებლობისათვის.

*მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების ნორმატივი* - მს (მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები შემდეგში მ.ს.ს.) საგნების ნორმატივის სპეციფიკა დაკავშირებულია ერთ-

თი მხრივ იმასთან, რომ ისინი ეკუთვნიან საბრუნავ საშუალებებს, ე.ი. მათი ღირებულება ახლად შექმნილ პროდუქციაზე ერთი საწარმოო ციკლის პერიოდში ან სულაც ძალიან შეზღუდულ დროში უნდა გადავიდეს. მეორე მხრივ, მსხვეკუთვნის ამორტიზებად ქონებას და შესაძლებელია, მათი ზოგიერთი სახის ღირებულების გადატანა ახალ ნაწარმზე 12 თვეზე მეტი დროით გაგრძელდეს (მაგალითად, სპეციალურივილობა ან ცვლის მოწყობილობა). ამიტომ ამორტიზაციის პერიოდის განმავლობაში მსხ-ის ღირებულების გარკვეული ნაწილი დაკავებულია (დაბანდებულია) და ის სხვა მიზნისთვის ვერ გამოიყენება. ამორტიზაციის ანარიციხი დაბლა სწევს მსხ-ს ნორმატივის მოცულობას.

მსხ-ს საჭიროება და აქედან გამომდინარე, მისი ნორმატივი შეიძლება დაეაჯგუფოთ:

- მცირეფასიან და სწრაფცვეთად საწარმოო ინსტრუმენტებად და მოწყობილობებად;

სპეციალურ ინსტრუმენტებად და სპეციალურ მოწყობილობებად (აქ შედის სპეციალურივილობა);

მცირეფასიან და სწრაფცვეთად სამეურნეო ინვენტარად;

სპეციალურ ტანსაცმლად და ფეხსაცმლად.

**წარმოების დასამთავრებლად დარჩენილი სამუშაოს ნორმატივი** - ეს არის ყველაზე შრომატევადი და ეკონომიკურად რთული, დასასაბუთებელი ნორმატივი. მის გამოსათვლელად იყენებენ ე.წ. მზარდი დანახარჯების კოეფიციენტს. ყველაზე მარტივ შემთხვევაში იყენებენ 0,5 კოეფიციენტს. იგულისხმება, რომ საწარმოო ციკლის ნებისმიერ დარჩენილ დღეს ნორმატივი შეადგენს მზა პროდუქციის მთლიანი თვითღირებულების ნახევარს.

**საბრუნავი საშუალების ნორმატივი**

**ანგარიშსწორები-სას** ამ სახის ნორმატივის დადგენა ხელშეკრულებაზეა და-მოკიდებული; კერძოდ, თუ რა ნორმატივი ესაჭიროება სა-წარმოს ანგარიშსწორებისათვის. სასოფლო-სამეურნეო წარ-მოებისათვის ასეთი სახის ნორმატივი დამახასიათებელი არ არის, რადგანაც ამ შემთხვევაში ძირითადი ფასის გადახდა მზა პროდუქციაზე

წინასწარ ხდება (ხშირია კრედიტით გადახდა უფრო ადრე, ვიდრე მზა პროდუქცია იქნება მიღებულ-ლი).

საბრუნავი საშუალებების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა. საბრუნავი საშუალებების გამოყენების გაუმჯობესების ეკონომიკური ეფექტიანობა გამოიხატება:

პროდუქციის გამოშვების გადიდება საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის დაჩქარებით.

მათი აბსოლუტური ან შეფარდებითი გამონთავისუფლებით.

საბრუნავი საშუალებების შეფარდებითი გამონთავისუფლებით მიღებული ეკონომიკური ეფექტი გამოიხატება ფორმულით:

$$\Theta = P_2 (E_0 - E_1) : 360, \text{ სადაც}$$

$\Theta$  - ეკონომიკური ეფექტი;

$P_2$  რეალიზებული პროდუქციის ღირებულება განსაზღვრულ პერიოდში;

$E_0$  - ერთი ბრუნვის ხანგრძლივობა დღეში, საბაზისო პერიოდში;

$E_1$  - ერთი ბრუნვის ხანგრძლივობა დღეში, მოცემულ პერიოდში.

ეს ფორმულა შეიძლება სხვაგვარადაც დაიწეროს, ანუ:

$$\Theta = \frac{P_2}{E_1} - \frac{P_2}{E_0}$$

სადაც  $E_1$  და  $E_0$  ბრუნვათა რიცხვი საბაზისო და მოცემულ პერიოდებში.

ამ ფორმულით გაანგარიშებისას მიღებული უარყოფითი შედეგი ეკონომიის მაჩვენებელია, დადებითი კი - დამატებითი საბრუნავი საშუალებების საჭიროების.

საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის დაჩქარების ძირითადი გზებია:

- მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სრულყოფა;
- პროდუქციის მასალატყეადობის შემცირება;

ფაქტორები, რომლებიც მოქმედებენ სასაწყობო მარაგის სიდიდეზე, დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების მექანიზაცია და საბრუნავების ბრუნვადობის დაჩქარება.

## 5.4 შრომის ნაყოფიერება

კელაეწარმოების პროცესის ძირითად ელემენტს ძირითად და ცვალებად კაპიტალთან ერთად წარმოადგენს ცოცხალი შრომა.

ცოცხალი შრომის გამოყენების დამახასიათებელი მაჩვენებელია შრომის ნაყოფიერება. არსებობს ამ მაჩვენებლის ორი განსაზღვრა, რომლის მიხედვითაც შრომის ნაყოფიერება იზომება:

ერთი მუშაკის მიერ დროის ერთეულში გამოიმუშავებული პროდუქციის რაოდენობით;

- პროდუქციის ერთეულის გამოსამუშავებლად საჭირო დროის რაოდენობით;

კელაეწარმოების პროცესის დასახასიათებლად შრომის ნაყოფიერების გარდა იყენებენ სხვა მაჩვენებლებსაც, როგორცაა:

*დროის ნორმა* - დროის რაოდენობა, რომელიც საჭიროა განსაზღვრული ოპერაციის საწარმოებლად, ერთეული პროდუქციის დასამზადებლად (ან კომპლექსური სამუშაოს განსახორციელებლად).

ეს განმარტება შრომის ნაყოფიერების მეორე განმარტებისაგან იმით განსხვავდება, რომ ახასიათებს ცალკეული ელემენტის კელაეწარმოებისათვის საჭირო შრომის დანახარჯი, მაშინ, როდესაც შრომის ნაყოფიერება შეიძლება შეფასდეს მხოლოდ გამოშვებული მზა პროდუქციით.

*გამომუშაების ნორმა* - ეს არის დროის შებრუნებული მაჩვენებელი. დროის ერთეულში წარმოებულ ოპერაციასთან რაოდენობა, ნახევარფაბრიკატები ან პროდუქციის ნატურალური რაოდენობა. როგორც წესი, დროის ერთეულად მიღებულია ერთი სამუშაო ცვლა.

*მომსახურების ნორმა* - ეს მანქანებელი გამოიყენება მომსახურე და დამხმარე პერსონალის შტატების დაგეგმვის დროს. მაგ. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მექანიკოსის და დამლაგებლის (შრომის) მომსახურების ნორმის განსაზღვრისას. პირველ შემთხვევაში ნორმა განისაზღვრება ძრავის სიმძლავრის ერთეულის მიხედვით, ხოლო მეორე შემთხვევაში - დალაგებული ფართობის მიხედვით.

*ერთი მუშაკის გამომუშავების ნორმა* იანგარიშება წარმოებული პროდუქციის ღირებულების (ან რაოდენობის ნატურალურ ერთეულში) შეფარდებით ორგანიზაციის პერსონალის საერთო რიცხვზე. ეს განსაზღვრა შრომის ნაყოფიერებისაგან იმით განსხვავდება, რომ "შრომის ნაყოფიერება" გამოიყენება იმ მუშათა მიმართ, რომლებიც უშუალოდ დაკავებული არიან პროდუქციის დამზადებით. ხოლო "ერთ მუშაკზე" გადაანგარიშებისას მხედველობაშია მიღებული აგრეთვე დამხმარე და მმართველი პერსონალი.

ზემოთ ჩამოთვლილის გარდა სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების განსაზღვრისათვის სპეციფიკური მანევრებლებიც იხმარება.

- *დროის ერთეულში შესრულებული სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს მოცულობა* - (სომის ერთეულია პექტარი/საათში ან ტონა/საათში) ეს მანქანებელი შერეული ხასიათისაა. ზოგიერთი სახის სამუშაოს შესრულებისას იგი "მომსახურების ნორმის" (პექტარი/საათში) ანალოგიურია, განსხვავება იმაშია, რომ მომსახურების ნორმა გამოიყენება დამხმარე და მომსახურე პერსონალის შრომის შესაფასებლად, ხოლო ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ძირითადი წარმოების მუშაკის (სპეციალისტის) შრომის ნაყოფიერების მანევრებულთან. იმ შემთხვევაში, როდესაც მანქანებელი იზომება წონა/დროში, შესაძლებელია საქმე არ ეხებოდეს მზა პროდუქციის გამოშვებას, არამედ რაიმე სხვა სახის სამუშაოს, რომელიც დამხმარე ხასიათს ატარებს, მაგალითად, ბოსტნეულისა და ძირხეუნის გადარწყვეა.

შრომის დანახარჯი 1 ჰა სასოფლო-სამეურნეო კულტურის დამუშავებისათვის (კაცი/საათში) - ეს არის წინა განსაზღვრის შებრუნებული მაჩვენებელი.

- შრომის დანახარჯი 1 სული პირუტყვის მომსახურებისათვის (მეცხოველეობაში კაცი/საათი) - ეს მაჩვენებელიც არსებითად დროის ნორმის მაჩვენებელია. ესეც შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც ერთი მუშის შრომის ნაყოფიერების, ისე მთელი პერსონალის შრომის დანახარჯის ანალიზისათვის.

- პირუტყვით დატვირთვა მეცხოველეობის მუშაკზე - (ძროხა/მწველაზე, ღორი/მედორეზე და ა.შ.). ეს მონაცემი შეიძლება გამოყენებული იქნეს შრომის გამოყენების ეფექტიანობის შესაფასებლად სხვადასხვა მეურნეობებში.

შრომის დანახარჯი ცალკეული ოპერაციის შესასრულებლად მეცხოველეობაში (საათებში) - ეს მაჩვენებელი წარმოადგენს ლოკალური დროის ნორმას და საინტერესოა კომპლექსური ნორმის მიღების თვალსაზრისით (ბრიგადისათვის, კოლექტივისათვის და ა.შ.), ასევე შრომის დანახარჯები ანალიზისათვის დინამიკაში ან სხვა მეურნეობებთან შესადარებლად.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში შრომის ნაყოფიერების მონაცემების გაანგარიშების დროს საჭიროა მზა პროდუქციის ზოგიერთი თაყისებურების გათვალისწინება. ცოცხალი შრომის გამოყენების ეფექტიანობის შესაფასებლად შედარებით ზუსტი იქნება მონაცემების ანგარიში მთლიანი პროდუქციის ღირებულების მიხედვით, ხოლო წარმოების საერთო ეფექტურობის შესაფასებლად უმჯობესია გამოვიყენოთ რეალიზებული პროდუქციის მაჩვენებელი. განსხვავება მთლიან და რეალიზებულ პროდუქტს შორის სოფლის მეურნეობაში განისაზღვრება შიდა სამეურნეო ბრუნვით (მიღებული პროდუქციის ნაწილი გამოიყენება შიდა მოხმარებისათვის: სათესლე მასალა, რქე ხბოებისა და გოჭების საკვებად და ა.შ.).

ამას გარდა, შრომის ნაყოფიერებაზე შეიძლება იმოქმედოს მთელმა რიგმა ობიექტურმა ფაქტორებმა, ბუნებრივ

კლიმატურმა პირობებმა, სხვადასხვა მიწის ნაკვეთის ნაყოფიერებამ, ტექნიკის მწარმოებლურობამ და ა.შ.

-



## თავი მეექვსე კვლავწარმოება და მისი თავისებურებები სოფლის მეურნეობაში

### 6.1 კვლავწარმოების ეკონომიკური არსი

საზოგადოების განვითარებისა და ადამიანის არსებობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მატერიალური დოვლათის შექმნა.

მატერიალური დოვლათის წარმოება განუწყვეტელი პროცესია და მიმდინარეობს არსებული დროის შესაბამისი მოწინავე ტექნიკის გამოყენებით. ნებისმიერი საზოგადოების განვითარება ნიშნავს *მატერიალური დოვლათის წარმოების მუდმივ განახლებას, ე.ი. კვლავწარმოებას.*

არსევენ *მარტივ და გაფართოებულ* კვლავწარმოებას. კვლავწარმოება მარტივია, როდესაც წარმოების განახლება ხდება უცვლელი მოცულობით, გაფართოებული კი, როდესაც ადგილი აქვს წარმოების მოცულობის სისტემატურ გადიდებას და დაგროვებას შემდგომი კვლავწარმოებისათვის. ეს კანონი ყველა წარმოებისათვის საერთოა. თუმცა, სოფლის მეურნეობაში კვლავწარმოების პროცესი ნიშნავს 1) საერთო პროდუქციის 2) სამუშაო ძალის და 3) წარმოებით ურთიერთობათა კვლავწარმოებას.

საერთო პროდუქციის კვლავწარმოება ხორციელდება თვით წარმოების პროცესში და ემსახურება წარმოების განვითარებას.

სოფლის მეურნეობაში მრეწველობისაგან განსხვავებით კვლავწარმოება დამოკიდებულია:

ა) ბუნებრივ პირობებზე, ცხოველთა და მცენარეთა განვითარების ბიოლოგიურ პროცესებზე;

ბ) მიწაზე, როგორც წარმოების ძირითად საშუალებაზე;

გ) ნაწარმის ნაწილის ისევ მეურნეობაში დატოვებაზე (თესლი, საკვები, პირუტყვი, ფრინველი, ორგანული სასუქი) შემდგომი კვლავწარმოებისათვის;

დ) სოფლის მეურნეობაში საკუთრების რამდენიმე ფორმის არსებობაზე: საერთო-სახალხო (სახელმწიფო, მუნიციპალური, სახაზინო, არასამთავრობო (სააქციო), კერძო (ფემერული) და ა.შ.);

ე) ტექნიკისა და მეცნიერების განვითარებაზე, რამდენადაც მრეწველობა ამარაგებს სოფლის მეურნეობას მანქანებითა და იარაღებით.

სოფლად საკუთრების სხვადასხვა ფორმების არსებობის გამო, შექმნილია მრავალწყობიანი მეურნეობრიობა: სახელმწიფო, სააქციო, კერძო სახით, სადაც კვლავწარმოების პროცესი სხვადასხვაგვარად ხორციელდება.

სახელმწიფო მეურნეობაში, მიწაზე სახელმწიფო საკუთრების გამო, კვლავწარმოების კანონები ისევე მოქმედებს, როგორც მრეწველობაში.

სააქციო საზოგადოებებში კვლავწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ან კერძო მიწაზე, სახელმწიფო საშუალებების მონაწილეობით (ელექტროსადგურები, მელიორაცია, ტყის დამცავი ზოლები, კრედიტები და ა.შ.).

დღეისათვის, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ეტაპზე პრივატიზაციის შედეგად, მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემის გამო, კვლავწარმოება ხორციელდება მიწის კერძო საკუთრების პირობებში, სახელმწიფო საშუალებების გამოყენებით (ელექტროსადგურები, მელიორაცია, კრედიტები და ა.შ.).

ნებისმიერო მეურნეობის გაფართოებული კვლავწარმოების პირდაპირი მასშევენებელია პროდუქციის წარმოების გადიდება

რის საფუძველზეც ხდება *საერთო და წმინდა* შემოსავლის გადიდება და დაგროვება. ე.ი. დაგროვება არის გაფართოებული კვლავწარმოების მატერიალური საფუძველი,

რომლის არაპირდაპირი მაჩვენებელია ნათესი ფართობების ზრდა, ექსპლუატაციაში ახალი მიწების ჩართვა, კვალიფიციური კადრები და ა.შ.

სოფლის მეურნეობაში საერთო პროდუქციის ზრდა ხორციელდება შრომის ნაყოფიერების ამღლებით მომუშავეთა რიცხოვნობის შემცირების პირობებში.

## 6.2 წარმოების დანახარჯები

წარმოების დანახარჯებს წარმოადგენს კონკრეტული სახის პროდუქციის შექმნისას დახარჯული ცოცხალი და განიეთებული შრომის ერთობლივი ხარჯები. საბაზრო ეკონომიკის დროს (წარმოებაში და ბრუნვაში) უნდა გაყარჩიოთ აშკარა და შესაძლებელი დანახარჯები.

აშკარა დანახარჯებს მიეკუთვნება საწარმოს ყველა სახის დანახარჯი, რომელიც გაწეულია წარმოების ფაქტორების გამოყენებაზე. წარმოების კლასიკურ ფაქტორებს წარმოადგენს შრომა, მიწა (ბუნებრივი რესურსი) და კაპიტალი. აშკარა დანახარჯი წარმოადგენს წარმოების ფაქტორების აღდგენისაკენ მიმართულ დანახარჯს. აქ შედის შრომის ანაზღაურება (ხელფასის სახით), მიწის ღირებულება (საარენდო ფასი), კაპიტალის ძირითად და საბრუნავ საშუალებებზე გაწეული ხარჯი. აშკარა დანახარჯები გვეკლინება, როგორც პროდუქციის თვისიღირებულება, ხოლო სხვაობა საბაზრო ფასსა და თეითღირებულებას შორის - როგორც მოგება.

თუ საწარმოო და რეალიზებული დანახარჯების თანხად მხოლოდ აშკარა დანახარჯს ჩავთვლით, მაშინ მივიღებთ შედარებით დაბალ მაჩვენებელს. თუ გვინდა მთლიანი დანახარჯების ჯამის გაგება, უნდა გამოვიყენოთ წარმოების "შესაძლებელი დანახარჯების" მეთოდი. შესაძლებელ დანახარჯად ითვლება ორგანიზაციის ყოველგვარი რესურსის გამოყენება (დახარჯვა). მასში არ შევა ვალების გადასახდელად გაწეული დანახარჯები, რამდენადაც ეს მოსალოდნელი დანახარჯი არსად არ არის ფიქსირებული, თვით საბუღალტრო რეესტრშიც კი. მაგალითად, მიწის მუპატრონეს არ სურს მიწის

არენდით გაცემა და გადაწყვიტა, თვითონ დაამუშაოს იგი. ამ შემთხვევაში შესაძლებელი დანახარჯი იქნება არენდის ის თანხა, რომელიც შეუძლო მეპატრონეს მიეღო. ამიტომ თუ გვინდა საწარმოს სამეურნეო საქმიანობის ფინანსური შედეგის შეფასება, აშკარა ხარჯებთან ერთად, გათვალისწინებული უნდა იქნეს შესაძლებელი დანახარჯებიც.

საბაზრო ეკონომიკის დროს არჩევენ სამი სახის მოგებას:

*საბუღალტრო მოგება* - ეს არის სხვაობა საწარმოს მთლიან ამონაგებსა და აშკარა ხარჯებს შორის. საბუღალტრო მოგება არის უპირატესად ფინანსური მახვენებელი. მაქსიმალური სიზუსტით ისაზღვრება და გამოიყენება შემდგომი საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშებისათვის.

*ეკონომიკური მოგება* ეს არის სხვაობა საწარმოს მთლიან ამონაგებსა და ყველა სახის დანახარჯს (აშკარა და შესაძლებელი) შორის. იგი წმინდა ეკონომიკური ხასიათისაა. მოგების ზომა პირობითია და გამოიყენება საწარმოს მუშაობის მიზანშეწინაობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს. ამ შემთხვევაში საწარმოს ეკონომიკური მოგების დონეს უდარებენ იმ მსგავსი საწარმოს ანალოგიურ მანქენებლებს, რომელსაც ნორმალური მოგება აქვს.

*ნორმალური მოგება* ეს მოგება იმ შესაძლებელი დანახარჯების ტოლია, რომელსაც იძლევა წარმოებაში დაბანდებული კაპიტალი. მაგალითად, ნორმალური მოგება კაპიტალის სესხის პროცენტის, ან ბუნებრივი რესურსების შემთხვევაში მიწის საარენდო ფასის ტოლი უნდა იყოს. ე.ი. ნორმალური მოგება ეს მოგების ის შემთხვევაა, როდესაც უფრო ეფექტურია კაპიტალის დაბანდება საწარმოს გარეთ (მაგ. სესხის პროცენტი ან მიწის საარენდო ფასი), ვიდრე საწარმოში.

დანახარჯების კლასიფიკაცია, როგორც აღვნიშნეთ, ხდება აშკარა და შესაძლებელ დანახარჯებად. წარმოების ფაქტორები გარკვეული თვისებებით ხასიათდებიან და გარკვეულ კანონებს ექვემდებარებიან. ფაქტორებმა შეიძლება შეცვალონ ერთმანეთი გარკვეულ ზღვრამდე. მაგ. მანქანებს შეუძლიათ შეცვალონ ცოცხალი შრომა და პირიქით. ფაქტორთა გადაანაცვლებას სიერცეში და ფუნქციითა შეცვლას

ეწოდება *ფაქტორთა მობილურობა*; რაც უფრო მობილურია ფაქტორი, მით უფრო გამოსადეგია წარმოებისათვის – არსებობს *აბსოლუტურად მობილური* და *მცირედმობილური ფაქტორები*. ამ უკანასკნელს ეკუთვნის ფაქტორები, რომელთა ფუნქცია ძნელად იცვლება ან მისი შეცვლა მეტად არახელსაყრელია. ასეთი ფაქტორების შესახებ ამბობენ, რომ ისინი შეიცავენ მონოპოლიის ელემენტს და ბუნებრივია, ითხოვენ მონოპოლიურ გადასახადს (ფასს), რასაც *მონოპოლიური რენტა* ეწოდება. იშვიათი პროფესიის სპეციალისტი, ან მიწის უნიკალური ნაკვეთი უფრო მეტი ღირს ჩვეულებრივთან შედარებით, ამიტომ ჩვეულებრივი დანახარჯების გარდა მათ ანაზღაურებაში მონოპოლიური რენტაც გაითვალისწინება.

წარმოების წესის მიხედვით არჩევენ მუდმივ და ცვალებად დანახარჯებს.

*მუდმივ დანახარჯებად* ითვლება დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია წარმოების ფაქტორების დაბანდებაზე და არ არის დაკავშირებული გამოშვებული პროდუქციის მოცულობაზე (მაგალითად, საარენდო ფასი, ამორტიზაციის ანარიცხები და ა.შ.).

*ცვალებად დანახარჯებს* ეკუთვნის დანახარჯები, რომელთა რაოდენობა უშუალოდ წარმოების მოცულობაზეა დამოკიდებული (მუშახელის ხელფასი, ნედლეულისა და მასალების ღირებულება და ა.შ.).

*მუდმივი დანახარჯების* საფუძველია კაპიტალის გამოყენებასთან დაკავშირებული ხარჯები (მიწა, ძირითადი საშუალებები), ხოლო ცვალებადის-საბრუნავი კაპიტალის გამოყენება.

მუდმივი და ცვალებადი დანახარჯების ჯამს ეწოდება *საერთო ანუ მთლიანი* დანახარჯები.

*საშუალო დანახარჯები* არის საწარმოს მიერ წარმოებული პროდუქციის ერთეულზე გაწეული დანახარჯები. თუ გვინდა საწარმოს მოგების დადგენა, პროდუქციაზე გაწეული საშუალო დანახარჯი, პროდუქციის ფასს უნდა შეეუფარდოს.

საშუალო დანახარჯები იანგარიშება:

მუდმივი კაპიტალის დანახარჯი:  $A_1 = A'_1 \cdot Q$

ცვალებადი კაპიტალის დანახარჯი:  $A_2 = A'_2 \cdot Q$

$A'_1$  - მუდმივი კაპიტალის დანახარჯი.

$A'_2$  - ცვალებადი კაპიტალის დანახარჯი.

მთლიანი დანახარჯი:  $A_3 = (A'_1 + A'_2) \cdot Q = A_1 + A_2$

წარმოების მოცულობა  $Q$

წარმოების ფაქტორების გამოყენებისას აუცილებელია მუდმივ და ცვალებად ფაქტორებს შორის განსაკუთრებული პროპორციის დაცვა. არ შეიძლება თვითნებურად გავზარდოთ ცვალებადი ფაქტორების მოცულობა, ხოლო მუდმივი ფაქტორები უცვლელად დაეტოვოს. ამ შემთხვევაში ამოქმედდება კლებადი უკუგების კანონი (ხარჯების ზრდა).

ამ კანონის თანახმად, ერთ-ერთი ცვლადის განუწყვეტელი ზრდა, როდესაც მეორე ცვლადი უცვლელია, მიგვიყვანს უკუგების ზრდის შემცირებამდე, ხოლო შემდეგში კი მის საესებით შეწყვეტამდე. კლებადი უკუგების კანონი მიესადაგება ყველა სახის ცვლად ფაქტორს ნებისმიერ დარგში. სოფლის მეურნეობაში, ამ მხრივ, ყველაზე თვალსაჩინო მაგალითად შეიძლება დავასახელოთ მინერალური სასუქების გამოყენება. გარკვეულ ზღვრამდე მინერალური სასუქების რაოდენობის (დოზის) მატება ზრდის მოსავლიანობას, შემდეგ ზრდა თანდათან მცირდება და ბოლოს საესებით წყდება.

ყოველი დამატებით გამოშვებული პროდუქციის ერთეულზე საწარმოს დანახარჯების ცვლილების შესაფასებლად იყენებენ *ზღვრული დანახარჯების* მაჩვენებელს, რომელიც იანგარიშება ფორმულით:

$$A_4 = A_2 \cdot Q, \text{ სადაც}$$

$A_4$  - ზღვრული დანახარჯები;

$A_2$  საწარმოს ცვალებადი დანახარჯების მატება;

$Q$  საწარმოს მოცულობის ნაზარდი.

ცხადია, როდესაც ეს მაჩვენებელი ნულს გაუტოლდება, რესურსის შემდგომი დამატება გაუმართლებელია.

## 6.3 სოფლის მეურნეობის პროდუქციის თვითღირებულება

წარმოების პროცესი სოფლის მეურნეობაში მეტად სპეციფიურია და დიდად განსხვავდება სხვა დარგში მიმდინარე წარმოების პროცესებისაგან, რაც მთელი რიგი ფაქტორებით არის განპირობებული. პირველ ყოვლისა, წარმოების ციკლის ხანგრძლივობით, მაღალი რისკიანობით და რაც მთავარია, სოფლის მეურნეობაში მოქმედი ისეთი ეკონომიკური ინსტრუმენტით, როგორიც არის *დიფერენციული რენტა*, რომელიც უფრო მნიშვნელოვანს ხდის მის ეკონომიკურ არსს და განსაზღვრავს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულებას.

პროდუქციის თვითღირებულების ცნება განსხვავდება საწარმოო დანახარჯების ცნებისაგან. აქ მხედველობაშია მიღებული საწარმოს მხოლოდ პირდაპირი ფულადი დანახარჯები, უშუალოდ დაკავშირებული პროდუქციის გამოშვებასა და რეალიზაციასთან.

პროდუქციის თვითღირებულების განსაზღვრა შეიძლება შემდეგნაირად:

*სოფლის მეურნეობის პროდუქციის თვითღირებულება არის პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაზე საწარმოს მიერ დახარჯული მიმდინარე ხარჯების ფულადი გამოხატულება.* ეს ხარჯები უნდა ანაზღაურდეს ამონაგებით სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციიდან და ამით უზრუნველყოს საწარმოო პროცესის უწყვეტობა.

არჩევენ საამქრო, საწარმოო და მთლიან (კომერციულ) თვითღირებულებას.

*საამქრო თვითღირებულება* წარმოადგენს პროდუქციის გამოშვებასთან დაკავშირებულ მიმდინარე ხარჯებს, საერთო სამეურნეო ხარჯების, ანუ საწარმოს მმართველობასთან დაკავშირებული ხარჯების გარეშე. საამქროს მართვისათვის გაწეული ხარჯები, რასაც სოფლის მეურნეობაში ცალკეული ბრიგადები, რგოლები და სხვა სტრუქტურული დანაყოფები

ასრულებენ და რომლებიც არ იმყოფებიან ცალკე ბალანსზე, შედიან საამქრო თვითღირებულებაში.

*საწარმოო თვითღირებულება* არის საამქრო თვითღირებულებას პლიუს საერთო-სამეურნეო ხარჯები.

*მთლიანი თვითღირებულება* სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მთლიანი თვითღირებულება წარმოადგენს საწარმოო თვითღირებულებისა და პროდუქციის რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯების (კომერციული დანახარჯები) ჯამს.

განასხვავებენ გეგმურ და ფაქტიურ თვითღირებულებას.

*გეგმური თვითღირებულება* გამომდინარეობს ეკონომიკური გაანგარიშებიდან.

*ფაქტიური თვითღირებულება* საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშების რეზულტატისაგან მიიღება.

ხარჯების შემადგენლობის მხრივ, გეგმური თვითღირებულება ფაქტიურისაგან იმით განსხვავდება, რომ იქ არ შედის არასაწარმოო ხარჯები. მაგალითად, დანაკარგები პროდუქციის წუნის გამო, გაცდენა, დატაცება, ცხოველთა სიკვდილიანობა და ა.შ.

გარდა ამისა, სოფლის მეურნეობაში არსებობს თვითღირებულების განსაკუთრებული სახე *პროეიზორული ანუ მოსალოდნელი*. იგი იანგარიშება საანგარიშო წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით და წარმოადგენს ფაქტიური ხარჯების 9 თვის ჯამს და ბოლო კვარტალის გეგმური პროდუქციის თვითღირებულებას.

გეგმური და ფაქტიური თვითღირებულების დადგენისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ხარჯების დაჯგუფების საკითხს, რის მიხედვითაც ყალიბდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულება.

საბუღალტრო აღრიცხვის დროს იყენებენ დანახარჯების დაჯგუფებას მათი ეკონომიკური შინაარსის მიხედვით:

- მატერიალური დანახარჯები;  
შრომის ანაზღაურებაზე გაწეული დანახარჯები;
- გადარიცხვები სოციალური საჭიროებისათვის;
- ძირითადი ფონდების ამორტიზაცია;



სხვა ხარჯები.

ეკონომიკური გამოანგარიშებით პროდუქციის თვითღირებულების გამოთვლა ხდება დანახარჯების საკალკულაციო მუხლების მიხედვით. ეს დაჯგუფება უფრო დიფერენცირებულია და საშუალებას იძლევა დიდი სიზუსტით განისაზღვროს თითოეული ელემენტის ზეგავლენა თვითღირებულებაზე და შესაბამისად სასოფლო-სამეურნეო საწარმოს ფინანსურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

საკალკულაციო მუხლებით დანახარჯების დაჯგუფება სოფლის მეურნეობაში არსებითად განსხვავდება ანალოგიური დაჯგუფებისაგან მრეწველობაში.

მუხლი 1. შრომის ანაზღაურება (სოციალურ საჭიროებებზე გადარიცხვით);

მუხლი 2. თესლი და სარგავი მასალა;

მუხლი 3. ორგანული და მინერალური სასუქები;

მუხლი 4. მცენარეთა და ცხოველთა დაცვის საშუალებები;

მუხლი 5. საკვები;

მუხლი 6. გადასამუშავებელი ნედლეული;

მუხლი 7. ძირითადი საშუალებები:

ა) ნავთობპროდუქტები;

ბ) ძირითადი საშუალებების ამორტიზაცია;

გ) ძირითადი საშუალებების რემონტი;

მუხლი 8. მუშაობა და მომსახურება;

მუხლი 9. წარმოებისა და მართვის ორგანიზაცია;

მუხლი 10. საკრედიტო გადასახადები;

მუხლი 11. ცხოველთა სიკედილიანობით გამოწვეული დანაკარგები;

მუხლი 12. სხვა ხარჯები.

განვიხილოთ თითოეული მუხლი ცალ-ცალკე:

მუხლი 1 "შრომის ანაზღაურება (სოციალური საჭიროებისათვის გადარიცხვით)" მოიცავს სოფლის მეურნეობაში მომუშავე მუშაკთა შრომის ანაზღაურებას და სოციალური საჭიროებებისათვის გადარიცხვებს.

მუხლი 2 "თესლი და სარგავი მასალა" მოიცავს დანახარჯებს საკუთარი წარმოების ან ნაყიდ თესლზე და სარგავ

მასალაზე, რომელიც გამოიყენება შესაბამისი კულტურის დასათესად ან ნარგაობის დასარგავად (გარდა მრავალწლიანი ნარგაობისა, რომელიც წარმოადგენს კაპიტალურ დაბანდებას). ხარჯები თესლის დასათესად მომზადებაზე, შეწამელა და ტრანსპორტირება დასათეს ადგილამდე, თესლის ღირებულებაში არ შედის, ის სხვა მუხლს მიეკუთვნება.

მუხლი 3 - "ორგანული და მინერალური სასუქები" აქ შედის ხარჯები, დაკავშირებული მინერალური სასუქების შექენასთან (რომელიც იწარმოება მრეწველობაში) და ორგანული სასუქების შექენასთან (ნაკელი, ტორფი, კომპოსტი და სხვ.), ხოლო ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია სასუქის მომზადების, ჩატვირთვის, მინდორში ტრანსპორტირების და ა.შ. სამუშაოებთან, ამ მუხლში არ შედის.

მუხლი 4 "მცენარეთა და ცხოველთა დაცვის საშუალებები" მოიცავს პესტიციდების, შხამქიმიკატების, პერბიციდების შექენისა და შენახვის ხარჯებს. აგრეთვე სარეველებთან, მანებლებთან, მცენარეთა დაავადებებთან და ა.შ. ბრძოლის სხვა საშუალებებს. აქვე შედის ხარჯები, დაკავშირებული ბიოპრეპარატების, მედიკამენტების და სადუზინფექციო საშუალებების შექენასთან, ორგანიზაციის ხარჯზე.

ამ მუხლში არ შედის ნათესების და მრავალწლიანი ნარგავების დამუშავება (შეფრქვევა, შესხურება და სხვა სამუშაოები), შესრულებული ამავე ორგანიზაციის მიერ, ასევე ის ხარჯები, რომლებიც ამ პრეპარატების შესაძენად საბიუჯეტო სახსრებით არის გაწეული.

მუხლი 5 - "საკვები" მოიცავს იმ ხარჯებს, რომლებიც დაიხარჯა ადგილობრივ ან ნაყიდ საკვებზე. აქ შედის შიდასამეურნეო ხარჯები და ხარჯები დაკავშირებული გადაზიდვაზე მინდვრიდან - საწყობებში, განყოფილებიდან განყოფილებაში შესანახად და მის მოსამზადებლად საქონლის საკვებად.

ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია საკვების ტრანსპორტირებასთან, არ შედის საკვების ღირებულებაში, ის ნაწილდება სხვა შესაბამის მუხლებზე.

მუხლი 6 "გადასამუშავებელი ნედლეული" მოიცავს დანახარჯს ნედლეულზე, რომელიც წარმოადგენს დასამზადებულ-

ლი პროდუქციის საფუძველს ან წარმოადგენს მის ერთ-ერთ აუცილებელ კომპონენტს. მაგალითად,

კომბინირებული საკვების წარმოებაში თესლის, ბალახის ფქვილის, საკვები საფუარის, თევზის ფქვილის, მინერალური ნედლეულის მიკროდამატებებისა და სხვა ღირებულება.

წისკილზე, სადერდ მანქანაზე- მარცვლეულის ღირებულება.

- კარტოფილის, ხილის, ბოსტნეულის (გადამამუშავებელ საწარმოში) ღირებულება.

- მეღვინეობაში - ყურძნის, ნაყოფის, კენკრის, ღვინომასალის, შაქრის, სპირტის, ლიმონის მჟავას და სხვ. ღირებულება.

- რძის პროდუქტების წარმოებაში რძის, რძის პროდუქტების, შაქრის, ვანილისა და სხვა პროდუქტების ღირებულება.

მუხლი 7 "ძირითადი საშუალებები" - აქ შედის დანახარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების ხარჯვასთან უშუალოდ წარმოებაში. კერძოდ:

პერსონალის შრომის ანაზღაურების ხარჯები, ანუ უშუალოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიურ პროცესში დაკავებული ტრაქტორისტების, მემანქანეების, კომბაინერების და სხვა შრომის ანაზღაურების ხარჯები.

- სოციალური ანარიცხები.

ხარჯები საწვავსა და საცხებ მასალებზე, რომელიც იხარჯება სასოფლო-სამეურნეო და სხვა სამუშაოების შესასრულებლად. აქ შედის აგრეთვე ტრაქტორის გადაადგილება ერთი ნაკვეთიდან მეორეზე.

ამორტიზაციის ანარიცხები, ძირითადი საწარმოო ფონდების აღდგენაზე.

დანახარჯები ძირითადი საშუალებების ყველა სახის რემონტზე და ტექმომსახურებაზე. რემონტზე დანახარჯებში შედის: რემონტზე მომუშავე მუშაკების შრომის ანაზღაურება, გადარიცხვები სოციალური საჭიროებისათვის, რემონტის დროს დახარჯული სათადარიგო ნაწილების ღირებულება

(რემონტის დროს და რემონტის შემდეგ მანქანის გამოცდაზე დახარჯული) საწკაუ-საცხების ღირებულება, ტექმომსახურების პუნქტების მომსახურების ღირებულება, სათბურების და ორანჟერეების რემონტის ხარჯი. სათბურებისათვის გამოყენებული ცელოფანის ღირებულება.

მემცენარეობაში ძირითად საშუალებებს მიეკუთვნება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საწარმოებლად უშუალოდ გამოყენებული ტრაქტორები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები და მოწყობილობები, სათბურები, კვალსათბურები, თესლის შესანახი შენობები, ბოსტნეულის, კარტოფილის, ხილის შესანახი სათავსოები; შიდასამეურნეო და მეურნეობათშორისი სამელიორაციო ძირითადი საშუალებები, მრავალწლიანი კულტურები მსხმოიარე ასაკში; მიწის გაუმჯობესებაზე დახარჯული არასაინვენტარო ხასიათის კაპიტალი, საწარმოო ინვენტარი.

მემცენარეობაში ძირითადი საშუალებების გამოყენების ხარჯები (საარენდო ხარჯებთან ერთად) უშუალოდ შედის ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კულტურის თვითღირებულებაში. მაგალითად:

ვიწროსპეციალიზირებული ძირითადი საშუალებების (ჩაის საკრეფი მანქანა, თამბაქოს ფოთლის ასაკინძი მანქანა, ჭარხლის ასადები კომბაინი) გამოყენების ღირებულება;

ტრაქტორების მუშაობაზე გაწეული ხარჯები შედის ცალკეული კულტურის თვითღირებულებაში, მექანიზირებული სამუშაოს ჩატარების პროპორციულად (პირობით ჰექტრებში);

ნიადაგდამამუშავებელი მანქანებისა მათ მიერ დამუშავებული ნიადაგის ფართობის მიხედვით;

- სათესი მანქანებისა დათესილი ფართობის პროპორციულად;

მოსაყლის ამღები და სასუქების შემტანი მანქანების, ასევე სამელიორაციო ძირითადი საშუალებების გამოყენების ხარჯები პროპორციულად დამუშავებული ფართობების მიხედვით კულტურების თვითღირებულებაში შედის;

შენობები პროდუქციის შესანახად შესანახი ფართობის პროპორციულად, ანუ იმის მიხედვით, თუ რა ფართობი უკავია კონკრეტულ კულტურას.

რაც შეეხება სამელიორაციო სამუშაოების ხარჯებს, იგი პროპორციულად გადანაწილდება იმ კულტურებზე, რომელთა მიერ დაკავებული ფართობი ირწყევებოდა ან დაშრობას ექვემდებარებოდა.

მინდორსაცავი ტყეების ზოლების მოვლა - პატრონობის ხარჯებიც ძირითადი საშუალებების ხარჯებს მიეკუთვნება, (აქ არ შედის ამ ტყეებიდან მიღებული შეშის ან ნაყოფის რეალიზაციიდან შემოსული თანხა), რომელიც პროპორციულად გადანაწილდება იმ მრავალწლიანი ნარგავებისა და ნათესების კულტურებზე, რომლებსაც ტყე იცავს, მათ მიერ დაკავებული ფართობის მიხედვით.

მეცხოველეობაში ძირითადი საშუალებების ხარჯებს მიეკუთვნება მეცხოველეობისათვის განკუთვნილი შენობები და ამ დარგის პროდუქციის წარმოებაში გამოყენებული მანქანები და მოწყობილობები.

მუხლი 8 - "მუშაობა და მომსახურება" შეეხება დამხმარე საწარმოების მიერ გაწეული სამუშაოების ან მომსახურების ხარჯებს. სოფლის მეურნეობაში დამხმარე საწარმოებად ითვლება ელექტრო თბო - წყალ და გაზომომარაგება, სამაცივრე მოწყობილობა, სარემონტო-მექანიკური სახელოსნო. (თუ ეს ორგანიზაციები არ არიან აღრიცხული ორგანიზაციის ბალანსზე).

ამავე მუხლში შედის მოსარწყავად მოწოდებული წყლის ღირებულება, რომელიც იანგარიშება სათანადო წესით დამტკიცებული ტარიფით; აგროქიმიური მომსახურების ხარჯები, რომელიც სხვა ორგანიზაციის მიერ არის გაწეული (და არა თვით შხამქიმიკატების და სასუქების ღირებულება). აქვე შედის პროდუქციის გადასამუშაველად დახარჯული საწვავი, წყლის ხარჯი ტექნოლოგიური მიზნებისათვის, მაცივრებში პროდუქციის გაცივება და შენახვა ეს ხარჯები პროპორციულად გადანაწილდება გამოშვებულ და გაცივებულ ან შენახულ პროდუქტზე.

მუხლი 9 - "წარმოების ორგანიზაცია და მართვა" ასახავს საერთო საწარმოო ხარჯებს (ხარჯები წარმოების ორგანიზაციისა და მართვის ბრიგადებში, ფერმებში, და სხვ.) და საერთო სამეურნეო ხარჯებს.

საერთო საწარმოო ხარჯებს (ბრიგადის, ფერმის და ა.შ.) ეკუთვნის:

- მართვის აპარატის და ქვედანაყოფების მუშაკების შრომის ანაზღაურება და სოციალური დარიცხვა;

- საამორტიზაციო ანარიცხები;

- ხარჯები საერთოდარგობრივი დანიშნულების ძირითადი საშუალებების შენახვასა და რემონტზე;

- ხარჯები შრომის დაცვაზე და ტექქუშიშროების ღონისძიებებზე;

- ხარჯები მკირეფასიან და სწრაფადკვეთად საგნებზე;

- ხარჯები სატრანსპორტო მომსახურებაზე (მუშების მიყვანა უშუალოდ სამუშაო ადგილზე);

- სხვა ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია წარმოების ორგანიზაციასა და მართვასთან (შესაბამის დარგში).

საერთო სამეურნეო ხარჯებს მიეკუთვნება მთლიანად ორგანიზაციის მართვისა და ორგანიზაციის ხარჯები; მაგალითად, ხარჯები:

- შრომის ანაზღაურებაზე, სოციალურ დაზღვევაზე, ადმინისტრაციულ-მმართველობითი პერსონალის შენახვაზე;

- სამიწვლენებო და სამსახურებრივ მიმოსვლაზე;

- საკანცელარიო სამუშაოების წარმართვაზე;

- ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებზე;

- შრომის დაცვასა და ტექნიკაუშიშროებაზე;

- დახმარებებზე ოჯახის მარჩენალის საწარმოში დაღუპვის გამო;

- და სხვა ხარჯები დაკავშირებული საერთო-სამეურნეო წარმოებასთან.

მუხლი 10 - საკრედიტო გადასახადები - სოფლის მეურნეობა, მისი სპეციფიკის გამო, წარმოუდგენელია კრედიტების გარეშე, ამიტომ კრედიტებთან დაკავშირებულ ხარჯებს დიდი ხვედრითი წონა უკავია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულებაში. საწარმო ვალდებულია ბანკს გადაუ-

ხადოს კრედიტის პროცენტი, კრედიტის ვადაზე გადაუხდე-  
ლობის შემთხვევაში, მასზე პროცენტი იზრდება. ეს ხარჯე-  
ბიც პროპორციულად ნაწილდება პროდუქციაზე, მისი სახე-  
ობების მიხედვით.

მუხლი 11 - ცხოველთა სიკვდილიანობით გამოწვეული  
ხარჯები. ეს ხარჯები ეხება პროდუქციის არა გეგმურ, არა-  
მედ ფაქტიურ თვითღირებულებას და გამოწვეულია სანაშენე  
პირუტყვის სიკვდილიანობით (არ ეხება სტიქიური უბედუ-  
რებით გამოწვეულ ზარალს, რომელიც მიეკუთვნება ფინანს-  
სურ მხარეს).

მუხლი 12 - სხვა ხარჯები. აქ შედის ხარჯები, დაკავშირე-  
ბული უშუალოდ პროდუქციის წარმოებასთან, მაგრამ არ  
შესული წინა მუხლებში. მასში შევა:

- მიწაზე გადასახადი, დადგენილი ტარიფის მიხედვით;  
სპეცტანსაცმლის და ფეხსაცმლის ცვეთის ხარჯები;  
ხარჯები, დაკავშირებული საქონლის სადგომების დათ-  
ბუნებასთან (ნახერხი, ტორფი, თივა);  
ხარჯები ფერმის შემოღობვაზე და ვეტერინალურ-სა-  
ნიტარულ ღონისძიებებზე;

- საზაფხულო ფარეხების მოსაწყობი ხარჯები;

- ხარჯები, დაკავშირებული ლიზინგთან.

სხვა პირდაპირი ხარჯები, როგორც წესი, უშუალოდ ეხე-  
ბა სათანადო სასოფლო-სამეურნეო კულტურების თვითღირე-  
ბულებას.

## 6.4 ფასწარმოქმნა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასი

პროდუქციაზე მოთხოვნა-მიწოდების დამოკიდებულების  
ძირითადი მახასიათებელია *საბაზრო ფასი*. ფასი წარმოად-  
გენს პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგების განმსა-  
ზღვრელ ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს. ე.ი. უშუალოდ მოქმე-  
დებს საწარმოს მოცუბის ზომასზე და მის საფინანსო - ეკონ-  
ომიკურ მდგომარეობაზე.

გეგმური ეკონომიკის პირობებში ფასი ძირითადად საწარმოს საშუალო დანახარჯებით განისაზღვრებოდა, მაგრამ ექვემდებარებოდა რეგულირებას სახელმწიფოს მიერ.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფასი *ზღვრული დანახარჯების* დონით განისაზღვრება ე.ი. ბაზრის მიერ აღიარებულ საქონელზე საწარმოს დანახარჯების მიხედვით. საქონელზე მოთხოვნის შემცირებით და მისი მიწოდების გაზრდით ფასი ეცემა, ხოლო მოთხოვნის გაზრდით და მიწოდების შემცირებით ფასები იზრდება.

ფასების ძირითად სახეებს საბაზრო ეკონომიკის პირობებში წარმოადგენს:

თავისუფალი ფასები ე.ი. ფასები, რომელთა ფორმირება უშუალოდ მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობის გზით ხდება;

რეგულირებადი ფასები - ფასები, რომელსაც არეგულირებს სახელმწიფო პროდუქციის სოციალური მნიშვნელობის მიხედვით.

გარდა ამისა, ეკონომიკური თვალსაზრისით არჩევენ:

საწარმოს საბითუმო ფასებს როდესაც მწარმოებელი საწარმოს პროდუქციის რეალიზაციას აწარმოებს ბითუმად გამსაღებელ გადამამუშავებლებზე (დარგის შიგნით);

- დარგის საბითუმო ფასებს ანუ პროდუქციის სარეალიზაციო ფასს საეკონომიკური ორგანიზაციებისათვის;

საკალო ფასებს - ფასი, რომლითაც პროდუქცია მიეყიდება საბოლოო მყიდველს;

შესასყიდ ფასებს - ფასი, რომლითაც სახელმწიფო შეისყიდის პროდუქციას თავის საჭიროებისათვის (სახ.რეზერვად და ა.შ.). ამ ფასს ზოგჯერ უწოდებენ გარანტირებულს, რადგან ფასის და სარეალიზაციო პროდუქციის მოცულობა წინასწარ არის დადგენილი და სახელმწიფოს მიერ გარანტირებული.

საბაზრო პირობებში გამოყენებულია ფასწარმოქმნის მეთოდები, რომლის მიხედვითაც ფასის დადგენა ხდება:

- საშუალო დანახარჯების დონეს მიმატებული მოგებით;
- პროდუქციის დაგეგმილი რენტაბელობის დონით;
- პროდუქციის რეალური თვითღირებულებით;



საშუალო ფასების დონის საფუძველზე.

პირველი ორი მეთოდის ნაკლი ის არის, რომ იქ მხედველობაში არ არის მიღებული საბაზრო მექანიზმი – მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობა.

საქონლის რეალური ფასის დადგენის დროს მხედველობაში არ არის მიღებული პროდუქციის შექმნაზე გაწეული დანახარჯები. აქ მთავარია პოტენციური მყიდველის რეაქცია (მოთხოვნის ელასტიურობა). სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის უმეტესი ნაწილი დაბალი ელასტიურობით ხასიათდება, რაც აუცილებელს ხდის ფასების სახელმწიფო რეგულირებას.

რაც შეეხება ფასების დადგენას მიმდინარე საშუალო ფასების დონის მიხედვით - აქაც საქონლის გამყიდველი მხედველობაში არ იღებს არც საკუთარ დანახარჯებს და არც რეალიზაციის ხარჯებს, იგი ძირითადად ორიენტირებულია კონკურენტების მიერ ანალოგიურ საქონელზე დადებული ფასით.

სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე ფასწარმოქმნის თავისებურება ორი ფაქტორით არის განპირობებული:

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დაბალი ელასტიურობით (ე.ი. ფასის ცვალებადობა ნაკლებად არის დამოკიდებული მოთხოვნაზე);

სოფლის მეურნეობის წარმოების მაღალი ხარჯიანობით, რაც დამოკიდებულია რეგიონებზე და გამოშვებული პროდუქციის სახეობაზე.

ეს ფაქტორები განაპირობებენ ფასების სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობას, რაც მოწოდებულია, ერთი მხრივ, მოსახლეობის დასაცავად პირველადი მოხმარების საგნებზე სარეალიზაციო ფასების დაუსაბუთებელი მომატების საგან (პურზე, ხორცზე, რძის ნაწარმზე და ა.შ.) და მეორე მხრივ, იმ სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ხელის შესაწყობად, რომლებიც ბუნებრივი პირობების გამო ვერ ახერხებენ ნორმალურად ფუნქციონირებას საბაზრო ფასების პირობებში.

## 6.5 ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებელთა გაანგარიშება

საწარმოს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ან ავანსირებული კაპიტალის გამოყენების შედეგიანობის განსაზღვრისათვის იყენებენ ორ ცნებას: ეკონომიკურ ეფექტს და ეკონომიკურ ეფექტიანობას. ამ ორ ტერმინს შორის განსხვავება ის არის, რომ *ეფექტი* გამოხატავს მიღებული შედეგის აბსოლუტურ სახეს იმ ხარჯების მიუხედავად, რომელმაც ეს ეფექტი გამოიწვია. ხოლო *ეფექტიანობა* გამოხატავს მიღწეული შედეგისა და დანახარჯების შეფარდებას, გაწეულს ამ შედეგის მისაღწევად.

ეკონომიკური ეფექტიანობისაგან ორი ძირითადი ამოცანა ყალიბდება: ანუ მაქსიმალური ეფექტის მიღწევა დანახარჯების მოცემული დონის დროს (რაც ხშირად ხდება რესურსების შეზღუდულობის პირობებში) და პირიქით დასახული ეფექტის მიღწევა მინიმალური დანახარჯების დროს. ყოველ საწარმოს მისი საქმიანობის პერიოდში უხდება ხან ერთი, ხან მეორე ამოცანის გადაწყვეტა.

დაგეგმვისა და ეკონომიკური ანალიზისათვის, რა თქმა უნდა, უფრო საინტერესოა ეკონომიკური ეფექტიანობა.

სოფლის მეურნეობაში არჩევენ ეკონომიკური ეფექტიანობის შემდეგ სახეებს:

სოფლის მეურნეობის, როგორც სახალხო მეურნეობის დარგის ეფექტიანობა;

სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების ეფექტიანობა (მემცენარეობა, მეცხოველეობა, მატერიალურ-ტექნიკური მომსახურება და სხვ.);

ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების ან ცხოველთა სახეობის პროდუქციის ეფექტიანობა (გამოიყენება, როგორც მაკროეკონომიკურ დონეზე დარგის მასშტაბით, ისე მიკროეკონომიკურ დონეზე საწარმოს მასშტაბით);

სოფლის მეურნეობის საწარმოს წარმოების ეფექტიანობა;

სოფლის მეურნეობის საწარმოს სტრუქტურული ქვედანაყოფების ეფექტიანობა (როგორც ცალკე ბალანსზე გამოყოფილ, ისე საერთო ბალანსზე არსებულ საწარმოთა მიხედვით);

ცალკეული ტექნიკური, ორგანიზაციული და სხვა ღონისძიების ეფექტიანობა.

*სოფლის მეურნეობის საწარმოს ეკონომიკური ეფექტიანობა.* საწარმოს ეკონომიკური ეფექტიანობის გამოანგარიშება შემდეგი მონაცემების საფუძველზე ხდება:

- საწარმოს წარმოების შედეგი წარმოებული პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულ ამონაკებს გამოკლებული პირადი საჭიროებისათვის დახარჯული თანხა.

საწარმოს სოციალური შედეგი ხარჯები, რომელიც ეხება საწარმოს მუშაკების და მათი ოჯახის წევრების სოციალურ საჭიროებებს.

ამ ხარჯებში შეყა მხოლოდ ერთდროული და მიმდინარე ხარჯები.

სოფლის მეურნეობის საწარმოს ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრისათვის საჭიროა შემდეგი მონაცემები: მთლიანი პროდუქციის ღირებულება და ცოცხალ და განიეთებულ შრომაზე გაწეული დანახარჯები, რომელთა შეფარდების საფუძველზე შეგვიძლია გავიანგარიშოთ საწარმოს ეკონომიკური ეფექტიანობა, კერძოდ:

$$A = \frac{B}{\Gamma + D \times K}, \text{ სადა } \Gamma$$

A - არის საწარმოს ეკონომიკური ეფექტიანობა მთლიანი პროდუქციის მიხედვით;

B - მთლიანი პროდუქციის ღირებულება;

Γ - დანახარჯები ცოცხალ შრომაზე;

D - დანახარჯები განიეთებულ შრომაზე;

K ძირითადი საშუალებების ეფექტიანობის კოეფიციენტი (კაპ.დაბანდება), რომელიც 0,1-ის ტოლია.

რეალიზებული პროდუქციის ეკონომიკური ეფექტიანობა შეიძლება განესაზღვროთ ფორმულით:

$$A = \frac{B}{\Gamma + \frac{D}{K}}, \text{ სადაც}$$

A - არის საწარმოს ეკონომიკური ეფექტიანობა რეალიზებული პროდუქციის მიხედვით;

B - რეალიზებული პროდუქციის ღირებულება;

Γ - დანახარჯები ცოცხალ შრომაზე;

Д - დანახარჯები განიეთებულ შრომაზე;

K ძირითადი საშუალებების ეფექტიანობის კოეფიციენტი.

ამ მაჩვენებლის გამოთვლა შეიძლება აგრეთვე მთლიანი შემოსავლის შეფარდებით შრომით დანახარჯებთან. წინა ფორმულისაგან ეს იმით განსხვავდება, რომ უფრო ზუსტად ასახავს საწარმოს საქმიანობის ფინანსურ და საწარმოო შედეგებს.

ასევე შეიძლება ეკონომიკური ეფექტიანობა განესაზღვროთ წმინდა შემოსავლების შეფარდებით ცოცხალი და განიეთებული შრომის დანახარჯებთან, კერძოდ:

$$A = \frac{B}{\Gamma + \frac{D}{K}}, \text{ სადაც}$$

A - არის საწარმოს ეკონომიკური ეფექტიანობა წმინდა შემოსავლის მიხედვით;

B - საწარმოს წმინდა შემოსავალი;

Γ - დანახარჯები ცოცხალ შრომაზე;

Д - დანახარჯები განიეთებულ შრომაზე;

K ძირითადი საშუალებების ეფექტიანობის კოეფიციენტი.

*წმინდა შემოსავალი* - ეს არის საწარმოს მიერ დამზადებული პროდუქციის ნამატის ფულადი გამოხატულება, რომელიც მიიღება სხვაობით მთლიანი ან რეალიზებული პროდუქციის ღირებულებასა და მის წარმოებაზე გაწეულ დანახარჯებს შორის.

განასხვავებენ შექმნილ და მიღებულ წმინდა შემოსავალს. პირველ შემთხვევაში საქმე ეხება საწარმოს მიერ შექმნილი მთელი პროდუქციის (სულ ერთია რა მიზნით არის შექმნი-

ლი) რაოდენობის შეფარდებას წარმოების დანახარჯებთან, მეორე შემთხვევაში კი - საქმე ეხება მხოლოდ რეალიზებულ პროდუქციას, ანუ რეალიზებული პროდუქციიდან მიღებულ მოგებას.

პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული მოგება წარმოების ეფექტის მაჩვენებელია, ე.ი. აბსოლუტური მაჩვენებელია. თუმცა თავისთავად მოგება უკვე არის ეფექტიანობის მაჩვენებელი, რადგანაც აქ უკვე მხედველობაშია მიღებული როგორც დანახარჯები, ისე რეალიზაციის შედეგად მიღებული ეფექტი.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, უფრო მეტ. ინტერესს იწვევს მოგების საშუალებით მიღწეული რენტაბელობის მაჩვენებელი. საერთოდ, ზემოთ მოყვანილი ფორმულის მრიცხველში მოგება ისმება (წამგებიანი საწარმოსათვის ეს შეიძლება თვითღირებულების ტოლი იყოს). მნიშვნელში ისმება სხვადასხვა (ჩვენთვის საინტერესო) მონაკემები, რომლებიც მოქმედებს მოგებაზე. ისეთი მაჩვენებლები, რომლებიც რენტაბელობას განსაზღვრავს, ძალიან ბევრია, მაგრამ მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია სამი:

*პროდუქციის რენტაბელობა*, რომელიც გამოითვლება ფორმულით:

$$R = \frac{N}{C} \times 100\% , \text{ სადაც}$$

R - პროდუქციის რენტაბელობაა;

N - მოგება;

C - სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულება.

ძირითადი და ნორმირებული (მატერიალური) საბრუნავი საშუალებების რენტაბელობა გამოითვლება ფორმულით:

$$R = \frac{N}{P_1 + P_2} \times 100\%$$

სადაც: R - ძირითადი საშუალებების რენტაბელობაა;

N - მოგება;

P<sub>1</sub> - ძირითადი საშუალებების რაოდენობა;

$P_2$  - საბრუნავი საშუალებების რაოდენობა.

წარმოებაში დაბანდებული კაპიტალის რენტაბელობა გამოითვლება ფორმულით:

$$R = \frac{N}{A} \times 100\% \text{ ,სადაც}$$

R არის წარმოებაში დაბანდებული კაპიტალის რენტაბელობა;

N - მოგება;

A - წარმოების მთელი ქონების ღირებულება.

ყოველი მანქანების გაანგარიშება შეიძლება საბალანსო მოგებიდან (*საერთო რენტაბელობა*) და წმინდა მოგებიდან (რომლიდანაც უკვე გამოკლებულია საეკონომიკური გადასახადი და ა.შ.) გაანგარიშებითი რენტაბელობა.

პრაქტიკაში (სააქციო საზოგადოებებში და შ.პ.ს-ში) უმჯობესია რენტაბელობის გამოანგარიშება წმინდა აქტივების მიმართ ე.ი. მოგების შეფარდება წმინდა აქტივებზე (ე.ი. აქტივებზე, რომელიც თვითონ შედაგინეს შენატანებით).

ხშირად საკუთარი კაპიტალის გამოყენების რენტაბელობის მაჩვენებლად იყენებენ *მოგების ნორმას* - ე.ი. მოგების შეფარდებას (საბალანსო ან წმინდა) ავანსირებულ კაპიტალთან. ეს მაჩვენებელი ე.ი. მოგების ნორმა რენტაბელობისაგან იმით განსხვავდება, რომ მოგება შეფარდებულია არა ქონების ღირებულებასთან (აქტივთან), არამედ მისი შექენის წყროსთან (პასივთან). ზოგიერთ შემთხვევაში რენტაბელობის მაჩვენებელი შეიძლება იყოს მოგების ნორმის ტოლი, მაგრამ მათი ეკონომიკური შინაარსი სხვადასხვა იქნება.

რამდენადაც ნებისმიერი კომერციული საქმიანობის ძირითად მიზანს მოგების მიღება წარმოადგენს, ცხადია საწარმო ყოველმხრივ ეცდება გაზარდოს მოგების მაჩვენებელი, სხვადასხვა ტექნოლოგიების, ორგანიზაციულ ტექნიკური ღონისძიებების და ა.შ. ხარჯზე, რათა შეამციროს დანახარჯები და გაზარდოს მოგება. ასეთ შემთხვევაში საწარმოს ეკონომიკური ეფექტიანობის გაანგარიშება (რაც უმთოთ იყო ნაჩვენები) ვერ მოგვცემს ამომწურავ პასუხს, თუ რომელი ღონისძიება იყო რენტაბელობის ზრდის საფუძველი, რომელი ფაქტორის ხარჯზე მოხდა ესა თუ ის ცვლილება. ასეთ შემთხვე-

ვაში აუცილებელია კონკრეტული საწარმოსათვის დამახასიათებელი უფრო დეტალური მანუქებლების გაანგარიშება და ანალიზი. მაგალითად, შეიძლება დაეასახელოთ ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრა:

1. ახალი ტექნიკის ან ტექნოლოგიის ექსპლუატაციის საფუძველზე.

2. საბაზისო და საბაზრო ვარიანტების შეპირისპირების მიხედვით და ა.შ.

## თავი მეშვიდე სასოფლო-სამეურნეო წარმოების განლაგება, სპეციალიზაცია და კონცენტრაცია

### 7.1. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზონალური სპეციალიზაცია

*განლაგება* ნიშნავს სოფლის მეურნეობის (კალკულური სახის პროდუქციის წარმოების მოცულობის განაწილებას ქვეყნის ტერიტორიაზე ზონების, რაიონების, ოლქების მიხედვით (წარმოების მიახლოება ნედლეულის ბაზებთან, ბოსტნეულის წარმოება ქალაქების ახლოს).

*სპეციალიზაცია* - ნიშნავს მოცემულ 'ზონა'ში, რაიონ'ში, ოლქ'ში, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის უპირატეს წარმოებას (საწარმოს მიმართულებას).

სასოფლო-სამეურნეო კულტურების ბუნებრივ-კლიმატური ზონების მიხედვით განლაგებას და მის სპეციალიზაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს - რამდენადაც ეს განაპირობებს პროდუქციის წარმოებაზე შრომისა და წარმოების საშუალებების დანახარჯების ეკონომიკას.

ზონალური სპეციალიზაცია გვაძლევს საფუძველს იმისათვის, რომ ზუსტად განისაზღვროს და დადგინდეს იქნეს ქვეყნისა და მისი (კალკულური რეგიონების როლი ამა თუ იმ სახურსათო პროდუქტის წარმოებაში.



ზონალური სპეციალიზაციის პროცესი დინამიური ხასიათისაა და მოითხოვს სისტემურ სრულყოფასა და განვითარებას.

საქართველოს ტერიტორია დაყოფილია სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის ცალკეულ ზონებად, ერთნაირი საწარმოო მიმართულების ჯგუფებად. საქართველოს ტერიტორიის სამეურნეო თვალსაზრისით დაყოფის პირველი ცდა გამოჩენილ ქართველ გეოგრაფს - ვახუშტი ბაგრატიონს ეკუთვნის, რომელმაც ზონების გამოყოფას საფუძვლად დაუდო ბუნებრივი პირობები და პიფსომეტრიული ნიშნები. ამის მიხედვით იგი განასხეავებდა მთისა და ბარის ზონებს და საქართველოს ტერიტორიას სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსაველიანობის მიხედვით რამდენიმე სამეურნეო ზონად ყოფდა.

საყურადღებო და დასაბუთებული დარაიონება მოხდა 1954-60 წ.წ. პროფ. პ. ჟღენტის ხელმძღვანელობით. ამ სქემის მიხედვით საქართველოს ტერიტორია დაიყო 11 ზონად და 3 ქვეზონად, რომელსაც საფუძვლად დაედო ადმინისტრაციული რაიონების დაჯგუფება.

სოფლის მეურნეობის ზონალური სპეციალიზაციის სრულყოფის თვალსაზრისით 1975 წლიდან ფართო გამოკვლევები გაიშალა სოფლის მეურნეობის ეკონომიკის და ორგანიზაციის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში. ამ გამოკვლევების საფუძველზე ზემოთ მოტანილმა სქემამ გარკვეული ცვლილებები განიცადა.

1981 წელს აღნიშნული სქემა კიდევ უფრო დაზუსტდა. ამ ახალი სქემის მიხედვით საქართველოს ტერიტორიაზე გამოიყო სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის 13 ზონა 11 ქვეზონით (შესაბამისი პიფსომეტრიული ნიშნის ჩვენებით).

ზონებისა და ქვეზონების გამოყოფას საფუძვლად დაედო ცალკეული ადმინისტრაციული რაიონების დაჯგუფება შემდეგი ძირითადი ნიშნების მსგავსების მიხედვით:

1. ბუნებრივი პირობები.
2. ეკონომიკური პირობები (უმთავრესად სოფლის მეურნეობის საერთო და სასაქონლო პროდუქციის სტრუქტურა

და აქედან გამომდინარე სოფლის მეურნეობის საწარმოო მიმართულება).

3. სოფლის მეურნეობის, ერთიან აგროსამრეწველო კომპლექსში, სამრეწველო საფუძველზე განვითარების ამოცანები და პოტენციური შესაძლებლობები.

საქართველოს სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის ახალი ზონალური სქემა, ზონებისა და ქვეზონების დასახელებით და პერსპექტიული პერიოდისათვის მათში შემავალი ცალკეული ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით, სოფლის მეურნეობის მთლიან პროდუქციაში მაპროფილებული (სპეციალიზაციის განმსაზღვრელი) დარგების ხეკდრითი წილის გათვალისწინებით შემდეგ სახეს ატარებს:

I ზონა - ალაზნის ვაკისა და გარე კახეთის ზეგნის სამრეწველო მევენახეობის ზონა.

I-ა ქვეზონა ალაზნის ვაკის მევენახეობის ქვეზონა (ახმეტის, გურჯაანის, თელავის, ყვარლის რაიონები).

I-ბ ქვეზონა ალაზნის ვაკის მეთამბაქოეობისა და მევენახეობის ქვეზონა (ლაგოდეხის რაიონი).

I-გ ქვეზონა გარე კახეთის ზეგნის მევენახეობის და მეცხოველეობის ქვეზონა (სიღნაღი, დედოფლისწყარო (წითელწყარო), საგარეჯო).

II ზონა თბილისისა და რუსთავის (ქვემო ქართლის ბარის) საგარეუბნო სოფლის მეურნეობის ზონა (მცხეთის, გარდაბნის, მარნეულის, თეთრიწყაროს, ბოლნისის რაიონები).

III ზონა - აღმოსავლეთ კავკასიონის მთის მეცხოველეობის ზონა (დუშეთის, თიანეთის, ყაზბეგის რაიონები).

IV ზონა შიდა ქართლის ბარის სამრეწველო მეხილეობის ზონა საგარეუბნო სოფლის მეურნეობით (კასპის, გორის, ქარელის, ხაშურის რაიონები).

V ზონა სამხრეთ ოსეთის მეხილეობისა და მეცხოველეობის ზონა.

V-ა ქვეზონა - მეხილეობისა და მეცხოველეობის ქვეზონა (ცხინვალის და ზნაურის რაიონები).

V-ბ ქვეზონა მთის მეცხოველეობის ქვეზონა მეხილეობით (ახალგორის და ჯავის რაიონები).

VI ზონა ჯაეახეთის მთიანეთის მეცხოველეობისა და მეკარტოფილეობის ზონა (წალკა, დმანისი, ნინოწმინდა, ახალქალაქის რაიონები).

VII ზონა ჯაეახეთის მთიანეთის მეცხოველეობისა და მეხილეობის ზონა (ახალციხის, ასპინძის, ადიგენის, ბორჯომის რაიონები).

VIII ზონა იმერეთის მაღლობისა და რაჭა-ლეჩხუმის ქვაბურის მევენახეობის ზონა მეცხოველეობით.

VIII-ა იმერეთის მაღლობის მევენახეობის ქვეზონა განვითარებული მეცხოველეობით (თერჯოლის, ზესტაფონის, ჭიათურის, საჩხერის, ხარაგაულის, ბაღდათის, ვანის რაიონები).

VIII-ბ რაჭა-ლეჩხუმის ქვაბურის მეცხოველეობისა და მევენახეობის ქვეზონა (ცაგერის და ამბროლაურის რაიონები).

IX ზონა - დასავლეთ კავკასიონის მთის მეცხოველეობის ზონა (ონის, ღენტეხის, მესტიის რაიონები).

X ზონა - აფხაზეთის სუბტროპიკული კულტურებისა და მეთამბაქოეობის ზონა განვითარებული საგარეუბნო სოფლის მეურნეობით.

X-ა მეციტრუსეობისა და მეთამბაქოეობის ქვეზონა განვითარებული საგარეუბნო სოფლის მეურნეობით (გაგრის, გუდაუთის, სოხუმის, გულრიფშის რაიონები).

X-ბ მეჩაიეობისა და მეციტრუსეობის ქვეზონა (ონამირის, გალის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის რაიონები).

XI ზონა კოლხეთის დაბლობის სუბტროპიკული კულტურების ზონა (ფოთის, ხობის, სენაკის, ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, მარტვილის, ხონის რაიონები).

XII ზონა ქ. ქუთაისის საგარეუბნო სოფლის მეურნეობის ზონა განვითარებული მეჩაიეობით (აბაშის, სამტრედიის, წყალტუბოს, ტყიბულის რაიონები).

XIII ზონა აჭარის სუბტროპიკული კულტურებისა და მეთამბაქოეობის ზონა განვითარებული მთის მეცხოველეობით.

XIII-ა მეციტრუსეობისა და მეჩაიეობის ქვეზონა (ქობულეთისა და ხელვანაურის რაიონები).

XIII-ბ მეთამბაქოეობისა და მთის მეცხოველეობის ქვეზონა (ქედის, შუახევის, ხულოს რაიონები).

*მემცენარეობის პროდუქციის წარმოების ეკონომიკა.*  
სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ერთ-ერთი ძირითადი ხარისხობრივი მაჩვენებელია მისი ცილოვანი შედგენილობა, რომელიც განსაკუთრებულ როლს ასრულებს ცოცხალი ორგანიზმების არსებობაში. თვით ცილების ხარისხობრივი მდგომარეობა განისაზღვრება მათი ამინომჟაეური, განსაკუთრებით შეუცვლელი ამინომჟაეური შედგენილობით, რომელთა სინთეზი ადამიანისა და ცხოველის ორგანიზმში არ ხდება და ისინი მზა მდგომარეობაში საკვებთან ერთად უნდა იქნეს მიღებული.

მცენარეული ცილების ძირითადი შემცველია მარცვლეული, მარცვლეულ-პარკოსანი, ზეთოვანი, საკვები და სხვა კულტურები. ერთი ჰა მიღებული ხორბლის მოსავლიდან შესაძლებელია 360 კგ. ბარდის მოსავლიდან, 690 კგ, სოიას მოსავლიდან 1260 კგ. და იონჯის მოსავლიდან 2300 კგ ცილის მიღება.

მარცვლეულის წარმოება სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია. სოფლის მეურნეობის ყველა დარგი მეტ-ნაკლებად მემცენარეობაზეა დამოკიდებული; ეს იქნება მეცხოველეობა თუ გადამამუშავებელი წარმოება.

მემცენარეობა პირობითად შეიძლება შემდეგ დარგებად დაიყოს:

- მარცვლეულის წარმოება;
- ზეთოვანი კულტურების წარმოება;
- კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოება;
- ნაყოფისა და ხილის წარმოება.

თითოეული დარგის წარმოების ტექნოლოგია და პროდუქციის რეალიზაცია ერთმანეთისაგან საკუთარი სპეციფიკით განსხვავდება. გარდა ამისა, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა შერწყმის დროს, იმისათვის, რომ განვსაზღვროთ, თუ რომელი იქნება უფრო რენტაბელური აღებულ პირობებში, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბუნებრივ-კლიმატურ პირობებს,

სატრანსპორტო კავშირის განვითარებას, რეგიონში ამა თუ იმ კულტურის გადამამუშავებელი საწარმოს და ამ კულტურის მოყვანაზე სახელმწიფო მხარდაჭერას.

ტრადიციულად მიღებულია, რომ მარცვლეული პროდუქცია დაიყოს სასურსათო და საფურაქე პროდუქციად. სასურსათო თავის მხრივ, იყოფა პურეულ და ბურღულეულ პროდუქციად.

ახლად შექმნილმა ფერმერულმა მეურნეობამ ძირითადი კულტურის შერჩევის დროს უნდა გაითვალისწინოს ნიადაგობრივ-კლიმატური პირობები და ადგილობრივი ჯიშები, რომლებიც აპრობირებულია ადებულ ეკონომიკურ რაიონში. პირველ რიგში, უნდა გაირკვეს იმ მიწის ნაყოფიერება, რომლის დამუშავებასაც ვაპირებთ, მისი დეგრადაციის ხარისხი, შეიძლება თუ არა შეღავათიანი კრედიტის მიღება აუცილებელი მინიმალური. სასუქების შესაძენად და ასევე არის თუ არა სახელმწიფო მხარდაჭერის იმედი - სახნავე მიწის მწარმოებლურობის ამადლებისათვის ადებულ რეგიონში.

1997 წლის მონაცემებით საქართველოს ოჯახური (გლეხური) მეურნეობების საწარმოების მთლიან პროდუქციაში მემკენარეობის დარგის წილმა შეადგინა 82,9%, ხოლო აქედან მარცვლეულ კულტურებზე მოდის 89%.

*მარცვლეულის წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასება.* მარცვლეულის წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის შესაფასებლად გამოიყენება ზოგადეკონომიკური მაჩვენებლები.

- ერთეული პროდუქციის (ცენტნერი მარცვლეულის) წარმოების თვითღირებულება;

- ამონაგები ერთეული პროდუქციის რეალიზაციიდან;

- პროდუქციის რენტაბელობა;

სოფლის მეურნეობის წარმოების მუშაკის შრომის ნაყოფიერება;

1 კა სათეს ფართობზე შეტანილი მინერალური სასუქების რაოდენობა.

- და სხვა.

ყველა ეს მონაცემი უნდა განიხილებოდეს ობიექტური ფაქტორების გათვალისწინებით, რომლებიც ზეგავლენას ახ-

დენს მონაცემთა ამა თუ იმ მანვენებელზე (მაგ. ბუნებრივ-კლიმატური მანვენებლები).

ბოლო დროს მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა (თუმცა არა ობიექტური) *ფასთა დისპარიტეტი* სასოფლო-სამეურნეო პროდუქციასზე ფასების ზრდის დაბალი ტემპი, მაშინ, როდესაც ფასების ზრდის ტემპი მაღალია იმ მატერიალურ-სამრეწველო რესურსებზე, რომელსაც სოფლის მეურნეობა იყენებს. პირველ რიგში, ეს ეხება სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების დარგების პროდუქციას.

*კარტოფილის წარმოების ეკონომიკა.* კარტოფილს პურის შემდეგ მეორე ადგილი უკავია. მის წარმოებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მსხვილი ქალაქების საგარეუბნო ზონებში. მისი წარმოების გადიდება დამოკიდებულია ხელსაყრელ გარემო პირობებზე. გასათვალისწინებელია, რომ კარტოფილი არ არის მომთხოვნეი კულტურა ნიადაგის ნაყოფიერების მიმართ (მას სჭირდება გაცილებით ნაკლები სასუქი, ვიდრე მარცვლეულს). საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში გაიზარდა კარტოფილის წარმოება 1 სულ მოსახლეზე გაანგარიშებით. მაგრამ უნდა აღინიშნოს მისი მოყვანის დიდი შრომატევადობა. 1 ჰა ფართობის დასათესად საჭიროა 250 კაც/დღე. მხედველობაშია მისაღები, რომ კარტოფილის მოყვანა წერილი სასაქონლო წარმოების პირობებში არაეფექტურია, დიდ მეურნეობებთან შედარებით, სადაც არის წარმოების მექანიზაციის შესაძლებლობა. ერთ-ერთი უარყოფითი მოვლენა, რომელიც ახლავს პირად დამხმარე მეურნეობას, ეს არის ტექნიკის უქონლობა, რამდენადაც კარტოფილის წარმოების ეტაპები: დარგვა, აღება, დამუშავება, შენახვა მექანიზაციის გარეშე ხდება.

კარტოფილის ეფექტიანობის შეფასებაც მარცვლეული კულტურების შეფასების ანალოგიურად ხდება.

საქართველოს პირობებში ხელსაყრელი და რენტაბელურია საადრეო კარტოფილის წარმოება, რომელიც ზოგიერთ რაიონში ორ მოსავალს იძლევა და მისი სარეალიზაციო ფასიც შედარებით მაღალია.

კარტოფილის წარმოებამ სოფლის მეურნეობის მთლიან პროდუქციაში 1997 წლის მონაცემებით მიაღწია 96%-ს.

ბოლო წლებში უხვი მოსავლის მისაღებად იყენებენ გენ-შეცვლილ კარტოფილის თესლს. ტრანსგენური კარტოფილი მართალია იძლევა უხე მოსავალს, მაგრამ კარტოფილში ხელოვნურად შეყვანილი ანტიბიოტიკებისადმი მდგრადი გენი სწრაფად ვრცელდება დაავადების გამომწვევე მიკრობებში, რაც შეუძლებელს ხდის ადამიანის ავადმყოფობის დროს ანტიბიოტიკების გამოყენებას.

*ბოსტნეული და ბალჩეული კულტურების წარმოების ეკონომიკა.* ბოსტნეული ადამიანისა და ცხოველისათვის აუცილებელი საკვებია. მებოსტნეობა ეკონომიკურად ეფექტიანი დარგია, თუმცა მეტად შრომატევადია, რამდენადაც დარგი შედარებით ნაკლებად მექანიზირებულია. იგი მოითხოვს 1 ჰა 150-350 კაჯ/დღეს.

ბოსტნეულის მოყვანისას მხედველობაში უნდა მივიღოთ მისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი, კერძოდ:

ჯიშების გამოყვანისას ყურადღება უნდა მიექცეს რაიონის კლიმატურ პირობებს. ბოსტნეულის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მისი მოყვანა შეიძლება, როგორც დია, ისე დახურულ გრუნტში. ეს ორი მეთოდი კი ერთმანეთისაგან განსხვავდება როგორც ტექნოლოგიით, ისე კაპიტალური და მიმდინარე ხარჯების მხრივ. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ბოსტნეულზე ზამთარ-გაზაფხულზე მეტად დიდი მოთხოვნაა და საბაზრო ფასიც მაღალია, ცხადი გახდება მისი რენტაბელობა. დახურული გრუნტის (კვავსათბურები, სათბურები) წარმოება შრომატევადია. 1 ჰა სამუშაოზე იხარჯება 7000-19000 კაჯ/დღე, იარუსიან სათბურებში კი 20000 30000 კაჯ/დღე, რადგან ყველაფერი ხელით სრულდება.

ერთადერთი მასივენებელი, რომელიც შეიძლება ბოსტნეულის ეფექტიანობის დასაგეგმად გამოდგეს, არის ის *მრგება*, რომელსაც ბოსტნეულის რეალიზაცია იძლევა. აქვე უნდა იყოს გათვალისწინებული, რომ ერთსა და იმავე მეურნეობაში ერთი და იგივე ჯიში, მისი ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოყვანის შემთხვევაში, ერთიან ეფექტს არ იძლევა

(ერთი და იგივე ჯიშის ერთ ადგილზე თესვა მოსავლიანობის დაცემას იწვევს).

1997 წლის მონაცემებით ბოსტნეულის წარმოების, წილმა მიაღწია სოფლის მეურნეობის მთლიან პროდუქციაში 87%-ს.

**ტექნიკური კულტურების წარმოების ეკონომიკა.** ტექნიკური კულტურები ორგვარია: სართავი და საკვები. სართავ კულტურებს ეკუთვნის ბამბა, სელის ბოჭკო, კანაფი და სხვა. საკვებ კულტურებს: შაქრის ჭარხალი, ზეთოვანი კულტურები, ეთერზეთები და სხვ.

**მცენარეული ზეთის წარმოება.** მზესუმზირის სათესი ფართობები უმეტესად ალაზნის აუზზე მოდის და საშუალოდ 13800 ჰა უკავია. მიუხედავად იმისა, რომ ეს რეგიონი მზესუმზირისათვის ხელსაყრელი კლიმატური პირობებით ხასიათდება, მისი მოსავლიანობა მცირეა, რაც აგროტექნიკის დაბალი დონით აიხსნება. დაუშვებელია მზესუმზირის ერთსა და იმავე ადგილზე თესვა რამდენიმე წლის განმავლობაში.

რაც შეეხება ზეთის წარმოებას, იგი არ საჭიროებს დიდ-ძალ კაპიტალდაბანდებებს. აქ მნიშვნელოვანია ის, რომ მზესუმზირის წარმოება ძლიერ ელასტიკურია, ნათესი ფართობის მონაცვლეობა ერთ სეზონში შეიძლება, ე.ი. სწრაფად მოახდინოს რეაგირება ბაზრის მოთხოვნაზე (კახეთის რეგიონში ეფექტურად იყენებენ მზესუმზირის ზეთის გამოხდის პრაქტიკას, რაც მეტად მომგებიანია საქონელმწარმოებლებისათვის).

**შაქრის წარმოება.** შაქრის ჭარხალს შაქრის მისაღებად იყენებენ. წარმოების ნარჩენები კარგი საკვებია პირუტყვისათვის. დეფიკაციული ტალახი კი საუკეთესო სასუქია. ბადაგის გადამუშავებით იღებენ სპირტს, გლიცერინს და სხვ.

პატარა ორგანიზაციაში ან ფერმაში (ფერმერულ მეურნეობებში) შეუძლებელია შაქრის წარმოება, რადგან დიდ კაპიტალდაბანდებასთან არის დაკავშირებული, მაგრამ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მაინც შეიძლება მისი ორგანიზაცია და ეფექტიანადაც. ეს, რა თქმა უნდა, იმ მეურნეობებს შეეხება, რომლებიც შაქრის ჭარხლის ან მსგავსი პროდუქტის მოყვანით არის დაკავებული.



ეთერზეთოვანი კულტურების პროდუქცია ფართოდ გამოიყენება პარფიუმერიაში, კოსმეტიკაში, კვების მრეწველობის სხვადასხვა დარგსა და მედიცინაში.

საქართველოში ეთერზეთოვანი კულტურები მოჰყავთ მთელ რიგ რაიონებში. დასავლეთ საქართველოში ეთერზეთოვანი კულტურებს აწარმოებენ აბაშის, სენაკის, გალის, ოჩამჩირის და გულრიფშის რაიონები. აღმოსავლეთ საქართველოში: ლაგოდეხის, ყვარლის, თელავის და მარნეულის რაიონები.

ეთერზეთოვანი კულტურებს ეკუთვნის: გერანი, ევგენოლის რეჰანი, ეთერზეთოვანი ვარდი, პანული, მსხვილყვავილიანი ჟასმინი და სხვ.

ამჟამად გერანისა და რეჰანის პლანტაციები დაქუცმაცებულია და შრომატევადობისა და მექანიზაციის უქონლობის გამო მიტოვებული.

დადგენილია, რომ ვარდისებრი გერანის მოსავალი აღწევს 30-40 ტ/ჰა, გერანის 20-30 ტ/ჰა, ხოლო რეჰანის 15-20 ტ/ჰა. ვარდისებურ გერანში ეთერზეთის საშუალო გამოსავალი 0,09-0,16 %-დეა, ევგენოლის რეჰანის 0,3-0,7 %. მსხვილყვავილიანი ჟასმინის - 0,08-0,11 %.

ეთეროვანი ზეთები მაღალშემოსავლიან პროდუქციას მიეკუთვნება და საუკეთესო საექსპორტო საქონელს წარმოადგენს.

*თამბაქოსა და წეკოს წარმოების ეკონომიკა.* ისინი გამოიყენება როგორც მოსაწვეად, ისე მედიცინაში, სოფლის მეურნეობაში კი მცენარეთა დაავადებების წინააღმდეგ საბრძოლველად.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში თამბაქოს კულტურას სახნაუი ფართობების მცირე ნაწილი აქვთ დათმობილი, მემცენარეობის დარგიდან მიღებულ საერთო შემოსავალში მას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. საქართველოში მოყვანილი თამბაქო, განსაკუთრებით აფხაზეთისა, გამოირჩეოდა საუკეთესო არომატითა და გუგმიური თვისებებით. ის უმაღლესი ხარისხის თამბაქოს წარმოებისათვის აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს, რამაც განაპირობა მასზე დიდი

მოთხოვნილება, როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე საერთაშორისო ბაზრებზე.

მისი საშუალო წლიური მოსავლიანობა 18 ათას ტონას შეადგენს. სპეციალიზირებულ თამბაქოს მეურნეობებში საშუალო მოსავლიანობა 13,2 ც/ჰა უდრიდა. რენტაბელობის დონე კი - 27 %-ს.

საქართველოში ორი ჯიშის თამბაქო მოჰყავთ "ტრაპიზონი" და "სამსუნი".

მინერალური სასუქების გამოყენებით თამბაქოს მოსავალი იზრდებოდა, აფხაზეთის თამბაქოს საცდელი სადგურის მონაცემებით სასუქებზე დახარჯული ყოველი მანეთი 5,9 მანეთ მოგებას იძლეოდა, ხოლო სუფთა მოგება პექტარზე 3 438 მანეთი იყო.

მეთამბაქოეობაში მეტად შრომატევად სამუშაოს წარმოადგენს თამბაქოს ფოთლების ანემსეა, თამბაქოს ფოთლების ასანემსი მანქანის V-69-V-ის გამოყენებით შრომის ნაყოფიერება 5-6-ჯერ იზრდება.

თამბაქოსა და წვეოს წარმოების შემდგომი განვითარების მთავარი გზაა მისი წარმოების ინტენსიფიკაცია, სპეციალიზაცია და კონცენტრაცია, რომლის საფუძველს წარმოადგენს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება.

*მევენახეობის, მეხილეობის, სუბტროპიკული კულტურების წარმოების ეკონომიკა.* მევენახეობა ძველთაგანვე ქართველი ხალხის მატერიალური სიძლიერის ერთ-ერთი ძირითადი წყარო იყო. საქართველოში ვენახების საერთო ფართობი (1990 წლამდე) 140 ათას ჰა აღწევდა. აქედან საზოგადოებრივ სექტორზე მოდიოდა 92 ათასი ჰა. ვენახების ხვედრითი წილი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 4-5 %-ს, ხოლო დამუშავებული მიწების 12 %-ს შეადგენდა. სოფლის მეურნეობის სასაქონლო პროდუქციის ღირებულებაში მევენახეობის წილად 13,5 % მოდიოდა. ყურძნის საერთო წარმოებამ 1979 წ. 774 ათასი ტონა შეადგინა.

მევენახეობა ერთ-ერთი რენტაბელური დარგია, მთავარია სავენახე ნიადაგის შერჩევა და გაშენების წესის დაცვა. ყურძნის წარმოების გადიდებისა და გაიაფებისათვის დიდი როლი ენიჭება კომპლექსურ მექანიზაციას, რითაც ვენახის

მოვლით სამუშაოზე დანახარჯები 40-45 %-ით მცირდება. სვე-  
ულებრივ პირობებში ვენახის მოვლაზე 215 კაც/დღე იხარ-  
ჯება.

ამ უკანასკნელ წლებში მევენახეობამ სხვა დარგებთან  
ერთად მნიშვნელოვანი დაცემა განიცადა. 1998 წელს, 1985  
წელთან შედარებით, იგი საკუთრების ყველა ფორმის მე-  
ურნეობებში თითქმის ორჯერ (57,8 ათპექტარით) შემცირდა.  
შეიცვალა ვენახის მესაკუთრეთა სტრუქტურა, თუ 1985 წელს  
ვენახის მთლიან ფართობში ოჯახური მეურნეობის წილი 50  
% იყო, 1998 წელს – 98 % შეადგინა.

1985-98 წ.წ. მკვეთრად შემცირდა ყურძნის მოსაუღლიანობა;  
ასე მაგალითად, 1985 წ. ყურძნის საშუალო საექტარო მო-  
საუღლიანობა 71,5 ცენტნერს შეადგენდა, 1990 წ. 73,3; 1998 წ.  
კი მხოლოდ 34 ცენტნერს, რაც ყურძნის წარმოების საწარ-  
მო პოტენციალის მკვეთრ გაუარესებაზე მეტყველებს. მკვე-  
თრად დაეცა ამავე პერიოდში ყურძნის წარმოება მოსახლე-  
ობის ერთ სულზე.

მევენახეობის მთლიან პროდუქციაში ოჯახური მეურნეო-  
ბების წილმა 1998 წელს 97 % შეადგინა, რაც მიმდინარე აგ-  
რარული რეფორმის შედეგს წარმოადგენს.

სოფლის მეურნეობისა და მევენახეობის დარგის დაცემის  
საფუძველზე, კვების მრეწველობის და მათ შორის, ღვინის  
ქარხნების ფინანსური მდგომარეობის გაუარესებამ, გასაღე-  
ბის ბაზრების დაკარგვამ უარყოფითად იმოქმედა ღვინის  
მრეწველობაზეც. მკვეთრად შემცირდა ყურძნის ღვინის წარ-  
მოება.

*ხილი* ადამიანის კვების მაღალფასოვანი პროდუქტია და  
საკონსერვო წარმოების ძირითადი ნედლეული.

ხილის წარმოების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია – ფარ-  
თობების გადიდება, რათა წარმოება მექანიზებული გახდეს.  
მიწის რაციონალურად გამოყენების მიზნით შეიძლება ხეხი-  
ლის ბაღების ფერდობებზე გაშენება, სადაც მარცვლოვანი  
კულტურების მოყვანა არ ხერხდება, ამავე დროს ამით შე-  
საძლებელი ხდება ფერდობების ეროზიის თავიდან აცილება.

ხელსაყრელია ნაგალა და ნახეურად ნაგალა ჯიშების გა-  
შენება, ეს ხელს უწყობს ხეხილის ადვილად მოვლას და

რიგთშორისების დამუშავებას. I ჰექტარ მსხმოიარე ბაღში შრომითი დანახარჯები შეადგენს 100-120 კა/დღეს. ამის შემცირება შეიძლება მექანიზაციის გამოყენებით. ნაყოფის კრეფა ხდება ხელით, რაც მეტად შრომატევადია.

წარმოების გადიდების და გაიაფების საშუალებაა: მეწლეობის და მეჩხერიანობის წინააღმდეგ ბრძოლა, შესაფერისი ჯიშების შერჩევა, მორწყვა, მექანიზაცია და ყოველ ჰექტარზე ერთი ოჯახი სკის გაშენება - ბაღის დამტვერიანების მიზნით.

*დაფნის კულტურის ეკონომიკა.* დაფნა სუბტროპიკული მცენარეებიდან ყველაზე უპრეტენზიოა გარემო პირობებისა და ნიადაგისადმი. იძლევა უმაღლესი ხარისხის ეთეროვან ზეთს. დაფნის ფოთოლი გამოიყენება როგორც მედიცინაში, ისე კულინარიაში. მისი წარმოება რენტაბელურია.

სუბტროპიკული კულტურების წარმოებისათვის საქართველო ერთ-ერთი ძირითადი ბაზაა. სუბტროპიკულ კულტურებს, გარდა ციტრუსებისა, მიეკუთვნება: ტუნგი, დაფნა, ბამბუკი, ფეიოა და სხვა ძვირფასი კულტურები (ბროწეული, თხილი, კაკალი, უნაბი, პეკანი, ზეთის ხილი). სუბტროპიკული კულტურების გაშენება ხელს შეუწყობს ეკონომიკის განმტკიცებას, მოსახლეობის დასაქმებას, შრომის ნაყოფიერების ამაღლებას. სუბტროპიკულ რაიონებში სხვა კულტურებისათვის გამოუყენებელ მიწებზე შესაძლებელია ბამბუკის, ბროწეულის, თხილის გაშენება, რომლებიც დეგრადირებულ ნიადაგებზეც კარგად ვითარდებიან და დიდ შემოსავალს იძლევიან.

*მეციტრუსეობის ეკონომიკა.* ციტრუსოვან კულტურებს მიეკუთვნება ფორთოხალი, ლიმონი, მანდარინი, რომლებსაც დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვთ.

ციტრუსების უხემოსაველიანი პლანტაციების შექმნის საფუძველია სანერგე მეურნეობის ორგანიზაცია: საძირის სწორი აღზრდა, სადედე პლანტაციების არსებობა და ნერგების მაღალ აგროტექნიკურ ფონზე აღზრდა. მთავარია მათი ყინვისაგან დაცვა, რომელიც მეციტრუსეობის რაიონებში რამდენიმე წელიწადში ერთხელ მეორდება, რაც დიდ ზიანს აყენებს მათ. ყინვით ყველაზე მეტად ლიმონის მცენარე ზიანდება, რის გამოც ზოგჯერ აუცილებელია პლანტაციების ხელმეორედ გაშენება. ამ მხრივ მეციტრუსეობა გარკვეულ რის-

კთან არის დაკავშირებული. არსებობს მთელი რიგი ღონისძიებები მკვენარის ყინვისაგან დასაცავად, რაც, რა თქმა უნდა, ზედმეტ დანახარჯებთან არის დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, ციტრუსების წარმოება რენტაბელურია და დიდ მოგებას იძლევა.

*მეჩაიეობის ეკონომიკა.* საქართველოში არსებობს ხელსაყრელი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები სამამულო ჩაის წარმოებისათვის. ჩაის სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა მეტად დიდია. მისი მზა პროდუქცია საარსებო საშუალებათა ჯგუფს მიეკუთვნება. ჩაის წარმოების გადიდებასა და გაიფებაში დიდი მნიშვნელობა აქვს ღონისძიებათა კომპლექსს და რაც მთავარია, კომპლექსურ მექანიზაციას.

ჩაი მეტად შრომატევადი კულტურაა, ხელით მუშაობის დროს ჰექტარზე საჭიროა 500 კაც/დღე, აქედან 350 კაც/დღე კრეფაზე მოდის. მანქანით კრეფა 10-15-ჯერ ამცირებს შრომით დანახარჯებს, ხოლო თვითღირებულებას 2,5-ჯერ.

საქართველოში ჩაის კულტურასა და გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებას საკმაოდ დიდი ისტორია აქვს. ტრადიციულად ჩაის კულტურის წარმოება ეკუთვნოდა სოფლის მეურნეობას, ხოლო მისი გადამამუშავება მრეწველობას. მაგრამ მას შემდეგ, რაც ქვეყანაში ჩამოყალიბდა აგრომრეწველური კომპლექსი, ეს ორი დარგი გაერთიანდა. მეჩაიეობა უზრუნველყოფდა აგრესამრეწველო კომპლექსში წარმოებული პროდუქციის 18 %-ზე მეტს და მოგების 40 %-ს.

ჩაის პლანტაციის საერთო ფართობმა (საზოგადოებრივ და კერძო სექტორში) 1980 წლის მდგომარეობით 70 ათას ჰექტარს მიაღწია, ჩაის ფოთლის წლიურმა კრეფამ 600 ათას ტონას, ხოლო ჩაის პირველადი გადამამუშავების 130 ფაბრიკის წლიურმა სიმძლავრემ 74 ათას ტონას.

1988 წლიდან დარგში კრიზისული მდგომარეობა შეიქმნა, რომელიც 1997 წლამდე გაგრძელდა. ჩამოყალიბდა სააქციო საზოგადოება "ქართული ჩაი". ფირმების საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია.

მეჩაიეობას დასავლეთ საქართველოში არც ბიოლოგიურად, არც ეკონომიკურად ალტერნატივა არ გააჩნია. ახლო წარსულში იგი მოსახლეობის ფუძელადი შემოსავლების, ადგი-

ლობრიკი და ცენტრალური ბიუჯეტების შევსების ძირითადი წყარო იყო.

წარმოების ხასიათისა და სტადიების მიხედვით ჩაის მრეწველობის საწარმოები იყოფა ნედლეულის პირველად და მეორად გადამამუშავებელ საწარმოებად. პირველად გადამამუშავებას მიეკუთვნება: 1. ბაიხის ჩაის წარმოება; 2. ჩაის უხეში ფოთლის გადამამუშავება ლაო ჩაის დასამზადებლად. მეორად გადამამუშავებას ეკუთვნის: 1. ბაიხის ჩაის დაფასოვება. 2. ბაიხისა და ლაოს ჩაის წნეხვა (ფილა ჩაი, აგურა ჩაი, ხსნადი ჩაი, შავი ან მწვანე ჩაის და მშრალი ან თხევადი ექსტრაქტის დამზადება).

1999 წლის მონაცემებით საქართველოში იყო 165 ჩაის საწარმო, მათ შორის პირველადი გადამამუშავების 144, ხოლო მეორადის - 21.

1988 წელთან შედარებით შემცირდა სოფლის მეურნეობის საწარმოო ბაზა. მათ შორის ჩაის პლანტაციების რაოდენობამ 1998 წელს შეადგინა 39,9 ათასი ჰექტარი, რაც 1,14 - ჯერ ჩამორჩება 1988 წლის მონაცემებს, მათ შორის ჩაის ფოთლის კრეფა 7,6 ჯერ. შესაბამისად, ჩაის მზა პროდუქცია 7,7 ჯერ. შემცირდა ქვეყნის საექსპორტო პოტენციალი. თუ ადრე საქართველოდან გადიოდა 120 130 ათასი ტონა ჩაის მზა პროდუქცია, ბოლო წლებში იგი 15 16 ტ. მდე შემცირდა. ამის ძირითადი მიზეზებია საბაზრო პერიოდში სოფლის მეურნეობაში ჩატარებული მიწის რეფორმა, პრივატიზების პროცესის არასწორი წარმართვა. ჩაის ნარგავობის ამოძირკვა და სიმინდის დათესვა.

მეჩაიეობის რეაბილიტაციისათვის გათვალისწინებულია პირველ რიგში პლანტაციების აღდგენა - განახლება და პროდუქციის ხარისხის ამაღლება. გათვალისწინებულია ჩაის ფოთლის მოსავალი ჰექტარზე არანაკლებ 75 ცენტნერამდე, ხოლო ჩაის წარმოებამ 2005 წლისათვის უნდა შეადგინოს 300 ათასი ტონა.

ჩაის მრეწველობას მიეკუთვნება აგრეთვე ასკილისა და მოცვის ნედლეულის წარმოება, რომელიც ჩაის მრეწველობაში ნედლეულის სახით გამოიყენება.

*მეცხოველეობის ეკონომიკის თავისებურება.* სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თითქმის ნახევარს მეცხოველეობის პროდუქცია შეადგენს. სხვადასხვა წელს მეცხოველეობის მთლიანი პროდუქციის მოცულობა შეიძლება მერყეობდეს. ეს მაშინ, ხდება, როდესაც მემკვინარეობა ვერ უზრუნველყოფს მეცხოველეობის მოთხოვნის ნორმალურ დაკმაყოფილებას. ერთ სულ მოსახლეზე მეცხოველეობის პროდუქციის მოხმარების რაოდენობის მანუენებელი არის ერის კეთილდღეობის დონის ნიშანი. ხორცი და ხორცპროდუქტები წარმოადგენენ ქვეყნის უსაფრთხოების შექნაცველებელ ელემენტს.

გარდა ამისა, მეცხოველეობის პროდუქცია ყართოდ გამოიყენება მთმიჯნავე დარგებში. მათ შორის იმავე მემკვინარეობაში (ორგანული სასუქი), მსებუქ მრეწველობაში (ტყავი, მატყლი, ბუმბული) და ა.შ.

ამის მხედველობაში მიღებით შეიძლება დაეასკნათ, რომ მისი განვითარებით დაინტერესებულია როგორც სახელმწიფო, ისე მოსახლეობის ყველა ფენა.

მეცხოველეობაში გამოყოფენ შემდეგ დარგებს:

- მესაქონლეობა (მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი);
- მელორეობა;
- მეფრინველეობა;
- მეცხვარეობა;
- მეაბრეშუმეობა;
- მეფუტკრეობა;
- მეცხენეობა;
- სარეწი მეცხოველეობა;
- მეთუეხეობა.

მოკუმეული კლასიფიკაცია პირობით ხასიათს ატარებს, რადგანაც მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გაზრდა არ გულისხმობს მხოლოდ რძისა და რძის ნაწარმის წარმოებას, აქ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქონლის ხორცის დამზადებას. ისე, როგორც მეცხვარეობაში, მატყლის წარმოების პარალელურად იწარმოება ცხერის ხორციც. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ხორცისა და რძის პროდუქტების წარმოების როგორც ტექნოლოგია, ისე საბოლოო პროდუქციის თვითღი-

რებულება სხვადასხვაა, რაც გაეღენას ახდენს პროდუქციის რეალიზაციაზე და აქედან გამომდინარე მიღებულ მოგებაზე.

თანამედროვე პირობებში, მესაქონლეობის პროდუქციის დიდ უმრავლესობას სხვადასხვა ფორმის მესაქუთრეები აწარმოებენ. ფერმერულ მეურნეობებში ხორცის, რძის, კვერცხის წარმოებამ ჯერ-ჯერობით ვერ ნახა ფართე განვითარება. ამის მიზეზია: მატერიალურ-სამეურნეო მასალის მაღალი ფასები (საკვები, სათბობი, ენერჯია), მექანიზაციის დაბალი დონე მეცხოველეების შრომაში, არაგონივრული სამთაერობო პოლიტიკა სამამულო ფერმერების მხარდაჭერაში. ამ სიტუაციაში წარმოების ეფექტიანობის მიღწევა შეუძლებელია.

მეცხოველეობის ეფექტიანობის შეფასებისას გამოიყენება შემდეგი მონაცემები:

საწარმოს საერთო სულადობაში პირუტყვის ცალკეული სახეობების ხვედრითი წილი;

საწარმოო ხარჯების თანხა აბსოლუტურ მონაცემებში 1 ლარ რეალიზებულ პროდუქციაზე (ან ნაწარმზე).

რეალიზებული პროდუქციის რენტაბელობის დონე;

- პირუტყვის პროდუქტიულობა (პროდუქტიულობის მაჩვენებლად გამოიყენება: ერთი ძროხის წველადობა, ერთი ცხვრის განაკრეჭი მატყლი, ერთი კვერცხისმდებელი დედლის კვერცხის საშუალო რაოდენობა, სადღეღამისო ნამატი ერთი სულის გამოკვების შედეგად, ერთეული ზომა თაფლის რაოდენობა ერთი ფუტკრის ოჯახზე და ა.შ.);

მოგების თანხა პირუტყვის ერთ სულზე ან 1 ცენტნერ პროდუქტზე;

საწარმოს პროდუქციის რენტაბელობა მთლიანად;

მოგების ნორმა რენტაბელობის მაჩვენებელისაგან იმით განსხვავდება, რომ მოგება შეესაბამება არა პროდუქციის თვითღირებულებას ან აქტივების ღირებულებას, არამედ ავანსირებულ კაპიტალს. ეს მაჩვენებელი სამამულო ეკონომიკისათვის ახალია. მისი განსაზღვრის მეთოდის დასახვეწია, მაგრამ მაინც შეიძლება რამდენიმე წლის მონაცემების დინამიკის მიხედვით მისი განსაზღვრა.



ნებისმიერ შემთხვევაში ეკონომიკური გაანგარიშება გულისხმობს მონაცემთა შეჯგურებას. ამ შემთხვევაში საჭიროა ნატარებული ვეტერინალური ღონისძიებების ხარჯები შევადაროთ შესაძლებელი მატერიალური ზარალის თანხას, რაც გამოწვეული იქნებოდა პირუტყვის გაწყდომის გამო. მაგრამ პირუტყვის გაწყდომის დონეზე მოქმედებს უამრავი სხვა ფაქტორი და არ არის აუცილებელი ვეტერინალურ ღონისძიებებთან მათ პირდაპირ კავშირზე საუბარი. ზუსტი გაანგარიშებისათვის საჭიროა 10-15 წლის მონაცემების ანალიზი, რათა დადგინდეს ზემოქმედების ყველა როლი და მნიშვნელობა.

## 7.2. სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამუშავების ეკონომიკის სპეციფიკა

ტრადიციულად გადამამუშავებელი მრეწველობა არ შექმნიდა სოფლის მეურნეობაში. მაგრამ 1980 წლიდან როგორც აღენიშნეთ, როდესაც დამკვიდრდა ტერმინი "აგრომრეწვეი", გადამამუშავებელი წარმოებები და სასურსათო პროდუქციის მწარმოებლები ერთ კომპლექსში გაერთიანდნენ.

ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ იმ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა კომპლექსს, რომლებიც თვითონ აწარმოებენ და თვითონვე გადაამუშავებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას. ეკონომიკური თვალსაზრისით უმჯობესია ასეთი საწარმოების ქსელის გაფართოება, მაგრამ არის ისეთი ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლიან ზოგიერთი სახის ნედლეულის გადამამუშავებას ადგილობრივად (მისი წარმოების ადგილზე); ასეთებია მაგალითად:

*პურისა და პურპროდუქტების წარმოება.* აქ, რა თქმა უნდა, არ შეიძლება საკმე გვეჩინდეს ადგილზე მოყვანილი ხორბლის პურპროდუქტებად გადამამუშავებასთან. აქ გადამწვეტი მნიშვნელობა აქვს მზა პროდუქციის სპეციფიკას. სახელდობრ-ეკონომიკურად გაუმართლებელია გამომცხვარი პურის ტრანსპორტირება 100 კმ-ის იქით, პროდუქციის ხარისხი დროში იცვლება და უარესდება.

მეორე ნეგატიური მოვლენა არის ის, რომ მარცველულის შენახვა საჭიროა მთელი წლის განმავლობაში. ხორბლის მწარმოებელს კი არა აქვს შენახვის ტექნიკური საშუალება (ეს უნდა გაკეთდეს სპეციალურ ელექტორებში). ამიტომ ხშირია და უფრო ეფექტიანიც პატარა პურსაცხობების შექმნა სოფლის მეურნეობის საწარმოებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ იქვე დასახლებული პუნქტის მოსახლეობას. იქ არ სჭირდებათ შუამავლები, ტრანსპორტი და სხვა მრავალი ეკონომიკურად ხელსაყრელი მდგომარეობა და შეუძლიათ ნაწარმის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, რაც წარმოებას მოგებას აძლევს. როდესაც პურსაცხობი სასოფლო-სამეურნეო საწარმოს დამატებით შემოსავლის წყაროდ ითვლება, ეს აუმჯობესებს საწარმოს საფინანსო-სამეურნეო მდგომარეობას.

*წისქვილკომბინატი* - გადამუშავების ეს სახეობა ძალიან ახლოა პურისა და პურპროდუქტების წარმოებასთან. განსხვავება იმაშია, რომ თუ პურის წარმოება უზრუნველყოფს რაიონს, წისქვილკომბინატი უფრო ფართო მასშტაბის არის. სოფლის მეურნეობის საწარმოს რომ ჰქონდეს საკუთარი წისქვილკომბინატი, ამისათვის საჭიროა მას ჰქონდეს თავისი სატრანსპორტო ბაზაც, იყოს რკინიგზასთან ახლოს, ჰქონდეს საკუთარი ვაგონების პარკი სწრაფი რეალიზაციისათვის (რადგან მეტხანს გაჩერება არ შეიძლება). ამიტომ წისქვილკომბინატი ისეთ ადგილზე უნდა შეიქმნას, რომ იგი უზრუნველყოფილი იყოს მომხმარებლით.

რაც შეეხება პატარა პურსაცხობებისათვის მცირე სიმძლავრის წისქვილს, ეს, რა თქმა უნდა შესაძლებელია და ეკონომიურიც.

*რძისა და რძის პროდუქტების წარმოება.* ახლო წარსულში, როცა ჯერ კიდევ არ იყო გამოყენებული რძისა და რძის ნაწარმის შენახვის უახლესი ტექნოლოგია, (ახლა შეიძლება რძე თვეობით შეინახოს), რძის პირველადი დამუშავებისა და რეალიზაციის საკითხი დამოკიდებული იყო მის გასაღებასთან, რაც უნდა მომხდარიყო დროის ვიწრო მონაკვეთში. დღეისათვის ეს პრობლემა მოხსნილია. არ არის და-

ბრკოლება არც ადგილმდებარეობასა და მის სიშორესთან დაკავშირებით.

ძალიან ეკონომიურია, თუ ყოველ მეცხოველეობის მეურნეობას ექნება რძისა და კარაქის დამამზადებელი საწარმო, რადგან მისი ანარჩენები (დო, შრატი და ა.შ.) პირუტყვის საკვებად გამოიყენება. ეს ამცირებს მეცხოველეობის პროდუქციის თვითღირებულებას და იძლევა დამატებით მოგებას.

**ხორცპროდუქტები** ტრადიციულად ხალხში დიდი ხანია არსებობს ხორცის გადამუშავების კულტურა. ცნობილია, ხორცის პროდუქციის მდიდარი ასორტიმენტი. სხვადასხვა ტექნოლოგიების გამოყენებით შეიძლება დამზადდეს პროდუქცია შენახვის სხვადასხვა დროის ხანგრძლივობით, სხვადასხვა თვითღირებულებით. ამიტომ ასეთი საწარმოს შექმნის მიზანშეწონილობა ეჭვს არ იწვევს. იმის გარდა, რომ არის საშუალება თვითონ მოახდინონ დამუშავებელი პროდუქციის რეალიზაცია და ამ გზით მიიღონ დამატებითი ფულადი შემოსავალი ამავე დროს ნედლეულის კომპლექსური გადამუშავება საშუალებას იძლევა გაიზარდოს ამ საწარმოს ეკონომიკური ეფექტიანობა. აქ გასათვალისწინებელია გადასახადის საკითხიც. თუ წარმოება რეალიზებული პროდუქტის ღირებულების 30 %-ს აღემატება, მაშინ ის მრეწველობად ჩაითვლება და არა სოფლის მეურნეობის საწარმოდ და დაბეგერაში შედგაფათები აღარ ექნება.

ხორცპროდუქტების წარმოებისას მხედველობაშია მისაღები, რომ მკაცრად დაცული იყოს "სასურსათო უსაფრთხოება", ე.ი. დაუშვებელია დიოქსინისა და მისი მსგავსი ნივთიერებების გამოყენება ხორცპროდუქტების წარმოებისას და ასეთი პროდუქტის რეალიზაცია. ევროკავშირის მიერ სასტიკად იკრძალება ადამიანის ორგანიზმისათვის საშიშ ნივთიერებათა გამოყენება. მაგალითად, 1999 წ. ბელგიაში მოლიანად გაანადგურეს ქათმის ხორცის პროდუქცია, იმის გამო, რომ ამ ფრინველთა გამოსაკვებად დიოქსინიან კომბინირებულ საკვებს იყენებენ.

### 7.3. საკვები პროდუქტების ხარისხი

საკვები პროდუქტების და სასურსათო ნედლეულის უშიშროებას მიაკუთვნებენ ძირითად ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობას და უნარჩუნებს გენოფონდს. 70 %-ზე მეტი დამაბინძურებლები ხედება ადამიანის ორგანიზმში საკვები პროდუქტების გზით.

სასურსათო ნედლეულის უსაფრთხოების მდგომარეობა გაუარესდა ამ ბოლო დროს იმასთან დაკავშირებით, რომ მოხდა კვების მრეწველობის დემონოპოლიზაცია, საზღვარგარეთიდან მოწოდების გაზრდა, საკვები პროდუქტების წარმოებაზე და რეალიზაციაზე კონტროლის შესუსტება, რაც იწვევს შეშფოთებას.

საკვები პროდუქტების ხარისხის კონტროლი გვიჩვენებს, რომ ძალიან დიდია დაბინძურება პროდუქტების ტოქსიკური ქიმიური ნაერთებით, ბიოლოგიური აგენტებით და მიკროორგანიზმებით. მთელი რიგი პროდუქტების, როგორც რძის, ისე თევზის და ხორცპროდუქტების ხარისხი არ შეესაბამება ბაქტერიოლოგიური სტანდარტების მოთხოვნებს. 1,5-დან 10 % საკვები პროდუქტებისა შეიცავენ მძიმე მეტალებს, მათ შორის ტყვიას, სინდიყს, კადმიუმს, სპილენძს, თუთიას, მათ შორის 2,5-დან 5 %-მდე კონცენტრაცია აღემატება დასაშვებ ნორმებს.

ხშირად უარყოფით კლიმატურ პირობებთან დაკავშირებით ხდება მოსავლის აღების დაგვიანება; რაც იწვევს სასურსათო ნედლეულის ტოქსინებით დაბინძურებას, რომლებიც იწვევენ იმუნოდეპრესიის მდგომარეობას და ხელს უწყობს აეთვისებებიანი სიმსივნის გაჩენას (მაგ. 1999 წ. კრასნოდარის მხარეში ხორბალში 60-დან 100 % გასინჯულ ნიმუშში აღმოაჩინეს ასეთი ტოქსინები).

ბოლო დროს სამედიცინო ანტიბიოტიკები გამოყენებულია ცხოველთა საკვების დანამატად (ვეტერინარიაში, მეფრინველეობაში), რაც იწვევს მათ გადასვლას მეცხოველეობისა და მეფრინველეობის პროდუქციაში 15-26 %-მდე.

მინერალური სასუქების არარაციონალური გამოყენება იწვევს პროდუქტებში ნიტრატების, მძიმე მეტალების გაზრდას.

მემცენარეობაში შხამქიმიკატების გამოყენება იწვევს პროდუქტების დაბინძურებას.

*საკეები პროდუქტების ხარისხის გაუარესების მიზეზები.* ძირითადი მიზეზებია:

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სისუსტე და მთელი რიგი საკეები ობიექტების ამ საშუალებით აუღჭურვილობა.

არაზარისხოვანი ნედლეულისა და კომპონენტების გამოყენება.

სამრეწველო და დარგობრივი კონტროლის შესუსტება, რაც დაკავშირებულია მათ დაქვემდებარებაში არსებული საკონტროლო ლაბორატორიების ლიკვიდაციასთან და მეწარმეების მისწრაფება შეამცირონ კონტროლთან დაკავშირებული ხარჯები.

არსებული რძის გადამამუშავებელი საწარმოები ექსპლუატაციაში არის თითქმის 25-50 წელზე მეტი, რომელთაც კაპიტალური შეკეთებაც კი არ გაუვლიათ. მათგან 40%-დე არა აქვთ სამაცივრო მოწყობილობა, არა აქვთ გარანტირებული სუფთა წყალი. თითქმის ყოველი მეორე საწარმო არაღამაკმაყოფილებელ სანიტარულ-ტექნიკურ მდგომარეობაშია. ეკონომიკურ-ფინანსური მდგომარეობის გამო ვერ იძენენ სადესინფექციო საშუალებებს. ასეთივე მდგომარეობაა ხორცკომბინატებსა და მეფრინველეობის ფაბრიკებში.

პირუტყვი იკვლება სანიტარული ნორმების დაცვის გარეშე და მაინც იყიდება ხორცი ბაზრებში. შემოწმებებმა ცხადყო, რომ უმეტესად ხორცი დასენიანებულია ტუბერკულოზით. საღმონელოზით, ტრიქოლეზით და სხვა დაავადებებით. საქართველოს მაგალითზე შეიძლება ითქვას 1999 წელს თურქულის ინფექციის გავრცელება, რის გამოც ქალაქის ბაზრებზე საქონლის ხორცის გაყიდვა შემოწმების გარეშე აიკრძალა.

ხშირია შემთხვევა ბაზრებზე ფალსიფიცირებული პროდუქტების გასაღებისა.

განსაკუთრებით ხარისხისა და სასურსათო ნედლეულის უსაფრთხოების საკითხი გამწვავდა იმპორტული საქონლის მოზღვავებული შემოტანით. წინათ სასღვარგარეთიდან შემოტანილი საქონელი საგარეო ვაჭრობის ხაზით შემოდის და

კონტროლდებოდა, ახლა ყოველ მეწარმეს შეუძლია ინდივიდუალურად დადოს ხელშეკრულება და ნებისმიერი პროდუქტი ნებისმიერი რაოდენობით შემოიტანოს, რასაც მოსდევს თან უვარგისი პროდუქციის შემოტანაც და ინფექციის გაჩენაც.

#### 7.4. აგროეკოლოგიური მიწათმოქმედება

დაახლოებით 20-30 წლის წინ შორსმხედველმა სპეციალისტებმა დაამუშავეს ახალი პერსპექტიული მიმართულება სოფლის მეურნეობაში - ეკოლოგიური მიწათმოქმედება. მისი ძირითადი პრინციპია ეკოლოგიური კანონზომიერების გათვალისწინება სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში და მისი გამოყენება ოპტიმიზაციის მიზნით ადამიანისა და ბუნების ურთიერთდამოკიდებულებაში. ამ მიმართულების მიმდევრები პირველ ადგილზე წამოწვევენ არა მოსავლიანობას, არამედ ნიადაგის ბუნებრივი ნაყოფიერების შენარჩუნებას, რომელიც სწორედ ხანგრძლივი კეთილდღეობის გარანტიაა.

ეკოლოგიური მიწათმოქმედება გულისხმობს:

ნიადაგის მინიმალურ დამუშავებას, ე.ი. მძიმე გაბარიტიანი სასოფლო-სამეურნეო მანქანების უარყოფას, რომლებიც ტკეპნიან ნიადაგს და ამით უარყოფითად მოქმედებენ მის ნაყოფიერებაზე;

ნარგაობის გაფრთხილებას, ნიადაგის დაცვას ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიისაგან;

მინერალური სასუქებისა და პესტიციდების გონივრულ გამოყენებას.

ვქვს აღარ იწვევს ის, რომ მომავალი ეკუთვნის მცენარეთა დაცვის ბიოლოგიურ მეთოდს, რომელთა შორის მნიშვნელოვანია მავნებლების წინააღმდეგ მტრების სტიმულირება (მტაცებლები, პარაზიტები და ავადმყოფობის გადამდები). მტაცებლებში გამოიყენება ბევრი ფრინველი ბუზების წინააღმდეგ გამოიყენება (სასათბურე მეურნეობის კულტურების მავნებლები, პარაზიტები) და სხვ.

ბიოლოგიური დაკვირვების მეორე მიმართულება არის მცენარეთა ზრდის სტიმულირება. (მაგალითად, "შერეული თესვა, თესლბრუნვა). თესლბრუნვა მდგომარეობს, რამდენიმე კულტურის ერთსა და იმავე ნაკვეთზე მოყვანის განსახლებურულ თანმიმდევრობაში. ამრიგად, ერთი წლის განმავლობაში, გაზაფხულიდან ზამთრამდე, სხვადასხვა კულტურები ცვლიან ერთმანეთს, ოპტიმალურად იყენებენ ნიადაგში არსებულ საკვებ ნივთიერებებს. არის არა მარტო ერთწლიანი, არამედ რამდენიმე წლიანი თესლბრუნვა.

"შერეული თესვისას ბრძოლა მავნებლებთან მიმდინარეობს არა ერთი კულტურის მეორეთი" შეცვლით და მორიგეობა, არამედ ერთდროულად რამდენიმე კულტურის თესვით. მაგ. ხახვისა და სტაფილოს ერთად დარგვა, კომპოსტოს ან სიმინდისა - ლობიოსთან. ე.ი. წერილფესვიანების ღრმა ფესვიანებთან. ისინი ერთმანეთს არ ართმევენ საკვებს, და ამავე დროს ახშობენ მავნებლებს. არის პირიქითაც, ზოგი მცენარე ერთმანეთს უშლის ხელს.

ელაპარაკობთ რა სასოფლო-სამეურნეო სასუქებზე და პესტიციდებზე, მუდამ უნდა გვახსოვდეს "ბუმერანგის ეფექტი".

"*ბუმერანგის ეფექტი*" - მდგომარეობს შემდეგში: მინერალური სასუქებისა და პესტიციდების რაოდენობის პროგრესულ ზრდას შეუძლია ნიადაგის დაბინძურების შექცევადი პროცესი გამოიწვიოს და ამით დაახარადლოს უდანაშაულო ორგანიზმები, პირველ რიგში ძირითადი დესტრუქტორები (მაგ. ჭიაყელები), რომელთა გადაშენება საშიშროებას უქმნის ეკოსისტემას.

*ზღვრული ნაყოფიერების კანონი* - მიღებულია კ. პრატოს მიერ 1965 წ. (*ზღვრული მწარმოებლურობის კანონი*). მოსაველიანობის ზრდას აქვს შენელებისაკენ ტენდენცია, იმის მიხედვით, თუ რაოდენ დაუსაბუთებლად იზრდება ნიადაგში შეტანილი სასუქის რაოდენობა.

მაგალითად, ნიადაგში აზოტოვანი სასუქის შეტანის შემთხვევაში მოსაველიანობა იზრდება გარკვეულ ზღვრამდე, შემდეგი სასუქის დოზის მომატებისას, როგორც არ უნდა ეცადოთ მოსავეალი რჩება უცვლელი, მაგრამ ხარისხი უარესდება. ბოსტნეული უგემურია, პროდუქტში დაგროვილი ნიტრა-

ტები ენებს ადამიანის ჯანმრთელობას (ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დადგენილია, რომ ნიტრატების ზღვრული რაოდენობა ადამიანისათვის არის 3.05 მლგ/კგ დღე-ღამეში (ადამიანის წონის მიხედვით) ე.ი. მოზრდილი ადამიანისათვის დასაშვები ნორმა 200-300, ხოლო ბავშვებისათვის 100 მლგ. ნიტრატია დღეში).

ასე, რომ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ძირითადი მიმართულება სოფლის მეურნეობის მრეწველობაში არის შემდეგი: ნაკელის კომპოსტირება, სასუქად მისი შემდგომი გამოყენებისათვის; ნიადაგის დამუშავების ბელტის გადაუბრუნებელი სისტემა; სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების წონის (მასის) შემცირება, რომელიც ტექნიკის ნიადაგს, მცენარეთა დაცვის ბიოლოგიური მეთოდების გამოყენება; სწრაფად დაშლადი პესტიციდები და ა.შ.

*ადამიანის მოქმედების ზოგიერთი აგროეკოლოგიური მიმართულება.*

ერთ-ერთი მიმართულება აგროსისტემის რაციონალურად გამოყენებისა არის მელიორაცია.

მელიორაცია: (ლათ. melioratio - გაუმჯობესება) - ორგანიზაციულ-სამეურნეო და ტექნიკური ღონისძიებების ერთიანობა, მიმართული ბუნებრივი გარემოს გაუმჯობესებისაკენ (სასოფლო-სამეურნეო სავარგულების). იმის მიხედვით, თუ მეურნეობის რომელი დარგისათვის არის გამოყენებული მელიორაცია, არჩევენ სასოფლო-სამეურნეოს, სამშენებლოს, ლანდშაფტურს და ა.შ.

სასოფლო-სამეურნეო მელიორაცია პირობითად დაყოფილია სამ კლასად: წყლის, მიწის, კლიმატის. წყლის მელიორაცია პირველ რიგში მიმართულია ტერიტორიის წყლის რესურსების რეგულირებისაკენ; მიწის - ნიადაგის ფენის თვისებების და ზედაპირის შეცვლისაკენ; კლიმატის მიმართულია ამინდის პირობების გაუმჯობესებისაკენ.

თვითოველ კლასს აქვს შინაგანი სტრუქტურა, მაგალითად. წყლის მელიორაციაში გამოყოფენ: დაშრობას, მორწყვას, გაწყლიანებას. მიწის ნიადაგის გამდიდრება საკვები ელემენტებით, მჟავიანობის ან დამლაშების შემცირება, ნიადაგის დაცვა ჩამორეცხვისაგან, ნიადაგის ფიზიკური თვისე-



ბების გაუმჯობესება და ა.შ. კლიმატური ნალექების ხელოვნურად გამოწვევა, სეტყვის თავიდან აცილება, წაყინების წინააღმდეგ ბრძოლა.

ამჟამად ფიქრობენ, რომ მელიორაცია არის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტიულობის ამაღლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გზა. ყველაზე მეტად გავრცელებულია წყლის მელიორაცია მორწყვა, დაშრობა, გაწყლიანება. მორწყვაში იგულისხმება წყლის მიწოდება მიწებზე, რომლებიც განიცდიან წყლის ნაკლოვანებას ნიადაგში. დაშრობა - ზედმეტი წყლის მოცილება ნიადაგის ფესვთა დგომის არედას. გაწყლიანება წყლით უზრუნველყოფა უწყლო და მკირეწყლიანი რაიონების, ადგილობრივი წყლის რესურსების გამოყენებით და ასევე არხებითა და მილსადენებით მისი გადასროლა სხვა ტერიტორიებზე.

წყლის მელიორაციიდან ყველაზე მეტად გავრცელებულია მორწყვა. იგი უზრუნველყოფს არა მარტო მაღალ მოსავალს, არამედ მის სტაბილურობასაც. მორწყვა გამოიყენებოდა უძველესი დროიდან ეგვიპტეში, მესოპოტამიაში, ინდოეთში, იაპონიასა და ჩინეთში, შუა აზიაში. სარწყავი მიწების ფართობები დღითი დღე იზრდება. ბოლო 200 წლის მანძილზე გაიზარდა 25 -ჯერ. მორწყვა გამოიყენება 100 მეტ ქვეყანაში. მსოფლიოს მორწყული მიწები იკავებენ მხოლოდ 17 % სახინაისას და იძლევიან მემცენარეობის 50 % პროდუქციას. ყველაზე მეტი სარწყავი მიწა მოდის აზიაზე. აქედან 80 % კინდოეთზე, ჩინეთზე, პაკისტანზე. ბოლო წლებში მორწყვას იყენებენ მსოფლიოს ტენიან რაიონებშიც, როგორც არის აშშ და დასავლეთ ევროპა. მიუხედავად წლიური ნალექების რაოდენობისა, მცენარეები არაიშვიათად განიცდიან ტენის უკმარისობას განვითარების სხვადასხვა ფაზაში.

მოკლედ, მორწყვა იძლევა დიდ ეკონომიკურ ეფექტს, რამდენიმეჯერ ამაღლებს მიწის ბიოლოგიურ პროდუქტიულობას.

მაგრამ მიწის ხანგრძლივი მორწყვა, ბუნებრივი პირობების სათანადო ანგარიშის გაწყვის გარეშე და არასწორად გამოყენებულ მორწყვის სისტემას არა იშვიათად მიყვავართ ე.წ. ნიადაგის მეორად დამლაშებამდე. ცხელი კლიმატის პირობებ

ბში მორწყვის შედეგად, ხანგრძლივი მშრალი პერიოდის დროს შესაძლებელია შეუერთდეს მორწყული წყალი მლაშე გრუნტის წყლებს. შემდეგში ეს წყლები კაპილარების საშუალებით ამოიწვეიან ნიადაგის ზედაპირზე და ამლაშებენ მას, წყლის აორთქლების შედეგად ნიადაგის ზედაპირზე ჩნდება მარილის ქერქი. მოსაველიანობა ასეთ ნიადაგზე მკვეთრად ეცემა და ზოგი მათგანი გადადის მლაშე უდაბნოს რიგებში. დღეისათვის მსოფლიოს მიწების 40-60 % დამლაშებულია. ამ მიწების ნაყოფიერების აღდგენა მოითხოვს ძვირადღირებულ და რთულ მუშაობას ნიადაგის გამოსარეცხად და მარილიანი წყლების ფართობიდან გასატანად.

მსოფლიოს მიწების დიდი ფართობები დაფარულია ჭარბტენიანი მიწებით. მათი სამეურნეო გამოყენება მოითხოვს მათ დაშრობით მელიორაციის განხორციელებას. მსოფლიოში დაშრობილი ფართობები შეადგენს 250 მლნ. ჰა, უახლოეს მომავალში მათი ფართობი მიაღწევს 750-800 მლნ.ჰა.

საერთოდ მსოფლიოში სასოფლო-სამეურნეო სავარგულეობის ფართობი შეადგენს 4 მილიარდ ჰა. (ხმელეთის 30 %). აქედან 1,5 მილიარდი დამუშავებაშია (სახნაეი, პლანტაციები, ბაღები) და დაახლოებით 2,8 მილიარდი ჰა უკავია სათიბსაძოვრებს. ყველაზე მეტი განვითარება დაშრობითმა მელიორაციამ კპოვა აშშ-ში, კანადაში, ჩინეთში, ინდოეთში, დიდ ბრიტანეთში, პოლონეთში, გერმანიაში. ასევე საქართველოში

კოლხეთის დაბლობზე, ნიადაგის დაშრობა საშუალებას იძლევა გაეზარდოს მისი მწარმოებლურობა, მაგრამ შესაძლებელია გამოიწვიოს არასასურველი შედეგიც. მათ შორის აღსანიშნავია მოვლენა - ტერიტორიის წყლით უზრუნველყოფის შემცირება, მისი საერთო ტენიანობის შემცირება ზედაპირული ნაკადის გაძლიერებით და გრუნტის წყლის დონის დაწევის გამო, ეს კი თავის მხრივ, იწვევს მდინარეების გამჩხვრებას, ტბების ხაეისის მოდებას, მცენარეულობის შემადგენლობის შეცვლას, ნიადაგის ეროზიის გაძლიერებას, სამონადირეო, საკენკრე სავარგულების შემცირებას.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქტიულობის ამაღლება შესაძლებელია აგრეთვე პესტიციდების გამოყენებით - მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალება (ლათ. პესტის

გადამღები, (კაედერე დახოკვა). ეს 'შხამქიმოკატები, რომლის დანიშნულებაა სასოფლო-სამეურნეო მკვნარეების დაცვა მავნებლებისაგან, ავადმყოფობისაგან და სარეველებისაგან, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ცხოველების პარაზიტების, მღრღნელების გასანადგურებლად და ა.შ. მათ შორის ყველაზე მეტად გავრცელებულია:

- პერბიციდები (სარეველების საწინააღმდეგოდ);
- ინსექტიციდები (მწერ - მავნებლების წინააღმდეგ);
- აკარიციდები (ტკიპების წინააღმდეგ);
- ფუნგიციდები (სოკოვანი დაავადებების წინააღმდეგ).

ამჟამად, დამუშავებულია ახალი თაობის პერბიციდები, რომლებიც გამოიყენება მცირე დოზებით. ისინი გამოყენების შემდეგ სწრაფად იშლებიან და არ აბინძურებენ ნიადაგს და კვების პროდუქტებს.

იმის გამო, რომ მიწვიდან გაიტანება ძალიან დიდი რაოდენობის მნიშვნელოვანი მინერალური ელემენტები: ნახშირბადი, აზოტი, ფოსფორი, გოგირდი, კალიუმი და ა.შ. საჭიროა მათი რაოდენობის კომპენსირება.

ამ მიზნით ისტორიულად იყენებენ ორგანულ სასუქს - ნაკელს. ქიმიური მრეწველობის განვითარებასთან ერთად გახდა შესაძლებელი შედარებით იაფი მინერალური (არაორგანული) სასუქის გამოყენება. ხშირ შემთხვევაში მინერალური სასუქები ნიადაგში შექონდათ იმაზე მეტი, ვიდრე ეს საჭირო იყო კულტურული მცენარის ფიზიოლოგიური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად (ხდებოდა გადაჯერება). ადვილად ხსნადი მინერალური სასუქებით გადაჯერება და წუნწუხი ერთად იწვევს მემკვნარეობის პროდუქტების ხარისხის გაუარესებას (კუდად ინახება და გემოც კუდაია. ვიტამინების სიმცირე, ნიტრატების სიჭარბე), პაერის, წყლის, ნიადაგის დაბინძურებას.

დღეისათვის გახდა შესაძლებელი სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის წყალობით, მინერალური სასუქების ფართე სპექტრით და პესტიციდებით, მაღალეფექტიანი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, სამელიორაციო სამუშაოებით, ახალი ჯიშების და ცხოველების გამოყენებით.

## თავი მერვე სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომსახურების ეკონომიკის თავისებურება

### 8.1. სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომსახურება

სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომსახურება ნიშნავს, მის აღჭურვას მანქანათა ისეთი სისტემებით, რომელიც უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყოველმხრივ მექანიზაციას, უპირატესად მექანიზაციასა და ავტომატიზაციაზე გადასვლას მიწათმოქმედების ფართო ელექტროფიკაციის და ქიმიზაციის, სასოფლო-სამეურნეო მიწების მეღიორაციის და სხვა პირობებში.

გეგმური ეკონომიკის დროს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების და გასაღების სისტემა ფუნქციონირებდა საერთო სახელმწიფო დონეზე. ძირითადი პრინციპი იყო:

- გეგმიანობა;
- რაციონალურობა და ეკონომიურობა;
- მომარაგება-გასაღების ერთიანობა.

მთელი რიგი აშკარა უარყოფითი მხარეების მიუხედავად, დადებითი იყო მომარაგება - გასაღების პროცესის ორგანიზებულობა, მოხმარების დაგეგმიდან რესურსების ფაქტიური მიღების მომენტამდე ვადების ხანგრძლივობა და სხვა.

მომარაგების ორგანიზაციის საერთო სახელმწიფოებრივი ხასიათი შესაძლებელს ხდიდა მატერიალური რესურსების ეფექტიური სახეობის გამოყენების უზრუნველყოფას. ეს ამცირებდა შუამავლების რიცხვს, არ იყო საჭირო რეკლამის

ხარჯები, კონკურენციის არ არსებობა საშუალებას იძლეოდა მოწესრიგებულიყო ფასების პოლიტიკა. მმართველობის მაქსიმალური ცენტრალიზება ასევე კვალიფიციირებული კადრების თავის მოყრის შესაძლებლობას იძლეოდა და ა.შ.

1992 წლიდან დაიწყო მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების უღიმითო შეკვეთები. სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფა ხორციელდება დამოუკიდებლად, პორიზონტალური კავშირებსა და ორგანიზაციებს შორის ურთიერთმოქმედების საბითუმო-საშუამავლო ქსელის ორგანიზაციის მეშვეობით.

დღეისათვის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განაწილების წინათ არსებული სისტემა მთლიანად ლიკვიდირებულია.

აგრარულ სექტორში ტექნიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებია:

პროგრესული ტექნოლოგიის და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მანქანათა სისტემების პროექტირება, რომელიც საშუალებას მისცემს სოფლის საქონელმწარმოებლებს მოიყვანონ იაფი და კონკურენტუნარიანი პროდუქცია;

სახელმწიფო პროტექციონიზმი საბაზო მანქანების ჯგუფის საწარმოს ტექნოლოგიური პროცესების შესასრულებლად.

უცხო ინვესტორების სტიმულირება სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და მოწყობილობების ერთობლივი საწარმოების შესაქმნელად.

სოფლის მეურნეობის მანქანათმშენებლობის მწარმოებელ საწარმოთა მიერ წარმოებულ პროდუქციის რეალიზაციის ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების მიზნით, საჭიროა სალიზინგო კომპანიების ქსელის შექმნა. ლიზინგის ფინანსური ბაზის გაფართოება კომერციული ბანკების სახსრების მიზიდვის ხარჯზე.

შემოთავაზებულია აგროსამრეწველო კომპლექსის საქონელმწარმოებელთათვის სალიზინგო მომსახურების გაიაფების აუცილებლობა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მანქანათმშენებლობაში მონოპოლიზმის პრობლემის გადაწყვეტას, კომბინირებული აგრეგატების მრავალფუნქციონიანი

რესურსის და ენერგოდამზოგი ტექნიკის გამოშვებაში და სხვ.

ჩამოთვლილი ღონისძიებების განხორციელება სახელმწიფო რეგულირების გარეშე შეუძლებელია.

საბაზრო ეკონომიკისა და დანგრეული ცენტრალიზებული მომარაგების სისტემის პირობებში პრივილეგია ენიჭება პირდაპირ კავშირებს მწარმოებელ ქარხნებთან დილერებისა და სხვა შუამავლების მეშვეობით.

სოფლის მეურნეობის საწარმოებისა და განსაკუთრებით გლეხურ (ფერმერულ) მეურნეობებს, რომლებსაც სუსტი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა აქვთ და ლიზინგური ხელშეკრულებისათვის არც საკმარისი სახსრები გააჩნიათ, ყველაზე მეტად გამოადგებათ წინათ არსებული ტექნიკური მომსახურეობის ფორმა, რასაც ანხორციელებდა (1956 წლიდან) მანქანა-ტექნოლოგიური სადგურები. (ანალოგიური მანქანატრაქტორთა სადგურები - MEC).

რადგანაც სალიზინგო ფონდი ბიუჯეტს არ გააჩნია, ხოლო ლიზინგური მომსახურება აუცილებელია. ამისათვის შეიძლება გამოდგეს წინადადება, რაც ლიზინგის მომსახურეობის საფასურის არა ფულად, არამედ ნატურით გადახდაში მდგომარეობს. (ე.ი. გადახდა სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით ფორყარდულ საფუძველზე, ანუ მომავალი მოსავლის ხარჯზე).

ასე, რომ შეიძლება დავასკვნათ, რომ ყველაზე უფრო პერსპექტიული მიმართულება სოფლის მეურნეობის საქონელმწარმოებელთა სამეწარმო საქმიანობისათვის არის:

- ლიზინგური ოპერაციები და
- მანქანა-ტექნოლოგიური სადგურების ორგანიზაცია;

სამანქანო-სატრანსპორტო პარკის გამოყენების ეფექტიანობა გამოიანგარიშება შემდეგი მონაცემების საფუძველზე:

სეზონური და წლიური გამომუშავება ტექნიკის ერთეულზე (ტრაქტორი, კომბაინი და ა.შ.);

საათობრივი და ცვლის გამომუშავება ტექნიკის ერთეულზე;

- გამომუშავებული ცვლების რაოდენობა წელიწადში (ან სეზონში);

- ცვლიანობის კოეფიციენტი;

სოფლის მეურნეობის მუშაკის შრომის ნაყოფიერება მექანიზირებულ სამუშაოზე. ეს მონაცემი შეიძლება იცვლებოდეს, თუ იცვლება ტექნიკის სახეობა და იცვლება თვით ტექნიკის ნაყოფიერება, იცვლება ეკიპაჟის შემადგენლობა და რაოდენობა.

ამას გარდა, სოფლის მეურნეობაში ტექნიკის ეფექტური გამოყენება დამატებით შეფასდება შემდეგი მონაცემების საფუძველზე:

- მექანიზაციის დონე მექანიზირებულად შესრულებული სამუშაოს რაოდენობის შეფარდება საერთოდ შესრულებული სამუშაოს რაოდენობასთან. რა თქმა უნდა, შეფასება უნდა მოხდეს ერთსახა სამუშაოების მიხედვით. სამუშაოს რაოდენობა იზომება ნატურალურ ერთეულებში (ჰექტარი, კენტნერი და ა.შ.). ღირებულებითმა შეფასებამ შეიძლება მოგვცეს არასწორი შედეგი. რადგან მექანიზაციის გამოყენების დონემ შეიძლება შეცვალოს შესრულებული სამუშაოს თვითღირებულება.

კაპიტალური დაბანდების ეფექტანობა ამის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა მესამე თავში საუბარი (კაპდაბანდების ეფექტიანობა); აქ ვიტყვით მხოლოდ, რომ ეფექტიანობის შეფასება წარმოებს საექსპლუატაციო და მოწყვანილი კაპიტალურ დანახარჯთა თანხის შეფარდებით, ტექნიკის გამოყენებამდე და გამოყენების შემდეგ. აქ კი შეიძლება გამოვიყენოთ დამატებითი მანქენბელი გამოსყიდვის ვადა საერთო თანხის კაპიტალური დაბანდების შეფარდება დამატებით მოგებასთან - რომელიც განპირობებულია ამ კაპდაბანდებით.

ლიზინგი ზოგჯერ იჯარასა და ლიზინგს აიგივებენ, მაშინ, როდესაც მათ შორის არის არსებითი სხვაობა. იჯარა, როგორც ეკონომიკური კატეგორია, ასახავს ორ სუბიექტს (მოიჯარესა და მეიჯარეს) შორის ურთიერთობას.

რაც შეეხება ლიზინგს, ეს არის საკმაოდ რთული საეკონომიკური საფინანსო სისტემა, რომლის დროსაც სალიზინგო ფირმა (მეიჯარე) მოიჯარის სურვილის და სპეციალიზაციის გათვალისწინებით მწარმოებელი ფირმისაგან ყიდულობს განსაზღვრულ ქონებას და გადასცემს მას (მოიჯარეს) გარკვე-

ული ვადით და ქირის გადახდევინებით. ასე, რომ ლიზინგი იჯარისაგან განსხვავებით ასახავს არა ორ, არამედ სამ სუბიექტს შორის ეკონომიკურ ურთიერთობებს.

ლიზინგი ნაკლებ ცნობილი საქონლის ბაზარზე გასვლის საუკეთესო საშუალებაა. მაგალითად, ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის პროდუქციაც ბევრ მეპატრონეს შეიძენს, თუ მას სალიზინგო ფირმები გააქირავენ.

ლიზინგს შეუძლია სოცლის მეურნეობის საწარმოს შემდეგი სახის სარგებლობა მოუტანოს:

- ფირმა - მომხმარებელი (მოიჯარე) თავისუფლდება ყიდვის გამო ერთჯერადი დიდი თანხის გადახდისაგან;

ჩვეულებრივი საგარანტიო ვადის მაგივრად ღებულობს მოწყობილობის მუშაობის საიმედოების გარანტიას მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში;

აფართოებს საგარეო ეკონომიკურ კონტაქტებს. რიგი ქვეყნების ბუღალტრული აღრიცხვის წესებში უპირატესობა ენიჭება ლიზინგს და არა ყიდვას, იმის გამო, რომ ფული, გადახდილი იჯარის სახით, აღრიცხება როგორც მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯები და ბალანსში არ ფიგურირებს მინუსის ნიშნით. ეს მაშინ, როცა გასაყვალ მოწყობილობის შექენისათვის ითვლება დავალიანებად;

მომხმარებელმა ფირმამ სალიზინგო ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ შეიძლება შეიძინოს მოწყობილობა და შემდეგში იგი თქვენი მუდმივი კლიენტი ხდება.

ლიზინგში მთავარი მომქმედი პირია სპეციალიზებული ფირმა. სალიზინგო ფირმები იჯარით გასაცემი მოწყობილობების განმკარგველნი არიან.

სალიზინგო ფირმების საქმიანობა და ოპერაციები საკმაოდ მრავალფეროვანია. ეს დამოკიდებულია: საიჯარო ვადაზე, ურთიერთობის ხასიათზე, მოწყობილობის სახეზე, ფირმის ორგანიზაციულ სტრუქტურაზე და სხვ.

მოკლევადიან ლიზინგს *რენტინგი* ეწოდება. ისინი იჯარით გასაცემენ მოწყობილობას, ქონებას, სპეციალისტებს ერთი საათიდან ერთი თვის ვადამდე.



ერთი თვიდან ერთ წლამდე იჯარით გაიცემა ქონება სალიზინგო ფირმის მიერ, რომელიც საშუალო ვადიან ლიზინგად - ხაირინგად - იწოდება.

საკუთრივ ლიზინგით დაკავებული ფირმები მოწყობილობებს იჯარით გასცემენ ერთი წლის ვადის სეკით.

*ენერგოაღჭურვილობა და ენერგოუზრუნველყოფა.* სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაცია წარმოადგენს ხელის შრომის შეცვლას მექანიკური შრომით; რაც საშუალებას გაძლევს ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება.

სოფლის მეურნეობის მუშაკის ტექნიკურ აღჭურვილობაში გადამწყვეტი როლი ეკუთვნის ენერგეტიკულ საშუალებებს, მათი როლი განუზომელია საწარმოო ძალების ზრდასა და ტექნიკური პროგრესის დანერგვაში.

ენერგეტიკულ საშუალებებში გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს ტრაქტორებს და ავტომობილებს.

სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია შრომის ენერგოაღჭურვილობა და სოფლის მეურნეობის ენერგოუზრუნველყოფა, ვინაიდან ენერგეტიკული სიმძლავრის ეფექტიანად გამოყენებისა და შრომის ენერგოაღჭურვილობის გარეშე, არ შეიძლება უზრუნველყოფილი იქნეს შრომის მაღალი ნაყოფიერება.

*მანქანათა სისტემა სოფლის მეურნეობაში.* თანამედროვე ტექნიკა მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში საშუალებას იძლევა ნაწილობრივი მექანიზაციიდან გადავიდეთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის კომპლექსურ მექანიზაციაზე.

შეიქმნა სხვადასხვა ტიპის სასოფლო-სამეურნეო მანქანა, რაც საშუალებას იძლევა თითოეული კულტურისათვის შეიქმნას მანქანათა სისტემა.

სოფლის მეურნეობაში მანქანათა სისტემა - ეს არის სხვადასხვა მანქანების ერთობლიობა, რომელიც აუცილებელია განსხვავებული სამუშაოების თანმიმდევრულად შესრულებისათვის.

სოფლის მეურნეობაში მანქანათა სისტემა განსხვავდება მრეწველობაში არსებული მანქანათა სისტემისაგან; ეს გამოწვეულია სოფლის მეურნეობის სეზონურობით. არსებობს დი-

დი წყვეტილი დრო საწარმოო და სამუშაო პერიოდებს შორის, სოფლის მეურნეობაში მანქანები მუშაობენ დროის მოკლე პერიოდში. მაგ. გუთნები გამოიყენება წლის კალენდარული დროის 10-30 %, სათესები 6-10 % და ა.შ. მაშინ, როდესაც მრეწველობაში ტექნიკა მოქმედებაშია მთელი წლის განმავლობაში.

სოფლის მეურნეობის მანქანა-იარაღების სეზონურობის ლიკვიდაციისათვის მიმართავენ მანქანების უნიფიკაციას და უნივერსალიზაციას.

მანქანათა სისტემის ეკონომიკური ეფექტი განპირობებულია შემდეგი მაჩვენებლებით:

1. მანქანათა გამოყენების მაქსიმალურობა წლის განმავლობაში;
2. კომპლექსური მექანიზაციის უზრუნველყოფა;
3. შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდა;
4. კაპიტალური დაბანდებების ამოგების პერიოდის შემცირება;
5. ცოცხალი შრომის გამარტივება და უსაფრთხოება მუშაობის პერიოდში;
6. ისეთი უნივერსალური მანქანის შექმნა, რომელიც მოგვეცემს კაპიტალური დაბანდებების შემცირების საშუალებას.

## 8.2 კომპლექსური მექანიზაცია და მისი ეკონომიკური ეფექტიანობა

კომპლექსური მექანიზაცია ნიშნავს ყველა სამუშაოს მექანიზებულად შესრულებას. ამიტომ ის მჭიდროდ არის დაკავშირებული მანქანათა სისტემასთან;

სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ამოცანაა ყველა დარგის კომპლექსური მექანიზაცია. ხელის შრომა უნდა შეიცვალოს მანქანური შრომით.

კომპლექსური მექანიზაციის შედეგად მიღებული ეკონომიკური ეფექტი იზომება პროდუქციის ერთეულზე შრომითი დანახარჯების ეკონომიით.

მაგ. ცენტნერი მარცვლეულის წარმოებაზე კომპლექსური მექანიზაციის დანერგვით, შრომითი დანახარჯები 10 ჯერ მცირდება, ბამბაზე 2 ჯერ, მშესუმშირაზე 9 ჯერ, რძის წარმოებაზე 7 - ჯერ და ა.შ.

სატრაქტორო სამუშაოს განმსაზღვრელი არის "პირობითი პექტარი", რაც ნიშნავს სამუშაოთა მოცულობას, რომელიც საჭიროა ერთი პექტარი მიწის მოხენისათვის შემდეგი განზომილებით:

ნიადაგის სიღრმე 20-22 სმ, ხვედრითი წინააღმდეგობა 0,5 კგ/სმ, სინქარე 5 კმ/საათში, მოდების განი 80 სმ, სიმაღლე ზღვის დონიდან 200 მ, რელიეფი ვაკე, მინდვრის კონფიგურაცია - სწორი.

თითოეულ ტრაქტორს აქვს გარკვეული ნორმატიული გამომუშავება, რომელსაც ეწოდება ეტალონი. მაგალითად, თ - 54 და თ - 74 ტრაქტორის ეტალონური გამომუშავება უდრის საათობრივი - 1 ჰა-ს, ხოლო კვლის - 7 ჰა.

700 ტრაქტორისათვის შესაბამისად 2,04 და 14,3 ჰა და ა.შ.

# თავი მეცხრე მენეჯმენტი და მარკეტინგი სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში

## 9.1. სამრეწველო მენეჯმენტი

*მენეჯმენტი - ინგლისური სიტყვაა **managetent** და ნიშნავს მართვას, გამგებლობას. წარმოების მართვა გულისხმობს წარმოების პრინციპების, მეთოდების, საშუალებებისა და ფორმების ერთობლიობას, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მოგების გადიდების მიზნით. ხოლო ის, ვინც წარმოების ნივთობრივი და პიროვნული ფაქტორების ეფექტიან ორგანიზაციას ახდენს არის მენეჯერი - ანუ მმართველი.*

მენეჯმენტი წარმოადგენს მოქნილ სისტემას, ფხიან ეკონომიკურ მართვას, ეს არის თავის სამოქმედო ობიექტზე გარე და შიდა ფაქტორების შესაბამისად სწრაფად და დროულად გარდაქმნის უნარი; ოპერატიული და მკაფიო რეაგირება ბაზრის კონიუქტურის ცვლილებაზე, კონკურენციაზე და სოციალურ მოვლენებზე.

გამოყოფენ მმართველობითი სტრუქტურის ოთხ ტიპს:

ხაზობრივი - ხასიათდება ყველა საკითხში ქვედა საფეხურზე მდგომის აუცილებელი დაქვემდებარებით ზედა საფეხურზე მდგომისადმი. ამ ტიპის სტრუქტურის მმართველობაში არსებობს მხოლოდ კავშირის ერთი არხი. ეს სტრუქტურა გამოიყენება მარტივი მმართველობის სისტემაში, როდესაც ერთი ხელმძღვანელის კომპეტენცია საკმარისია მმართველობის ყველა საკითხის გადასატრელად.

ფუნქციონალური გულისხმობს ზედა საფეხურზე მდგომისადმი ქვესაფეხურზე მდგომი რგოლის დაქვემდებარებას განსაზღვრული ფუნქციის მართვაში. ამ შემთხვევაში ზედა რგოლი სპეციალიზებულია გარკვეული ფუნქციის მართვაზე და ყველა ქვედა რგოლი დაკავშირებულია ზედა საფეხურზე მდგომთან.

- ხაზოვან-ფუნქციონალური ხასიათდება ძირითადად ხაზოვანი ტიპის მართვით, მაგრამ აქ შექმნილია ქვედანაყოფები, რომლებიც ასრულებენ ცალკეულ ფუნქციებს.

კომბინირებული ეს ტიპი ხასიათდება იმით, რომ ზემდგომი დონის ქვედანაყოფებს შეუძლიათ უხელმძღვანელონ ქვედა რგოლებს საკითხთა გარკვეულ წრეზე.

მართვის სტრუქტურის ორგანიზაციის გარდა სამრეწველო მენეჯმენტი ითვალისწინებს წარმოების დაგეგმვას და საწარმოს სამრეწველო პროგრამების განხორციელებას.

სამრეწველო პროგრამა უნდა შეუდარდეს შესაბამის პროდუქციაზე ბაზრის მოთხოვნას და განისაზღვროს აუცილებელი და საკმარისი პროდუქციის მოცულობის ნამატი, რომელიც ადრე გამოშვებულ პროდუქციასთან ერთად ბაზარზე კოოვებს რეალიზაციას. გამომდინარე ბაზრის მოთხოვნიდან (პროდუქციის მოცულობის მიმართ) განისაზღვრება აუცილებელი სამრეწველო პოტენციალი.

სატიროების შემთხვევაში სამრეწველო სიმძლავრის გაზრდა წარმოებას შეუძლია განახორციელოს როგორც შინაგანი რეზერვების გამოყენებით, ასევე დამატებითი ძირითადი ფონდების შემოტანით.

საწარმოს სიმძლავრის გაზრდა ხდება ბაზრის მოთხოვნით დადგენილი გასაყიდი პროდუქციის მოცულობისა და ფასების პროგნოზირების საფუძველზე, რაც მარკეტინგული გამოკვლევების გზით რეალიზდება.

აუცილებელ ელემენტს სამრეწველო პროგრამის შესადგენად წარმოადგენს მატერიალურ რესურსებსა და სამრეწველო მარაგზე მოთხოვნის გაანგარიშება.

სამრეწველო პროგრამის გაანგარიშების შემდეგი ელემენტია მუშაკთა რიცხვის და შრომის ანაზღაურების ფონდის გამოანგარიშება. მუშაკთა რაოდენობა იყოფა ორ ჯგუფად:

ძირითადი საქმიანობის პერსონალი (სამრეწველო სფეროს მუშაკები) და არა ძირითადი საქმიანობის პერსონალი (ძირითადი საქმიანობის პერსონალის მომსახურე მუშაკები).

ძირითადი სფეროს მუშაკების რაოდენობა იანგარიშება გამომუშაების დონის და საწარმოო პროგრამის მიხედვით.

რიცხოვნობის გამოანგარიშებისას პირველ რიგში კეთდება საორიენტაციო გამოთვლები სამუშაო დროის ფონდისა და სამუშაო ნორმის მხედველობაში მიღებით. ცალკე გაიანგარიშება დამხმარე მუშებისა და სხვა კატეგორიის მუშაკთა რიცხოვნობა.

სამრეწველო მენეჯმენტი თავის თავს აელენს ამ პროგრამის შესრულებაში. სამრეწველო მენეჯმენტის ფუნქციაში არ შედის მშრომელი კოლექტივის მართვა, მომარაგება და გასაღება, ფინანსები. ესენი ყველა მართვის დამოუკიდებელი მიმართულებებია. სამრეწველო მენეჯმენტი ხელმძღვანელობს სამრეწველო პროგრამის შემუშავება განხორციელებას, სწორ ტექნოლოგიურ გადაწყვეტილებებს, სამრეწველო პროცესის ეფექტური ორგანიზაციის იმ პრობლემების გადაჭრას, რომლებიც გამოვლინდება სამრეწველო პროგრამის დამტკიცების შემდეგ.

## 9.2. მარკეტინგული მართვა

მარკეტინგი (marketing) (market ბაზარი, გასაღება) კომერციული საქმიანობის დონისძიებათა სისტემა, რომელიც ბაზრის შესწავლითა და სამომხმარებლო მოთხოვნაზე აქტიური ზემოქმედებით, ფასის სწორად დადგენით, საქონლის მორალური ცვეთის პროგნოზით, სარეკლამო სტრატეგიითა და ა.შ. განაპირობებს წარმოებული საქონლისა და მომსახურების შეუფერხებელ გასაღებას. იგი მოიცავს:

1. საქონელსა და მომსახურებაზე როგორც არსებული, ისე პოტენციური მოთხოვნის ყოველმხრივ შესწავლას ბაზრის კომპლექსური გამოკვლევითა და მისი განვითარების პროგნოზირებით.

2. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და საცდელ-საკონსტრუქტორო დამუშავების ორგანიზაციას.

3. პროდუქციის (მომსახურების) გასაღების სისტემისა და მეთოდების ორგანიზაციასა და სრულყოფას.

4. ფირმის საქმიანობას, დაფინანსების კოორდინირებას, წარმოების დაგეგმვას, პროდუქციის შეფუთვას, მის ტრანსპორტირებას, ტექნიკურ მომსახურებას (საგარანტიოს, გაყიდვის შემდგომს, სერვისს), ყველა დონის მუშაკთა მომზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას, სარეკლამო სტრატეგიას და სხვ. განვითარებული ქვეყნების აგროსამრეწველო კომპლექსებში აქტიურად იყენებენ მარკეტინგის თეორიას და პრაქტიკას.

აგროსამრეწველო კომპლექსის სპეციფიკა მარკეტინგთან დაკავშირებით მდგომარეობს იმაში, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სამამულო ბაზარი მცირედ არის განვითარებული, არ არის დაბალანსებული და დეფიციტურია. ამ ბაზრისათვის დამახასიათებელია დაბალი ხარისხის საქონელი, ფასების მაღალი დონით, რაც განპირობებულია მაღალი თვითღირებულებით, სუსტად განვითარებული კონკურენციით.

*მარკეტინგით მართვა* მიზანმიმართული ზემოქმედება ანალიზისა და დაგეგმვის დახმარებით. ცხოვრებაში გატარებული დონისძიებების კონტროლი, რომლებიც გათვლილია ეფექტური მოთხოვნის დადგენისა და მხარდაჭერისათვის, რათა მიღწეულ იქნეს ძირითადი მიზანი მოგების მიღება, დიდი მოცულობით გასაღება, საბაზრო წილის გადიდება და ა.შ. მოიცავს საწარმოების მართვას, ბაზარს, მომხმარებლებს, საქონლის ასორტიმენტს, ხარისხსა და მომსახურებას, გასაღებას, საქონლის მოძრაობას, ფასებს, რეკლამას, მარკეტინგულ გამოკვლევებს.

*მარკეტინგის სტრატეგია* გულისხმობს საწარმოს შესაძლებლობათა მოყვანას ბაზარზე არსებულ სიტუაციასთან შესაბამისობაში. ამის მიხედვით საწარმოში უნდა გატარდეს შემდეგი ფაქტორების დეტალური ანალიზი:

ბაზარზე შეღწევის სტრატეგია;

საწარმოს ზრდის სტრატეგია;

პროდუქციის განაწილების არხები;

- კომუნიკაციები.

რაც შეეხება ბაზარზე შეღწევის სტრატეგიას, იგი ხასიათდება:

- ახალ ბაზარზე შეღწევით;
- ძველ ბაზარზე ახალი საქონლის შეტანით;
- ბაზრის ახალ სეგმენტში სიახლის შეტანით.

აგროსამრეწველო კომპლექსისათვის ამ დონისძიებების ბოლო ორი ელემენტი არ არის აქტუალური, რადგანაც სოფლის მეურნეობაში მართალია შესაძლებელია არატრადიციული პროდუქციის მოყვანა, მაგრამ სამამულო ბაზრებზე ასეთი რამ ჯერ-ჯერობით არ შეიძინევა.

მარკეტინგის კომუნიკაცია მოიცავს:

- რეკლამას;
- გასაღების სტიმულირებას;
- უშუალოდ მარკეტინგს;
- პაბლიკ რილეიშენს-ს;

მარკეტინგის სამსახურის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას.

რეკლამა თავის მხრივ იყოფა სასაქონლო და საფირმო რეკლამად.

*სასაქონლო რეკლამა* - ეს არის ინფორმაცია საქონლის სამომხმარებლო და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესახებ. ასეთი რეკლამა ქმნის საქონლის გარკვეულ სახეს და მიმართულია მყიდველისაკენ, რათა მან გაზარდოს მოთხოვნა და შეიძინოს ეს საქონელი.

*საფირმო რეკლამა* ეს არის საწარმოს რეკლამა და ასახავს მისი მოღვაწეობის ღირსებებს. საფირმო რეკლამის მიზანია შექმნას საზოგადოებაში, პოტენციურ კლიენტებში, საწარმოს იმიჯი, საწარმოს სახე, რათა შეუქმნას ნდობა საწარმოს და მის მიერ გამოშვებულ საქონელს.

რეკლამის გავრცელებისათვის საწარმოს შეუძლია გამოიყენოს:

- პრესა (გაზეთები, ჟურნალები, წიგნები, ცნობარები);

ბეჭდვითი რეკლამა (ფურცლები, პლაკატები, ღია ბარათები და ა.შ.);



გარე რეკლამა (მსხვილგაბარიტიანი პლაკატები, ელექტროფიკირებული, გაზის პანო, მორბენალი სტრიქონები და ა.შ.)

რეკლამა ტრანსპორტზე ("შიგნით და გარედან სატრანსპორტო საშუალებებზე, გაჩერებაზე, რკინიგზისა და ავტოსადგურებში და ა.შ.);

- საეკრანო რეკლამა;

- რადიორეკლამა.

სოფლის პროდუქტების გარე რეკლამის გამოყენება არ იყო მიღებული, ითვლებოდა, რომ ეს არაუფექტური იყო, თანაც ძვირი და სოფლის მეურნე ასეთ რისკზე ვერ მიდიოდა (არ შეეძლო).

**გასაღების სტიმულირება** - ეს მარკეტინგული კომუნიკაციის ისეთი სისტემაა, სადაც საჭიროა დაწერილებითი ანალიზი მყიდველებზე, გამყიდველებზე, შუამავლებზე, საწარმოს მიერ გამოყენებული ზემოქმედების საშუალებებზე.

მყიდველებისადმი მიმართული სტიმულირება იმაში მდგომარეობს, რომ მყიდველი უნდა გავათვითცნობიეროთ საგრძნობი კომერციული მოგების არსში, რათა მათ გაუზნდეთ სურვილი სისტემატიურად და დიდი რაოდენობით შეიძინონ საქონელი. ამისათვის იყენებენ სამპლინგს (ნიმუშების უფასოდ გაერცვლება), პრემიებს, კონკურსებს, საქონლის დემონსტრირებას და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე მოთხოვნილება თითქმის აბსოლუტურად არაელასტიურია, მცდარია პოლიტიკა იმპორტის წაქეზების სფეროში, ამიტომ ძირითადია არა პროდუქციის ახალ ბაზრებზე შეღწევა, არამედ ადრე მოპოვებული პოზიციების დაბრუნება.

**პირდაპირი მარკეტინგის** დროს საწარმო უშუალო მონაწილეობას იღებს მისთვის საჭირო ინფორმაციის გაერცვლებაში და სხვა აუცილებელ მოქმედებათა განხორციელებაში.

პირდაპირი მარკეტინგი შედარებით ეფექტურია მაშინ, როცა:

საწარმო პატარაა და მარკეტინგული კომუნიკაციების ისრული კომპლექსით მეშაობის ნატარების შესაძლებლობები რამდენადმე განსასწდერულია.

მყიდველები კონცენტირებული არიან ერთ ტერიტორიაზე და სხვ.

**პაბლიკ რილეიშნზ** - საზოგადოებრივი აზრის ორგანიზაცია (ამ ტერმინს შეიძლება მოეძებნოს ადექვატური განსაზღვრა, მაგრამ მარკეტინგის პრაქტიკაში მას ასე ხმარობენ). პაბლიკ რილეიშნზ-ის ძირითადი ამოცანაა საწარმოს იმიჯის შექმნა და შენარჩუნება. ამ ამოცანის გადასაწყვეტად გამოიყენება შემდეგი ელემენტები:

- პროპაგანდა, პრესის გამოხმაურება (აქ რეკლამა ხდება არაპირდაპირი გზით, არამედ რაიმესთან დაკავშირებით);

საწარმოს ხელმძღვანელთან ინტერვიუს ორგანიზება (კარგ შედეგს იძლევა პირველი პირისაგან გადმოცემული ინფორმაცია).

- პრესკონფერენცია;

საფირმო ლიტერატურის გამოცემა;

საწარმოს წლიური ანგარიშგებების პუბლიკაცია.

ლობიზმი;

სპონსორობა, საწარმოსათვის რაიმე საშუალებების მიცემა;

- გამოფენებში ან ბაზრობებზე მონაწილეობა;

ფირმის სტილი; აქ შედის მთელი რიგი საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფენ, ერთი მხრივ - საწარმოს მიერ გამოიმუშავებული ნაწარმის ერთიანობას და, მეორე მხრივ, საწარმოსა და მისი ნაწარმის დაპირისპირებას კონკურენტებისა და მათი საქონლისადმი. ფირმის სტილის მაჩვენებელია: სასაქონლო ნიშანი, ლოგოტიპი (სპეციალურად დამუშავებული ორიგინალური მონახაზი მთლიან ან საწარმოს შემოკლებულ სახელწოდების).

ფირმის ბლოკი (გაერთიანებული კომპოზიცია ნიშნის და ლოგოტიპის, ასევე სხვადასხვა სახის ნათელსაყოფი წარწერები და ფირმის ლოზუნგი), საფირმო ტანსაცმელი, პიმნი და სხვა.

ფირმის სტილის დანიშნულებაა დაადასტუროს საწარმოს სანიმუშობა, წესრიგი საწარმოში, მყიდველისათვის შტაბეჭდილების შექმნა, რომ სანიმუშოა, როგორც ამ საწარმოს გამოშვებული საქონელი, ისე თვით საწარმოც.

მარკეტინგის სამსახურის ყველა გადაწყვეტილება შეიძლება ორად გაიყოს:

ღია, რომელიც დაიყვანება კლიენტის ყურადღებამდე; ეს შეიძლება შეეხებოდეს საქონელს, მიზნებს, გასაღების პოლიტიკას და ა.შ.

- დახურული, ესეც მარკეტინგის სამსახურისაგან მიიღება, მაგრამ არ დაიყვანება კლიენტამდე (მაგ. გადაწყვეტილებები ახალი საქონლის გამოშვებაზე, ნაკეთობაზე, ფასის შეცვლაზე, მარკეტინგის სტრატეგიაზე და ა.შ.). როცა საწარმო ცვლის ფასს, საქონელს ან გასაღების პოლიტიკას, კონკურენტები და კლიენტები ფაქტის წინაშე აღმონნებიან.

*პროდუქციის სასიცოცხლო ციკლი* შედგება შემდეგი სტადიებისაგან:

დანერგვა (ამ ეტაპზე ვაჭრობა წამგებიანია, გაყიდვის მოცულობა დაბალი, სამარკეტინგო ხარჯები დიდი);

ზრდა (პროდუქციის აღიარება მყიდველის მიერ და მასზე მოთხოვნის სწრაფი ზრდა, მოგება, რეკლამაზე ხარჯების სტაბილიზაცია);

მოწიფულობა (მყიდველის უმეტესობამ უკვე შეიძინა პროდუქტი, გაყიდვის ტემპი ეკემა. მოგება იწყებს კლებას, იზრდება ხარჯები რეკლამაზე);

გაჯერება (მიუხედავად მიღებული ღონისძიებებისა, გაყიდვა იკლებს, მაგრამ მოგება მაინც იზრდება, რადგან წარმოების ხარჯები მცირდება, ტექნოლოგია მთლიანად ათვისებულია, წუნი ნაკლებია).

დაცემა (გაყიდვის მკვეთრი შემცირება, მოგების კლება).

მარკეტინგით ეფექტურად მართვისათვის საჭიროა ბაზრისა და კონკურენციის დროული და სწორი შეფასება.

ბაზრის ტევადობა ეს არის მოცემული პროდუქციის გასაღების მაქსიმალური შესაძლებლობა. ბაზრის ტევადობა განისაზღვრება საქონლის იქ გაყიდული მოცულობით ერთი წლის განმავლობაში.

ბაზრის ზომა ეს არის ტერიტორია, სადაც წარმოებს ჩვენთვის საინტერესო პროდუქციის გაცემა.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის უმეტესი ნაწილისათვის მნიშვნელობა აქვს ადგილობრივ ბაზარს.

არსებობს 4 ტიპის ბაზარი:

წმინდა კონკურენციის ბაზარი;

- მონოპოლისტური კონკურენციის ბაზარი;

ოლიგოპოლისტური ბაზარი (ბერძ. oligos პატარა, po"leo" - ვყიდი, ვვაჭრობ);

წმინდა მონოპოლიის ბაზარი.

### 9.3. ბუნებათსარგებლობის ეკონომიკური მექანიზმი

ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის ეკონომიკური მექანიზმი - ეს არის სახელმწიფო ორგანოების ორგანიზაციულ ეკონომიკური ღონისძიებათა სისტემა ადგილობრივი თვითმართველობის და ბუნებათმოსარგებლეთა, თუ როგორც ისარგებლონ, კვლავაწარმოონ, გაცვალონ და დაიცვან ბუნებრივი რესურსები.

ეკონომიკური მექანიზმის მიზანს წარმოადგენს ეკონომიკური და ეკოლოგიური საზოგადოებრივი წარმოების ინტერესების შეთანხმება, როგორც ვერტიკალურ-რეგიონალურ, ლოკალურ, ისე პოროზონტალურ-ტერიტორიულ და უწყებათაშორის.

მიღებული იყო გადაწყვეტილება, რომ საჭირო იყო ეკონომიკური ბერკეტების გამოყენება, დაფუძნებული მატერიულ და ინტერესებაზე.

ეკონომიკური მექანიზმი უშუალოდ არის დაკავშირებული სამართალდაცვაასთან, ავსებს მას და ხელს უწყობს ეკოლოგიურ მოთხოვნათა განმტკიცებას, რომელიც გამაგრებულია კანონმდებლობით.

*პრინციპები*, ძირითადი პრინციპი ბუნებათსარგებლობის ეკონომიკური მექანიზმისა მდგომარეობს - საფასურის გადახდაში. ეს გულისხმობს - ბუნებრივი რესურსების გამოყენების პროცესში წარმოება ფუნქციონირებს მხოლოდ ფასის გადახდით.

მაგ. 1917 წ. მიწის დეკრეტით გაუქმდა მიწაზე და ბუნებრივ რესურსებზე კერძო საკუთრება, და შეიქმნა "უფასოობის" პრინციპი. კოლმეურნეობებს და სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებებს, მოქალაქეებს მიეცათ მიწა უფასოდ, მუდმივ სარგებლობაში. ამან გამოიწვია მთელი რიგი ეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემები.

ბუნებრივი რესურსების უფასო სარგებლობამ შექმნა ილუზია ნაჩუქარი სიკეთის; მიწაზე მიყენებული სარალი არ აღირიცხებოდა ტექნიკო-ეკონომიკურ დასაბუთებაში ეკოლოგიური პროექტების შედგენის დროს. მაგ. პიდროლექტროსადგურის კასკადის მშენებლობის დროს ვოლგაზე გაჩნდა უამრავი წყალსაცავები, რომლებმაც დატბორეს დიდი ფართობები, რითაც გამოითიშა სასოფლო-სამეურნეო ბრენვიდან მილიონი ან მეტი ჰექტარი ნაყოფიერი ადგილები. უფასო სარგებლობამ ყაირათიანობა ვერ გაუღვიძა მომხმარებელს, და ძალიან დიდხანს შეფერხდა მათი ღირებულების შესაფასებლად ეკონომიკური კვლევები. არც ეკოლოგიური სიტუაცია გააუმჯობესა ამ მდგომარეობამ.

ამ დროს კი მიწა არის ძირითადი საშუალება სასოფლო-სამეურნეო წარმოების და იჯდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ბალანსზე, მხოლოდ ქექტარებში (და არა ღირებულებით).

ღირებულების პრინციპს საფუძვლად უდევს ეკონომიკური (უფასიანი, ღირებულების) შეფასება ბუნებრივი რესურსების რამოდენიმე წლის წინათ გაჩნდა წინადადება მიწის საეარგული შეფასებულებით ფულად ერთეულში, რადგანაც მიწა მონაწილეობს წარმოების პროცესში სხვა საწარმოო საშუალებებთან თანაბრად ეს იქნება მატერიალურ-ტექნიკური თუ შრომითი. მიწის ფულადი შეფასება იძლევა საშუალებას მისი როლი გაუთანაბროთ სხვა წარმოების რესურსებს, რომლებსაც გააჩნიათ ღირებულება და ფასი, რაც ხელს შეუშლის დაუფიქრებელ გამოყოფას მიწის ნაკვეთებისას არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით, და გარდა ამისა, ხუსტად განისაზღვროს სარალი მიყენებული მიწის საეარგულისადმი მათი არარაციონალურად გამოყენების დროს.

გადასახადის დაწესებამ მიწაზე და სხვა ბუნებრივ რესურსებზე, ე.ი. "ფასიანობის" პრინციპის დამტკიცებას მოჰყვა მიწების დენაციონალიზაციის (განსახელმწიფოებრიობას) და გაუთანაბლოდა იმ ქონებას, რომელიც ექვემდებარება ყიდვა-გაყიდვას და სხვა სამოქალაქო სამართლებრივ საქმიანობას.

გაერთიანებული ერების კონფერენციის (1992 წ. რიო-დე-ჟანეიროში ჩატარებულ) დოკუმენტებში ჩანს, რომ მსოფლიო თანამეგობრობა მიმართულია იქითკენ, რომ შემოღებული იქნეს ფასი ბუნებრივი რესურსის ყველა სახეზე - მათზე მიყენებული ზარალის ჩვენებით, რაც მიყენება ბუნებრივ გარემოს და მომავალ თაობას.

ბუნებრივი რესურსების გამოყენების ფასიანობის დადგენა მიმართულია ეკონომიკური და ეკოლოგიური ამოცანების გადაწყვეტისაკენ:

- გაიზარდოს დაინტერესება მათი ეფექტიურად გამოყენების, ჩამოყალიბდეს დამატებითი ფინანსური წყარო რესურსების კელავწარმოებისათვის.

გარემოს დაცვის მეცნიერული დასაბუთების პრინციპი ნიშნავს საზოგადოების ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების შეთანაწყოებას, რომელიც უსრუნველყოფს ადამიანის უფლების რეალურ გარანტიებს ჯანმრთელი და კეთილგანწყობილი სიცოცხლისათვის. მეცნიერული დასაბუთება საჭიროებს ეკონომიკური ბერკეტების შეთანაწყოებას მის მექანიზმთან.

მწვავედ დგას საკითხი ბუნებრივი რესურსების მეცნიერულ ეკონომიკურ შეფასებასა და ფასწარმოქმნაზე, გარემოსადმი მიყენებული ზარალის ეკონომიკურ გაანგარიშებაზე. აუცილებელია მეცნიერული რეკომენდაციები იმის განსაზღვრისათვის, თუ დანახარჯი გარემოს დაცვაზე რომელი წყაროდან გაიცემა: საბიუჯეტო, საწარმოს საკუთრებიდან, თუ სხვა არხებიდან.

სამეურნეო ანგარიშიანობა მოითხოვს დაუკავშიროთ ეკოლოგიზაცია წარმოების ყოველ კონკრეტულ საწარმოში მის ეკონომიკურ ეფექტიანობას, მოგებას. ეს უნდა იყოს საფუძველი სამრეწველო სფეროს ჩამოყალიბებისას, რადგა-

ნაც იგი პასუხობს როგორც მეურნე სუბიექტის, ისე მთელი საზოგადოების ინტერესებს.

**რეგულირება.** საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლისას ბუნებათსარგებლობის და დაცვის საქმე უნდა დარჩეს სახელმწიფო რეგულირების ხელში და უზრუნველყოს სახელმწიფო ბუნებათსარგებლობის პროგრამა, დაბეგვრის პოლიტიკის, დაფინანსების, დაკრედიტების, ბიუჯეტის ფორმირების საკითხების რეგულირება.

გადასახადი, ბეგარა და დაფინანსება მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული. გადასახადის დადგენა ხდება მთავრობის ორგანოების მიერ. გადასახადები გადაირიცხება საბიუჯეტო ანგარიშზე ბუნებათმოსარგებლის მიერ. ხოლო ბიუჯეტის შემოსავლებში გამოყენება ბუნებათდაცვითი ღონისძიებების დასაფინანსებლად. ამ საქმეს არეგულირებს ეკოლოგიური ნორმირებით, ლიმიტირებით და ლიცენზირებით, ეკოლოგიური დაზღვევა.

1991 წლის "მიწის ფასის შესახებ" კანონით რუსეთში შემოღებულია გადახდის სხვადასხვა ფორმები: მიწის გადასახადი, საარენდო გადასახადი და მიწის ნორმატიული ფასი. გადამხდელებად გამოდიან ყველა ფორმის საკუთრების მომხმარებლები, გაერთიანებები, ორგანიზაციები, მოქალაქეები, უცხოეთის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებსაც მიწა გადაეცათ საკუთრებაში, მფლობელობაში, მოსახმარებლად ან არენდით, რუსეთის ტერიტორიაზე.

ბუნებათსარგებლობის რეგულატორად გამოიყენება ლიმიტირება. ლიმიტირება ეს არის ეკოლოგო-ეკონომიკური სისტემა ბუნებრივი რესურსების შეზღუდვის, გარემოს დაბინძურების და ნარჩენების დაყრის ზღვრული მანქანებლების შესახებ.

ბუნებათსარგებლობა ხორციელდება ბუნებისაგან ბუნებრივი ნივთიერების აღებით (მიღებით) და დამაბინძურებელი ნივთიერების ბუნებაში შეტანით. ლიმიტირება კი აწარმოებს იმის დადგენას, თუ რა რაოდენობით შეიძლება გამოიტანო ბუნებრივი ნივთიერება (რესურსი) და აგრეთვე აღგენს ნორმას გარემოს დატუქვიანებისა და ნარჩენების დაყრისას.

ლიმიტი დგება მიწის გამოყოფაზე აეროდრომებისათვის, საავტომობილო და სარკინიგზო გზებისათვის, მილსადენებისათვის, სამელიორაციო არხებისთვის. ლიმიტირდება სარწყავი წყალზეც, ტყის რესურსებზეც.

ლიმიტებად გამოიყენება ბუნებრივი გარემოს ნორმატივები. ეს ნორმატივებია:

- ზღერულად დასაშვები გამონაფრქვევი ქაერში - ზ.დ.გ.

ზღერულად დასაშვები ჩანაყარი წყალში - ზ.დ.წ.

ზღერულად დასაშვები კონცენტრაცია - ზ.დ.კ.

ზღერულად დასაშვები ხმაური, ვიბრაცია, მაგნიტური ეფლი - ზ.დ.მ.

- ზღერული დატვირთვა გარემოზე - ზ.დ. გარემოზე.

ეკონომიკური სტიმულირება. ტერმინი სტიმული (ეს არის ლათინური სიტყვა სტიმულუს) სიტყვა-სიტყვით ნიშნავს წვეტიან ჯოხს, რომლითაც მიერეკებიან საქონელს. სხვა სიტყვებით რომ უთქვამთ, ეს არის დაინტერესება რაიმესადმი. ბუნებათსარგებლობის შემთხვევაში სტიმულირება ნიშნავს ბუნებათმოსარგებლედ დაეინტერესოთ შექმნას ბუნებათდაცვითი ღონისძიება.

ბოლო დროს სტიმულირებას უფრო მეტი ყურადღება ექცევა. მარტო სანქციებით ვერ დაიცავ ბუნებას.

ეკონომიკური სტიმულირების პრინციპები გამოიშუშავდება პრაქტიკაში, მათ შორის არის:

1. სტიმულირების კომპლექსურობა, რაც ნიშნავს ტექნოლოგიური ოპერაციების სტიმულირების აუცილებლობას, თუ მათ მიზანს წარმოადგენს რესურსდაზოგვა, რომელიც ტარდება ეკოლოგიურად მისაღები მეთოდებით, ასევე თვით ბუნებათდაცვითი ღონისძიებებით (ნარჩენების უტილიზაცია, გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა წყლის და ქაერის დაბინძურებისაგან და ა.შ.)

2. ეკონომიკურ სტიმულირებასა და ეკონომიკურ სანქციებს შორის ბალანსის დაცვა, ე.ი. პოზიტიურ და ნეგატიურ ღონისძიებებს შორის ზემოქმედება ბუნებათმოსარგებლედ.

3. სტიმულირების შეხამება ეკონომიკური მექანიზმის სხვადასხვა დონეზე. საკმარისი არ არის მუშაკის ბუნების დაცვის მეშაობისათვის წამახალისებელი ზომები მარტო სა-



წარმო დონეზე საჭიროა ფედერალურ, რეგიონალურ, ადგილობრივი მმართველობის დონეზეც.

4. სტიმულირების დაკავშირება ეკონომიკური მექანიზმის სხვა სახეებთან (მაგ. დაგეგმვა, რეგულირება) სანქციებთან შეთანწყობა. ეკონომიკური სტიმულირება მნიშვნელოვანია, მაგრამ ის პანაცეა არ არის, მისი დამოუკიდებლად გამოყენება, სხვა ელემენტებისაგან მოწყვეტით არ მოგვეცემს ეფექტს და არ გაამართლებს იმედებს.

5. საჭიროა როგორც მატერიალური, ისე მორალური სტიმულირება, როგორც კადეკეული მუშაკის, ისე მთელი წარმოების. ადამიანმა, როგორც ბიოლოგიურმა არსებამ უნდა დაიკმაყოფილოს თავისი მატერიალური მოთხოვნები, ხოლო როგორც სოციალურმა არსებამ თავისი სულიერი ინტერესები. ერთ-ერთი საშუალება სულიერი მოთხოვნის დაკმაყოფილებისა, არის აღიარება ხმამაღლა მისი ბუნებათღაცეით მრომისა და სტიმულირების ხასიათი.

მთავრობის მიერ კანონით არის მთელი რიგი სტიმულირების ღონისძიებები ჩადებული ბუნების დაცვის საქმეებში და ეს ეხება ძირითადად შეღავათებს გადასახადებში. დაკრედიტება წარმოების, ძირითადი წარმოების ბუნებათღაცეითი ფონდების ამორტიზაციის მაღალი ნორმების დაწესება, წამახალისებელი ფასების გამოყენება და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებზე ფასწანამატები.

მაგალითად: რუსეთის ფედერალური მთავრობის მიერ გამოცემული კანონის "გადასახადები საწარმოების და ორგანიზაციების მოგებაზე", რომლის თანახმადაც კაპიტალური დაბანდების მოგებაზე გადასახადი მკვირდება 30 % ით ბუნებათღაცეითი ღონისძიებების განხორციელებისათვის.

მოქალაქეები, რომლებიც პირველად აწარმოებენ გლეხურ (ფერმერულ) მეურნეობას, "მიწის გადასახადის" კანონის თანახმად საერთოდ თავისუფლებიან მიწის გადასახადიდან 5 წლის განმავლობაში, მაგრამ თუ მათ მიწა გამოიყენეს არასასოფლო-სამეურნეო მიზნით, მაშინ მათ ეს შეღავათი არ მიეცემა.

ამორტიზაციის გადიდებული ნორმის ძირითადი საწარმოო ბუნებათღაცეითი ფონდების მნიშვნელობა იმაში

მდგომარეობს, რომ უფრო სწრაფად შეიძლება ბუნებათდაცვითი მოწყობილობის შექმნა; შეიცვალოს ძველი ახლით, უფრო სრულყოფილით, რაც შეეფერება სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს ტექნიკის დარგში. ასეთი შედავათი ეკონომიკური სტიმულირების სახით არის გამოყენებული განვითარებულ ქვეყნებში.

რაც შეეხება ეკოლოგიურად სუფთა პრდუქტზე ფასის მომატებას, - ჯერ უნდა გავერკვეთ, რას გულისხმობს ეკოლოგიურად სისუფთავე. როგორ უნდა გავარჩიოთ იგი ჩვეულებრივისაგან, როგორი შეფუთვისაა და ა.შ.

ბოლო დროს ბუნებითსარგებლობაში და გარემოს დაცვაში შემოვიდა ტერმინები "ეკოლოგიური პასპორტიზაცია", "ეკოლოგიური სერთიფიკაცია" და "ეკოლოგიური აუდიტი". ეს ბერკეტები მიეკუთვნება საორგანიზაციო - ეკონომიკურ ელესენტებს, ბუნებათსარგებლობის აღრიცხვის და კონტროლის მექანიზმში.

1. ეკოლოგიური პასპორტი საწარმო-ბუნებათმოსარგებლეს აძლევს საშუალებას გამოიყენოს შიგ არსებული ინფორმაცია ობიექტის პრივატიზაციისას, ეკოლოგიური დაზღვევისას, წარმოების სერთიფიკაციისას და წარმოების პროდუქციის ლიცენზირებისას, ეკოლოგიური აუდიტისათვის.

2. ეკოლოგიური სერთიფიკაცია - ეს არის მოწმობა ეკოლოგიური მოთხოვნების დონის შესაბამისად, რაც მოეთხოვება მოწყობილობას, ტექნოლოგიას ან პროდუქციას; სერთიფიკაცია სხვა სიტყვებით, არის კონტროლის ფორმა. სერთიფიკაციას იძლევა მთელი რიგი ლაბორატორიები და ცენტრები თანახმად კანონისა "მომხმარებლის უფლების დაცვის" შესახებ, რაც მოითხოვს პროდუქტების ხარისხის აუცილებელ შემოწმებას და მათ შესაბამისობას, ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და გარემოს უსაფრთხოებას.

3. ეკოლოგიური აუდიტი ეს არის ანალიზი და განსაზღვრა ეკოლოგიური დანახარჯების, ეკონომიკური შედეგების; ფაქტიურად ეს არის ეკონომიკური ანალიზი საწარმოს მუშაობის, რომელიც ანხორციელებს ბუნებათდაცვით ღონისძიებებს და მათ ეკონომიკურ ეფექტიანობას.

საბაზრო ურთიერთობის ქვეყნებში ეკოლოგიურ რეგულირებას ახდენს ბუნებათსარგებლობის საბაზრო რეგულირება. საბაზრო ურთიერთობა ნიშნავს მეწარმეების მოთლიან თავისუფლებას დადონ ხელშეკრულება ერთმანეთთან. დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილება ეკოლოგიურ ბანკებთან და ბირჟებთან ურთიერთობის, გადაანაწილონ, გადაყიდონ ღირებულებები დაბინძურებაზე და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ იმ ქვეყნებში, სადაც განვითარებულია საბაზრო ურთიერთობა, ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრა ვერ ხერხდება ეფექტურად, საბაზრო მეთოდებით, ამიტომ ყველგან მათ თან სდევს სახელმწიფო რეგულირებაც. ყველა ეს მეთოდები, ერთად აღებული, ქმნიან ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვისას ეკონომიკურ მექანიზმს.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. აბრალოვა ა., სამსონია ნ., ტულუში მ., საბაზრო ეკონომიკის საფუძვლები, თბ. 1995.
2. ზონენაშვილი ჟ., საქართველოს მიწის რესურსები // საქართველოს სტრატეგრაფიული კვლევისა და განვითარების ცენტრი, ბიულეტ. № 16, თბ., ოქტომბერი 1998.
3. თეთრაული ა., საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და ბიზნესის განვითარების კანონზომიერებები საქართველოში, თბ., 1993.
4. კანონი საქ. რესპუბ. "მეწარმეთა შესახებ", თბ., 1994.
5. კანონი საქ. "ნიადაგის დაცვის შესახებ", თბ., 1994.
6. კანონი საქ. "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ", თბ., 1996.
7. კანონი საქ. "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის შესახებ", თბ., 1996.
8. კოლუაშვილი პ., ფანცულაია ვ., სასურსათო უსაფრთხოება და გენური ინჟინერია // ჟ. "კვალი", № 3-4, 2000.
9. ლემონჯავა პ., ბუნების გამოყენების ეკონომიკა, თბ., 1993.
10. ლორთქიფანიძე მ., აღვადგინოთ დარღვეული წონასწორობა ადამიანსა და ბუნებას შორის // ჟ. "კვალი", 2000.
11. მდინარაძე თ., ეკოლოგიის კატასტროფის დამოკლეს მახვილი. // "თბილისი" 21 მაისი, 1990.
12. პაპავა გ., საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საფუძვლები, თბ., 1991.
13. პაპავა ვ., საქართველო საბაზრო ეკონომიკის გზაზე, თბ., 1995.
14. უღვინტი პ., ქეშელაშვილი ო., საქართველოს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის ხაზით ჩატარებული ახალი გამოკვლევების შედეგები // საქ. სსრ სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები ტ., XIII, 1982.
15. საღარეიშვილი ო., ხარაიშვილი ე., ბიზნესის ორგანიზა-

- (ვია, მართვა და ანალიზი, ნაწ. I-II. თბ., 1995.
16. სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, პროგრამა, თსუ, 1997.
  17. სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, პროგრამა, აგრარული უნივერსიტეტი ბ., 1990.
  18. საქ. სოფლის მეურნეობის სტატისტიკ. კრებული, საქ. სტატისტიკის სახ. დეპარტამენტი, თბ., 1998.
  19. საქ. სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა, საქ. სტატისტიკის სახ. დეპარტამენტი, 1998, 1999.
  20. ქეთარაძე პ., სახელხო მეურნეობაში ინტეგრაციული ტენდენციების განვითარება და მისი როლი ეკონომიკურისა და ეკოლოგიის კავშირურთიერთობის განვითარებაში // ხელნაწერი 2000. ინფ.
  21. ჩიქაეა ლ., საქართველოს ეკონომიკა, თბ., 1995.
  22. ჩხეიძე თ., ნიადაგის რეკულტივაციის ეკონომიკურ-ეკოლოგიური სტიმულები // უ. "ეკონომიკა" № 5-7, 1997.
  23. ჩხეიძე თ., საქართველოს ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები, თბ., 1987.
  24. ჩხეიძე თ., ნიადაგის დამუშავების ახალი ტექნოლოგიის ეფექტიანობის საკითხისათვის // უ. "მაცნე" ეკონომიკისა და სამართლის სერია №3, 1992.
  25. ჩხეიძე თ., ურბანიზაციის სოციალ-ეკონომიკური ასპექტები // ეკონომიკის ინ-ტის სამეც. შრომათა კრებული, ტ I, 2000.
  26. ჩხეიძე თ., ქველაძე ქ., გლეხური (ფერმერული) მეურნეობის ეკონომიკურ-ეკოლოგიური პრობლემები საქართველოში // თსუ სოხუმის ფილიალის კონფ. მასალები, თბ., 1999.
  27. წერეთელი გ., გარემო ბუნების დაცვის ეკონომიკური პრობლემები, თბ., 1987.
  28. წიკლაყრი ქ., მცირე ბიზნესის ფორმირება და განვითარება საქ. მთის რეგიონის მეცხოველეობაში, თბ., 1995.
  29. ჭითანაეა ნ., საბაზრო ეკონომიკის რეგულირება, თბ., 1994.
  30. Воронцов А.П., Концептуальные основы рационального природ но-пользования., М., 1999.
  31. Горгонов С.Н., Назаренко Н.Т., Попов Ю.Ю., Основы

рыночных отношений в сельском хозяйстве,  
Воронеж, 1992.

32. Данилов., “С экологией” на “ВЫ”. // “Комсомольская Правда” 22 марта, 1986.
33. Коваленко Н.Я., Экономика сельского хозяйства, Курс лекции, М., ЭКМОС, 1999.
34. Попов Н.А., Крестьянские (фермерские) хозяйства // АПК, ж. “Экономика”, управление, № 3-5, 1996.
35. Попов Н.А., Экономика сельскохозяйственного производства. Учебник. М., 1992.
36. Самуэльсон П.А., Экономика. Т. I-II, М., 1992.

# სარჩევი

წინასიტყვაობა

3

## თავი პირველი სოფლის მეურნეობის ეკონომიკა და ეკოლოგია

- |  |    |
|--|----|
| 1.1. სოფლის მეურნეობის ეკონომიკა ეკოლოგიის საფუძვლებით საგანი, ამოცანები, მეთოდი | 6  |
| 1.2. სოფლის მეურნეობა, როგორც სახალხო მეურნეობის დარგი                           | 9  |
| 1.3. სოფლის მეურნეობის როგორც ეკონომიკის დარგის თავისებურებანი                   | 13 |
| 1.4. აგროეკოლოგიის ეკონომიკის ცნება, მიზანი, ამოცანები                           | 20 |
| 1.5. სახალხო მეურნეობის კომპლექსში სოფლის მეურნეობის წარმოების მნიშვნელობა       | 29 |

## თავი მეორე საბაზრო აგროეკონომიკის თავისებურებანი სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში

- |   |    |
|---|----|
| 2.1 ბაზრის ცნება, როლი და სტრუქტურა             | 36 |
| 2.2 ბაზრის ფუნქცია სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში | 42 |
| 2.3 სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ბაზარი         | 44 |
| 2.4 საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის გზები       | 46 |

## თავი მესამე სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციული ფორმები

- |                                       |    |
|---------------------------------------|----|
| 3.1 მეწარმული საქმიანობა აგრობიზნესში | 50 |
| 3.2 მეწარმეობის ძირითადი ტიპები       | 52 |

3.3 სოფლის მეწარმეობის ორგანიზა- ციულ-სამართლებრივი ფორმები	56
3.4 სამეურნეო კავშირები აგრობიზნესში	63

**თავი მეოთხე**  
**წარმოების ფაქტორთა ბაზარი**  
**სოფლის მეურნეობაში**

4.1 მიწის რესურსები და მათი ეფექტურად გამოყენება საბაზრო ეკონომიკის პირობებში	72
4.2 მატერიალურ-ტექნიკური რესურსები და მათი გამოყენება საბაზრო ეკონომიკის პირობებში	86
4.3 შრომითი რესურსები და მისი გამოყენება საბაზრო ეკონომიკის პირობებში	90

**თავი მეხუთე**  
**ზოგადეკონომიკური თეორიის საფუძვლები**

5.1. კელაეწარმოების პროცესის ელემენტები	93
5.2 ძირითადი საშუალებები	94
5.3 საბრუნავი საშუალებები	110
5.4 შრომის ნაყოფიერება	117

**თავი მეექვსე**  
**კელაეწარმოება და მისი თავისებურებები**  
**სოფლის მეურნეობაში**

6.1 კელაეწარმოების ეკონომიკური არსი	121
6.2 წარმოების დანახარჯები	123
6.3 სოფლის მეურნეობის პროდუქციის თვითღირებულება	127
6.4 ფასწარმოქმნა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასი	135
6.5 ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებელთა გაანგარიშება	138



თავი მეშვიდე  
სასოფლო-სამეურნეო წარმოების განლაგება,  
სპეციალიზაცია და კონცენტრაცია

7.1 სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზონალური სპეციალიზაცია	144
7.2 სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადაამუშავების ეკონომიკის სპეციფიკა	161
7.3 საკეები პროდუქტების ხარისხი	164
7.4 აგროეკოლოგიური მიწათმოქმედება	166

თავი მერვე  
სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომსახურების ეკონომიკის თავისებურება

8.1 სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომსახურება	172
8.2 კომპლექსური მექანიზაცია და მისი ეკონომიკური ეფექტიანობა	178

თავი მეცხრე  
მენეჯმენტი და მარკეტინგი სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში

9.1 სამრეწველო მენეჯმენტი	180
9.2 მარკეტინგული მართვა	182
9.3 ბუნებათსარგებლობის ეკონომიკური მექანიზმი	188

გამოყენებული ლიტერატურა	196
-------------------------	-----

დამხმარე სახელმძღვანელო - "სოფლის მეურნეობის ეკონომიკა ეკოლოგიის საფუძვლებით" - იბეჭდება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტისა (ოქმი №7 22.06.2000) და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის (ოქმი №9 05.06.2000) სამეცნიერო საბჭოების გადაწყვეტილებით.

გამომცემლობის რედაქტორი: ი. განიჩილაძე

ფასი სახელშეკრულებო